652
961/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5

1961

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

აჭარა

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო

შინაარსი

ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში 3
ზ. ართილაყვა — ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი . . . 5
რ. კომახიძე — ბუნება — ხალხის სამსახურში 9
ხ. ბელმესი — XXII ყრილობის დელეგატი (ნარკვევი) 16
პ. ლორია — აქ ზაფხული ასეთია (ნარკვევი) 19
ძ. ფუავია — ლექსები 27
ფრ. ხალვაში — ლექსები 29
კ. რუსიძე — კაჟის ნატეხი (მოთხრობა) . 31
ჯ. ჯაყელი — ლექსები 52
ნ. ჯალალონია — ლექსები 54
ა. შერვაშიძე — ვივა, კუბა! (ნაწყვეტი პიესიდან) 55
ზ. გორგილაძე — ლექსები 64
ძ. ჩიკვილაძე — ლექსები 66
ნ. რ. კრიშნანი — მისნის ერთი დღე (მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნა ფრ. ფანჯავიძემ) 67
თურქი პროგრესული პოეტების ლექსები — (თურქულიდან თარგმნა ნ. გვარიშვილმა) 71
ა. ბარბიუსი — სათნოება (მოთხრობა, ფრანგულიდან თარგმნა ი. არეშიძემ) 73

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

თ. მშვიდობაძე — ლოგიკურის დიალექტიკურობის შესახებ 76
ძ. ელიზბარაშვილი — აჭარის მოსახლეობა და მისი ეროვნული შემადგენლობა 80

5

1961

სექტემბერი
ოქტომბერი

8ऽ4ᲫᲒ

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა

აჭარის სახ. სამ. საბჭოთა ... ბიბ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჭარის წარსულიდან

ვ. შამილაძე — გვაროვნული წყობილების ერთი გადმონაშთის შესახებ . . 82
ა. სურგულაძე — მღელვარება აჭარაში XIX საუკუნის 70-იან წლებში და ქართული პრესა 85

წიგნის თარო

ალ. ჩავლეიშვილი — პოეტის საფიცარი.. 88
გ. მეგუკე — ბავშვებზე და ბავშვებისათვის 92
პ. ცქვიტარია — კრებული რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეებზე საქართველოში 94

რედაქტორი შოთა ქურიძე
სარედაქციო კოლეგია:
ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, მ. ვარშანიძე (პ/მგ. მდივანი), **ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.**

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელეფონები—14-06, 13-35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ვიცხოვრებთ კომუნიზმში

ჯერ კიდევ არასოდეს ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა ისეთი საყოველთაო-სახალხო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, როგორიც ამჟამად, სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში. ეს ბუნებრივი და სავსებით კანონზომიერია. განა შეიძლება ადამიანი გაეცნოს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტს და არ განიმსჭვალოს სიამაყის გრძნობით სოციალისტური სამშობლოსათვის, არ აღივსოს დაუოკებელი მისწრაფებით მთელი თავისი ენერგია, ცოდნა და უნარი მოახმაროს პროგრამის პროექტით დაადგენილი საკაცობრიო ამოცანის — სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების ამოცანის წარმატებით განხორციელებას?

აჩრდილიდან, რასაც გასულ საუკუნეში წარმოადგენდა, კომუნიზმი დღეს იქცა უდიდეს ძალად ჩვენი პლანეტის ვეებერთელა სივრცეებზე. კაცობრიობა არასოდეს დაივიწყებს, რომ სწორედ ჩვენმა ქვეყანამ, ჩვენმა გმირმა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის, თავისი გენიალური ბელადის დიდი ლენინის ხელმძღვანელობით პირველმა გაკაფა კომუნიზმის გზა, პირველმა უჩვენა მსოფლიოს ხალხებს თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ერთადერთი სწორი გზა. მარქსისა და ლენინის ყოვლისმძლე თეორიით შეიარაღებულმა საბჭოთა ხალხმა სულ რაღაც ერთი თაობის სიცოცხლეში — „ავროროს“ ბათქიდან გაგარინისა და ტიტოვის გაფრენებამდე კოსმოსში ყოფილი ჩამორჩენილი მეფის რუსეთი გადააქცია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყნად და დღეს ჩვენი სამშობლო — სსრ კავშირი განასახიერებს ყოველივე პროგრესულს, რაზეც კი ოცნებობდა კაცობრიობა მრავალი საუკუნის მანძილზე.

ახლა ჩვენი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ საბჭოთა ხალხის უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი და შიშით შეჰყურებენ თავიანთ მომავალს, რომელიც კარგს არაფერს უქადის მათ. უკვე ისტორიულ ფაქტად იქცა, რომ კაპიტალიზმი — ეს უკანასკნელი ექსპლოატატორული წყობილება განწირულია და ბურჟუაზიის ვერავითარი ღონისძიებანი ვერ იხსნის მას გარდუვალი დაღუპვისაგან. განუწყვეტლივ იზრდება და ვითარდება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა. იმსხვრევა იმპერიალიზმის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი — კოლონიური სისტემა და შორს აღარ არის ის დღე, როცა მსოფლიო რუკიდან სავსებით გაქრებიან კოლონიები. რეკავს კაპიტალიზმის უკანასკნელი საათი. ჩვენი ეპოქა არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დიადი ეპოქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალიზმის ძალების შეუნელებელ ზრდას კიდევ ერთი უდიდესი სიკეთე მოაქვს ხალხებისათვის. იმპერიალიზმის ძალების წინაშე სოციალიზმის ძალების მზარდი უპირატესობა წარმოშობს იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ დედამიწაზე სოციალიზმის ჯერ კიდევ სრულ გამარჯვებამდე, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილში კაპიტალიზმი კიდევ არსებობს, საზოგადოების ცხოვრებიდან გამოირიცხოს მსოფლიო ომი. ამიტომ სავსებით სამართლიანად ამბობენ: კომუნიზმი — ეს ხალხთა მშვიდობაა.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ კომუნიზმს აშენებს ხალხი და იგი ხალხისათვის შენდება. მათ კარგად იციან, რომ პარტიის პროგრამის პროექტით გათვალისწინებული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელება მოითხოვს დაძაბულ შემოქმედებით შრომას და ისინი მზად არიან პირნათლად შეასრულონ თავიანთი პატრიოტული მოვალეობა — დღითიდღე ამრავლონ სამშობლოს სიმდიდრენი.

დიად ლაშქრობაში კომუნიზმის აშენებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების როლი, მათ წინაშე მდგომი ამოცანები. „საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმით და ცხოველმყოფელი კომუნისტური იდეებით, — ნათქვამია სკკპ პროგრამის პროექტში, — დიდ იდეურ-აღმზრდელობით როლს ასრულებენ, საბჭოთა ადამიანებს უვითარებენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს. ისინი მოწოდებულნი არიან იყონ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათს ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება“.

საბჭოთა მწერლები, რომლებსაც ჩვენი პარტიისა და ხალხის ხელმძღვანელმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის ერთგული თანაშემწენი უწოდა, ეჭვი არ არის, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა შექმნან ეპოქის ღირსეული ნაწარმოებები და თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის აშენების დიად საკაცობრიო საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაბიღო ართიღაყვა

ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი

სრულიად გადაუჭარბებლად, სავსებით ობიექტურად, ფაქტებზე დამყარებით ჩვენ უნდა ვთქვათ პროგრამაში იმის შესახებ, რაც არის, და იმის შესახებ, რის გაკეთებასაც ვაპირებთ.

ვ. ი. ლენინი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი ჩვენი ეპოქის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი წარმოადგენს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზებისა და კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებულ გეგმას. პროგრამის პროექტში შემოქმედებითად არის განზოგადებული სოციალიზმის პრაქტიკა, გათვალისწინებულია მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილება, განსაზღვრულია კომუნისტური მშენებლობის მთავარი ამოცანები და ძირითადი ეტაპები. იგი აგრძელებს და ავითარებს მარქსიზმ-ლენინიზმის დიად მოძღვრებას, რომელიც სამყაროს რევოლუციურად გარდაქმნის მძლავრი იდეური იარაღი და მთელი კაცობრიობის გზის მანათობელი ვარსკვლავია.

ყოველ ახალ ისტორიულ ეტაპზე ჩვენი პარტია, ხელმძღვანელობდა რა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, მუდამ წარმატებით ასრულებდა თავის პროგრამებში დასახულ გრანდიოზულ მსოფლიო-ისტორიულ ამოცანებს. ახალი პროგრამა რიგით მესამე იქნება დიდი ლენინის პარტიის სახელოვან გზაზე.

პირველი პროგრამა, რომელიც მიღებულ იქნა რსდმპ II ყრილობაზე, ორი ნაწილისაგან — პროგრამა-მაქსიმუმისა და პროგრამა-მინიმუმისაგან შედგებოდა. პროგრამა-მაქსიმუმში ლაპარაკი იყო პარტიის საბოლოო მიზანზე — სოციალისტური საზოგადოების აშენებაზე, მისი განხორციელების პირობაზე — სოციალისტურ რევოლუციასა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაზე. პროგრამა-მინიმუმი კი მოიცავდა პარტიის უახლოეს ამოცანებს — ცარიზმის დამხობას, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას, რვასაათიან სამუშაო დღეს, ყველა ერის სრულ თანასწორუფლებიანობას და თვითგამორკვევის უფლებას, სოფლად ბატონყმობის ნაშთების მოსპობას.

ეს პროგრამა, როგორც ცნობილია, ჩვენმა პარტიამ თავისი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელა.

ახალ ისტორიულ ვითარებაში, როცა ჩვენს ქვეყანაში დაემხო ექსპლოატატორთა ბატონობა და გაიმარჯვა პროლეტარიატის დიქტატურამ, საჭირო იყო პარტიას შეემუშავებინა ახალი პროგრამა, რომელიც განსაზღვრავდა პარტიისა და ხალხის ახალ ამოცანებს. ასეც მოხდა. უკვე 1919 წლის მარტში რკპ(ბ) VIII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი, რიგით მეორე პროგრამა, რომელიც აჯამებდა რა პროლეტარიატის მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის იმდროინდელი ეტაპის შედეგებს, განსაზღვრავდა პარტიის ამოცანებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მთელი გარდამავალი პერიოდისათვის. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების გაშლილი პროგრამა.

ახლა სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პარტიის მეორე პროგრამაც, რომელიც ვ. ი. ლენინმა სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში

შეიმუშავა, ბოლშევიკების სახელოვანმა პარტიამ პირნათლად შეასრულა. სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. ამჟამად საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიად ამოცანებს.

პარტიის ახალი პროგრამა, რომლის პროექტიც განსახილველად გადაეცა ხალხს, სახავს სწორედ კომუნისტური საზოგადოების აშენების გრანდიოზულ გეგმას. მაგრამ მისი შინაარსი მარტო ამით როდი ამოიწურება. ჩვენი პარტია არის ყველა ქვეყნის კომუნისტთა არმიის განუყოფელი ნაწილი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ავანგარდი. ამიტომ, თავისთავად ცხადია, თავის პროგრამაში იგი ასახავს ამ მოძრაობის ისტორიულ გამოცდილებას და უახლოესი მომავლის ამოცანებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის ახალი პროგრამის პროექტი მსოფლიოს ყველა მშრომელს აიარაღებს თანამედროვე ეპოქის ხასიათის ღრმა მეცნიერული გაგებით, ხსნის კაცობრიობის ისტორიული განვითარების კანონზომიერებას, ცხადყოფს, რომ ყველა ქვეყანაში აუცილებელია საზოგადოების გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე.

ამას განსაკუთრებული სიცხადით მოწმობს კაცობრიობის განვითარების ისტორიული გამოცდილება უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე. სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებას ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში მოჰყვა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, რომელიც წარმოადგენს თავისუფალი და სუვერენული ხალხების სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამეგობრობას. სულ უფრო იზრდება ამ სისტემის ზემოქმედება საზოგადოებრივი განვითარების მთელ მსვლელობაზე და ხელს უწყობს მსოფლიო ხალხთა ბრძოლის გაძლიერებას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის. მეორე მხრივ, განუწყვეტლივ ძლიერდება კაპიტალისტური სისტემის დაცემისა და გახრწნის გარდუვალი პროცესი. კაპიტალისტურმა სისტემამ სამუდამოდ დაკარგა გავლენა-ბატონობა კაცობრიობის უმრავლესობაზე.

სკკპ პროგრამის პროექტში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ანალიზს. როგორც არ უნდა ღვარძლიანობდეს საერთაშორისო რეაქცია, ფაქტია, რომ მსოფლიო ცხოვრობს მეოცე საუკუნეში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქაში, რევოლუციებისა, რომელთა მძლავრი ტალღა სპობს კოლონიურ სისტემას, არყევს იმპერიალიზმის საყრდენებს. ხალხები შევიდნენ თავიანთი განვითარების ახალ პერიოდში, ირაზმებიან როგორც ახალი ცხოვრების შემოქმედნი და საერთაშორისო პოლიტიკის აქტიური მონაწილენი. ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობა სსრ კავშირში, სოციალიზმის ბანაკის ყველა ქვეყნის შესანიშნავი წარმატებანი, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფართო გაქანება — ყოველივე ეს ახალი ძალით ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცხოველმყოფელობას და ისტორიულ სიმართლეს.

უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს სკკპ პროგრამის პროექტის დებულებას, რომ ახლა, როცა სოციალიზმის სულ უფრო მზარდმა ძალებმა უპირატესობა მოიპოვეს იმპერიალიზმის ძალებზე, შეიქმნა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ჯერ კიდევ მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებამდე საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამორიცხოს მსოფლიო ომი. ეი ამიტომ პროგრამის ეს ნაწილი პროგრესულ კაცობრიობას, ყველა კეთილი ნების ადამიანს მიაჩნია თავის პროგრამად. პროგრამის პროექტი ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი იყო, არის და იქნება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი.

თავისი სიდიადით განსაცვიფრებელია ამოცანები, რომლებსაც სკკპ პროგრამის პროექტი სახავს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დარგში. იძლევა რა კომუნიზმის გაშლილ დახასიათებას, პროგრამის პროექტი პარტიისა და ხალხის წინაშე სახავს გრანდიოზულ პერსპექტივებს. უახლოეს ათწლეულში სსრ კავშირი შექმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ გაუსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს, მკვეთრად ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურულ-ტექნიკური დონე, გაქრება მძიმე ფიზიკური შრომა, ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცევა მაღალშემოსავლიან მეურნეობად, ძირითადად დაკმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება ბინებზე. საბჭოთა ქვეყანა იქნება ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა მთელ მსოფლიოში. შემდგომ ათწლეულში კი მთელ მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვე. მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საფუძველზე ხელახლა აღიჭურვება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, რაც შექმნის იმის პირობას, რომ სსრ კავშირმა მიაღწიოს ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს კაპიტალიზმის ყოველ ქვეყანასთან შედარებით. ეს უზრუნველყოფილ იქნება იმით, რომ ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი გადიდდება 3,5-ჯერ და უფრო მეტად, სისტემატურად შემცირდება საცალო ფა-

სები, სავსებით გაუქმდება მოსახლეობის გადასახადები, გადაიჭრება ბინის პრობლემა, მნიშვნელოვნად შემოკლდება სამუშაო დღე, მოეწყობა გადასვლა მოთხოვნილებათა სულ უფრო ფართო წრის უფასოდ დაკმაყოფილებაზე იმ მიზნით, რომ ოცწლეულის დამლევს მოხმარების საზოგადოებრივმა ფონდებმა შეადგინონ მოსახლეობის რეალური შემოსავლის მთელი თანხის დაახლოებით ნახევარი. ყველაფერი ეს იმის საწინდარია, რომ ჩვენს ქვეყანაში ძირითადად აშენდება უკლასო კომუნისტური საზოგადოება.

რა თქმა უნდა, ასეთი გრანდიოზული ამოცანების გადაჭრა მოითხოვს მთელი ხალხის თავდადებულ, შეუპოვარ შრომას. ამიტომ ჩვენი მშობლიური პარტია მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს იშრომონ ბეჯითად, შთაგონებით, პირნათლად შეასრულონ თავიანთი წმინდა მოვალეობა ამ პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კომუნიზმის აშენება დამოკიდებულია ადამიანებზე და კომუნიზმი ადამიანებისათვის შენდება. თვითეული საბჭოთა ადამიანი თავისი პატრიოტული შრომით აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას. კომუნისტური შრომა სახელისა და დიდების საქმეა. მას სიუხვე და საამური ცხოვრება მოაქვს ყველასათვის და კიდევ უფრო ზრდის საბჭოთა სამშობლოს ძლიერებას, ღირსებასა და სახელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი ყოველმხრივ ახასიათებს აგრეთვე პარტიის ამოცანებს სახელმწიფო მშენებლობისა და სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების დარგში. უაღრესად დიდი თეორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს პროექტში მოცემულ დასკვნას, რომ პროლეტარიატის დიქტატურამ, უზრუნველყო რა სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და საზოგადოების გადასვლა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე, შეასრულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი განვითარების ამოცანების თვალსაზრისით იგი აუცილებელი აღარ არის სსრ კავშირში.

რაც შეეხება სოციალისტურ სახელმწიფოს, სრული კომუნიზმის აგებამდე იგი უსათუოდ რჩება. გახდა რა საერთო-სახალხო სახელმწიფო, იგი გამოხატავს მთელი ხალხის ნებას და მოწოდებულია მოაწყოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, განახორციელოს კონტროლი შრომისა და მოხმარების ზომისადმი, უზრუნველყოს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობა, დაიცვას საბჭოთა მოქალაქეების უფლებანი, სოციალისტური საკუთრება, აღზარდოს მასები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, საიმედოდ უზრუნველყოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვა და უშიშროება, დაიცვას საყოველთაო მშვიდობის საქმე და ნორმალური ურთიერთობა იქონიოს ყველა ქვეყანასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ პროგრამის პროექტი ითვალისწინებს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, ყველა სამეურნეო ორგანოს როლის გაძლიერებას, მათს თანდათანობით დაახლოებას და, საბოლოოდ, ერთიან კომუნისტურ თვითმმართველობად შეერთებას. მომავალში უფრო მეტად მოეწყობა საერთო-სახელმწიფოებრივი, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის კანონთა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვა. ამავე დროს პროფკავშირებს, კომკავშირს და სხვა მასობრივ ორგანიზაციებს მათი საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების სახით მიეცემათ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ესე იგი პროექტების შეტანის უფლება.

ცხადია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახელმწიფო აპარატს არ მიეკუთვნებიან. მაგრამ ისინი შედიან სოციალისტური სახელმწიფოს სისტემაში, სადაც როგორც სახელმწიფოებრივი, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ ხელმძღვანელსა და წარმმართველ როლს ასრულებს კომუნისტური პარტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის მებრძოლი ნაცადი ავანგარდია, რომელიც ნებაყოფლობის საწყისებზე აერთიანებს სსრ კავშირის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მოწინავე, ყველაზე შეგნებულ ნაწილს. იგი იყო, არის და მომავალშიც იქნება ჩვენი სამშობლოს ხელმძღვანელი, წარმმართველი და შთამაგონებელი ძალა, კომუნიზმის გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი. პარტია რომ მომავალშიც წარმატებით ასრულებდეს ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელისა და წარმმართველის როლს, იგი განუწყვეტლივ უნდა სრულყოფდეს პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტები ხაზგასმით აღნიშნავენ ამ მომენტს და სახავენ ისეთ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, როგორიცაა შინაპარტიული დემოკრატიის ყოველმხრივი განვითარება, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განუხრელი დაცვა, პარტიის რიგების ერთიანობისა და მონოლითურობის განმტკიცება, მასებთან, ხალხთან პარტიის კავშირის გაფართოება და გაღრმავება.

სკკპ პროგრამის პროექტი დიდ ყურადღებას უთმობს პარტიის ამოცანებს იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა და დიდად შეგნებული ყოველ-

მხრივ განვითარებული ადამიანის, კომუნიზმის ადამიანის ფორმირება ერთი პროცესის ორი მხარეა. ახალი ადამიანის ჩამოყალიბება კი ნიშნავს მის გამსჭვალვას კომუნისტური იდეოლოგიის სულისკვეთებით, ახალი, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით. პარტიას მიაჩნია, რომ კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში შედის შემდეგი ზნეობრივი პრინციპები: კომუნიზმის საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური სამშობლოსადმი, სოციალიზმის ქვეყნებისადმი სიყვარული; კეთილსინდისიერი შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს; თვითეულის ზრუნვა საზოგადოებრივი დოვლათის დაცვისა და გამრავლებისათვის; საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, შეუწყნარებლობა საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევებისა; კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის; ჰუმანური ურთიერთობა და ურთიერთ პატივისცემა ადამიანთა შორის: ადამიანი ადამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა; შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი; სსრ კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა და ძმობა, შეუწყნარებლობა ეროვნული და რასობრივი მტრობისადმი; შეურიგებლობა კომუნიზმის, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების საქმის მტრებისადმი; ძმური სოლიდარობა ყველა ქვეყნის მშრომელებთან, ყველა ხალხთან.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდა თავისთათად გულისხმობს გადამჭრელ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, კერძოსაკუთრული ფსიქოლოგიისა და სხვა კაპიტალისტური გადმონაშთების სრულ აღმოფხვრისა ადამიანთა შეგნებაში. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს ადამიანებზე საზოგადოებრივი ზემოქმედების ფართოდ გამოყენებას.

* * *

სკკპ პროგრამის პროექტს, რომელიც სახავს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების კონკრეტულ გეგმას, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ არა მარტო საბჭოთა ადამიანები, არამედ მთელი პროგრესული და მოწინავე კაცობრიობა. ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა მას უწოდეს „1961 წლის კომუნისტური მანიფესტი“, „კომუნიზმის მშენებლობის ქარტია“ და ამით გამოხატეს თავიანთი აღტაცება ამ უდიდესი, საკაცობრიო მნიშვნელობის დოკუმენტით.

საბჭოთა ადამიანებს შეგნებული აქვთ, რომ პარტიის პროგრამის პროექტით გათვალისწინებულ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით შესრულება მოითხოვს თავდადებულ, დაძაბულ შემოქმედებით შრომას და ისინი ერთსულოვნად ამბობენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა რაც შეიძლება მალე, უმოკლეს ისტორიულ ვადაში განხორციელდეს პროგრამის პროექტის გულში ჩამწვდომი დასკვნითი სიტყვები:

„პარტია საქვეყნოდ აცხადებს: **საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!**“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ კომახიძე

ბუნება—ხალხის სამსახურში

„...ბუნების შეცვლა ადამიანის მიერ, და არა მარტოოდენ ბუნება როგორც ასეთი, წარმოადგენს ადამიანის აზროვნების უარსებითესსა და უახლოესს საფუძველს, და ადამიანის გონებაც იმდენად იზრდებოდა, რამდენადაც ადამიანი ბუნების შეცვლას სწავლობდა".

ფ. ენგელსი.

ბუნების საუნჯე ის წყაროა, რომლის გონიერული გამოყენებით ადამიანები უხსოვარი დროიდან აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს, თავიანთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იღებენ აუცილებელ საარსებო საშუალებებს— ენერგიას, საკვებ პროდუქტებს და მასალებს.

ადამიანი ყოველთვის დაუცხრომლად ზრუნავდა ბუნების კანონების შესაცნობად, ახდენდა მის გარდაქმნას საზოგადოების საკეთილდღეო მიმართულებით. საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე განუწყვეტლივ იზრდება ბუნების მოვლენების სფეროში ადამიანის ჩარევა, ფართოვდება წარმოებაში მისი რესურსების გამოყენება. უკვე აღმოჩენილი, ჩვენთვის ცნობილი რესურსების გამოყენების გაფართოებასთან ერთად საზოგადოების საქმიანობის ორბიტაში ექცევა ბუნების სულ უფრო მეტი ძალები და რესურსები. ატომური ენერგიის აღმოჩენა, ადამიანის კოსმოსში შეჭრა, მისი საიდუმლოების შეცნობის ფართო ასპარეზი ქმნის ახალ, კოლოსალური მასშტაბის შესაძლებლობებს როგორც დედამიწის, ისე მზის სისტემის დღემდე უცნობი ძალების გამოსაყენებლად.

ყველაფერი ეს მოასწავებს მთელ გადატრიალებას ადამიანის საარსებო საშუალებათა მოპოვებაში. მეცნიერული პროგრესის პირობებში ბუნება თავისი რესურსებით გამოუსულეველია, იგი არ აყენებს საზოგადოებას მისი არსებობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საშუალებების ლიმიტირების საფრთხის წინაშე.

* * *

ბუნების რესურსების ყოველმხრივი და რაციონალური გამოყენება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში, — ნათქვამია სკკპ პროგრამის პროექტში, — საშუალებას იძლევა ყველაზე ეფექტიანად გამოვიყენოთ ბუნების სიმდიდრე და ძალები ხალხის ინტერესებისათვის, აღმოვაჩინოთ ახალ სახეობათა ენერგია და შეექმნათ ახალი მასალები, შევიმუშაოთ კლიმატურ პირობებზე ზემოქმედების მეთოდები, დავეუფლოთ კოსმოსურ სივრცეს.

საწარმოო საშუალებებზე და მათ შორის ბუნების რესურსებზე კერძო საკუთრების გაუქმება და სოციალისტური საკუთრების დამყარება ბოლოს უღებს ამ რესურსების მტაცებლური გამოყენების შესაძლებლობას და საფუძველს უყრის მათ გეგმაზომიერ დაცვა-განვითარებას, საერთო-სახალხო სამეურნეო საჭიროებათა ინტერესების მიხედვით გამოყენებას.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ახლად შექმნილმა საბჭოთა სახელმწიფომ ბუნების დაცვის საკითხები თავისი მოღვაწეობის ცენტრში დააყენა. ჯერ კიდევ 1919 წელს შეიქმნა ასტრა-

ხანის ნაკრძალი ვოლგის დელტაში. იმავე წლის 14 მაისს მიღებულ იქნა დეკრეტი ურალში ილმენის სახელმწიფო ნაკრძალის მოწყობის შესახებ.

1921 წლის 16 სექტემბერს სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის ხელმოწერით მიიღო ისტორიული დეკრეტი ბუნების დაცვის შესახებ. ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო ჩვენს ქვეყანაში ბუნების დაცვის სახელმწიფო ორგანიზაციას. ბუნების რესურსების დაცვა-განვითარება საყოველთაო-სახალხო საქმედ იქნა აღიარებული.

მილიონობით ჰექტარ მიწებზე გაშენდა ტყის ახალი მასივები და მინდორსაცავი ტყის ზოლი, მოეწყო გუბურები და წყალსაცავები, განხორციელდა ირიგაციისა და მელიორაციის უდიდესი მასშტაბის ღონისძიებანი. ბუნების გარდაქმნის დიადი გეგმების განხორციელებისა და მიწათმოქმედების პროგრესული სისტემების დანერგვამ შესაძლებელი გახადა წინათ გამოუყენებელი გვალვიანი ველების ათვისება, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მყარი და უხვი მოსავლის მიღებას, კიდევ უფრო ჯანსაღი და ლამაზი გახადა ბუნებრივი გარემო.

უკვე ის ფაქტი, რომ სოციალიზმის პირობებში ბუნების ყველა რესურსი საყოველთაო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენს, პრინციპულად გამორიცხავს მათს არაგონივრულ, უმსგავსოდ გამოყენების ფორმებს. ბუნების რესურსები ჩვენში გეგმაზომიერად ვითარდებიან. სკკპ პროგრამის პროექტში განსაკუთრებით ხაზგასმულია იმის აუცილებლობა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბუნებაში ადამიანის ბატონობის უდიდეს სიმაღლეზე აყვანა. სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელების კვალობაზე შემდგომ ამაღლდება საბჭოთა ადამიანის მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენების გონივრული წარმართვის დონე, თანმიმდევრულად შემცირდება და შემდეგ კი მინიმუმამდე დავა ბუნების სტიქიაზე სამეურნეო დამოკიდებულება.

სკკპ პროგრამის პროექტი ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში ადგილობრივი პირობებისა და თვითეული მეურნეობის სპეციალიზაციის შესაბამისად დასაბუთებული სისტემის დანერგვას. ამ სისტემათა დანერგვაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს მეცნიერულად დასაბუთებული და სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამოცდილებით გამართლებული პროგრესული ღონისძიებანი. განვითარდება საირიგაციო მშენებლობა, მინდორსაცავი ტყის ნარგავების, წყალსატევების მშენებლობა, საძოვრების გაწყლიერება, ზედმეტად დატენიანებული მიწების მელიორაცია, გაძლიერდება ბრძოლა ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიების წინააღმდეგ. ყველა ეს ღონისძიება სწორად უნდა შეეუხამოთ სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გეგმაზომიერ ხასიათს.

სამეურნეო ხელმძღვანელობის თანამედროვე სრულყოფასთან ერთად ყურადღების ცენტრში უნდა დავაყენოთ ბუნებრივ სიმდიდრეთა რაციონალურად გამოყენება. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია მეურნეობის მოძველებული ფორმებისა და მეთოდების გამოყენების პირობებში. ამიტომ ახლა განსაკუთრებით იზრდება სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან და საცდელ მეურნეობებთან სამეურნეო ორგანიზაციების მჭიდრო კავშირის დამყარების მნიშვნელობა. მოწინავე მეურნეობებმა შესანიშნავი გამოცდილება დააგროვეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების დამკვიდრების, საბჭოთა აგრობიოლოგიის მიღწევათა დანერგვის და ამის შესაბამისად ბუნებრივ სიმდიდრეთა ეფექტიანი და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის საქმეში. ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება ფართოდ გავავრცელოთ ასეთი მოწინავე მეურნეობების მისაბაძი გამოცდილება.

* * *

აჭარის ბუნება ერთ-ერთი ულამაზესი და მრავალფეროვანია საქართველოში, რასაც განაპირობებს მისი განსაკუთრებული და მეტად ხელსაყრელი ოროგრაფიული, ჰიდროგრაფიული და ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები.

ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით აჭარას აკრავს მაღალი მთები. ისინი წარმოადგენენ ბუნებრივ ზღუდეს, რომელიც იცავს მას მავნე და ცივი ქარების დინებისაგან.

აჭარის დასავლეთით მდებარეობს შავი ზღვა, რომელშიც ხმელთაშუა ზღვიდან უხვად შემოდის თბილი დინება. შავი ზღვის მარეგულირებელი გავლენით აჭარის დასავლეთ ნაწილში ჩვენ გვაქვს თბილი, ზომიერი და ტენიანი სუბტროპიკული ჰავა. აღმოსავლეთ ზონაში კი, რომელიც მთაგორიანია, უპირატესად ვხვდებით ტყით დაფარულ ლამაზ მთებს, საიდანაც ჩამოედინებიან ვარდნით აქაფებული მდინარეები.

აჭარაში უხვადაა როგორც ცივი და სწრაფი მთის მდინარეები, რომელნიც ხშირად ქმნიან ჩანჩქერებსა და ჭორომებს, ისე თბილი და მდორედ მდინარე ბარის მდინარეები. უშუალოდ შავი ზღვის პირას მდებარეობენ რელიქტური ტბები — ლაგუნები, ხოლო მაღალმთიან ზონაში — ღრმა, ცივი და გამჭვირვალე ტბები, რომლებსაც ანკარა წყაროები ქმნიან.

მსოფლიოში ბევრი როდი შეიძლება დავასახელოთ მხარე, რომელიც ისე გამოირჩეოდეს ჰავისა და მასთან ერთად ფლორისა და ფაუნის არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით და სილამაზით, როგორც აჭარა. აქ განსაკუთრებით ბევ-

რია ტყე. მთელი ტერიტორიის დაახლოებით 58 პროცენტი ტყის შესანიშნავი მასივებითაა დაფარული, რომლებსაც ძირითადად საკურორტო, ნიადაგდაცვითი და წყალდაცვითი მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენს მხარეში გავრცელებულია იშვიათი და ძვირფასი ჯიშის მცენარეები, მათ შორის წაბლი, თელა, ქართული მუხა, რცხილა, ბოყვი, კაკალი, ბზა, ნაძვი, ფიჭვი, კავკასიის სოჭი, ხურმა, ურთხმელა, უხრავი, ძელქვა, ჭანჭყატი, უხვად ვხვდებით აგრეთვე ტყემალს, პანტას, მაჟალოს, მოცვს, მაყვალს და სხვა გარეულ ხეხილს.

აჭარის და მისი მოსაზღვრე რაიონების ტყეების ფლორა წააგავს სამხრეთ ქვეყნების ტიპიური ტყეების ფლორას, მაგრამ მკვეთრად გამოირჩევა თავისებურებებით და სახეობათა სიმდიდრით. წყავი, მაგალითად, კავკასიისა და ევროპის ტყეებში იზრდება ქვეტყის სახით, ჩვენში კი იგი გვხვდება ხე წყავის სახით, რომლის სიმაღლე ხშირად 15 მეტრს აღწევს.

ჩვენს ტყეებში შემონახულია და კარგადაც ხარობს ისეთი რელიქტური ჯიშები, რომლებიც სსრ კავშირის სხვა მხარეში არაა გავრცელებული ან გაჯაშენდა: ოლფოინდეზია, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, წყავმაზა, პონტისა და ჭოროხის მუხა. მათ შორეული ისტორიული წარსული აქვთ და ამდენად განსაკუთრებით დიდია მათი ბოტანიკური და დენდროლოგიური მნიშვნელობა.

აჭარის ტყეების ფლორას ამდიდრებს აგრეთვე უამრავი ეგზოტიკური და ინტროდუქციული ჯიშები: ციტრუსოვანები, ჩაი, ტუნგო, კორპის მუხა, ქაფურის ხე, ევკალიპტი, ევკომია, ივიკადო, ფეიჰოია, ავსტრალიის აკაცია, კრიპტომერია, ჭაობის და სხვა სახის კვიპაროსები, სექვოია, ლილიოდენდრონი, წაბლფოთოლა მუხა, იაპონური მუხა, მაგნოლია, კამფეტის ხე, ამერიკული ნეკერჩხალი, კანადის ვერხვი, ლიგუსტრუმი და ბევრი სხვა.

მრავალფეროვანმა ფლორისტულმა შემადგენლობამ თავის მხრივ განაპირობა ცხოველთა სამყაროს თავისებური კომპლექსი. ჩვენს ბუნებას ამშვენებს ძვირფასი, იშვიათი ცხოველები — შველი, ქურციკი, არჩვი, კვერნა, კურდღელი, გარეული ღორი, წავი, ხოხობი, კაკაბი, კავკასიური როჭო, მთის ინდოური, სარსარაკი, აგრეთვე მტაცებელი ცხოველები — მგელი, დათვი, მელა, ტურა, ფოცხვერი, აფთარი და გარეული კატა.

აჭარის წყალსატევებში შესანიშნავად ხარობს სარეწაო თევზები, მათ შორის თართი (სვია), ფორეჯი, ტაბაღანა, ორაგული, კალმახი, ხრამული, წვერა, კობრი, კეფალი და სხვ.

ბუნებრივ სიმდიდრეთა არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ მხოლოდ ბუნების წყალობით დაკმაყოფილება შეცდომა იქნებოდა. ამიტომ საბჭოთა ადამიანები დაუღალავად შრომობენ, რათა იბატონონ ბუნებაზე, გამოიყენონ, რად გარდაქმნან გეოგრაფიული გარემო, რად შეიცნონ ბუნების კანონები და მათზე დამყარებით გონივრულად წარმართონ მისი განვითარების პროცესები, იმას, რაც სასარგებლოა და საზოგადოების ინტერესებს ემსახურება, ფართო გასაქანი უნდა მივცეთ, ხოლო შევზღუდოთ, „მოვთოკოთ“ ან თავიდან ავიცილოთ ბუნების სტიქიური ძალების გავლენა, რომლებიც საზოგადოებისათვის საზიანოა და ნგრევით მოქმედებას იწვევენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რევოლუციამდელ აჭარაში ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვა-განვითარებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. კიდევ მეტი, უცხოელთა ბატონობის მძიმე წლებში, განსაკუთრებით თურქი და ინგლისელი კოლონიზატორების მტაცებლურმა დამოკიდებულებამ ბუნებრივ სიმდიდრეებს გადაშენების საფრთხე შეუქმნა. მათი ბატონობის წლებში ტყის მთელი რიგი შესანიშნავი მასივები, ძვირფასი იშვიათი ჯიშის მცენარეები მთლიანად მოისპო და განადგურდა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოთხმოცდაათეული წლის მანძილზე აჭარის მშრომელების დაუღალავი შემოქმედებითი შრომით განხორციელდა ჭეშმარიტად უდიდესი მასშტაბის ღონისძიებები საზოგადოების ინტერესების საკეთილდღეოდ ბუნების ძალებისა და მისი კანონების გამოყენებისათვის.

წინათ შავი ზღვის სანაპირო ველებს „შხამიან ადგილებს“, „მალარიის სამეფოს“ უწოდებდნენ. ჭაობებითა და ეკალ-ბარდით დაფარული ასეთი ათასობით ჰექტარი მიწა ამოშრობილ და გაწმენდილ იქნა სავარგულებად, სადაც გაშენდა ჩაი, ციტრუსები, ვაშლის, მსხლის, ატმის შესანიშნავი ბაღები. ეს ადგილები ახლა სამართლიანად იწოდება „მწვანე ოქროს“ ზონად.

წყალუხვი და ჩქარი მდინარეების ბუნებრივი სიმძლავრე გამოყენებულ იქნა ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად. აჭარის ყველა ელექტროსადგური იაფი „თეთრი ნახშირით“ მოქმედებს.

კახაბრის ველზე მდინარე ჭოროხის ნგრევითი მოქმედების თავიდან აცილების მიზნით შეიქმნა საჭირო სისტემა, რომლის მეოხებით ამ ველის წინათ გამოუყენებელი მნიშვნელოვანი ფართობი ჩადგა ჩვენი ხალხის სამსახურში. მასზე გაშენდა და შესანიშნავად ხარობს ბაღები და ბოსტნები. განზრახულია აქვე ახლო მომავალში მოეწყოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა.

გაშენდა ტყის ბევრი ახალი მასივი. მნახველს ატკბობს ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში გაშენებული დაცვითი ზოლების სილამაზე. მა-

გრამ მათი მთავარი დანიშნულება მაინც ის არის, რომ თავიდან ავიცილოთ წყლისა და ქარის მოქმედებით გამოწვეული ეროზია. თუ ეს დაცვითი ზოლები არა, უეჭველია, არ გვექნებოდა ამ რაიონებში ძვირფასი სუბტროპიკული კულტურების უხვი და მყარი სარეკორდო მოსავალი.

ბუნებრივი გარემოს გეგმაზომიერმა გარდაქმნებმა სახე გამოუცვალა აჭარის ლანდშაფტებს. ჩვენი ბუნება ნამდვილ პანორამულ მშვენებად გადაიქცა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღევანდელი აჭარის ბუნება ერთ ვეებერთელა კარგად შემკულ ბოტანიკურ ბაღს მოგვაგონებს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ამ საქმეში ნაკლოვანებები არ გვქონდეს.

მაღალმთიანი ზონის ცალკეულ ადგილებში წინათ ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გაუთვალისწინებლად აწარმოებდნენ სამეურნეო საქმიანობას, ამასთან აქა-იქ ტყეს პირწმინდად და უსისტემოდ ჩეხავდნენ. ამან ცალკეულ ნიადაგობრივ-ლანდშაფტურ ზონაში მოშალა გარკვეული კანონზომიერება. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ეროზიისაგან ყოველწლიურად იკარგება საგრძნობი რაოდენობის ფართობი. ატმოსფერული ნალექების გაჩენისა და მისი რეჟიმის დარღვევასთან ერთად შეინიშნება ზვავების წარმოქმნების ერთაგვარი გაძლიერებაც.

ამ მდგომარეობას არ უნდა შეეურიგდეთ. სამიწათმოქმედო ორგანოებმა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან ერთად უნდა შეიმუშაონ ღონისძიებათა ისეთი კომპლექსი, რომლის თანმიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს ამ ზონაში ნაწილობრივ დარღვეული წონასწორობის აღდგენას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მცენარეული საფარის დაცვას, ტყის მინდორსაცავი ზოლების გაშენებას.

ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის, მისი ნოყიერების გადიდების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფერდობებზე განლაგებული ერთწლიანი კულტურების თესლბრუნვაში მოქცევას, ამ ფართობების ნაწილზე შერჩევით ნარევ-ნათესი ბალახების გაშენებას, ფართობების განივად დამუშავებას, ხეხილისა და ნათესბალახიანი ბუფერული ზოლების მოწყობას. ხელი უნდა ავიღოთ ხეხილის ბაღების გაფანტული წესით გაშენებაზე. დღეს ასეთ არასწორ პრაქტიკას ამართლებენ სავარგულების ნაკლებობით, ნამდვილად კი მარტო ნასვენი მიწები და ბუჩქნარები აჭარაში ოცი ათას ჰექტარს აღემატება. ეს არის გამოუყენებელი, მეტად ხელსაყრელი მიწის რეზერვი ტყის ახალი მასივებისა და ხეხილის ბაღების გასაშენებლად, აგრეთვე სათიბების მოსაწყობად. ტყის ახალი მასივები და ხეხილის ბაღები ისე უნდა გავაშენოთ, რომ ისინი ხელს უწყობდნენ ეროზიის გამომწვევი მიზეზების აღკვეთასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო მუშაკები, რომლებიც საკარგულების დანაკლისის მომიზეზებით ტყისა და ხეხილის ბაღების მასივებად გაშენებისაგან თავს იკავებენ, ივიწყებენ, რომ დანაკლისი უხვად ანაზღაურდება ახლად შექმნილი ბუფერული მასივების ზეგავლენით.

ბუნებრივი პირობების ეფექტიანი გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე. საირიგაციო და მელიორაციულ მშენებლობას.

თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ნ. ს. ხრუშჩოვმა დიდი შეფასება მისცა ირიგაციას. გარანტირებული მოსავლის აღების ყველაზე საიმედო საშუალება, — თქვა მან, — სანამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ვმართოთ ამინდი, არის ირიგაცია — მილიონობით ჰექტარი მიწის მორწყვა და წყლით მომარაგება.

აჭარის მოსახლეობა უძველესი დროიდან დიდ ყურადღებას უთმობდა საირიგაციო სამუშაოებს და ამ გზით აღწევდა სასოფლო- სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს.

სარწყავი არხების სიგრძე ჩვენს რესპუბლიკაში 660 კილომეტრს შეადგენს და რწყავს 5.616 ჰექტარს. მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. ამოცანა ის არის, რომ მთლიანად და ეფექტურად გამოვიყენოთ ჩვენი მდიდარი ჰიდროგრაფიული პირობები და ახალი სარწყავი სისტემების ფართო მშენებლობის გზით უზრუნველყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდება და, რაც მთავარია, საბოლოოდ გადავწყვიტოთ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის პრობლემა.

ქობულეთის რაიონის ბობოყვათისა და კვირიკის კოლმეურნეობები, რომლებმაც ორი წლის წინათ გაიყვანეს შიდასაკოლმეურნეო პატარა არხები, ყოველწლიურად იღებენ კოინდარის საკმაოდ უხვ მოსავალს. ახლა ისინი თავიანთ პირუტყვს წელიწადში ექვს თვეს ინახავენ საკუთარი წარმოების იაფი და სრულფასოვანი მწვანე საკვებით.

ცნობილია, რომ ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერია. თვითეული ლანდშაფტი მოძრაობის, ურთიერთკავშირის, ურთიერთმოქმედების უნივერსალური კომპლექსია, სადაც განკერძოებულად არაფერი არ ხდება.

დღეს არსებული ამა თუ იმ სახის ცხოველისა თუ მცენარის არსებობა დამოკიდებულია სწორედ ასეთ ლანდშაფტზე. თუ ეს პირობები გაქრა, მათთან ერთად მოისპობა ცხოველთა და მცენარეთა სახეებიც, რომლებიც ამ კანონზომიერებათა არსებობით იყო გაპირობებული. ერთ-

ხელ მოსპობილი სახის აღდგენა კი შემდეგ ფრიად ძნელდება. ამიტომ გასაგებია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს არსებული ფლორისა და ფაუნის დაცვას, მათი გენმაზომიერი კვლავწარმოებისათვის ბუნების მიკრორაიონებში დამყარებულ კანონზომიერებათა შენარჩუნებას. სწორედ ამ მიზნით მოეწყო კინტრიშის ხეობისა და ცისკრის ნაკრძალები.

დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ექსპერიმენტულ ბაზასა და აკვარიუმს, რომლის მშენებლობა დაიწყო ქალაქ ბათუმში. ამ ბაზის შექმნით საფუძველი ეყრება ჩვენს მხარეში გავრცელებული ყველა ჯიშის თევზის, უპირველეს ყოვლისა სარეწაო მნიშვნელობის თევზის განვითარების ბიოლოგიური პროცესების მეცნიერულ შესწავლას. ბაზა შეიმუშავებს აგრეთვე თევზის განვითარება-გაშრაველებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ღონისძიებებს.

სათევზაო მეურნეობის ახალი დარგების განვითარების მიზნით უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები სამეცნიერო-კვლევითმა სათევზმეურნეო სადგურმა. ჭოროხის სანაპირო ტბორებში, ექვს ჰექტარ ფართობზე, მოეწყო საკობრე მეურნეობა. აქვე მოაშენეს მცურავი ფრინველებიც. მსგავსი მეურნეობა რვა ჰექტარზე მოაწყო ქობულეთის მებადურთა კოლმეურნეობამ. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ დასაწყისია.

საკალმახე მეურნეობები შეიძლება შეიქმნას ყოროლისწყალზე, ჯოჭოს, თხილნარის, ჩაქვის, ოჩხამურის, უჩხოს, აკაურეთას, მაჭახელას, ჭვანის, ჩირუხის წყლებში, აგრეთვე ფირუზას, შავსა და დიდაჭარის ტბებში.

საკალმახე მეურნეობათა მოწყობა არ მოითხოვს დიდ ხარჯებს. საკმარისია მიკრორაიონების მიხედვით შეექმნათ თევზსაშენი ინკუბატორები და მოვაწყოთ სამეურნეო ზონების დაცვა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს მოსახლეობა მოვამარაგოთ ძვირფასი თევზის საკმაოდ დიდი მარაგით. ამავე დროს საკალმახე მეურნეობათა ფართო ქსელი ხელს შეუწყობს სასპორტო თევზჭერის განვითარებას, მიიზიდავს ტურისტებსა და მოხალისე მეთევზეებს.

ჩვენს წყლებში საკალმახე მეურნეობის ინტენსიური განვითარება ხელს შეუწყობს საქართველოს ბუნების უმშვენიერესი წარმომადგენლის — შავი ზღვის ორაგულის მოშენებას, ორაგულისა, რომელიც ამ ბოლო დროს ძალზე შემცირდა და სრული გადაშენების საფრთხის წინაშეა. შავი ზღვის ორაგული, როგორც ცნობილია, განსაზღვრულ პირობებში მდინარის კალმახისაგან წარმოიშობა. თუ ხელსაყრელი გარემო ექნა, ასაკის შესაბამისად კალმახი ორაგულად გარდაიქმნება ხოლმე, ხოლო ორაგულის ლიფსიტებისაგან კალმახი მიიღება.

საუცხოო ჰიდროგრაფიული პირობები ქვეყნის საკეფალე მეურნეობის განვითარების — ფართო პერსპექტივებსაც. სატბორო მეურნეობებისაგან განსხვავებით, სადაც კობრს ხელოვნური საკვების ხარჯზე ზრდიან, საკეფალე მეურნეობა ხასიათდება მაღალი თევზპროდუქტიულობით (ათი-ოცდაათი ცენტნერი ჰექტარზე) ხელოვნური კვების გარეშე.

საკეფალე მეურნეობის მოსაწყობად შესაძლებელია გამოვიყენოთ გონიოს, ნურიე-გელისა და ბათუმის უსახელო ზღვისპირა ტბები. ამისათვის საჭირო იქნება ისინი ხელოვნური არხის მეშვეობით დავუკავშიროთ ზღვას იმ პერიოდში, როდესაც მოზარდი კეფალი ზღვიდან სანასუქოდ შედის მტკნარ ან მომლაშო წყლებში. ამის შედეგად ჩვენი მშრომელები ყოველწლიურად მიიღებენ სამას-ოთხას ცენტნერ მაღალხარისხოვან კეფალს.

ნურიე-გელის ტბას ამ რამდენიმე წლის წინათ საკეფალე მეურნეობად იყენებდნენ და მასში ას და ზოგჯერ ორას ცენტნერ კეფალს იჭერდნენ. ამჟამად მან დაკარგა სამეურნეო მნიშვნელობა, რაც იმან გამოიწვია, რომ არხი გაუწმენდელია და ტბა აღარ უკავშირდება ზღვას.

ჩვენი სათევზმეურნეო ორგანიზაციების კიდევ ერთი გადაუდებელი ამოცანაა მოაწყონ დეკორაციული თევზის მასობრივი მოშენება. ამჟამად დეკორაციული და ეგზოტიკური თევზები შემოჰყავთ სხვა ქალაქებიდან, მაშინ როდესაც აჭარაში მეურნეობის ამ შესანიშნავი დარგის განვითარების გაცილებით უკეთესი პირობები არსებობს, ვიდრე მის ფარგლებს გარეთ. აჭარას შეუძლია ეგზოტიკური თევზით მთლიანად დააკმაყოფილოს არა მარტო საქართველოს მოთხოვნილება, არამედ გაიტანოს იგი სხვა რესპუბლიკებშიც.

* * *

აჭარის რესპუბლიკაში გავრცელებულია ქართული ფაუნის უძვირფასესი წარმომადგენელი — მთის რუხი ფუტკარი, რომელიც თავისი შესანიშნავი თვისებებით მთელ მსოფლიოშია ცნობილი.

მეფუტკრეობის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტო მისი პროდუქციით. სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამტვერიანებით ფუტკარი დიდად უწყობს ხელს მოსავლიანობის გადიდებას. დამტკიცებულია, რომ ფუტკრის საშუალებით ჯვარედინი დამტვერიანება ერთი ორად და უფრო მეტად ზრდის ხილის, ბახჩეული და მეცხოველეობის საკვები კულტურების მოსავალს.

მიუხედავად იმისა, რომ მეფუტკრეობა აჭარის სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია და არსებობს მისი განვითარების კარგი პერსპექტივები, იგი ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩება მეურნეობის სხვა დარგებს.

ჩვენს კოლმეურნეობებში ამჟამად არის 4.215 ფუტკრის ოჯახი, მისი რაოდენობა კი სულ მოკლე დროში შეიძლება ერთიორად გავადიდოთ. ამისათვის საჭიროა პრიმიტიული სკები გადავიყვანოთ ჩარჩოიან სკებში, დავნერგოთ ფუტკრის ოჯახების მომთაბარეობა, სოფლის შეურნეობის ამ ერთ-ერთ წამყვან და მაღალშეფოსავლიან დარგს სათავეში ჩავუყენოთ კვალიფიციური მეფუტკრეები.

დროულია აგრეთვე ბათუმის რაიონში ერთ-ერთი კოლმეურნეობის ბაზაზე შეექმნათ მთის რუხი დედა ფუტკრის გამოსაყვანი სანერგე მეურნეობა. ასეთი სანერგე რენტაბელური იქნება და ხელს შეუწყობს აჭარის კოლმეურნეობებში ფუტკრის ოჯახების სწრაფ რაოდენობრივ ზრდას. განაყოფიერებული დედა ფუტკრის ნაწილი შეიძლება სხვა რესპუბლიკებსაც მივაწოდოთ.

* * *

აჭარის ბუნება არა მარტო მდიდარი, არამედ ძლიერ ლამაზიცაა. ჩვენი კურორტები ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ბეშუმი განთქმულია როგორც თავიანთი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობებით, მწვანე სამოსელისა და მზის სხივების სიუხვით, სამკურნალო წყლებით და მეტად ეფექტიანი გამაჯანსაღებელი თვისებებით, ისე ულამაზესი ლანდშაფტიოაც.

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა ბუნების განსაკუთრებით ლამაზი ადგილების გამოსაყენებლად, მათი კეთილმოწყობისა და დასვენების ზონებად გარდაქმნისათვის. ამ მხრივ უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ცისკარი, რომელიც ბათუმიდან 25 კილომეტრზეა და მდებარეობს ზღვის დონიდან 1.200 მეტრზე. იგი გარშემორტყმულია დაბურული ენდემიური ტყის ულამაზესი მასივებით. აქვეა ბევრი ანკარა ცივი წყარო.

სამი წლის წინათ ცისკარზე გაყვანილ იქნა სამანქანო გზა, მოეწყო პარკი, აშენდა საცხოვრებელი სახლები, წყაროების ხარჯზე შეიქმნა ერთი ჰექტარი ფართობის ხელოვნური ტბა „ფირუზა“.

ახლა ამ შესანიშნავ კურორტზე ყოველწლიურად ისვენებს ათასობით მშრომელი, მათ შორის ბევრი საზღვარგარეთელი მეგობარიც.

მეტად ლამაზია თამარის გორა. იგი ბათუმში შემოსასვლელის ნამდვილი მშვენებაა. გორის სახელწოდება, როგორც ჩანს, ამ ადგილზე ძველად მომხდარ ისტორიულ მოვლენასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ბათუმელებმა წელს უკვე დაიწყეს თამარის გორის კეთილმოწყობა.

ჩვენს ქალაქს აკრავს შესანიშნავი ადგილი — ბათუმის გორა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მშრომელთა დასვენების, მასობრივი სეირნობის დამატებით ზონად. დროული იქნება დაიგეგმოს მისი კეთილმოწყობა. სასურველია, ქალაქის თვითეულ დიდ საწარმოს, დაწესებულებას მივუჩინოთ იქ საკუთარი ბუნებრივ განაშენიანების საერთო გეგმის შესაბამისად იზრუნებენ გორის შემკობისათვის. იქვე შეიძლება მოვაწყოთ სასპორტო მოედნები.

ბუნებრივად ლამაზი ადგილების დასვენების ზონებად გარდაქმნასთან ერთად მზრუნველობით უნდა მოვეკიდოთ მწვანე არქიტექტურულ მშენებლობას, გაჟუჟყიანებისაგან ზღვის სანაპიროს, მდინარეებისა და ჰაერის დაცვას.

ბათუმის ნამდვილი მშვენებაა ი. ბ. სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკი. დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს ღრმა ჩანაფიქრის, მაღალი გემოვნებისა და ნამდვილი ოსტატობის მიხედვით გაფორმებული მისი ხეივნები და ყვავილნარები. პარკში არის სასპორტო მოედნები, საზაფხულო თეატრი და ესტრადა, ბიბლიოთეკა.

მთელი რიგი დასახლებული ადგილები, დაბები და სოფლები ამ უკანასკნელ წლებში შეამკო მწვანე ნარგავებისა და ყვავილების სამოსელმა, მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრია.

უკეთ უნდა ვიზრუნოთ ბათუმის შემდგომი მწვანე არქიტექტურული მშენებლობისათვის. დროა ბათუმის განაშენიანების გენერალური გეგმის შესაბამისად შევიმუშაოთ მისი მწვანე არქიტექტურული გაფორმების გეგმაც. ბათუმი შეიძლება და კიდევაც უნდა გადაიქცეს ქალაქ-ბაღად. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ქუჩებში სკვერების შექმნა, მათ გასწვრივ გაზონებში ყვავილნარების გაშენება. მეტი რაოდენობით უნდა მოეწყოს სკვერები. განახლებას საჭიროებს ქუჩების გასწვრივ დარგული მცენარეები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ნაკლებად სრულფასოვანი ან დაავადებულია.

ბათუმისა და სხვა დასახლებული ადგილების მწვანე არქიტექტურულ გაფორმებაში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მხარის ფლორისა და ფაუნის უმდიდრესი და ულამაზესი სახეები. არ უნდა შევურიგდეთ ერთფეროვნებას. ბათუმსა და ქობულეთში, ძაგალითად, ბლომადაა ლიგუსტრუმი, ევკალიპტი, კრიპტომერია. ისინი არაა ურიგო ჯიშის მცენარეები, მაგრამ სასურველი და აუცილებელია გავაშენოთ უფრო სრულფასოვანი, უნიკალური, საგულდაგულოდ შერჩეული ჯიშის მცენარეები, რომელნიც ხასიათდებიან პროდუქტიულობით და მაღალი დეკორაციული ღირსებებით. ეგზოტებთან ერთად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი მცენარეები.

ჩვენი მხარის ფლორისტული სახეობებიდან უპირატესობას იმსახურებენ კაკალი, დაფნა, პალმა, კედარი, ნეკერჩხალი, მუხა, წაბლი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ტყემალი, თუთა, წითელფოთლოვანი ქლიავი, ადრე გაზაფხულზე ყვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვილოვანი ცაცხვი, ჭადარი, ბალმაზის ვერხვი, სექვოია, პეკანი, წითელფოთლოვანი წიფელა, ამერიკული თელა, სელუნჯისა და კობუს მაგნოლიები, კამელია, ციტრონკვატი და ბევრი სხვა, ხოლო მხვიარე მცენარეებიდან გამოირჩევა და ჩვენს პირობებში კარგად ხარობს გლიცინია, ბიგნონია, სტოუნტონია, ამპელოპსისი, ვაზი და ა. შ.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, ჩვენს სახელმწიფო სანერგეებს გააჩნიათ ყველა აქ დასახელებული და ბევრი სხვა ძვირფასი ჯიშის მცენარეთა სანერგე მასალა, ან რაიმე განსაკუთრებული ხარჯების გაუწევლად შეუძლიათ უხვად გამოიყვანონ ისინი. მთელი საქმე ის არის, რომ გავზარდოთ მომთხოვნელობა და სათავეში ჩავუდგეთ ამ საქმეს.

* * *

აჭარის ბუნებრივი რესურსების ამომწურავად და გონივრულად გამოყენების საკითხები სერიოზულ დამუშავებას მოითხოვს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პრობლემები ძალზე სუსტადაა წარმოდგენილი სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში. მნიშვნელოვანწილად ამითაც აიხსნება, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და სამეურნეო დაწესებულებები თავიანთ საქმიანობაში საკმარის ღონისძიებებს ვერ ახორციელებენ [illegible]ლებით.

ბუნებრივი რესურსების მეცნიერული საწყისების მიხედვით მართვაში მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ მთელ რიგ მოძმე რესპუბლიკებს, აგრეთვე სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, მაგალითად, დასახლებული ადგილები, ტყეები, სავარგულების, შარაგზების, მდინარეთა ნაპირები და ეზო-მიდამოები ღრმა არქიტექტურული ჩანაფიქრის მიხედვით შემკულია ამ ქვეყნის ფლორისა და ფაუნის უძვირფასესი სახეების კომპლექსური შეხამებით.

პრაღა-კარლოვი ვარის გზატკეცილის გასწვრივ 120 კილომეტრის მანძილზე გაშენებული ვაშლის ხეების ხეივანი დიდებული სანახაობაა და ამ გზით მოგზაურობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ადამიანის საკეთილდღეოდ ბუნების შერჩეულ მშვენებათა გამოყენების მდიდარი გამოცდილება უნდა გადმოვიტანოთ და ჩვენი მხარის პირობების გათვალისწინებით ფართოდ დავნერგოთ. რა თქმა უნდა, ეს ადვილი საქმე არ არის. დიდ მონდომებასთან ერთად მას საკმაო დროც დასჭირდება. სამაგიეროდ ეს არის ნამდვილად ეროვნული, საშვილიშვილო, დიდი სახელმწიფოებრივი საქმე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ ბედმესი

XXII ყრილობის დელეგატი

ფიქრები, ფიქრები... არ აძინებენ მას. როგორი შესანიშნავი პერსპექტივები გადაუშალა კოლმეურნე გლეხობას, მთელ საბჭოთა ქვეყანას კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტმა! აჰა ისიც — ადამიანის ფრთაშესხმული ოცნება, არა ზღაპრად განაგონი, არამედ ჩვენი ოცი წლის გეგმით გათვალისწინებული.

რატომღაც უცებ მოაგონდა ზღაპრები, მას, ფეხშიშველა გოგონას რომ უამბობდა დედა, არც ისე დიდი ხნის წინათ. ყველა ჩვენგანს მთელი სიცოცხლის მანძილზე უტარებია რაიმე საყვარელი ზღაპარი ან მოსწრებული სიტყვა, სიმღერა ან საგმირო თქმულება, რომელიც მეტწილად ადამიანის ბედნიერებას შეეხებოდა. ბედნიერება კი ამ ზღაპრებსა და სიმღერებში ადამიანისათვის მოაქვს შრომასა და საბრძოლო გმირობას, სიკეთესა და გულისხმიერებას, კარგ, სახალხო საქმეს. გამოდის, რომ ზღაპარი ან ზღაპრისთავი თავისთავად კი არ შექმნილა და თან გაჰყოლია ცხოვრებაში ადამიანს, არამედ ხალხი ძველითგანვე აქსოვდა მასში თავისი უკეთესი ხვედრის, უკეთესი მერმისის ოცნებას.

აბა ერთი დავუფიქრდეთ ამას: კომუნიზმი ხომ შორეული ოცნება იყო, ახლა კი, ხედავთ, ყველაფრის გაკეთება შეიძლება თურმე, ოღონდ დიდსა და პატარა საქმეში ისე უნდა მოიქცე, როგორც პარტია გასწავლის, ოღონდ კომუნიზმის ერთგული იყავ და კეთილსინდისიერად იშრომე საზოგადოების საკეთილდღეოდ.

მან კი, სოფელ ურეხის რიგითმა კოლმეურნემ ეუეუნა ვარშანიძემ, პარტიის საუკეთესო შვილებთან ერთად, სკკპ XXII ყრილობაზე უნდა მიიღოს ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც კი ოდესმე სცოდნია ისტორიას—კომუნიზმის აშენების დიდებული პროგრამა. ფიქრიც კი აშინებს იმაზე, თუ როგორი დიდი ნდობა და პასუხისმგებლობა დააკისრა საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობამ, როცა იგი აირჩია კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის დელეგატად...

ეუეუნამ თავი წამოსწია სასთუმლიდან. ოდნავ შუქმოფენილ ფანჯარაში გამოჩნდა მაღალი, უღრუბლო ცა. მომწვანო ვარსკვლავი მომხიბლავად კაშკაშებდა ფანჯრის ალათაზე; სადღაც შორს მამლებმა გაჰყივლეს ერთმანეთს, საცაა გათენდება.

არა, ჩანს, მეტს ვეღარ დაიძინებს. ეუეუნამ საბანი გადაიძრო და სწრაფად წამოდგა. დამფრთხალი კატა საწოლიდან იატაკზე გადახტა და კრუტუნით ფეხებზე გაესვა ქალიშვილს.

— ოო, შე ზანტო ფისუნია, შეგაწუხე განა?!

ეუეუნამ თავსაფარი წაიკრა და ეზოში გავიდა. გარეთ გრილოდა და წიწვოვანთა სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. ქალიშვილი ნელი ნაბიჯით გაჰყვა ფერმის გზას.

ვინ იცის, რამდენჯერ გაუვლია აქ ეუეუნას, თვითეულ ბუჩქს ბავშვობიდანვე იცნობს, მაგრამ ყოველ დილით მშობლიური მიწის სილამაზე თითქოს ახლად ეშლება თვალწინ. ზღვიდან მონაბერი მსუბუქი ნიავი არხევს ტანაყრილ ალვისხეებსა და კრიპტომერიებს, რომლებიც გზის გასწვრივ ჩამწკრივებულან. მარჯვნივ, ფერდობებზე, შეფენილა ციტრუსოვანთა ბაღები, ფართოდ გადაშლილა ხუეუეჰა ჩაის პლანტაციების მწვანე ხალიჩა, ზემოდან კი ყველაფერს გადმოჰყურებს ლაინისფერი ცა და ისეთი სიჩუმეა, რომ ეუეუნას უნებურად სუნთქვა შეუკრავს, თითქოს ეშინია არ დაარღვიოს განთიადის მყუდროება. და მალე კაშკაშა, ცვარის პირდაბანილი მზე ამობრწყინდა მთა ცისკარაზე.

ეუეუნას ფეხის ხმა მოესმა. გზატკეცილზე ორი მწველავი წამოწეოდა.

— გამარჯობა ეუეუნა! — დილის სიჩუმეში მკაფიოდ გაისმის მათი ხმა.

— გამარჯობათ, გოგონებო! საით მიიჩქარით ასე ადრიანად?

— ძროხამ ხბო უნდა მოიგოს.

— მეც თქვენთან მოვდივარ.

ჟუჟუნა მიჰყვება ნარი ცინცაძესა და ნუნუ გადალაძეს და ეხმარება მათ.

ვრცელ, ნათელ სახბორეში ჩამწკრივებულ პატარა ბაკებს ფართო გასასვლელი ყოფს. ათ ძროხაზე ათი ხბო მიიღო ჟუჟუნამ უკანასკნელ ერთ წელიწადში. ჯიშიანი, კარგად მოვლილი ხბოები ემორჩილებიან მის მზრუნველ ხელებს და ხშირად სველი ტუჩებით მათი აღმზრდელის ხალათის სახელოსა და კალთასაც სწვდებიან.

ჩვენ ჟუჟუნას მაშინ მივუსწარით, როცა ახალმოწველილი რძით სავსე ვედრო დაედგა ჭრელი ხბოსათვის და ისიც ხარბად ხვრეპდა.

— ნუ ჩქარობ, ნუ ჩქარობ, — მიუალერსა ქალიშვილმა, — რად ხარ აგრე ხარბი?

თითქოს მისი სიტყვები გაგიგო, ხბომ თავი ასწია და მშვიდად განაგრძო ჭამა.

— ამათთან ამა საზრუნავს რა დამილევს, — ღიმილით გვეუბნება ჟუჟუნა.—პატარა ბავშვებივით არიან: საკვებს თუ მიაკლებ, მაშინვე წონაში იკლებენ, მეტს აქმევ და ავად ხდებიან... ზოგს არც კი სჯერა: როგორ შეიძლება ყველა ხბო გაიზარდოს, ბუნებრივი დანაკლისი ხომ უნდა იყოსო? მაგრამ ერთი მითხარით, ამა რა ბუნებრივია ხბო მოკვდეს? თუ კი ისე მოუვლი, როგორც წესი და რიგია, აუცილებლად გაიზრდება. რა თქმა უნდა, ეს დიდ შრომას მოითხოვს. აი თუნდაც სულ უბრალო რამ, საფენი ავიღოთ, თითქოს წვრილმანია, არა? მაგრამ ამა თხლად ღაუფენეთ ჩალა! — ხბო მაშინვე გაციცდება. ოთხი თვალი და ყური უნდა გამოისხა.

მცირე დუმილის შემდეგ ჟუჟუნამ დასძინა:

— ჩვენ დიდი საქმე მოგვანდეს. ცუდად თუ ვიმუშავეთ, საიდან მოგვივა კარგი პირუტყვი! სუსტსა და უმწეო ხბოს თუ გამოვზრდით, მას არც რძე ექნება და არც ხორცი, ამოდ ჩაგვიელის ამდენი შრომა.

მაგრამ ჟუჟუნა მეხბორე როდია. იგი მხოლოდ ეხმარება ამხანაგებს, სპეციალობით კი ძირითადად მწველავია.

ბათუმის რაიონის ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სასაქონლო მერძეველობის ფერმაში ყველა მწველავი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, შეჯიბრების მოწინავე კი ჟუჟუნა ვარშანიძეა. შარშან გაპიროვნებულ ათ ძროხას 26.100 კილოგრამი რძე ჩამოწველა. წელს სახელგანთქმულმა მწველავმა იკისრა თვითეულ ძროხას ჩამოწველოს არა 2.610 კილოგრამი, არამედ 3.100 კილოგრამი რძე. ამ შემოდგომაზე მან მიიღო ერთნახევარჯერ მეტი რძე, ვიდრე შარშან შესაბამის პერიოდში.

ჟუჟუნა ვარშანიძეს ვთხოვეთ ეამბნა, თუ როგორ აღწევს ასეთ შედეგებს.

— ვმუშაობ! — უბრალოდ მიპასუხა მან.

მაინც არ მოვეშვი და შეკითხვებით ვაიძულე უფრო დაწვრილებით ელაპარაკნა.

— ყველა საქმე, რომელსაც სიყვარულით ეკიდები, სასიხარულო ნაყოფს გამოიღებს. — თქვა ჟუჟუნამ. — ძროხისათვის მთავარი საკვებია, ეს ყველამ კარგად იცის. ზუსტად უნდა დავიცვათ კვების რეჟიმი, ხანდახან საკვები უნდა შევცვალოთ, ასევე ნორმებიც. გავითვალისწინოთ რა უფრო უყვარს ძროხას, თვითეულს ინდივიდუალურად უნდა მივუდგეთ—ერთს რომ ერთი საკვები უყვარს, მეორეს სხვა ურჩევნია.

ჟუჟუნამ დაიწყო ძროხების წველა. ვედროში ჩხრიალით ჩადიოდა რძის სქელი ნაკადი.

ოთხიოდე წლის წინათ ჟუჟუნას ტოლებიდან რამვიათად თუ მიდიოდა ვინმე კოლმეურნეობაში სამუშაოდ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ. როცა ჟუჟუნამ სკოლა დაამთავრა და ფერმაში გადაწყვიტა მუშაობა, ბევრმა ასე ურჩია:

— არ შეცდე, ჟუჟუნა, მწველავზე უფრო მძიმე სამუშაო კოლმეურნეობაში არავის არა აქვს, დილიდან საღამომდე მოსვენება არ გექნება!..

მაგრამ ჟუჟუნამ არავის დაუჯერა, საკუთარი გულის ხმას აჰყვა და ფერმაში მივიდა. მართალია, იოლი სამუშაო როდია, მაგრამ იგი არ ნანობს, ძლიერ მოსწონს ეს საქმე. ჟუჟუნამ შეიყვარა მოსავლელად ჩაბარებული პირუტყვი და ისინიც კარგად იცნობენ თავიანთ მოამაგეს.

...ახალმოწველილი რძის სუნი დგას მთელ შენობაში და ეზოშიც აღწევს. წითელ კუთხეში, სადაც თავისუფალ დროს თავს იყრიან მეცხოველეები, ჟუჟუნა მიამბობს ფერმის მუშაობაზე, ურეხელ მეცხოველეთა გეგმებზე.

— ახლა ჩვენ ვიბრძვით წველადობის შემდგომი გადიდებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულმა ძროხამ, — ჩვენ კი სულ 47 გვყავს, — დღეში ოცდასამი-ოცდაოთხი კილოგრამი რძე მოგვცეს, ანუ შვიდი-რვა კილოგრამით მეტი, ვიდრე ამჟამად.

— ნუ აჩქარდები, ჟუჟუნა, — მოგონილი შიშით შეაწყვეტინა მისმა ამხანაგმა ნუნუ გადალაძემ. — ნათქვამია, ფონი გასავალს დალოცეო. წინასწარ ნუ ლაპარაკობ, ისიც კორესპონდენტთან. რომ ვერ შევასრულოთ?

მაგრამ ჟუჟუნა როდი ხუმრობს.

— შევასრულებთ! — მტკიცედ ამბობს იგი. — თუ მოვინდომებთ, შევასრულებთ კიდევაც. შენ კი, ამხანაგო ფერმის გამგეე. — ახლა თავის ძმას ისრაფილ ვარშანიძეს მიუბრუნდა ჟუჟუნა, — განსაკუთრებული ზრუნვა გმართებს. წველადობის გადიდება პირველ რიგში დამოკიდებულია მწველავთა შრომის ორგანიზაციასა და მექანიზაციაზე.

ჟუჟუნა კოლმეურნეობის კომკავშირელთა წინამძღოლია. და როცა ლაპარაკი ჩამოვარდა მის კომკავშირელ ამხანაგებზე, ურეხელ ანდალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდობის საქმეებზე, ამ ენერგიული, ენამახვილი ქალიშვილის მეტყველი სახე მხიარულმა ღიმილმა გაანათა. გატაცებით ლაპარაკობს იგი ახალგაზრდა მეჩაიეთა კომუნისტური შრომის ბრიგადაზე, რომელსაც რეზო დევაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ კოლმეურნეობაში პირველმა შეასრულა წლიური დავალება და არა მარტო დავალება, არამედ წინასაყრილობო ვალდებულებებიც.

მაგრამ მარტო კომუნისტურად მუშაობა როდი კმარა. კომკავშირელებმა აკი გადაწყვიტეს იცხოვრონ კიდევაც კომუნისტურად! ეს კი შრომაზე ადვილი როდია. ავიღოთ თუნდაც განათლების საკითხი. აბა რა განათლებაა, მაგალითად, შვიდი კლასი! მაგრამ როცა ამაზე დაიწყეს ლაპარაკი, ახალგაზრდები კინაღამ წაიჩხუბნენ.

— მწველავისათვის შვიდი კლასი სრულიად საკმარისია. — თქვა ერთ-ერთმა ქალიშვილმა.

— განათლება ხელს არავის შეუშლის მუშაობაში. — წინააღმდეგობა გაუწია მეორემ.

საუბარში ჟუჟუნაც ჩაება.

— აი მე გაზეთში წავიკითხე, ივანოველი ცოლ-ქმარი ზაბოტინები თურმე სამას ძროხას უვლიან. ფერმების მექანიზაცია კი სულ რამდენიმე წელია რაც დაიწყო და აბა წარმოიდგინეთ: იქ ორი კაცი სამას ძროხას უვლის. მალე ერთი-ორი მწველავი მოემსახურება ხუთას ან შეიძლება მეტ ძროხასაც. მაშასადამე, მწველავი მცოდნე, განათლებული ადამიანი უნდა იყოს. ცდება ის, ვისაც კომუნიზმი წარმოუდგენია მთლიან დღესასწაულად. ჩემი აზრი ასეთია: კომუნიზმი წარმოიშობა შრომაში. ჩვენი შრომა, როგორც იყო, ისევე დარჩება მსოფლიოს მეუფედ. მაგრამ იგი გახდება უფრო გულითადი და მცოდნე, მკაცრი და მომთხოვნი მეუფე. ჩვენი ადამიანური ბედნიერების ერთგული თანაშემწე.

თვითონ ჟუჟუნამ დიდი ზღუდეები აიღო განათლების გზაზე. მან წარმატებით ჩააბარა გამოცდა ხორცისა და რძის მრეწველობის მოსკოვის ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

— მე კარგად მესმის, — ამბობს ჟუჟუნა, — რომ არც ისე ადვილია ფერმაში მუშაობა შეუთავსო ინსტიტუტში სწავლას. მაგრამ არა უშავს, დავძლევ. კომუნიზმში უნდა შევიდნენ განსწავლული, მცოდნე ადამიანები.

ვუსმენდი ამ ქალიშვილის, კომუნისტების დიადი პარტიის წევრის საუბარს და ვფიქრობდი იმ შრომისმოყვარე საკოლმეურნეო ოჯახზე, სადაც იგი აღიზარდა. ჟუჟუნას ოჯახში ყველა მოწინავე და შრომისმოყვარეა. მამამისი, კომუნისტი ხულუს ვარშანიძე სასოფლო-სამეურნეო არტელის პირველი ორგანიზატორი და ხელმძღვანელია. ხელმოუღლელად შრომობს ჟუჟუნას დედა ემინეც. უფროსი ძმები — ისრაფილი და მემედი კომუნისტები არიან, ისინი კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების პასუხსაგებ უბნებს ხელმძღვანელობენ. პირველი ფერმის გამგეა, მეორე — ბრიგადირი. ომარი საბჭოთა არმიის რიგებშია, ანზორი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში სწავლობს, ხოლო უმცროსმა ძმამ სულიკომ საშუალო სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობაში მუშაობა გადაწყვიტა. აი ასეთი პატიოსანი მშრომელი ოჯახის წევრია ჟუჟუნა და შეუძლებელია ამ ოჯახში აღზრდილიყო უქნარა, ფუქსავატი ქალიშვილი.

— საღამოს წავიკითხე, — გვეუბნება ჟუჟუნა, — თითქოს ყველა ჩვენგანში გაბმული იყოს სიმები. თუ ისინი მოვნახეთ და თითები ჩამოვკარით, ადამიანში აღძერდება ყოველივე მშვენიერი, რაც მას გააჩნია. ჩვენი ურეხელი კომუნისტებისა და კომკავშირელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ ეზარებათ ამ უხილავი სიმების ძებნა ადამიანებში. ვფიქრობ, სწორედ ადამიანებისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგად დისციპლინა და შრომა მძიმე ტვირთად როდი დააწვება მათ, „შრომითი საქმიანობა აღარ იქნება მხოლოდ ცხოვრების საშუალება და გადაიქცევა ჭეშმარიტ შემოქმედებად, სიხარულის წყაროდ“.

ეს შესანიშნავი სიტყვები ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტიდან მუდამ უნდა ახსოვდეს თვითეულ კომუნისტს, თვითეულ პატრიოტს. უაღრესად მკაცრი მომთხოვნელობის შემთხვევაშიც უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომ შრომა მართლაც სახალისო და გულით სასურველი იყოს, სადაც ადგილს მონახავს ახალგაზრდული შემართება და სიხარული.

დიახ, ჟუჟუნა სავსებით დამსახურებულად აირჩიეს კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის დელეგატად. იგი ღირსია იმ ნდობისა და სახელისა, რომელმაც ფრთები შეასხა უბრალო კოლმეურნე ქალიშვილს. ასეთი სიყვარული და პატივისცემა მან მოიპოვა დაუზარელი შრომით, დიდი თავისუფალი შრომით, მთელი თავისი საზოგადოებრივი საქმიანობით ლენინური იდეების გამარჯვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარმენ ლორია

აქ ზაფხული ასეთია

მგზავრის ჩანაწერები

ბავშვობიდანვე მხიბლავდა მთა და ახლაც მისი ტრფიალი ვარ. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენს სამშობლოში მთა-გორები და ქედები ჭარბობს დაბლობებსა და მინდორ-ველებს, ან იქნებ იმიტომ, რომ სიმაღლისა და მწვერვალისაკენ მისწრაფება თან დაჰყოლიათ ადამიანებს.

ასეა თუ ისე, მიყვარს მთა და, როგორც კი საამისო საშუალება და დრო მეძლევა, მისკენ მივიჩქარი.

აი ახლაც მთაში ვარ.

ცოტა ახირებული ამბავი კია. მანქანები ერთმანეთს გვერდს ვერ უვლიან, განიერი გზა დატვირთულია ნარნარი ეკიპაჟით და მე მაინც ქვეითად მიჯანჩალებ.

გროშის დახარჯვას თუ ვერიდები, ან მანქანით მგზავრობა მიჭირს და მეძნელება?!

არც ერთი, არც მეორე.

ოთხი ათეული წლის წინ აქეთა მხარე ბევრჯერ ქვეითად შემომივლია. თუმცა რატომ აქეთა, იქითა მხარეც — შავშეთი, ერუშეთი, ჭოროხის ხეობის ულამაზესი ოაზისი.

მართალია, მაშინ ოცი-ოცდახუთი წლის ბუხლ-ბაგარი ჭაბუკი ვიყავი, მაგრამ ხომ შეიძლება მოვსინჯო წლებით დატვირთული სხეულის ძალა? იქნებ, არც ამ ასაკში შევიძლო ნაკლები!

ცა მოსარკულია. ხევში რძისფერი ჯანღი ჩაწოლილა და ნელნელა იწეწება. ხან ხეების წვეროებს მოედება ბუმბულივით, ხან ციცაბო კლდეზე აკვამლდება.

ოქროსთმიანი მნათობი ჯერ კიდევ არ ჩანს. ადრე ავდექი და, ალბათ, ამიტომ მეჩვენება, რომ მზე აგვიანებს.

მივდივარ. მივყვები ამქუხარებული მდინარის ნაპირს და ვტკბები ახალგაღვიძებული ბუნების სილაღით.

მდინარის გაღმა-გამოღმა ჭალები და ფერდობები დაფარულია სიმინდის ყანებითა და თამბაქოს ნარგავებით. ყველაფერს მომველელისა და მზრუნველის ხელი ეტყობა.

შარაზე მგზავრები და მანქანები მოხშირდა...

გამოჩნდნენ სამუშაოდ მიმავალი კოლმეურნეები. თამბაქოს ნარგავებში მეთამბაქოე ქალების ჯგუფი გაიშალა და განაწილდა.

დღეს რომელიმე კოლმეურნეობას უნდა გავეცნო, მაგრამ სახელდობრ რომელი ავირჩიო?

გული წინ მიიწევს. უფრო შორს, უფრო მაღლა, იქითკენ, ახლა რომ მზე ამოიწვერა. იქ ავალ, იქიდან დავიწყებ და მოჩხრიალე ნაკადულებს დავყვები თავქვე.

და მივიჩქარი...

რი ყეთში

მოკრიალებულ ცაზე მზე კოკონივით ანთია, მაგრამ აქ სიცხე არ იგრძნობა. მთის გრილი სუნთქვა ანელებს სიმხურვალეს.

საამურად თბილა...

მოსახლეობა საკოლმეურნეო სამუშაოებზე გაკრეფილა:

თამბაქოს ნარგავებში...

სიმინდის ყანებში...

სათიბებში...

საძოვრებზე...

ადგილზე რამდენიმე კაცი დარჩენილა: სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ლევან შავაძე, კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი დი-

მიტრი შანთაძე, კლუბის გამგე მამია ქოჩალიძე და ზოგი სხვა.

რიყეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ათას ხუთასი ჰექტარი ფართობი ასსამოცდახუთი კომლისაგან შემდგარ კოლექტივს ეკუთვნის. ფართობი მთლიანად ათვისებული და გამოყენებულია.

თამბაქო, კარტოფილი, სიმინდი, ხეხილი, ტყე, საძოვრები, სათიბი ზომიერად გაუნაწილებიათ ბრიგადებსა და რგოლებზე და მომვლელი და მზრუნველი მიუჩენიათ.

ვესაუბრები დიმიტრი შანთაძეს. იგი ახალგაზრდა კომუნისტია, საშუალო განათლება თავის სოფელში მიუღია, შემდეგ კოლმეურნეობაში დაუწყია მუშაობა და ახლა უმაღლესში სწავლობს დაუსწრებლად. ეტყობა, ენერგიული ყმაწვილია. როგორც პარტიული ორგანიზაციის მდივანი, გვერდით უდგას კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და ყოველგვარ საქმეში ეხმარება.

— მაშ არ შერცხვებით?!—ვეუბნები მე, როცა მან მიმდინარე წლის ვალდებულების შესახებ მოათავა ლაპარაკი.

— იმედი გვაქვს, ნავარაუდევზე მეტი მოვიწიოთ. — მიპასუხა იმედიანად და კოლმეურნეობის წევრთა გადაწყვეტილება გამაცნო.

ერთი ჰექტარი თამბაქოს ნარგავიდან ცამეტი ცენტნერის ნაცვლად ოცი ცენტნერი მაღალხარისხოვანი თამბაქოს მიღება განუზრახავთ, ოთხმოცი ცენტნერი კარტოფილის მაგივრად კი ასი ცენტნერისა.

გადამეტებით შეუსრულებიათ პირუტყვის სულადობის ზრდისა და რძის ნაწარმის ჩაბარების ნახევარი წლის დავალება.

— ოთხმოცდათექვსმეტი ტონა რძე უნდა ჩავაბაროთ სახელმწიფოს წლის ბოლომდე და ვალმოხდილი ვიქნებით. — ამბობს დიმიტრი შანთაძე. — რაც შეეხება მსხვილფეხა პირუტყვის მოშენების გეგმას, იგი უკვე შევასრულეთ — ორასსამოცდაათის ნაცვლად ოთხასამოცი სული პირუტყვი გვყავს.

სხვაც ბევრი კარგი და საამაყო საქმე გაუკეთებიათ რიყეთელ კოლმეურნეებს. აუშენებიათ სკოლა, კლუბი, სამკითხველო, საავადმყოფო, რაც დღემდე ჯერ კიდევ ოცნებად აქვთ ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში მცხოვრებთ.

კოლმეურნეობა ამაყობს საკუთარი კულტურული ძალებით. სოფელში არიან მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ექთანები. მათგან ბევრია ცნობილი და სახელმოხვეჭილი სპეციალისტი თუ საზოგადო მოღვაწე. ინტელიგენციასთან ერთად სოფელს ჰყავს შრომის შესანიშნავი ენთუზიასტები, როგორიც არიან გული გორგაძე, მავე ანთაძე, მარო კოჩალიძე, ნურგუზელ ხოზრევანიძე, მაყვალა კოჩალიძე, ნაზიე გორგაძე, თინა, ჟოლიე და ნაზი კოჩალიძეები, აიშე შაინიძე, ჯემალ, ნური და ხუსია კოჩალიძეები, მწველავი ფატი შანთაძე, მეკარტოფილე ფატი და მერიემ კოჩალიძეები.

ამ წარჩინებულ ადამიანთა სურათები ამშვენებს მოწინავეთა დაფას, მაგრამ მალე, ალბათ, ახალ-ახალი სურათებითა და სახელებითაც შეივსება იგი.

მზე საშუადღეოზე ავიდა. შარაგზა მგზავრებით დატვირთული მანქანებით გაიჭედა. სიცხეს გახიზვნიან ბარელები და ბეშუმისაკენ მიიჩქარიან. ბათუმელი ამხანაგებიც შემხვდნენ. მანქანაში ადგილს და ბეშუმისაკენ გასეირნებას მთავაზობენ, მაგრამ ვერ ვბედავ. მთამ ზოგჯერ იცის უმიზეზოდ გაავება, მოულოდნელი ავდარი, მე კი საზაფხულოდ მაცვია...

ცხოვრება აქაც მომხიბვლელია

გზა თანდათან დაბლა ეშვება, იხვევა, იკეცება და მაღალი მთის ძირას გაშლილ ტაფობზე სწორდება.

აქ პატარა ლამაზი სოფელია გაშენებული. იგი ხევშუაა მომწყვდეული და ზამთარში არც ისე უხვად წყალობს მზე, მაგრამ ახლა ზედმეტი გულუხვობა გამოუჩენია და აქაურობა თონესავით გაუხურებია.

სამი ათეული წლის წინათ აქ ერთი ხეირიანი სახლიც არ იდგა. მოსახლეობა ის იყო ეწაფებოდა კოლექტიურ შრომას, სახნავ-სათესსა და გამწევ ძალას აერთიანებდა, მაგრამ ამ წამოწყებას არც თუ ისე ცოტა ხელისშემშლელი გამოუჩნდა.

დღეს რაიონში დიოკნისის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობა განთქმულია უხვმოსავლიანობით.

სამასზე მეტი მუშახელი გამოდის ყოველდღიურად საკოლმეურნეო მინდვრებზე. კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი თამბაქოს ნარგავებში მიეშურება, მეორე სიმინდის ყანებშია, მესამე კარტოფილს უვლის, მეოთხესათვის ვენახი მიუნდვიათ, ვინ მომვლელად გაჰყოლია მთაში საძოვრებზე პირუტყვს, ვინ სათიბში წასულა, ზოგი ტყეში მუშაობს და საზამთროდ შეშას ამზადებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე იზეთ ძირკვაძე გასულა ველად და ცალკეული ბრიგადების მუშაობას ამოწმებს. პარტიული ორგანიზაციის მდივანი მერჯან საგინაძეც ბრიგადას გაჰყოლია სათიბში.

— მაშ ადგილზე ვინ დარჩა, კანტორაში? — ვკითხულობ მე.

— აბა, აქ რა უნდა აკეთონ? — კითხვითვე მი-

პასუხა რისო ძირკვაძემ, რომელიც რამდენიმე დღეა საწყობის გამგედ დაუნიშნავთ და წუხს, რომ ჯანმრთელობის გამო იძულებული გახდა თავისი ბრიგადა სხვისთვის გადაებარებინა და ასეთი თანამდებობა დაეკავებინა. კანტორაში უამინდობის დროსაც საკმარისია მათი ყოფნაო.

— თუ რაიმე ცნობები გნებავთ, ბუღალტერი აქ არის და მოგართმევს. — მეუბნება ალალგზრდა, ჩვენს საუბარს რომ უსმენდა.

— გმადლობთ. კოლმეურნეობის შესახებ ცნობებს რაიონშიც მივიღებდი, მაგრამ მე ცოცხალი ადამიანების ნახვა მაინტერესებს...

— მერე ჩვენ ხომ მიცვალებულები არა ვართ? — ჩაგვერია ლაპარაკში მესამე. — ამხანაგი ძირკვაძე დიდხანს პირველ ბრიგადას ხელმძღვანელობდა, მან იცის სად რა კეთდება.

მართლაც, ყოფილმა ბრიგადირმა ბევრი რამ საინტერესო მიამბო კოლმეურნეობის ცხოვრებიდან. მომაწოდა საჭირო ციფრები, დამისახელა მოწინავე კოლმეურნეები, დაახასიათა თვითეულის საქმიანობა.

კოლმეურნეობაში წამყვანი მეურნეობა მეთამბაქოეობაა. ამ კულტურის მოვლისა და მოყვანის საუკეთესო ოსტატებია ნეგიე საგინაძე, რებიე შავაძე, ფატი ძირკვაძე... ყურს ვუგდებდი და უბის წიგნაკში ვინიშნავდი. მერე ვთხოვე დაესახელებინა ინტელიგენტი ქალებიც.

— ძალიან ბევრი გვყავს. — მიპასუხა მან. — თამარ ძირკვაძე სოფლსაბჭოს მდივანია, ზინა გობაძე — დაწყებითი სკოლის გამგე, ნადია ძირკვაძე — მასწავლებელი, ეთერ ქონიაძე, ნათელა კახიძე... მალე კიდევ ახალი ძალები შეგვემატება.

კარგა ხანს ვისაუბრეთ. ბოლოს კეთილად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.

ძალიან მინდოდა სამუშაოდ გასულ ბრიგადებს ვსტუმრებოდი, ზოგი რამ მენახა, ზოგს გავცნობოდი პირადად, მაგრამ მეგზური ვერ ვიპოვე.

მოშორებით მდებარე ნაკვეთებში მუშაობენ და იქამდე მისვლა გაგვჭირდებაო, მითხრეს. ხანდაზმული კაციაო და, ალბათ, დამზოგეს, შემიბრალეს.

მზე ნელნელა ეშვება და სიცხეც კლებულობს.

გამოვდივარ სოფლიდან და ერთხელ კიდევ ვაკვლებ თვალს მის შემოგარენს. ირგვლივ სიმინდის ყანები და თამბაქოს ნარგავებია. ერთ ადგილას მდინარის პირას გაშენებულ ვენახში რამდენიმე კაცი მუშაობს. კარგი იქნებოდა მათი გაცნობა და აქაური ვახის მოშენების პირობების შესწავლა, მაგრამ იქამდე შორი გზაა, მე კი დრო აღარ მყოფნის.

პირველ მოსახვევს რომ გავცდი, გზის მარცხენა მხარეს ფერდობზე გაშენებულ თამბაქოს ნარგავებში მომეჩანა ორი ქალი შევნიშნე და შევჩერდი.

ბეჯითად მუშაობენ. ამ კუთხის ქალების ჩვეულებისამებრ წაეკრავთ თავი თეთრი ფარჩანადით, რომელიც კოჭებამდე წვდებათ, და მაგრამ იქნევენ პირვიწრო თოხს.

გამომწვევად ჩავახველე, მაგრამ არ მოუხედავთ. ვერ გაიგონეს ან არ ისურვეს ყურადღება მოექციათ.

— გამარჯობა თქვენი! — ხმამაღლა შევძახე. ასე იციან ჩვენში. თუ ვინმეს ყანაში თვალი მიაწვდინეს, სალამსაც მიაწვდენენ.

— გაგიმარჯოთ! — ერთი უხერხულად გადმომხედეს ახირებულ მგზავრს და პირი იბრუნეს. რატომღაც არ ისურვეს ჩემთან გასაუბრება. დაიმორცხვეს? რათა?

— ვისია ეს თამბაქო, თქვენი თუ კოლმეურნეობის? — მორიდებულად ვკითხე.

— კოლმეურნეობა ჩვენი არაა თუ?! — თოხნა არ შეუჩერებია ისე მიპასუხა ერთმა.

— მაგრამ... ხომ შეიძლება კერძო... პირადად თქვენი იყოს?

— არა, ეს კოლმეურნეობისაა. — წამოეშველა პირველს მეორე, შემობრუნდა და ცნობისმოყვარედ გადმომხედა.

— ჩვენზეა გაპიროვნებული. — მიპასუხა პირველმა.

— თქვენ რა გვარი ბრძანდებით? — არ ვეშვები.

ქალებმა ერთმანეთს შეხედეს და რაღაც ჩაილაპარაკეს.

— თქვენ ვისი გვარი გაინტერესებთ? — ღიმილს ვერ ფარავს პირველი, ოდნავ სრული ტანისა და პირსავსე.

— თქვენი, ორივესი.

ქალებმა გაკვირვებით შემომხედეს და კვლავ ღიმილი გაეკრათ სახეზე.

— მე ნეგიე საგინაძე ვარ, ეს კი რებიე შავაძე. — მიპასუხა მეორემ და თოხის ტარს ნიდაყვი ჩამოადო.

— გასაგებია. — ვთქვი მე და უბის წიგნაკი ამოვიღე. — დიახ, დიახ, თქვენა ხართ. ყოჩაღ, ქალებო! მე თქვენს შესახებ კოლმეურნეობის კანტორაში მიამბეს. მოწინავენი ყოფილხართ. როგორ მინდოდა თქვენი გაცნობა!

— საიდან ბრძანდებით?

— ბათუმიდან. თქვენს კოლმეურნეობას ვესტუმრე, მაგრამ... ხელმძღვანელთაგანი ვერავინ ვნახე. არც თავმჯდომარე, არც მისი მოადგილე, არც პარტორგანიზაციის მდივანი...

— როგორ, არც პარტორგანიზაციის მდივანი? — რატომღაც წყენა დაეტყო პირსავსე ქალს.

— დიახ, ვერც პარტორგანიზაციის მდივანი ვნახე.

— სად უნდა წასულიყო? — თავისთავს დაეკითხა ქალი, რომელმაც თავი ნეგიე საგინაძედ გამაცნო. — ჰო, ბევრი სამუშაო აქვს ამჟამად.—

თითქოს ბოდიშს იხდისო ისე თქვა მან. — ცოტა რომ დაგეცადათ... ჩვენც მოვრჩებოდით მუშაობას და... თქვენ ვინ ბრძანდებით? რა საქმის კაცი?

ჩემი ვინაობის გამხელა არ მინდოდა და ვუპასუხე: „ერთი უბრალო ვინმე მგზავრი ვარ“. რომ არ ჩამძიებოდნენ, უმალვე კითხვა მივაგებე:

— სკოლაში გისწავლიათ?

— აბა არ გვისწავლია! — ერთმანეთს დაასწრეს ქალებმა.

— წიგნების კითხვა გიყვართ?

— აბა, არ გვიყვარს თუ?

და მაშინ ჩემი ვინაობა გავამხილე.

გაეხარდათ, ჩამოთვალეს წაკითხული წიგნები.

ამის შემდეგ უფრო შინაურულად ავლაპარაკდით.

ნეგიე გამოტყდა, რომ პარტიული ორგანიზაციის მდივანი მერჯან საგინაძე მისი ქმარია. სინანული გამოთქვა, პირადად რომ ვერ შეეხვდი მას. გაეხარდებოდა თქვენი გაცნობაო.

ახლა ამხანაგი გამაცნო.

რეგიე შავაძე სასოფლო საბჭოს დეპუტატი ყოფილა, აქტიური კოლმეურნე. გასულ წელს ნახევარი ტონა მაღალი ხარისხის თამბაქო ჩაუბარებია. სიგელით დაუჯილდოებიათ, მადლობა გამოუცხადებიათ. წელს უფრო მეტ თამბაქოს მოიწევს. ამის პირობა დადო და იმედიცა აქვს, რომ გაანაღდებს.

შემთხვევით გაცნობილები კეთილად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. გზად მიმავალს მიცქეროდნენ, ვიდრე თვალს არ მოვეფარე...

გზის პირას ჩეროში მოხუცი წამოწოლილა და ისვენებს. იქვე ახალგაფურთოებული ბალიში ალაგია და ნაფოტები ჰყრია. ერთმანეთის ტოლა პატარა ბავშვები აგროვებენ ამ ნაფოტებს, კალათში ყრიან და, გზის გადაღმა რომ ოდა-სახლი დგას, იქითკენ ეზიდებიან.

მოხუცს მივესალმე და მის ახლოს მწვანეზე ჩამოვისვენე.

გავეცანით ერთმანეთს.

ვაზირ საგინაძე სამოცდათოთხმეტი წლის კაცია, მაგრამ ჭარმაგად გამოიყურება. ეს მორები მას დაუფურთუხებია. ახალი ოდა-სახლის აგებას აპირებს.

ის ოდა, გზისპირას რომ დგას, მისია, მაგრამ მასში უფროსი ვაჟი ცხოვრობს ცოლ-შვილით. უმცროსი ვაჟი სამხედრო სამსახურშია, მალე დაბრუნდება და ცოლს შეირთავს. იმასაც ხომ სახლ-კარი უნდა? ვაზირს ჯერ კიდევ შესწევს ძალ-ღონე დაეხმაროს შვილებს. სახლისათვის მასალა მზად აქვს, ხელობა თავად იცის, მეზობლებსაც წამოიშველიებს და მალე ოდა-სახლიც ექნება.

მოხუცი ძველ დროს იგონებს და ნანობს, რომ ახალი ცხოვრება მოგვიანებით ეღირსა.

მზე ჩაიძირა მთების გადაღმა და ხევ-ხევ გრილი ნიავი დაიძრა. ფრინველებმა ენა აიბეს და მდუმარე ტყე აახმაურეს. ბულბულების სტვენაც გაისმა. ალბათ, მთაში მოგვიანებით იბარტყეებიან, თორემ ბარში ამ დროს აღარ გაისმის მათი გალობა.

თავისებური საინტერესო ცხოვრება და ჩვევები აქვს მთას.

თაგო

ეს სოფელი მაღალ მთის კალთას შეფარებია და მისი სიავკარგით არსებობს. ზამთარში მზე მას მხოლოდ ნაშუადღევს ჩახედავს, ცოტა ხანს შეუთბობს ფერდებს და გაეცლება, ზაფხულობით კი დილიდანვე მისი სტუმარია და გულკეთილი მეგობარი.

შემბრალებია, თოვლის საბანში გახვეული რომ დამინახავს, მაგრამ წლის სხვა დროს შემხარბებია მისი ცხოვრება.

ხულოდან იგი თითქოს ერთი ფეხის ნაბიჯზეა.

რამდენჯერ მომსურვებია ამ სოფლის ახლოს ნახვა, მაგრამ ყოველთვის რაღაც მიხეზის გამო ვერ მომიხერხებია. ალბათ იმიტომ, რომ ის ასე ახლოს ჩანს და ასე პატარა. ახლა კი მინდა ვნახო.

ჩავირბენ ამ ფერდობს, ჩავალ ხევში, გადავეკრი მორახრახე აჭარისწყალს, შეეყვები სერს და... იქვეა სოფელიც.

გზატკეცილს გვერდი ავუქციე და პირდაპირი ბილიკით ხევში დავეშვი.

„აღმართი და დაღმართიო, არც ერთია წაღმართიო“, — ნათქვამია, მაგრამ მე დაღმართში უფრო ყოჩაღი გამოვდექი. რამდენიმე წუთში ჩავირბინე ფერდობი და მდინარის გაღმა, დილის ნამის ქვეშ გარინდულ ტყის პირას ლოდზე ჩამოვისვენე.

ივლისში სანატრელია ასეთი გრილი და საამო დილა...

ვისვენებ. ვასვენებ გულსა და მუხლებს. ვამზადებ ახალი შეტევისათვის. ვიბჯენ გრძელ ჯოხს და თვალით გზას ვზომავ.

არის გზა-შარა, საურმე, სამანქანე. მიხვეულ-მოხვეული და საგლელად იოლი, მაგრამ გრძელი და მოსაწყენი.

არის ბილიკი, პირდაპირი და მოკლე, მაგრამ თოკივით ვიწრო და დაკიდული.

„მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს მარჯვე თვალი, მტკიცე გული“.

ვფიქრობ, ორივე მაქვს და გაბედულად მივაბიჯებ, მაგრამ სიძნელის დასაძლევად მარტო გაბედულება როდი ყოფილა საკმარისი.

მუხლებმა გული აიყოლიეს და დაიოჩნეს...

მათთან კერპობა არ გამივა და დავემორჩილე...

„შორს მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო“, — ეს ანდაზა გავიხსენე, საბაბი ვიპოვე, ბილიკიდან შარაგზაზე გადავედი და ხელი ნაბიჯით გავუყევი.

მივდივარ. მივიწევ მაღლა. ვშორდები ხევს, მაგრამ ვერ ვშორდები ხულოს. მოვიხედავ, ის ისევ იქვეა, ხელის მისაწვდენზე, ახლოს. ვხედავ მის ქუჩებს, ბაღს, მესმის რადიოს ხმა, მანქანების საყვირი, ასე მგონია ადამიანების ლაპარაკიც კი მეყურება.

არ იქნა და ვერ დავშორდი ამ რაიონის ცენტრს, თუმცა მეორე საათია დავტოვე იგი.

მაგრამ აი მოიკეცა გზა, იცვალა მიმართულება, შეუხვია და ნაძვისა და კაკლის ხეების ტყეში აღმოჩნდი.

ნაძვისა და კაკლის ხე ერთად?!

წიფელა, თელა, მუხა, კოპიტი, თხმელა, ურთხელი, ფიჭვი — ასე შორეული ოჯახის შვილები და სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები ტყუპებივით შეზრდიან ერთმანეთს და ერთნაირ ნიადაგს შეგუებიან.

საამური სიგრილეა.

ცივი, ანკარა წყარო ვერცხლის არშიასავით ეკვლება ლოდებს და ანასხლეტი ნამ-ნამცეცებით მახლობელი ხეების ფესვებს რწყავს.

მხატვარი უნდა იყო და ფუნჯი გეჭიროს, რომ ამ ხევნის სიმშვენიერე ფართო ტილოზე გადაიტანო.

აქ ყველაფერი ლამაზია და მომხიბვლელი...

ქვემოთ, ფერდობი რომ ჩათავდება და ნაკადული გაშლილ ჭალაზე სვლას შეანელებს, უზარმაზარი კაკლისხის ჩრდილქვეშ ლოდზე გოგონა ჩამომჯდარა და თავდახრილი რაღაცათი ერთობა—ქსოვს, ქარგავს თუ კერავს. სიშორის გამო კარგად ვერ ვხედავ გოგონას სახეს, მაგრამ რატომღაც ფერიად წარმოვიდგინე.

ნეტა რა უნდა მთის ასულს ამ უკაცურ ადგილას?

შეყვარებულია? იქნებ პაემანზეა? იქნებ წყაროს წკანწკარს ყურს უგდებს?

დავინტერესდი. თურმე გოგონა ძროხას აძოვებდა, დარაჯობდა, კოლექტივის სიმინდის ყანაში რომ არ შეპარულიყო.

ხელსაქმეც წამოეღო და თავს ირთობდა.

— ჩხაპ, ჩხაპ. — დაიძახა უეცრად ვიღაცამ, ფიქრებში გართული უმალ ისე შეეკრთი, როკ ადგილი მოვინაცვლე.

— ჩხაპ, ჩხაპ! — განმეორდა ხმა და ჩემს უკან ხის ტოტიდან ფრთამოქარგული ჩხიკვი ავარდა და მოპირდაპირე ხის ტოტზე ჩამოისვენა.

თვალი გავაყოლე ამ პატარა ეშმაკუნა ფრინველს. ბავშვობისას ბევრჯერ შევუშინებივარ ასე მალულად მოპარებულს. დიდი ხანია არ მინახავს ეს ფრინველი. მთამ თუ შემოინახა იგი და მრავალი მისთანა ლამაზი ფრინველი. თურმე ბარად პატრონობა ვერ გავუწიეთ. ვისაც მოემარჯვება, გული არ უშლის მოსპოს ჩვენი ბუნების დამამშვენებელი ფრინველები.

უეცრად ჩემს ახლოს, გზისპირა ქვაზე, რაღაც ცხოველი შემოსკუპდა — კატის ოდენა, მაგრამ ძეტად ლამაზი და მიმზიდველი. პატარა ტანი და თავი აქვს, მაგრამ გრძელი და ხშირბეწვიანი კუდი.

დგას და მიცქერის, თითქოს სურს გამეცნოს და გამესაუბროს, ვინაობა და აქ მოსვლის მიზეზი მკითხოს.

მეც ვუცქერი და მეღიმება.

ლამაზია წყეული. ოქროწყალში ამოვლებულს ჰგავს მისი ბეწვი. თვალები — მაყვალივით შავი და მოელვარე.

ნეტა რა ცხოველია!

უვიცი ვარ ფაუნასა და ფლორაში. ორიოდე ნადირის სახელი თუ ვიცი, რამდენიმე მცენარისა და ყვავილის...

მე და ჩემი ტყის მასპინძელი მეგობრებივით მივჩერებივართ ერთმანეთს. არც ის იძვრის, არც მე ვაპირებ აჩქარებას.

კარგა ხანს შევცქეროდით ერთმანეთს. ვატყობ, არ აპირებს წასვლას. მტკიცედ და გაბედულად მომჩერებია. ვინ იცის, იქნებ ჩემს შეშინებაა აპირებს.

— ცხაპ, ცხაპ! — შევძახე ბოლოს და ნაბიჯი მისკენ გადავდგი. იგი უცებ მოწყდა ადგილს და გაუჩინარდა. შემდეგ სოფელში მითხრეს, რომ ჩემი ეს პატარა მასპინძელი კვერნა ყოფილა.

მივდივარ მარტო. არც თანამგზავრი და არც შემხვდური, მაგრამ შეწუხებული და დაღონებული როდი ვარ. ირგვლივ ისეთი კარგი ხედია, ისეთი მსუბუქი ჰავა და გრილი ნიავი, რომ მოსაწყენად გული დროს ვერ იპოვის. ნაირნაირი ყვავილი ერთიმეორეს ეჯიბრება სილამაზეში. თვალს მტაცებენ და ყნოსვას მიტკბობენ, თავს მთავაზობენ და თითქოს მეხვეწებიან, მომწყვიტეო.

მაგრამ რომელი უნდა მოვწყვიტო? რომელს მოვუსპო სიცოცხლე და სიხარული? არც ერთი არ მემეტება.

ლამის ვაჟას მინდიად ვიქცე და უცნაურ სამყაროში გადავიბარგო.

ნაბიჯს ავუჩქარე, მყუდრო ხეივანს გავცილდი და ქარაფზე გაველ.

აქ მზე ანთია და სიმხურვალეა. სოფელიც ახლოა. თუმცა როდის არ ჩანდა ის ასე ახლო? ხულოც ახლოა, უფრო ქვემოთ და დაბლა, მაგრამ ერთი ხელის გაწვდენაზე. ამდენი ვიარე და მას ვერ გავშორდი.

რამდენი კილომეტრია იქამდე?

— რვა.

— ექვსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ოთხი.

გაკვირვებთ ასეთი პასუხი, მაგრამ სიმართლეა და ნუ გაიოცებთ. ვინც ჩემებრ ზანტი და ნებიერია, რვა კილომეტრის გავლა მოუწევს, ვისაც გული და მუხლები ერჩის, ორი კილომეტრით შეკვეცავს ამ გზას, ხოლო უფრო მარდი და კოჭმაგარი — ოთხ კილომეტრზე დაიყვანს მანძილს და ერთი საათის სავალად აქცევს.

გზის პირას ქალი და კაცი მთიდან დაცურებულ მორებს ეჭიდებიან, შარაზე ჩამოაქვთ და ერთ ადგილას აქუჩებენ.

ცოლ-ქმარი აღმოჩნდა — შერიფ შავაძე და მისი მეუღლე ემინე. ოდისათვის მასალას ამზადებენ.

— თუ უსტიები დროზე ვიშოვე, დაზამთრებამდე სახლს ავავებ, — ამბობს შერიფი.

ემინეს არ მოსწონს, რომ მისი ქმარი „თუს“ აყოლებს შესაძლებელსა და აუცილებელ მოსაგვარებელს.

— მაშ უსახლობა როგორ იქნება?! ამ მთიებში დასადები თოვლი ცაში ხომ არ დარჩება და შეგვიბრალებს?! — მოსწრებულად ამბობს იგი და ქმარს აჩქარებს დროზე მოძებნოს უსტიები და სახლის აგებას შეუდგეს.

მორები მიალაგ-მოალაგეს და დამემგზავრნენ.

ვსაუბრობთ: ემინე ამ მთებში ცხოვრების პირობებზე ჩივის და საყვედურობს (ადრე ზამთრდება, დიდი თოვლი მოდის, ყინვები იცის, მიწაც მოცვდა და გამოიფიტა) და ბარში მცხოვრებთა ბედს ეხარბება, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში გაცილებით უკეთ ცხოვრობენო.

შერიფიც კვერს უკრავს ცოლს და მეც ვეთანხმები. ან როგორ უარვყო ჭეშმარიტება?!

— იქნებ ისურვებთ გადმოსახლებას? დაგეხმარებით. მთავრობა ყოველგვარ პირობებს შეგიქმნით ახალ ადგილას დასასახლებლად, — შეთავაზე მე.

ემინემ ჯერ მაღლით გადმომდგარ მთას ახედა, შემდეგ მშობლიურ სოფელს მოავლო თვალი.

— არა, აქაურობის მიტოვება არ შემიძლია.

— ბარად ვერ გაძლებს აქ ნაცხოვრები ადამიანი, — დაუმატა ცოლის ნათქვამს შერიფმა.

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“, — უნებურად გამახსენდა ხევსურის სიმღერა და ჩავფიქრდი.

რა გაეწყობა! სურვილის წინააღმდეგ ვერ აჰყრი ოჯახს...

სოფელს მივუახლოვდით და წინ შემოგვხვდა ორი დიდი სატვირთო მანქანა, ქალებით და კაცებით დატვირთული.

— სად გაკრეფილან?

— აბანოზე მიდიან, — მიპასუხა შერიფმა.

— მერე სად არის აქ აბანო?

— ხულოს იქით, სუფელ აგარასთან. — შერიფის მაგივრად მითხრა ემინემ. — საღამომდე ორ-სამჯერ ბანაობას მოასწრებენ და დაბრუნდებიან.

— რგებს რამეს?

— ძალიან. ყველაფერს უხდება. დავრდომილს ფეხზე დააყენებს, მოხუცს ჭაბუკად აქცევს.

ამ მხარეში ბევრი სამკურნალო წყალია და მოსახლეობა ეტანება მათ, მაგრამ ოფიციალურად ცნობილი და შესწავლილი ჯერჯერობით არც ერთი არაა. ხომ არ იქნებოდა ურიგო, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს დაეყენებინათ ეს საკითხი და სათანადო კვლევა ჩაეტარებინათ?

კარგა მანძილით ჩაგვცილდა მანქანები. სოფელში შევედით. უკანიდან ძახილი მომესმა ღა მოვიხედე.

ქვემოდან ქოშინით ვიღაცა მოდის.

— ასე ჩუმად ფიქრობდი ჩვენს სოფელში შემოპარვას? — მომიახლოვდა იგი. — კიდევ კარგი, ვისაზრე შენ იქნებოდი და მანქანიდან ჩამოვხტი, თორემ სირცხვილს ვჭამდით. — და ხელი გამომიწოდა.

— შენც აბანოზე მიდიოდი?

— არა. ხულომდე მივყვებოდი მანქანას. იქ ქორწილში ვარ დაპატიჟებული და...

— მერე?

— შინ სტუმარი მყავდეს და სხვაგან წავიდე?!

— კაცო, მე რა შენი სტუმარი ვარ. უბრალოდ სოფლისაკენ გამოვისეირნე და...

— დიახ, გამოისეირნე და... ეს კი ჩემი სოფელია. მასპინძელი აქ მე ვარ. როგორ შეიძლება შინ არ დაგიხვდე. კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაინც იყოს ადგილზე. სასწრაფო საქმეზეა წასული. მე კი, მისი მოადგილეც რომ არ ვიყო, მაინც მმართებს შენი მიღება და პატივისცემა.

ეს გახლავთ ასლან ბოლქვაძე, რომელიც სამი დღის წინათ გამეცნო ხულოში. ბაღში მარტოდ ვიჯექი. უცხო ვინმედ შემიცნო და მომიახლოვდა. ცოტა გადაკრულში და მხიარულ გუნებაზე იყო. მოვიდა და ვინაობა მკითხა.

გაეხარდა ჩემი გაცნობა, მეც სასიამოვნოდ დამირჩა მისი შეხვედრა.

აქამდეც ვიცნობდით თურმე ერთმანეთს.

ასლანმა ერთ დროს თბილისში თეატრალური სტუდია დაამთავრა. ახმეტელის ხელში გაიარა წვრთნა. სცენაზე გამოჩნდა, ზოგი რამ საყურადღებო გაეკეთა ამ დარგში, ალბათ, უფრო წინ წაიწევდა, მაგრამ რატომღაც ჩამოშორდა ხელოვნებას და სოფლის მეურნეობას მოჰკიდა ხელი.

იმ დღეს ბევრი მეპატიჟა: გინდა არ გინდა, ოჯახში უნდა წამყვეო, აქეე ახლოს ეცხოვრობო. ძლივს დავაღწიე თავი. შემდეგისათვის შევპირდი სტუმრობას და, ალბათ, შეპირება შეპირებად დარჩებოდა, რომ მცოდნოდა, იგი ამ სოფლის მცხოვრები იყო.

— მაშ არ იცოდი, რომ შემხვდებოდი? ძალიან კარგი. ახლა კი ვერსად წამიხვალ. ისეთი ღვინო დაგალევინო, ისეთი ხილი მოგართვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, მაგრამ ვაზი ხარობს თქვენს სოფელში?

— ჩემს ხელში ყველაფერი ხარობს, — ამაყად ამბობს ასლანი.

ახლოდან უფრო ლამაზია ეს სოფელი. მაღალზე წამომდგარი ოდა-სახლები, ხეხილით დაფარული ეზოები, მსუბუქი ჰავა და მსუყე ნიადაგი.

გზადაგზა ასლანი ამ სოფლის ცხოვრებას მაცნობს.

კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარე ქაზიმ ცეცხლაძეა, სამოცდაჩვიდმეტ კომლს აერთიანებს. წამყვან კულტურად თამბაქო ითვლება, თუმცა სიმინდი და კარტოფილიც მოჰყავთ, ვენახიც აქვთ, მეცხოველეობასაც მისდევენ.

მართალია, მთიან სოფლებში მოკლეა სამუშაო დრო, ვიდრე ბარში, ზამთრის დღეებს უქმად აღამებენ, მაგრამ მაინც საკმაო რაოდენობით აგროვებენ შრომადღეებს. მაგალითად, სურიე ცეცხლაძეს ორასი შრომადღე აქვს ჩაწერილი შრომის წიგნაკში. მოწინავეთა შორის არიან ნიაზ ცეცხლაძე, ნათელა ცეცხლაძე და სხვ.

ახალგაზრდა ბუღალტერი ემინ-ახმედ ცეცხლაძე, რომელიც კოლმეურნეობის კანტორაში დაგვხვდა, კოლმეურნეობის შემოსავალ-გასავალს გვაცნობს და კმაყოფილია, რომ წლის ბოლოს მისი ბალანსი მუდამ აყურშია და შემოსავალი გასავალს ჭარბობს.

— ეს ჩემი რძალი გახლავთ, — მეუბნება ასლანი.—აბდულ ბოლქვაძის მეუღლე, ჩვენი სკოლის მასწავლებელი. სამტრედიელი ქალია, მაგრამ ისე შეეგუა ჩვენს მთაგორიან სოფელს, რომ აქაურიდან ვერ გაარჩევ. — და კანტორაში შემოსულ ქალს მაცნობს. — აბა, ჩემო ბაბილინა, დღეს შენთან ვართ სადილად.

— სხვაგვარად არც შეიძლება. — იღიმება ქალი და გვთხოვს მისი ოჯახიც გავიცნოთ და მოვინახულოთ.

სანამ კვთილ მასპინძელს ვეწვეოდით, კოლმეურნეობის კლუბსა და მის მუშაობას გავეცანით.

ამ კლუბის გამგე ზურიე ცეცხლაძე არც თუ ისე დამიჯდა თვალში. მეტად შეუფერებლად მეჩვენა ეს პატარა გოგონა ამ დიდი საქმისათვის. აბა, რას შეძლებს ეს ნორჩი ბავშვი! ალბათ, ხანდახან გააღებს კლუბის კარებს, ჩამოჯდება მაგიდასთან და ასე ატარებს მთელ დღეს.

მაინც ხომ უნდა ვკითხო, რას „ექცევა" ჩვენი ზურიე ამ სოფლის კლუბში?

— არსებობს რაიმე წრე თქვენს კლუბში? — ვეკითხები მე.

— დიახ, არსებობს. — თამამად მიპასუხა გოგონამ.

— მაგალითად?

— მეჩონგურეთა, მომღერალ-მოცეკვავეთა, დრამატული...

ურწმუნოდ მეღიმება. კარგია, რომ ცოდნია, რა და რა წრეები უნდა არსებობდეს სოფლის კლუბთან.

— აბა, მითხარით, რამდენი წარმოდგენა დადგით წელს?

— ჩვენს კლუბში ექვსი, მეზობელ სოფლებში — სამი.

— როგორ, განა მეზობელ სოფლებშიც გადიხართ?

— დიახ. სადაც მივწვდებით. საკლუბო პიესები რომ ბლომად გვქონდეს...

ოჰო, არ ხუმრობს ჩვენი ზურიე! ახლა მე უკვე შემეცვალა აზრი ამ უბრალო გოგონაზე. იგი თავისი საქმის მცოდნე ყოფილა.

— ერთი ეს მითხარი, ჩემო ზურიე, რამდენი გოგონა გყავთ დრამწრეში?

— რამდენსაც პიესა მოითხოვს. ისე კი შვიდირვა ქალიშვილია ჩვენთან. შოთა ხელმძღვანელობს ჩვენ დრამწრეს და მასთან მუშაობას ვინ არ ისურვებს?!

— შოთა?

— დიახ, ცეცხლაძე. ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. — მეუბნება ზურიე და შემდეგ თავად მაძლევს შეკითხვებს. საყვედურობს, რომ საკლუბო პიესები ცოტა იწერება, მწერლები არ დადიან სოფლებში, არ წერენ მათ ცხოვრებაზე.

ჩემი კოლეგების სახელით ვპირდები, რომ ასეთი ადამიანების შესახებ აუცილებლად დავწერთ მოთხრობებსაც და პიესებსაც.

თაგოდან ასლანმა გამომაცილა, გზაში სულ იმას ჩაჩიჩინებდა, რომ დამეძლია ჩემი კერპობა, წავყოლოდი ოჯახში, მისი პურ-ღვინო მიმეღო და ღამე გამეთია, მაგრამ ეს სურვილი ვერ შეეუსრულე და გულკეთილად გამოვეთხოვე.

ცის მახლობლად

მზე რომ ჩავა და დღე მის უფლებას ღამეს გადააბარებს, ყველა ვარსკვლავზე უწინ მაღალ მთის წვეროზე ერთი ვარსკვლავი აკამკამდება, აინთება და შუქურასავით გატყორცნის სხივებს.

აქ სოფელია. იგი ქედზეა გაშენებული და ამიტომაც ქედლები ჰქვია.

ხულოდან იქამდე სამი-ოთხი კილომეტრი თუ იქნება, მაგრამ აქ ხომ კილომეტრებით არ იზომება გზა.

მაინც გადავწყვიტე მუხლებისა და გულის გამოცდა.

უნდა ავიდე იმ მაღლობზე და ის ნათურა ვნახო, მთელი ღამის განმავლობაში ცის ვარსკვლავებს რომ ეჯიბრება.

ქედლებში სამანქანო შარაგზა მიდის, იქიდანაც გაჰყავთ ასეთი შარა უფრო ზემოთ და უფრო მაღლა, მაგრამ მას არ ავედევნები.

შევუდექი აღმართს. მივყვები ბილიკს. ზოგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილიკსაც ვამოკლებ და ყანებსა და ვენახებში მივაბიჯებ.

ყანა კარგი აქვთ, ვაზსაც არა უშავს, მაგრამ გვალვას ცოტათი დაუმჩნევია თავისი ხელი.

შუადღე მოაღწია და მეც მივაღწიე გულის საწადელს. ავედი მაღლობზე, გავიხსენ გული და მთის ჰაერი მსუბუქად და ლაღად ჩავისუნთქე.

ის მაღალი შენობა, რომლის აივნიდან ყოველ საღამოს აინთება ელნათურა და ორ ხევს შუა შუქურად ჩადგება, ქედლების კოლმეურნეობის კანტორა ყოფილა. ამავე შენობაშია კლუბი და ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ქედლების კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარე ილია ჯორბენაძეა, ორას ორმოცდაათამდე წევრს აერთიანებს. მათ საკუთრებაშია რამდენიმე ასეული ჰექტარი მიწა. წამყვანი კულტურა აქაც თამბაქოა. მთავარ ყურადღებას მას აქცევენ, თუმცა სიმინდის ყანებს, კარტოფილის ნათესებსა და ვენახსაც არ აკლია მზრუნველი ხელი.

კოლმეურნეობის კანტორის წინ მწვანეზე რამდენიმე კაცი შეკრებილა. მათ შორის არის სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი მერჯან ჯორბენაძე.

— ეს სამოცდაათზე მეტი მოსწავლე მოადგება პირველ სექტემბერს ჩვენი სკოლის კარებს,— მეუბნება ამხ. ჯორბენაძე. — ამჟამად წესრიგზე მოგვყავს სკოლის შენობა და ინვენტარი.

ძველის გახსენება და ძველთან ახლის შედარება გაცვეთილი მხატვრული ხერხია, თორემ შეგახსენებდით, რომ რამდენიმე წლის წინათ აქ სულ სხვა სურათი იყო. შორეული რაიონებიდან მოწვეული ახალგაზრდა მასწავლებლები ძლივს ახერხებდნენ ადგილობრივ პირობებთან შეგუებას. სკოლას არც შენობა ჰქონდა ვარგისი, არც ინვენტარი.

დღეს ადგილობრივი კადრით არის დაკომპლექტებული სკოლა. სოფელს თავისი საკუთარი ინტელიგენცია ჰყავს და საკუთარი სამუშაო გააჩნია.

კოლმეურნეობის ბუღალტერი ხაშიმ ქამადაძე მოწინავე კოლმეურნეებს ასახელებს.

ვედინე ქედელიძე სახელმოხვეჭილი მეთამბაქოე ქალია, რომელიც დავალებებს დიდი ჭარბებით ასრულებს, ამასთან შეუდარებელი მეოჯახე და დიასახლისია.

მისაბაძია კომკავშირელი ქალის ნუნუ ჩოგაძის საქმიანობა და საქციელი. იგი სოფლის საბჭოს დეპუტატია და ამ ნდობას კეთილსინდისიერად ამართლებს.

მეტად დიდი დამსახურება მიუძღვის მწველავ ზემზე გივრაძეს, რისთვისაც იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

სოფლის მოწინავე ადამიანები არიან აგრეთვე იუსუფ გივრაძე (პირუტყვის მომვლელი), ზაბით დეკანაძე, მეხთი ჯორბენაძე და ბევრი სხვა.

მალე ჩვენთან ერთი ჭარმაგი მოხუცი მოვიდა, სალამი მოგვცა და ჩამოიმუხლა. დამხვდურები თავაზიანად მიეგებნენ მას. მე მისი ვინაობით დავინტერესდი.

— ზულალი მესხი გახლავარ. — ღიმილით მიპასუხა მოხუცმა და ახალმოლესილი ცელი, ხელში რომ ეჭირა, ხეზე მიაყუდა. — ჩემი წინაპარი სამტრედიიდან გადმოსახლებულა ერთ დროს. ალბათ, აიძულეს მშობლიური სოფელი მიეტოვებინა.

ლეგენდა არის თუ სინამდვილე, ამჟამად ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, თუმცა ურიგო არ იქნებოდა, მთიან რაიონებში ჩასახლებულ გვართა სიჭრელე საფუძვლიანად შეგვესწავლა და დაგვემუშავებინა.

ზალული მესხი სამოცი წლის ვაჟკაცია, დიახ, ვაჟკაცი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. შრომაში ნაკლებად ვინმემ დაჯაბნოს. განათლებული და ნაკითხი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ამბობს, წერა-კითხვა ხელოვნურად არ ვიცი.

— მაშ ამდენი წიგნები როგორ წაიკითხეთ?

— შვილები და ბადიშები ტყვილა მყავს? — ბავშვივით მხიარულად იცინის მოხუცი. — იმათ ვაკითხებ და მე ვუსმენ.

დაღამებას ცოტაღა აკლდა, ქედლებს რომ გამოვეთხოვე და რაიონული ცენტრისაკენ დავეშვი.

* * *

ამით დავამთავრე ჩემი საზაფხულო მოგზაურობა ხულოს რაიონში. მოვინახულე რამდენიმე სოფელი და კოლმეურნეობა, გავეცანი მათ შრომასა და თავდადებას. ყველგან და ყოველ ადგილას ვხვდებოდი ადამიანებს, რომლებიც დიდი იმედით უცქერენ ხვალინდელ, უფრო ბრწყინვალე დღეს, არ ზოგავენ ძალასა და ღონეს, რათა სასახელო მიღწევებით შეხვდნენ ჩვენი პარტიის ოცდამეორე ყრილობას, მისთვის ამზადებენ უხვი მოსავლის დიდ საჩუქარს, მას მიუძღვნიან მხურვალე სალამს და კეთილ სურვილებს.

და მათთან ერთად მეც ეს ნარკვევი მიმიძღვნია და მიმირთმევია გამარჯვებული საბჭოთა ხალხის დიადი პარტიის ყრილობისათვის.

1961 წლის ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსენია მჭავია

პარტიის სიტყვა

სკკპ XXII ყრილობას

აი, ფრთასხმული ხალხთა ოცნება,
იმედი, ფიქრი და სიმღერები...
პარტიის სიტყვა, პარტიის ნება —
სათავე ყველა ბედნიერების!
ჩვენ მისი დროშის გვიძღვის ნათელი,
დავჯაბნით ყველა მითს და თქმულებას,
ჩვენი ხმები და ჩვენი საქმენი
აღიმართება სასწაულებად.
ამ ხმებმა შესძრას მთელი პლანეტა,
ცაში ვარსკვლავთა დაფრთხეს კრებული,
დგას კომუნიზმის ღია კარებთან
თაობა რწმენით გულანთებული.
ჩემი თაობა რვალივით მტკიცე,
მკლავდაუღლელი და კუნთმაგარი,
კვლავაც გამოზრდის სამშობლო მიწა
მრავალ ტიტოვს და მრავალ გაგარინს,
რომ ყველა ზღუდეს გადავაბიჯოთ
და მთვარისაკენ გავკაფოთ გზები,
ერთი ვარსკვლავიც აღარ დაგვირჩეს
მიუწვდომელი, ხელშეუხები,
შუქით ბრწყინავდეს ჩვენი მთა-გორი,
ყანა, ჯეჯილი, იალაღები,
ზეცას ვაწვდინოთ მიწის ამბორი
და სურნელება ჩვენი ბაღების.
...მზე არის შინ და მზეა გარეთაც,
დიდი სიცოცხლის ისმის ხმაური,
და კომუნიზმის გაშლილ კარებთან
ვდგავართ იმედით და სიხარულით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იცინიან ვარსკვლავები

იცინიან ვარსკვლავები,
მთვარე თვალებს ნაბავს,
სიო მინდვრად არაკრაკებს
ულამაზეს ზღაპარს:
როგორ ახდა ოცნებები
და ამაღლდა ცამდე,
თვალი როგორ შეეჩვია
სასწაულებს ამდენს,
როგორ სძლია უკუნეთი
შუქმა მოციმციმემ,
როგორ მიწვდა კაცის ხელი
მთვარეს — „დამწვართ იმედს“
და ზღაპარი ძველისძველი
გვექცა სინამდვილედ...
ჰოი, მთვარევ, გაბადრულო,
ლოდინით რომ ტკბები,
მალე მოვლენ,
მალე მოვლენ
შენთან ჩვენი ძმები.
მოგიძღვნიან ზღვების ალერსს
და სიყვარულს მიწის,
ჩანჩქერების მქუხარებას,
წყაროების სიცილს,
სიხარულს და აღტაცებას,
ღიმილს, რომ ვერ დათვლი,
გულებს, სულებს ამღერებულს
სიყვარულის მადლით...
იცინიან ვარსკვლავები,
მთვარე თვალებს ნაბავს,
სიო მინდვრად არაკრაკებს
სიყვარულის ზღაპარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

წაიღეთ, გათბით!..

ბათუმის პორტიდან გადის
ბევრი ნავთი.
წაიღეთ, ქვეყნებო,
წაიღეთ, გათბით!..
ბათუმის ყურეში მოდიან გემები,
მეც გამოვდივარ, გემებს ვეგებები.
და ყოველ მეზღვაურს, არ ვიცი რადა,
სალამს ვეუბნები და ღიმილს ვატან.
ბათუმის პორტიდან გადის
ბევრი ნავთი,
ეს გულიც წაიღეთ,
დაანთეთ, გათბით!

ჩ ურ ჩ ულ ი

როგორც სირბილის დროს
გული ჩქარობს,
როგორც ლოდინის დროს
ჩქარობს გული,
შენც, ჩემი ბაღის ქარო და ჩქამო,
ასე რადა ხარ აღელვებული?
ეს უცნაური შენი ჩურჩული
წინათ არც ერთხელ
არა მსმენია,
ახლა სხვა არი ყველა კუნჭული
და ეგ ფოთლებიც
სხვაფერ სველია.
დაბერებული ჩემი დედილო
თქვენს მოკანკალე
ლანდებს ჩაიღლის,
სურს ყველაფერი გააკეთილოს,
ყველაფერს მისცეს სითბო თავისი.
რაც მე პატარად ვეღარ მიგულებს,
საალერსოდ აქვს თქვენი ლერწები.
ჩემი ბავშვობა აქ მოგუგუნე
თქვენ გაახსენეთ, თქვენ გეხვეწები!

გ ა ნ დ ა გ ა ნ ა

დედის ხელებში
მოთიკრული თეთრი საცერი
გადარეული როკავს, მღერის,
თეთრად თამაშობს.
მე კი ვზივარ და ამას გავცქერი, —
ცეკვას, რომელიც
შენ გიყვარდა, ვხედავ ამაში.
დედის მაჯები დაღლილები
მეფერებიან:
უნდათ მოასწრონ —
გამოაცხონ ნაცარში კვერი.
მისი ხელები საცერს ასე შებერებიან,
და გაუცრიათ სამოცი წლის
ჭადი და ქერი.
ხელისგულები ადაფდაფებს
დახვეულ ყავარს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფქვილი ნისლივით კორწიალობს
და კორწიალობს.
გარეთ იქუხა.
თითქოს კარზე დაასეს ყამა
და იძახიან, იძახიან —
ქორწილიაო.
აოხშივარდა ჩვენი ყანა
შავად ნახნავი,
გამოცხვა კვერი, ჩადგა წვიმა,
გავალეთ კარი.
დედა მიჩივის:
სახლს სჭირია ქალი ახალი,
რომ გამთენიას კერიაზე
დაანთოს კვარი.
დედის ხელებში მოთიკრული
ბრუნავს საცერი,
თითქოს ქორწილში განდაგანას
უკრავს დაფდაფი.
კვერი მაჭამა, მერე მითხრა:
შვილო, დაწექი
და იქვე სექვზე
დათვის ტყავი ნელა დაფინა.
ოჰ, დედაჩემო, ოჰ, საცერო,
ოჰ, განდაგანავ...
სახლი მარტოა,
მაგრამ ჩემი ბრალია განა!!

ყ ვ ა ვ ი

ყვავო, რამდენიც
გინდა მელოდე,
მაინც ვიოცხლებ
ჯინზე ბოლომდე.
ვერ ეღირსები,
ვერ ეღირსები,
ჩემი სხეულით
ვერ აღივსები.

მე ყოფნას კი არ ვითხოვ, —
ვნახულობ!
არვის არ ძალუძს
სახლი დახუროს,
დაწვას სიმღერა,
დღე საყვარელი,
მიწა აქციოს
ცალოდ ყვავების.

* * *

ბალახებისგან შემშურდა
მაგ შენი კაბის ალერსი...
ხან, როგორც მთვარე ღრუბელში,
შენ გამოჩნდები კარებში.
შენ ჩემი მთების ნისლი ხარ,
მისი იაც და იელიც,
ყველაზე უფრო ნაზი და
ყველაზე უფრო ძლიერიც.
ჩამოისვენე, მიირთვი
ჩემი ლექსების ზარმელი,
შენ შემიკაზმე სიმღერა
და იყავ მისი მფარველიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაპიტონ რუსიძე

კაჭის ნატეხი

— ხომ კმაყოფილი ბრძანდებით, ბატონო ქიშვარდი?

ქიშვარდიმ კიბის უკანასკნელი საფეხურიდან ჩააბიჯა, ნიკაპზე მოკლედ დაყენებული თოვლისფერი წვერი შეიფხანა, ვესტიბიულში შეჩერდა და შემკითხველს კუშტად მიუხედა.

— სხვა ვერაფერი ვერ იღონე, ჩემო ბაბული, და კბენაზე გადადი? ეეხ, შალვა, შალვა!..

ჩასუქებული შალვა ოფლში იწურებოდა. ფართო ცხვირსახოცს წამდაუწუმ ისვამდა შუბლზე, ყელზე, კეფაზე; დროდადრო გაზეთსაც მარაოსავით იბორიებდა, მაგრამ არც ერთი შველოდა და არც მეორე: ოფლი კვლავ უსაშველოდ მოსჟონავდა და თავ-პირზე მსხვილ-მსხვილ წვეთებად აჯდებოდა.

— არა, კბენა რა შუაშია, — ცხვირში წაიდუდუნა შალვამ.—სიმართლის თქმა განა კბენაა? მე ხომ...

— აბა, რით უნდა ვიყო კმაყოფილი! — შეაწყვეტინა მოხუცმა, კეხიან ცხვირზე ჩამოცურებული სათვალე მოიხსნა და შეჭირხლული სქელი წარბები ნაოჭებით დაღარულ მაღალ შუბლზე აიტანა.

— როგორ თუ რით?! სამუშაოდან მომხსნეს, პარტიაში უკანასკნელი გაფრთხილებით დამტოვეს... თქვენც ხომ ეს გინდოდათ?

— როგორ, შენი დასჯა მინდოდა?!

— ესეც თუ საკითხავია, რაღაა უკითხავი ამ ქვეყანაზე! ჩემს დასჯას ამ წუთში არ მოითხოვდით აგერ, ბიუროზე?! ი-ქვენი პროექტი ხომ უცვლელად გავიდა!

— რატომ მიიყვანე, ბაბული, საქმე აქამდე?

— თქვენაც დამეხმარეთ: როგორც კი აგირჩიეს კონტროლის კომისიის ხელმძღვანელად, იმ დღიდანვე მე დამასვეთ კბილი, მე ამომიღეთ მიზანში... მომდექით და მაინცადამაინც მე მომარგეთ ახალი ინსტრუქციის მითითებები...

— შენს შესახებ ყველაზე მეტი სიგნალი იყო საქალაქო კომიტეტშიც, კომისიაშიც, ზემდგომ ორგანოებშიც. წაყრუება დანაშაული იქნებოდა. მე არ შემეძლო წამეყრუებია!

— არც წაგიყრუებიათ, დამსაჯეთ და ა, ამიტომაც გკითხეთ, კმაყოფილი ხომ ბრძანდებით-მეთქი!

გამხდარ, სპილენძისფერ სახეზე ქიშვარდის ყველა კუნთი დაეჭიმა. უპეებჩალურჯებული თვალები ჩაუმუქდა. ბრაზისაგან კრიჭა შეეკრა. ორიოდე წუთს ხმა არ ამოუღია. მერე შალვას ანიშნა

მომყეო და, ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ვითომ სხვათაშორის ჰკითხა:

— თუ გახსოვს, შალვა ბაბული, პარტიაში შესვლაზე ვინ მოგცა რეკომენდაცია?

— კარგად მახსოვს. ერთ-ერთი რეკომენდატორი თქვენ ბრძანდებოდით.

— კეთილი და პატიოსანი... ახლა ერთი ეს მიბრძანეთ. ამ სამი წლის წინათ, როცა მე პენსიაზე გასვლა გადავწყვიტე, ჩემს ადგილზე — ქარხნის დირექტორად ვინ წაგაყენა?

— არც ეს დამვიწყებია. თქვენ წააყენეთ ჩემი კანდიდატურა.

— ჰოდა, ეს რეკომენდაციები რომ გაგემართლებია, ბაბული, და სირცხვილი არ გეჭმია არც შენთვის და არც ჩემთვის, კმაყოფილი აი მაშინ ვიქნებოდი! გასაგებია?

მოხუცი ჯეელივით, წელგამართული მიაბიჯებდა. საშუალოზე მაღალი ტანისა იყო. ჩამრგვალებული შალვა მას მხრებამდე სწვდებოდა, თავდახრილი მიჰყვებოდა, სიარულში ძლივს უტოლდებოდა. ეტყობოდა, რაღაც მძიმე, ტყვიასავით მძიმე სათქმელიც ედო გულში და შესაფერ დროს არჩევდა, რომ იგი ბერიკაცისათვის შხამით სავსე ფიალასავით მიეწოდებინა. ბიუროს სხდომის შემდეგ უთუოდ ამიტომ დაელოდა დერეფანში თითქმის მთელ საათს.

— შენ, ბაბული, — ხმადაბლა განაგრძობდა ქიშვარდი, თან ნაცნობებს ხან აქეთ, ხან იქით თავს უკრავდა, — როგორც ვატყობ, არც შენი საკუთარი თავის წინაშე არ გინდა გამოტყდე დანაშაულში. ეს კი ძალიან, ძალიან ცუდია, ბაბული!

— კონკრეტულად მე ვერავინ დამიმტკიცებს დანაშაულს!

— ა, ისევ შენსას გაიძახი! რას ქვია კონკრეტულად?! იმას, რომ მაინცადამაინც მაქინაციის დროს ვერ გტაცეს ხელი?! არა, ბაბული, მაგეები არაა საჭირო!.. შენ კაი ახალგაზრდა იყავი. არც ნიჭი გაკლდა, არც უნარი. ყველა გაფასებდა. მე, ჩემდათავად, ერთადერთ კაცშვილში არ გამომერჩეოდა. გეგონეთ, მთელი კოლექტივი გენდო და იმხელა ქარხანა ჩაგაბარა. შენ კი რა ქენი? როგორ გაამართლე ნდობა?

— ქარხნის მუშაობა ჩემს დროს არ შეფერხებულა!

— სწორია, არ შეფერხებულა, მარა შენი გენიოსობით კი არა. ქარხანა — ეს მუშათა კლასია, ბაბული, ჩვენი საბჭოური მუშათა კლასი. შენისთანა დირექტორი მთელ წელიწადს საავადმყოფო ფურცელზე რომ იყოს, ქარხანა მაინც იმუშავებს.

— გამოდის, რომ დირექტორი სულ არ ყოფილა საჭირო!

— ჯერ ერთი, მე ასე არ მითქვამს. მეორეც, დირექტორსაც გააჩნია. მაგრამ ეს სხვა საკითხია... შენს ამბავს დავუბრუნდეთ. რა ქენი შენ? რას ახმარდი შენს ენერგიას? რამ გაგიტაცა?.. გაგიტაცა ბნელმა საქმეებმა...

— ესე იგი კაცმა წესიერად თუ იცხოვრა, ეს ბნელი საქმეა?

— დაიცა, ბაბული, დაიცა! წესიერად რომ გეცხოვრა, თავზე ლაფს არავინ დაგასხამდა. ჭკუა რომ გეხმარა, სწორედ წესიერად იცხოვრებდი. რა გიშლიდა ხელს? სამი სული ხართ ოჯახში. სამოთახიანი ბინა გეკავა. არც სამზარეულო გაკლდა, არც აბაზანა, არც სათავსოები. სამი სული როგორ ვერ დაეტიეთ სამ ოთახში?! რაღ გინდოდა ორსართულიანი სახლი? რა სახსრებით წამოგიმე? ხელფასს გარდა შემოსავალი არა გაქვს. შვილი მცირეწლოვანი გყავს. მეუღლე განათლებული ქალია, მარა არ მუშაობს. შენი ხელფასით შეგეძლო ოჯახი მშვენივრად გერჩინა, მარა ორსართულიანი სახლის აგების რა მოგახსენო, ეს მეტისმეტია; შენი ხელფასისათვის რომ ათ წელიწადს კაპიკიც არ მოგეკლო, ისე გეგროვებინა, იმხელა სახლის ასაგებად მაინც არ გეყოფოდა. ათ წელიწადს კი უსმელ-უჭმელი და ჩაუცმელ-დაუხურავი როგორ გაძლებდი!..

ამიტომაც გეუბნებიან, ნაქურდალი და წანაგლეჯიაო. შენ კი გაიძახი, კონკრეტულად ვერ დამიმტკიცებთო. რაღა დამტკიცება გინდა, ორსართულიანი სახლი ხომ ნემსი არ არის, რომ სადმე დამალო, მას მთელი ქვეყანა ხედავს!.. გესმის, ბაბული? ფაქტი სახეზეა; შენც და შენს სახლსაც მთელი ქვეყანა ხედავს!

— ეჰ, ბატონო ქიშვარდი! — შალვას მსუქან, ფერმკრთალ სახეზე გამკილავმა ღიმილმა იელვა. — ქვეყანა ხედავსო!.. მართალი ყოფილა ანდაზა, სხვის თვალში ბეწვს ხედავ, შენსაში კი დვირესაც ვერაო!

ქიშვარდი შეცბა. თანამგზავრს მკლავზე ხელი წაატანა და ამღვრეულ, უცნაურად აკიაფებულ თვალებში ჩახედა.

— რა გინდა მაგით თქვა?

— ვთქვი ის, რაც უნდა მეთქვა! — უკან არ დაიხია შალვამ.

— მაინც რა? ჩემში ხომ არ გეპარება ეჭვი?

— თქვენში არა, მაგრამ...

— თქვი-მეთქი! გაყეყილს გატეხილი ჯობია!

— მე აღარ ვიცი, რას რა ჯობია... ის კია, რომ... ჰო, თქვენი ვაჟიშვილი, რომელსაც ეგრეთწოდებულ ახალგაზრდა ქალაქში მოზრდილი თანამდებობა უკავია...

განგებ თუ შიშით, შალვამ სათქმელი შუაში გაწყვიტა.

— მერე, მერე! — შეანჯღრია ქიშვარდიმ. — განაგრძე-მეთქი!

— რაღა ბევრი გავაგრძელო, — შალვამ ხელი შეაშვებინა და ცალყბად გაიღიმა. — ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ თქვენ, როგორც სპეტაკი კომუნისტი, წესრიგის დამყარებას დაიწყებდით იქიდან... რა ქვია... თქვენი ვაჟიშვილიდან!

— ვაჟიშვილიდანო?! ეს რა მესმის! ნუთუ ისიც... — ქიშვარდი უცებ შვილდივით მოიღუნა, დაბარბაცდა და ზურგით კედელს მიეყრდნო.—ნუთუ ისიც... არა, არა! ჭორი იქნება!.. შენ საიდან იცი, ბაბული?

— განა მარტო მე მხედავს ქვეყანა?! — ნიშნისმოგებით მიახალა შალვამ, გზაჯვარედინს გვერდი აუქცია და ვიწრო შესახვევში მიიმალა.

* * *

რა უნდოდა აქ, ზღვისპირას რომ გამოსულა და მობანავეებით აჭრელებულ პლაჟზე დაბორიალობს?! აკი ბიუროს სხდომიდან პირდაპირ შინ აპირებდა! ან ეს რა არის, ხელში რომ ჩაუბღუჯავს?! აჰ, პაპიროსის კოლოფი, გაუხსნელი კოლოფი. არც ახსოვს, როდის ან სად იყიდა. კიდევ კარგი, ფულის გადახდაც თუ არ დავიწყებია!.. ბარე ათი წელიწადია აღარ ეწეოდა. მაღალი წნევა დასჩემდა და ექიმებმა ურჩიეს, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, ნულარ მოსწევო. იმ დღესაც გაუხსნელი „ყაზბეგი“ ედო ჯიბეში. ამოიღო და კოლოფს საგანგებო ყუთში გადაუძახა. ეს იყო და ეს. მერე სხვებსაც ჩასჩიჩინებდა, თავი გაანებეთ მაგ საწამლავსო. ახლა კი ჯანდაბას იქით წნევაც და მისი მომგონიც! ერთი ნაფაზი რომ არ დაკრას, ალბათ, შეიშლება. აი ასანთიც მოძებნა. მაგრამ, ოი, როგორ უკანკალებს ხელები! ჰეე, საბრალო ქიშვარდი! ნუთუ ამას ელოდი, ამას უცდიდი, სამარის პირას ორივე ფეხით მისული?! განა არ აჯობებდა, ის ოხერი წნევა, მაღალი იყო თუ დაბალი, მანამდე მოგრეოდა, ვიდრე ერთადერთი ვაჟიშვილი თავს მოგჭრიდა?!. აფსუს!..

თუმცა... თუმცა, ვინ იცის, ეგებ მოჩმახა იმ იხტიბარგატეხილმა შალვამ, განგებ მოჩმახა და მოწამლული ისარივით აძგერა შიგ მკერდში, რომ ბერიკაციისათვის რაღაც სამაგიერო, ხეპრული და ლაჩრული, მაგრამ ასე თუ ისე რაღაც სამაგიერო მიეზღო?! ეგებ არაფერ შუაშია, ეგებ ცამდე მართალია ობლობაში ამოზრდილი მისი ვაჟიშვილი, მისი თენგიზი, ეს ბერიკაცი კი აქ ერთბაშად წამოეგო დასჯისაგან გაბოროტებული დი-

რექტორყოფილის მზაკვრულ ანკესზე და თავისივე გულს ტყუილუბრალოდ ასკდება!

ხომ შეიძლება ასე იყოს?

შეიძლება.

ოღონდ ქიშვარდი, თვითონ ქიშვარდი არ არის მართალი. აგერ სამწელიწადნახევარია, შვილი არ უნახავს. წერილებზეც არ უპასუხნია. შვილი მოვალეა მამა ინახულოსო, დაიჩემა და ზღვისპირა ქალაქიდან ფეხი არ გაადგა. ვიდრე სამოცდაათი წლისა არ გახდა, ქარხანასაც არ მოეშვა, ხან ერთ საამქროში ტრიალებდა, ხან მეორეში, დღემუდამ გადაუდებელი საქმეები ჰქონდა. სამი წლის წინათ, სამხრეთისათვის უჩვეულოდ მკაცრყინვებიან ზამთარში, გაცივდა და ლოგინად ჩავარდა. ქარხნის მთელი კოლექტივი, ახლობელი თუ შორეული — ყველა თავს ადგა. საიდან არ მოჰყავდათ ექიმები, რა წამალს უხსენებდით, რომ იმ წამსვე არ გაეჩინათ, მაგრამ ბერიკაცი თვალდახელშუა ილეოდა. ორთვენახევარს თავის წამოწევაც არ შეეძლო. ყველას ეგონა, სააქაო პირი აღარ უჩანსო, მაგრამ მოულოდნელად, ადრიანი გაზაფხულის დღეებში, ქიშვარდი თითქოს მკვდრეთით აღსდგა — ჯერ ლოგინზე წამოჯდა, მერე ჯოხის დახმარებით გამოლასლასდა აივანზე, ბოლოს კი უჯოხოდაც შეიმაგრა წელ-მუხლი. სწორედ იმ ხანებში გამოეთხოვა თავის სისხლხორცეულ ქარხანას, თუმცა სული და გული იქ დარჩა. იმ ხანებშივე მიუფრიალეს ვაჟიშვილის დეპეშა — ცოლს ვირთავ, ჩამოდი და ჩემს ბედნიერებას დაესწარიო. „ოხ, რა მაყრობის დრო შემირჩია! ყბას მიქცევს და ეს არის! — გულამღვრეულად გაიფიქრა ქიშვარდიმ. — შვილიც ასეთი უნდა, კაცი ვკვდებოდი და ერთი ნახვის ღირსიც არ გამხადა... ახლა რომ უსაყვედურო, არაფერი არ ვიცოდიო, იტყვის. თავა, ორივე დეპეშა დაიკარგებოდეს?! ოჯახსაც ისე ეკიდება, რომ [illegible] ლი მამა, არაფერში არ ჩამრია... ყოჩაღ, შვილო თენგიზ, ყოჩაღ!.. მე, ავადმყოფი ბერიკაცი, ჩამოვალ და მოგინახულებ, აბა არა?! ვის დაემსგავსე მაინც, ვის!..“ დეპეშა საწერი მაგიდის ყუთში ჩააგდო, კარი გამოიჯახუნა და დარდის გასაქარვებლად ზღვისპირა პარკის იმ ხეივანს მიაშურა, სადაც, თითქოს პირი შეუკრავთო, მხოლოდ პენსიონერები იყრიდნენ თავს ხოლმე. ვერ მოითმინა და თანატოლთ გულის ხვაშიადი გაანდო. ზოგმა მოუწონა — სწორად იქცევიო, შვილმა გინახულოს კი არა, სიბერეში კიდევაც უნდა გიჭირისუფლოსო. ზოგმაც შეაპარა — რას ეტოქები, რაც უნდა იყოს, შვილი მაინც შვილია, ერთი ჩასულიყავი და გენახაო. ქიშვარდიმ პირველთ დაუჯერა. ამასობაში, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, საპატიო, მაგრამ მძიმე ტვირთი აჰკიდეს — საზოგადოებრივი კონტროლის კომისია ჩააბარეს. ქიშვარდიც ჩვეული სიბეჯითით ჩაუჯდა საქმეს და, ასე განსაჯეთ, თითქმის არ გაუგია, როდის გაირბინა უკანასკნელმა სამმა წელმა, ვაჟიშვილი კი არ უნახავს და არ უნახავს...

— დიახ, დიახ, არა ვარ მართალი! — უნებლიეთ ხმამაღლა წამოცდა ქიშვარდის და ფიქრებიც მიმოეფანტა. — უნდა მენახა!.. ხშირ-ხშირად უნდა მენახა!.. მენახა და შემემოწმებია!.. მართალია, სიყმაწვილეში სანაქებო იყო, მაგრამ... ვინ იცის, ვის აყვა, ვის დაყვა!.. რაც სტუდენტი გახდა, მერე, ცოდვა გამხელილი ჯობია, მამის თვალი, მამის ყური, მამის ხელი აკლდა!.. არა, კარგად ვერ გამომივიდა და ეს არის!.. ახლა უკვე გადადება აღარ შეიძლება, ამაღამვე უნდა გავემგზავრო! დიახ, ამაღამვე!..

* * *

უზომო დაღლილობას გრძნობდა და ვაგონში შესვლამდე, როგორც იტყვიან, ერთი სული ჰქონდა. თანამგზავრთ, სულ ერთია, ნაცნობნი აღმოჩნდებიან თუ უცნობნი, მასლაათში არ ავყვები, მაშინვე ჩემს საწოლზე წამოვწვები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვისვენებო. მაგრამ ის უგემური დღე რა უგემური დღე იქნებოდა, თუ თავისას არ გაიტანდა!

კუპეში სამნი დახვდნენ: რომელიღაც სარეწაო არტელის მელოტი ბუღალტერი თავისი წყალმცენარესავით ტანწვრილი ქალიშვილითურთ და თავგადაპარსული, ბეჭებში მოხრილი, ხმელ-ხმელი უცნობი მამაკაცი. ასე, ორმოცდახუთი თუ ორმოცდარვა წლისა. ამ უკანასკნელს ქიშვარდი თავის დღეში პირველად ხედავდა. ალბათ, იქაური არ იყო. არც ეპიტნავებოდა მისი ვინაობის გაგება. გამყოლს ქვეშსაგები გააშლევინა, ბოდიში მოიხადა და წამოწვა. მატარებლის თვლების რახრახში თანამგზავრთ არ გაუგონიათ მისი ნათქვამი. ქალიშვილი გაზეთს კითხულობდა, მამამისი და უცნობი მამაკაცი კი ფანჯარაში იჭვრიტებოდნენ. მახინჯაურს რომ გასცდნენ, ქალიშვილმა გაზეთი თავისი წვრილ-წვრილი, გრძელი, ბრჩხილებდაწითლებული თითებით ჰაერში შეათამაშა და სიცილით წამოიძახა:

— ვოტ, ხედავთ? ამერიკელებსაც გაუშვიათ კაცი კოსმოსში!

მამამისმა და უცნობმა მოუხედეს.

— კოსმოსში კი არა, ერთი ჰაერში აისროლეს და ზღვაში მოადინა, შვილო, ტყაპანი! ჩვენს გაგარინს რას შეედრება!

— კაი, არ შეედრება, მაგრამ ხომ გვეჯიბრებიან?

— მე რომ მკითხოთ, — გრძლად ჩაახველა ხმელ-ხმელმა მამაკაცმა და მოდაბლოდ გადაკრეჭილ, ქოშის ლურსმნებივით ღერა-ღერა წინგამოშვერილ ულვაშებზე ხელი გადაისვა, — ყველაფერში შეგვეჯიბრონ, ოღონდ ომი ნუ იქნება! მშვიდობიან საქმეებში შეგვეჯიბრონ. ახლა ესაა მთავარი. მშვიდობა თუ იქნა, ყველა ხალხი მოიგებს. ჩვენც მოვიგებთ. ჩვენ ხომ მშვიდობიან შრომაში ვართ გართული, ამდენ რაშეს ვაშენებთ, სიუხვისათვის ვიბრძვით, გვინდა კიდევ უფრო მოვაგვაროთ, უკეთესი გავხადოთ კაცის ცხოვრება...

— ვისაც შნო აქვს, მისი ცხოვრებაკაი ხანია მოგვარებულია! — ქალიშვილმა ეშმაკურად აახამხამა შეღებილი წამწამები. ნათქვამი მოსწრებულად მოეჩვენა და ისე ფართოდ გაიღიმა, რომ უხვად გაპომადებული პირისნახევი ყურისძირებამდე გაექცა.

— ბოდიში, მაგრამ... — უცნობმა ქალიშვილის შიშველ მუხლებს ძლივს მოაშორა თვალი. — ჰო, რას გულისხმობთ შნოში?

— ჭკუას, უნარს, მოხერხებულობას! — გაზეპირებულივით ჩამოუთვალა ქალიშვილმა.

მამამისი კმაყოფილ ღიმილში დნებოდა: შეხედეთ, რა თამამი და განსწავლული ქალიშვილი მყავს, ზოგი მისი კბილა გოგო კი ბრინჯივით იბნევაო.

—მე ვიცნობ ერთ ნიჭიერ მეცნიერს,— უცნობმა მზერა ქალიშვილის სიფრიფანა კაბის ღია გულისპირზე შეაჩერა. — ჭკუა რომ არ ჰქონდეს, მეცნიერიც არ იქნებოდა. მაგრამ დღესდღეობით...

— ახ, ან არ ჰქონია ჭკუა, — ხელი ჩაიქნია ქალიშვილმა, — ან არ იცის, როგორ გამოიყენოს! ცარიელი ჭკუა რა ბედენაა!.. აი, მე მყავს მეზობელი. ჩემი ხნის ვაჟია. ჩემი ამხანაგი გოგო შეირთო. შვიდი თუ რვა კლასი დაამთავრა. ყოველ შემთხვევაში, ათწლედს არ გაშორებია. ჰოდა, მიბრძანდით, ნახეთ, როგორ ცხოვრობს! საკუთარი ხუთთვალი სახლი ისე მორთო, მუზეუმი გეგონება! დიდი კაციც არ გეგონოთ, რომელიღაც საწყობის გამგეა. სწორედ გუშინ ცოლს რვაათასმანეთიანი... ძველ ფულზე მოგახსენებთ... რვაათასმანეთიანი პალტო უყიდა, ისეთია, თვალი ზედ დაგრჩება!.. ნამდვილად მეცნიერი და ჭკვიანი სწორედ იმ კაცს...

— რა ხელფასი აქვს, ბაბული, იმ კაცს? — ველარ მოითმინა ქიშვარდიმ და ლაპარაკის იშტაზე მოსულ ქალიშვილს სათქმელი გაუწყვიტა. — ძველ

ფულზე, ალბათ, ხუთასი ან ექვსასი მანეთი, არა?

— მგონი არც მაგდენი! — ქალიშვილმა ბერიკაცს წამიერი მზერა ესროლა და კვლავ იმ ხმელ-ხმელი კაცისაკენ იბრუნა პირი.

ეტყობოდა, მას კიდევ სურდა რაღაც მოეთხრო თავის „ნამდვილ მეცნიერ და ჭკვიან“ მეზობელზე, მაგრამ ქიშვარდიმ ისევ ესროლა ქამანდი, ვიწრო ყელზე მოუჭირა და თავისკენ მოზიდა:

— ესე იგი, ბაბული, ხელფასით ვერ იყიდდა იმ პალტოს, ხომ?

— ცხადია! და საქმეც მაგაშია, რომ...

— დაიცა, ბაბული, დაიცა!.. ცოლმა რა უთხრა?

— რა უნდა ეთქვა ცოლს?! ასეთ საჩუქარს რომ მიიღებდა, სიხარულისაგან ცას ეწეოდა, ქმარს გადაეხვეოდა და გადაკოცნიდა. აბა რა? მას მიუტანეს ხილი, ისიც გემრიელად ჩაატკბარუნებდა. რატომ უნდა ეკითხა, სად ან რომელ ხეზე მოკრიფეო?!

— ესე იგი, შენც ასე იზამდი, ბაბული, მის ადგილას?

— ვა, ეს რა კითხვაა! ისეთი პალტო რომ მომიტანონ, სიხარულისაგან ქმარი ეგება კიდეც შემომეჭამოს! — ისე გულიანად გაიცინა ქალიშვილმა, რომ შეღებილი წამწამები ცრემლმა დაუსველა.

მამამისი ხარხარებდა და პრიალა თავზე ხელს ისვამდა, ხმელ-ხმელი უცნობი კი ორაზროვნად იღიმებოდა.

„ეს წრიპა ვინ ყოფილა! გუშინდელი ბარტყია და პირწავარდნილი მეშჩანი დამდგარა!.. მამამისიც როგორ ხითხითებს!.. ფუჰ, შევარცხვინე ერთიც და მეორეც!“ — გაიფიქრა ქიშვარდიმ, ზეწარი მკერდამდე აიფარა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ქალიშვილს წარბშეკრული მიაჩერდა.

— სასაცილო კი არა, სატირალი ამბავია, ბაბული, ეს, სატირალი! ის შენი მეზობელი ქურდი ყოფილა! მისი ცოლიც უსინდისო ყოფილა, რადგან ნაქურდალი მიიღო საჩუქრად!

— აი, მოგიწერე ხელი! — ბერიკაცს მოუწონა უცნობმა. — მართლა ... ლია!.. და ცუდი კიდევ ის არის, რომ არა ერთი მასეთი „შნოიანი“ ქურდი ჯერჯერობით ჩინებულად გრძნობს თავს!

ბერიკაცის მკვახე და ღვარძლიანი პასუხით დაბნეული ქალიშვილი თანდათან მოდიოდა გონს. მამამისი დაჩრდილულ კუთხეში მიკუნტულიყო და იქიდან ეჩურჩულებოდა, კაი, შვილო, დამშვიდდი, გეყოფაო, მაგრამ ქალიშვილს, როგორც ჩანდა, „არ ეყო“, სიჯიუტემ ძლია და ისევ ააკაკანა:

— განა ასე უსაბუთოდ კაცს შეიძლება ქურდი უწოდო?! ის პალტო მართლა ნაქურდალი ფულითაც რომ იყოს ნაყიდი, ამას ვინ დაამტკიცებს? ან იმ კაცმა ვის მოპარა, ან თვითონ ის ვინ გამოიჭირა ქურდობაში?

— ვის მოპარა და, ან ჩვენ, ან სახელმწიფოს, ბაბული! აბა, ციდან ხომ არ ჩამოუცვივდებოდა ფულები!.. ანდა სხვა რა საბუთი გინდა, ის რვაათასმანეთიანი პალტო თვითონ საბუთი, ხელმესახები და უტყუარი საბუთი, ქურდობის დამადასტურებელი საბუთი არ არის?! მასეთ კაცს ერთადერთი საბუთი აკლია — დაპატიმრების ორდერი! აღექი და ჩასვი!.. და რაც მალე, მით უკეთესი! დიახ, ბაბული, იმ შენი მეზობლისთანა „შნოიანი“ წამგლეჯების გზა ბოლოს მხოლოდ ციხეში მიდის!.. ისინი, წამგლეჯები და ხორცმეტები, სანიმუშოდ უნდა დაისაჯონ, თორემ, იმის გარდა, რომ ქურდობენ და მამაძაღლობენ, მეორე მძიმე დანაშაულსაც სჩადიან — თავიანთი პირადი მაგალითით ცუდ გავლენას ახდენენ ცალკეულ უნებისყოფო ახალგაზრდებზე, მცდარი გზისაკენ, ფუქსავატური ცხოვრებისაკენ, პარაზიტობისაკენ წაუძახებენ, აფუჭებენ და რყვნიან მათ!.. სამწუხაროდ, შენს სიტყვებშიც იგრძნობა, ბაბული, მათი გავლენა!

— გამოდის, რომ მეც...

ქალიშვილმა გაღიმება სცადა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოუვიდა. მოლიმარზე უფრო დაღრეჯილს დაემსგავსა. ვერც სათქმელს შოაბა თავი.

მამამისმა დრო იხელთა და ყურში ჩასძახა:

— მოეშვი მაგ ბერიკაცს, ნუღარ ეტიტინები! შენ არ იცი, მაგი ვინ არის!.. უკვე შუაღამე გადავიდა, ერთი საათით მაინც არ წავიძინოთ?!

— ჰო, — მთქნარებით მიუგო ასულმა, — დროა დავიძინოთ! — და კუპედან გავიდა.

ხმელ-ხმელმა კაცმა, ამდენ ხანს რომ უენოსავით იჯდა, ქიშვარდის დაწოლა ადროვა, მერე მისივე ნებართვით საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ამოიოხრა და შორიდან დაიწყო:

— პატარაობისას, ასე, რვა-ცხრა წლის რომ ვიყავი, ჩვენს ყანაში გოგრა მოვწყვიტე და შინ მივიტანე. მამაჩემმა შეხედ-შემოხედა. ეუცხოვა. სად მოწყვიტეო, მრისხანედ მკითხა. ჩვენს ყანაში-მეთქი. ჩვენს ყანაში არ იქნებოდა ამხელა გოგრაო. კი-მეთქი. აბა, წამოდი და ესეც წამოიღეო... ყანა შორს იყო. დაღლილი ვიყავი, მაგრამ რას ვიზამდი? წავყევი. მივიყვანე იმ ადგილას, სადაც გოგრა მოვწყვიტე. მონაწყვეტზე ცრემლივით სდიოდა წვენი. მამაჩემმა გოგრა ლერწით მიადგა, თითქოს ხელახლა უნდა მიაწებოსო. ისე ზუსტად მიედგა, მონაწყვეტი მართლა არ გეგონებოდა. მამაჩემს გაეღიმა. მართალი ყოფილხარო, მითხრა. მე ეგერ, იმ ყანაში, ფილიპეს ყანაში მოწყვიტე მეგონაო. იქ რომ მოგეწყვიტა, ნაქურდალი იქნებოდა და იმდენს გცემდი, რომ მაგ გოგრასავით დაგამრგვალებდიო... ა, მას შემდეგ ორმოცი წელიწადი გავიდა, მამაჩემი რამდენი ხანია მოკვდა, მისი სიტყვები კი გუშინდელივით მახსოვს... ამით ის მინდა ვთქვა, რომ მამაზე, დედაზე, ოჯახზე ბევრი რამეა დამოკიდებული...

— მე ვიცნობ ისეთ კარგ დედ-მამას, რომლებსაც ცუდი შვილი გამოუვიდა! — უნდილად შენიშნა მელოტმა ბუღალტერმა და ზემო საწოლზე მოიკალათა.

— გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არის, — თავი დაუქნია ხმელ-ხმელმა კაცმა და თვითონაც მოპირდაპირე ზემო საწოლზე ავიდა. — მაგრამ მაინც საკვირველია: ჩვენს დროში რატომ ვერ უნდა ივარგოს, რატომ უნდა გაფუჭდეს ახალგაზრდა კაცი?! თუ ოჯახი არაფერ შუაში არაა, რაღაა მიზეზი? კარგმა ცხოვრებამ ხომ არ გვაწყინა?!

— ზოგიერთებს მართლა აწყინა, ბაბული!—ქვევიდან ასძახა ქიშვარდიმ. — ბევრმა ახალგაზრდამ არ იცის, რა სისხლის ფასად არის მოპოვებული ეს ცხოვრება, რამდენი თაობის ცხოვრება შეეწირა ამას!.. უზრუნველად იზრდებიან. რასაც მოგთხოვენ, მაშინვე უყიდი... ბევრი გიფასებს ამაგს და კაცი გამოდის, ზოგი კი... იოლ ცხოვრებას ეჩვევა და ფუჭდება!

ეს თქვა და გულში ჩაიხედა. უმალ თავისი პირმშოს ბავშვობა მოაგონდა და კანი აეწვა: ისიც ხომ ანებივრებდა შვილს, დედით ობოლია და არ დაიჩაგროსო!.. ვაი, თუ დათვური სამსახური გაუწია!..

კუპეში ბუღალტერის ქალიშვილი ისე შემოფარფატდა, თითქოს ლერწამს არხევს ქარიო. სინათლე გამორთო, კაბა გადაიძრო და თავისუფალ ქვემო საწოლზე გაეხვია ზეწარში.

* * *

ესეც სამმართველო.

ქალაქის შუაგულში, მსგავს სახლთაგან ოდნავ განმარტოებით, ნორჩი ჭადრების ხეივანში ქათქათებს ახლად შეფთქილი ორსართულიანი თეთრი შენობა. ყველა კარი და ფანჯარა ჩაკეტილია. უკვე მეთერთმეტე საათი დაიწყო, იმ სახლის მახლობლად კი არავინ ჭაჭანებს. რაშია საქმე?!. აჰ, დღეს კვირაა, გამოსასვლელი დღეა! ბერიკაცს ეს ახლაღა მოაგონდა და გულჯიბეში იკრა ხელი — წიგნაკში შვილის მისამართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძებნა. „მეტალურგთა პროსპექტი, 13, ბინა 7“. ნეტავი, რომელ მხარესაა მეტალურგთა პროსპექტი? პირდაპირ წავიდეს თუ მარჯვნივ გადაუხვიოს?

კითხვა-კითხვით მეტალურგთა პროსპექტზე გავიდა, აფიშებით აჭრელებულ ფარს ჩაუარა, მანდილოსნებით სავსე სასურსათო მაღაზია უკან ჩამოიტოვა და სამიოდე წუთში შვილის სახლთან ამოჰყო თავი. კიბეს უნდა აჰყოლოდა პირველსავე სადარბაზო შესასვლელში. იქვე იდგა. იდგა და ასფალტს დაჰყურებდა. გეგონებოდათ, ერთბაშად დაიქანცა და ფეხები არ ემორჩილება, ანდა ვერ გადაუწყვეტია, შევიდეს თუ უკანვე გამობრუნდესო. ბოლოს, თავი ასწია, სადარბაზო შესასვლელში შეაბიჯა და კიბის საფეხურებს აჰყვა.

მეშვიდე ბინა მეორე სართულზე აღმოჩნდა. ქიშვარდიმ ზარის ღილაკს საჩვენებელი თითი დააჭირა და მაშინვე უკან დაიხია, თითქოს კარის გაღებისთანავე თავდასხმას მოელოდაო. გული უჩვეულოდ აუჩქროლდა. სუნთქვა გაუხშირდა. თოვლისფერ წვერ-ულვაშში ღიმილი ჩაეღვარა. აი, ახლავე გამოიხედავს მისი ვაჟიშვილი. რამდენი ხანია არ უნახავს! შვილსაც მოენატრებოდა. დაინახავს თუ არა, აღელვებით დაიყვირებს: „მამა! მამიკო!“ და გულში ჩაეფჩხვნება... მაგრამ კარს რომ არავინ არ აღებს?! ალბათ, ჯერ არ ამდგარან. დასვენების დღეა და უთენია რატომ წამოხტებოდნენ?! არც ქიშვარდის ელოდნენ, თორემ სადგურში შეეგებებოდნენ...

ქიშვარდიმ უფრო გაბედულად დარეკა.

...შესაძლოა პირველად რძალმა გამოიხედოს. ქიშვარდის ვერ იცნობს... არა, იმ ბიჭმა სურათები თუ აჩვენა, მიხვდება ვინაც არის, მოკრძალებით მიესალმება, ოთახში სიხარულით შეიპატიჟებს და ქმარს მიახარებს: „თენგიზ! თენგიზ, გენაცვალე! იცი, ვინ გვეწვია? აბა, გამოიხედე!..“ მაგრამ კარს რომ არავინ აღებს?! ხომ არ დახოცილან!

— თქვენ, ბატონო, მმართველი ბინა ბავთ?

ბერიკაცი მობრუნდა.

კიბეზე იდგა პირმოგრძო, შუბლმაღალი, თვალმაყვალა ახალგაზრდა ქალი. ცალი ხელით მოაჯირს ეყრდნობოდა, მეორეთი ხორაგით სავსე საბაზრო კალათა ეკავა. შინაურულად, ძველისძველი ნაცნობივით უღიმოდა. ისედაც ნაცნობს გავდა. ქიშვარდის იგი თითქოს სადღაც უნახავს. ბევრჯერ უნახავს. ოღონდ სად? ვინ არის? ვისი ქალია!.. ფუჭ. ღმერთმა დალახვროს სიბერე, გამოჩურჩუტდები და აღარაფერი გახსოვს!.. ამ ქალმა კი, ალბათ, იცნო. იცნო და ამიტომ წამოწითლდა.

— გეტყობათ, პირველად ჩამობრძანდით, — ისევ ქალმა დაარღვია უხერხული სიჩუმე. — მმართველი... თენგიზი... დიახ, თენგიზი და მისი ოჯახი კვირაობით აქ არ ჩერდებიან. თბილისში აქვთ ბინა... უფრო დიდი ბინა... შაბათ საღამოს მიემგზავრებიან ხოლმე.

— ჰოო? — გაიგრძელა ქიშვარდიმ. „უფრო დიდი ბინა“ კარგად არ ეცინა, ტყვიასავით მოხვდა გულში. — ეგება, ბაბული, მისი იქაური მისამართიც იცით?

— ბინის ნომერი არ ვიცი, მაგრამ სულ ადვილი მისაგნებია,—ქალმა ღრმად ამოისუნთქა და სვენებ-სვენებით განაგრძო, — რუსთველის პროსპექტზე ცხოვრობს, რუსთველის თეატრის პირდაპირ, საყვავილე მაღაზიის თავზე. მისი საპარადო შესასვლელის გვერდით მესაათის სახელოსნოა.

ქიშვარდიმ დიდი მადლობა მოახსენა, გულში კი გაიფიქრა: „ღმერთო, ვინ არის ეს ქალი?.. კაი ოჯახიშვილი ჩანს... სად მინახავს?.. თუ მან მიცნო და მე ვერ ვიცანი, ხომ შევრცხვი!..“

უცებ „უფრო დიდი ბინა“ მოაგონდა და სიმწრის ოფლმა დაასხა. „მართალი ყოფილა ანდაზა, სხვის თვალში ბეწვს ხედავ, შენსაში კი დვირესაც ვერაო... თქვენ, როგორც სპეტაკ კომუნისტს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჟიშვილიდან უნდა დაგეწყოთ... განა მარტო მე მხედავს მთელი ქვეყანა?!.“— ნუთუ სიმართლე წამოსძახა დირექტორ-ყოფილმა!..

* * *

კარებში თავი გამოყო ჩათქვირებულმა ახალგაზრდა ქალმა და იკითხა:

— ვინ გნებავთ?

„ნეტავი, ესაა რძალი?“ — გაიფიქრა ქიშვარდიმ, ინტერესით აათვალიერ-ჩაათვალიერა და პასუხი ოდნავ შეაგვიანა:

— მე თენგიზი მინდა.

— თენგიზ ქიშვარდის-ძე დღეს არავის არ ღებულობს საღამომდე. გაფრთხილებული ვარ.

— მე მთხოვნელი არ გახლავართ! — ქიშვარდიმ პირდაპირ დამხვდურისაკენ გადადგა ნაბიჯი. — თქვენ თვითონ ვინა ხართ?

— შინამოსამსახურე.

— ჰოო? გასაგებია,—ბერიკაცმა გვერდზე გადააყენა იგი და კარგამოხურულ დერეფანში ძლივს გაიგნო გზა.

— იზოლდა ბაგრატის ასულო! იზოლდა ბაგრატის ასულო! — აყვირდა შინამოსამსახურე. — ვიღაც მოხუცი ძალად შემოვიდა სახლში! ამბობს, მთხოვნელი არა ვარო!

შორიდან, თითქოს საფლავიდან, მწყრალად მოისმა ქალის არც თუ სასიამოვნო, ზედმეტად ჩაბოხებული ხმა:

— ვიღაც მოხუციო?! ძალადაო?! ეს როგორ!.. თენგიზ, გესმის? ადექი და გაიხედე!

— აჰა, ის ყოფილა რძალი!.. როგორ უბრძანებს!.. ყოჩაღ, ქალო, თამარ მეფეც კი არ იქნებოდა ასე მკაცრი! — გულნაკლულად წაიჩურჩულა ქიშვარდიმ, წინა ოთახში შედგა ფეხი და გაოცებით მიმოიხედა.

ბევრ კულტურის სახლს, ალბათ, არ ექნებოდა არც იმოდენა მაყურებელთა დარბაზი და არც ისეთი მოსირმულ-მოხატული ფანჯრის ფარდები. ხელმარცხნივ, საცეკვაოდ შემაღლებულ და ხალიჩებით მოფენილ ადგილას თავახდილი როიალი, უახლესი ტელევიზორი და სხვადასხვა მარკის ორი რადიომიმღები ბზინავდა. ხელმარჯვნივ, ფანჯრებშუა სარკიანი დივანი და მინის კარებიანი სერვანტი ლაპლაპებდა. შუაგულში, აულაგებელ გრძელ სუფრაზე ქართული შამპანურის ოცამდე ცარიელი ბოთლი თავწამძვრალი ხელყუმბარებივით ჩამწკრივებულიყო. კედლები ოქროთი მოვარაყებულ შიშველი ქალების სურათებს დაეფარა. კედლების გასწვრივ საზურგულიანი თუ უსაზურგულო სავარძლები და ბევრი ისეთი ნივთი იდგა, ქიშვარდის რომ თავის დღეში არსად ენახა, ჭერზე კი ეკლესიის ქონგურის ოდენა, თაფლის სანთლის მსგავსი ელექტრონათურებიანი და ბროლის მძივებიანი ჭაღი ეკიდა. სუნამოსა და ღვინის სურნელებას კედლებიც გაეჟღინთა... ქიშვარდი ღვიძლი შვილისას კი არა, თითქოს ცივ, მტრულ, საძულველ სამყაროში მოხვდა...

— ამას ვის ვხედავ!.. მამა!.. მეჩვენება, თუ მართლა შენა ხარ?!

უცებ ოთახი გაბზარა აკანკალებულმა ხმამ და ბერიკაცი ბურანიდან გამოარკვია, მაგრამ გული ვერ გაუთბო. ვერც ნაბიჯი მოანაცვლებინა წინ მისკენ გამოქანებული შვილის მისაგებებლად და გულში ჩასაკრავად. გახევებულივით ესო ერთ ადგილზე და ძაგძაგებდა. ძაგძაგებდა და, ახლაც რომ ჰკითხო, ვერ გეტყვის, რატომ ძაგძაგებდა. ეს კია, „იმ ბიჭმა“ ხელი რომ ჩამოართვა და კისერზე ჩამოეკიდა, ბერიკაცმა უპეებში ცრემლის მოწოლა იგრძნო, თვალი დახუჭა და მთვრალივით წაიბარბაცა...

— მაშ, შემირიგდი, მამა, ხომ? ა? ისე, რასაკვირველია, არ მესტუმრებოდი!.. ხომ შემირიგდი?.. ერთი წუთით მოცლა არ მქონდა, თორემ... — წარა-მარა იმეორებდა თენგიზი, თან უკანა კარისაკენ იჭვრიტებოდა, თითქოს გაქცევას აპირებდა. — აი, ჩემი მეუღლეც! — როგორ-

ღაც არაბუნებრივად ხმამაღლა წამოიძახა მან და მამას შავგვრემანი, თეძოებჩამრგვალებული, ვიწრო კაბაში კუპატივით ჩატენილი ქალი წარუდგინა. — მამაჩემია, იზო!.. აი, ხომ ხედავ, ჩვენ სირცხვილი ვჭამეთ, ვერ ვივარგეთ და ვერ ვინახულეთ... მან კი... გვაჯობა და... მოგვიტევა და გვესტუმრა!.. ქალბატონი ირინე რატომ არა ჩანს? უთუოდ არ იცის, ვინ გვეწვია!. ახლავე მივახარებ!.. თუმცა... აი, ისიც!.. გაიცანი, მამაჩემო, ჩემი სიდედრია!

ქიშვარდიმ ელამ, ფერუმარულით სახედამწვარ, ღებვისაგან თმაგახუნებულ ქალს ხელი ჩამოართვა, დერეფნიდან მოყურადებული მოსამსახურისაკენ გაიხედა და უგულოდ გაიხუმრა:

— იმ მანდილოსნის გაცნობა აღარაა საჭირო, კარებთან გავიცანი... მკაცრი საპატიო ყარაული გყოლიათ!

ყველამ გაიცინა. ალბათ, უფრო ის გაუხარდათ, ბერიკაჯმა რომ წარბი ოდნავ მაინც გახსნა და ხმა ამოიღო.

უფროსმა ქალბატონმა შინამოსამსახურეს ანიშნა სუფრა აალაგეო, უმცროსმა ქალბატონმა ქიშვარდის ქუდი ჩამოართვა და სადღაც წაიღო, ვაჟიშვილმა კი მამას შესთავაზა, იქითა ოთახში მოისვენეო.

— არა უშავს რა, არ ვგრძნობ დაღლილობას, — იუარა ქიშვარდიმ, მიმოიხედა და ხმამაღლა დასძინა: — ნამდვილი მუზეუმი მოგიწყვიათ, ა?

— სხვა ოთახებიც დაათვალიერებინე, თენგო! — გამოსძახა ქმარს იზოლდამ. მას, ალბათ, ეგონა, მამამთილს მისი სიმდიდრე მოეწონა. — თუმცა... ჰო, მეც გამოგყვებით!—ჭრაჭა-ჭრუჭით მოირბინა და მამაკაცებს წინ კუნტრუშით წაუძღვა.

ქიშვარდის უნდოდა, ვაჟიშვილისათვის ხეირიანად შეეხედ-შემოეხედა, მაგრამ მხარში ამოდგომის მაგიერ თენგიზი უკან ითრევდა ფეხს, რძალი კი მომართულ ზამბარიან ტიკინასავით ტიტინებდა:

— ამ ოთახში მხოლოდ გერმანული ავეჯია. ოცი თუ ოცდარვა [illegible] კარგად არ მახსოვს... ამ ოთახში [illegible] ლოდ პოლონურია. ყველაზე ადრე ჩვენ შევიძინეთ... ამ ოთახში კი ყველაფერი უნგრულია, ფარდებიდან დაწყებული და ელექტროლამპით გათავებული... იქით დედაჩემის ოთახი და სათავსოებია.

— ესე იგი აქ ხუთი ოთახი გჭერიათ, — ჩაიდუდუნა ქიშვარდიმ. — ვინ მოგცათ ამხელა ბინა? თქვენ ხომ სამი სული ხართ!

— მოცემით მხოლოდ ორი ოთახი მოგვცეს, — ბეჯით მოსწავლესავით წარბშეურხევლად მიუგო იზოლდამ. — ერთი ოთახი... ის რომ მოკვდა... რა ქვია... ჰო, თენგიზის მამიდა რომ მოკვდა, ერთი ოთახი მისი ბინის ხარჯზე შემოვიერთეთ, ორი ოთახი კი დედაჩემმა თავისი ბინის გადაცვლით მოაჭახრაკა. ასე რომ...

— მერედა, ბაბული, სამ სულს რად გინდოდათ ხუთი დარბაზი?

— როგორ თუ რად გვინდა! — არ შეეპუა რძალი. — ერთი სასადილო ოთახია, მეორე მე და თენგიზის საძინებელი ოთახია, მესამე სტუმრის საძინებლად გვაქვს განკუთვნილი. აბა რა, სტუმარს ჩემს გვერდით ხომ ვერ დავიწვენ?! მეოთხე ოთახი თენგიზის სამუშაო კაბინეტია. მეხუთეში კი დედაჩემი გვყავს შესახლებული. ცოტა ვიწროდ კია, მაგრამ...

— თქვენ ეცოდებით და ითმენს, არა? — ჩაუნისკარტა ქიშვარდიმ.

იგი თავისთავს ძლივს ერეოდა, საცა იყო, ცეცხლმოდებული დენთის საწყობივით იფეთქებდა. ამ დედაკაცის ლაქლაქთან ერთად თავგზას უბნევდა დირექტორყოფილი შალვას შხამნარევი სიტყვები: „მართალი ყოფილა ანდაზა, სხვის თვალში ბეწვს ხედავ, შენსაში კი დვირესაც ვერაო...“ რას ერჩი, თურმე მართალი ყოფილა! ვაი სირცხვილო!..

— ...იქ უფრო პატარა ბინა გვაქვს, სამოთახიანი, — თითქოს ენა დაეღალაო,

ზმადაბლა განაგრძობდა რძალი, — მაგრამ იქ მეტი არც გვინდა...

— სად იქ? — ქიშვარდის უნებურად წამოცდა კითხვა.

— სადაც თენგიზი მსახურობს.

— აა, გასაგებია.

— ახლა წყნეთში ვაშენებთ აგარაკს და...

— კმარა! — უცებ ამოიხრიალა ქიშვარდიმ და პოლონურ თუ უნგრულ მაკიდას გამეტებით დაჰკრა მუშტი. — თენგიზ! სადა ვარ, ვისას ვარ მე, ა?

ვაჰ, ეს ბერიკაცი ჭკუაშერეკილი ყოფილა და, ალბათ, ახლა წამოუარაო, ძრწოლვით გაიფიქრა იზოლდამ, უკან დაიხია და კარის ფარდას ამოეფარა. ხმაურზე უფროსი ქალბატონი და შინამოსამსახურეც მოვარდნენ. ისინიც შეშინდნენ, პირჩაშავებულ ბერიკაცს რომ მოჰკრეს თვალი. მხოლოდ თენგიზმა გუმანით იგრძნო, თუ ბუნდოვნად გაუგო, რა სჭირდა, რა სტკიოდა, რა რევდა იმ ბერიკაცს, მამამისს...

— დამშვიდდი, მამა!..

— მა-მა-ო!.. მე და ბურჟუას მამა?! ეს როგორ შეიძლება!

— ახ, რაში ყოფილა საქმე! — იზოლდამ გაბედა და ფარდას მოშორდა. — ჩვენი სიმდიდრე არ მოსწონებია!

— ეს თქვენი სიმდიდრე არ არის, ბაბული, ეს ხალხის სიმდიდრეა, რომელიც თქვენ მოიპარეთ!

— ხი-ხი-ხი! — იზოლდას დედამ დამცინავად ჩაიხითხითა. — უთუოდ, ნუნუ ნახა და იმან გადარია.

— ნუნუო?! ვინ ნუნუ, რა ნუნუ?! თენგიზ, ვინ არის ნუნუ?

თენგიზმა ღრმად ამოისუნთქა და წინ წამოიწია, თითქოს შეტევის მოსაგერიებლად მოემზადაო.

— არის ერთი ქალი... მეზობელი.

— სად? აქ თუ იმ ქალაქში?

— იმ ქალაქში... იმ სახლში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ.

— მერე? გადასარევი რა უნდა ეთქვა?

— ჩემზე განაწყენებული ქალია... ერთხელ, თუ გახსოვს, სურათი გამოგიგზავნე. ერთად გვქონდა გადაღებული...

— დაიცა, დაიცა! — ქიშვარდიმ ჯიბეში იკრა ხელი, საპენსიო წიგნაკში ჩაჩრილი ფოტოსურათი ამოიღო და შვილს თვალწინ მიუტანა. — ეს ხომ არაა?

— სწორედ ესაა!—თენგიზის მზედაუკვრელი სახე წამიერმა ღიმილმა შეაფერადა.

დედა-შვილიც ცნობისმოყვარეობამ ძლია, თენგიზს აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და სურათს ქორული მზერა ესროლეს.

ქიშვარდიმ სურათიანი ხელი უცებ გამოსწია და თვითონ მხოლოდ ახლა დახედა. დახედა და სახტად დარჩა: სურათიდან სწორედ ის ქალი შემოჰყურებდა, ამ დილით რომ უთხრა, შენს შვილს თბილისში უფრო დიდი ბინა აქვსო და მისამართიც მოასწავლა, ოღონდ ახლა უფრო დაქალებული და დანაღვლიანებული გამოიყურებოდა. აი, ვინ ყოფილა! ქიშვარდი კი ფიქრობდა, უთუოდ ნაცნობია, სადღაც ხშირ-ხშირად მინახავსო. იხსენა, იხსენა და ვერ გაიხსენა. თურმე აგერ, ამ სურათზე უნახავს!..

— ახლა ნათელია, ჩვენზე რადა ხართ გულაყრილი... ალბათ, ბავშვის სურათიც გექნებათ! — ჩაფიქრებულ ბერიკაცს გულბოროტად წაუსისინა რძალმა.

— რაო, რაო, რა თქვი? — პირში ეცა ქიშვარდი. — რომელი ბავშვი? ვისი ბავშვი?

თენგიზი უხერხულად აიწურა.

— იზო!..

— თუ კაცი ხარ, ხმას დაუწიე! — იზოლდამ ქმარს შეუღრინა. — შენი მიგდებული ხომ არ გგონივარ, რომ მიყვირი!.. ერთი ამას დამიხედეთ!

უჰ, რა როკაპი ყოფილაო, გაიფიქრა ქიშვარდიმ. ღვთის წყალობასაც არ კადრულობს! ქმარი, ალბათ, მუჭში ჰყავს გამომწყვდეული და თავის დუდუკზე აცეკვებს!.. მისი სიკეთე ზედ კანჭებზე ეტყობა!.. მაგრამ თენგიზს რა ეშმაკი შეუჯდა, რამ დაუვსო თვალი, რამ მო-

აწონა ეს შეღებილი ქაჯი, ამას როგორ ანაცვალა ის ღვთისნიერი ქალი!.. მერე კიდევ ბავშვი?! უთუოდ იმ ქალთან ჰყავს შვილი!.. ხედავთ? ქიშვარდი ბედნიერი კაცი ყოფილა, პაპა გამხდარა, თვითონ კი ჭურში მჯდარა, არაფერი იცოდა!.. კაცმა რომ თქვას, არც თვითონაა მთლად მართალი! სიჯიუტეში რას ეჯიბრებოდა, ჩამოსულიყო, შეემოწმებინა და დროზე აეწია ყური! აეწია კი არა, აეგლიჯა!.. ახლა რა ქნას, რა გზას დაადგეს, რა კედელს ახეთქოს თავი? სირცხვილს გაუძლოს თუ სიკვდილს?!. სხვის შვილებს სისპეტაკეზე ლექციებს უკითხავს, მისი შვილი კი თურმე მთლად წუმპეში ჩაფლულა!.. ჰოდა, სხვა რაღა დარჩენია, უნდა ამოათრიოს, გარეცხოს, გახეხოს, ბინძური კანი შეაცალოს!..

— თენგიზ, შენთან საქმე მაქვს!

თენგიზმა მხრები აიჩეჩა.

— საუზმე მზად არის! — წინა ოთახიდან შემოიძახა შინამოსამსახურემ.

კაცს არ გაუგია, როდის გაიძურწა იგი ამ „პოლონური“ თუ „უნგრული“ ოთახიდან.

— მე ერთ ლუკმასაც ვერ გადავყლაპავ, ნასაუზმევი ვარ, — იცრუა ქიშვარდიმ.

— მაშინ არც მე მინდა, — თენგიზმა სირმებშერეულ გრუზა თმებზე ხელი გადაისვა, მამა წინ გაატარა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვა, მოზრდილი ოთახის კარი გამოაღო და სტუმარს შიგ შეუძღვა.

ამ ოთახში საწოლი ან სუფრა არ იდგა, თორემ მორთულობით არც ეს ჩამოუვარდებოდა დანარჩენ „სამუზეუმო დარბაზებს“.

მამა-შვილი პრიალა საწერი მაგიდის წინ, ხავერდგადაფარებულ სავარძლებში ჩასხდნენ.

— ეს შენი სამუშაო კაბინეტია?

— ჰო.

— მერედა, რას მუშაობ აქ, წიგნებს წერ?

თენგიზმა გაიღიმა.

— შენი ცოლი მსახურობს?

— არა.

— სიდედრი?

— არც ის.

— აბა, რად გინდა შინამოსამსახურე?

— ახლანდელი ქალების ამბავი ხომ იცი...

— ქალების ამბავი ვიცი, მარა მე შენი მაინტერესებს... მამაჩემის შვილიშვილს და ჩემს შვილს მოსამსახურე, მოჯამაგირე უნდა ჰყავდეს?!

— ეს ხომ ძველად რომ იყო, ისე არაა...

— ძველად რომ იყო, შენზე უფრო კარგად ვიცი. შენ წიგნებში ამოგიკითხავს, მე კი...

უცებ ჭრაჭუნი სულ ახლოდან მოისმა და ღია კართან შეწყდა. რძალმა, ალბათ, ვერ მოითმინა და მოაყურადა. დედამისიც, ცხადია, გვერდით აეტუზებოდა. დაე, უსმინონ, ქიშვარდის სამალავი არაფერი აქვს!

— შენს პროფესიას რატომ უღალატე, სამმართველოში რა გინდოდა? — ბერიკაცმა დაკითხვა განაგრძო.

— ასე მოეწყო.

— თბილ ადგილას მოკალათება ამჯობინე, ხომ? გასაგებია. ხელფასს რას გაძლევენ?

— ორას ოთხმოცს. ახალი ფულით.

— კაი ხელფასია, მარა... ხელფასით ასეთ მუზეუმს მაინც ვერ მოაწყობდი. მართალია?

თენგიზს პასუხი შეუგვიანდა.

— ერთ ქალაქში ხუთოთახიანი ბინა გიკავია, მეორეში სამოთახიანი, წყნეთში აგარაკის გამართვას აპირებ... რა სახსრებით, ბიჭო?

თენგიზმა თავი ჩაჰკიდა და ხელების ფშვნეტა დაიწყო.

— ჯერ საშველი არ დაგადგა და, სანამ ოცდაჩვიდმეტის არ შეიქენი, ოჯახს არ მოეკიდე. მერე საცოლესათვის ზურგი გიჩვენებია და ღვიძლი შვილი ბედის ანაბარა მიგიგდია... მამა როგორღა გაგახსენდებოდა?! კაცი სულს ვლაფავდი და ერთი ნახვის ღირსად არ ჩამაგდე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გადაგაგვარა, ვინ გადაგაგვარა, ვის დაემსგავსე, ბიჭო!

ეს უკვე კითხვებს აღარ გავდა.

ბერიკაცი ველარ მაგრდებოდა სავარძელში. ხელების ქნევა დაიწყო. ხმას აუწია.

— რა არ მინახავს, რა არ მომსწრია, რა არ გადამხდომია, მარა ამას როგორ წარმოვიდგენდი, ერთადერთი ვაჟიშვილი სიბერეში შემარცხვენს, ყელს გამოგჭრის, თავლაფს დამასხამს, ქვეყნის სასაცილოდ დამაგდებს-მეთქი!

— მე... მე შეგარცხვინე? — ენის ბორძიკით ძლივს ამოილაპარაკა თენგიზმა.

— დიახ, შენ! — ქიშვარდი ბერიკაცისათვის შეუფერებელი სიმარდით წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და პაპიროსს ხელის კანკალით მოუკიდა. — აბა, შენ რომ სინდის-ნამუსიდან არ გარეცხილიყავი და ჩემთვის ჩრდილი არ მოგეყენებინა, ვინ გამიბედავდა უბატონოდ ხმის გაცემას! ახლა კი თითით საჩვენებელი გავხდი — ეს ბერიკაცი სხვის თვალში ბეწვს ხედავს, თავისაში კი დვირესაც ვერაო. ყველა წამგლეჯისა და კომბინატორის სასტიკად დასჯას რომ მოითხოვს, რატომ თავისი ვაჟიშვილიდან არ დაიწყოო!

— ვაჟიშვილიდანო?!—თენგიზიც წამოდგა, თუმცა წელში ხეირიანად ვერ გასწორდა. — მერედა, ვინ დაამტკიცებს, რომ მე წამგლეჯი ან კომბინატორი ვარ?

— ქვეყანა!

— როგორ, საიდან?!

— აქედან, აი ამ შენი მუზეუმიდან, შენი ფუქსავატური ცხოვრებიდან!.. რავა, შენ რომ თანამდებობას ბოროტად არ იყენებდე, დეფიციტურ მასალებს გვერდზე არ უშვებდე და ქრთამებს არ იჯიბავდე, ასე არხეინად რა სასწაულით წამოიჭიმებოდი მაგ დასაწვავ სავარძლებში! როგორ ფიქრობ, ქვეყანა ჩალითაა დახურული?! მუდამ წაგიყრუებენ და გაპატიებენ?! ავკაცობამ და სიხარბემ ვის დააყარა კარგი დღე, რომ შენ დაგაყაროს?! ჭკუის ნატამალიც როგორ ვერ გამოიჩინე, ბიჭო?! ან თავი რას ერჩოდი, ან მე რას მერჩოდი, მარის პირას მისული ბერიკაცი რომ გამთათხე და გამომათაყვანე! ასე დამიფასე ამაგი?! ასე სცემ პატივს საწყალი დედაშენის ხსოვნას?!

თენგიზს მიტკლის ფერი მოეფინა სახეზე. „ნუ ყვირი, მამა, სირცხვილია, მეზობლები გაიგონებენ!“ — ეს სიტყვები გულმა ამოსძახა და წარმოსათქმელად პირზე მოადგა, მაგრამ ხმის ამოღება ვერ მოახერხა, თითქოს ენა ჩაუვარდაო. ეს მოწიფული კაცი, ბრგე ვაჟკაცი ერთბაშად მოიხარა და დაჩიავდა, მოითენთა და მოტყდა. შედავების თავი სადღა ჰქონდა! ქვით სავსე ტომარასავით დაეცა სავარძელზე და თვალზე ხელი მიიფარა.

— უი, ქა, რა მოყვასი მამა ჰყოლია! — მეორე ოთახში ხელი ხელს შემოჰკრა თენგიზის სიდედრმა.

მისმა ქალიშვილმა კი კარი შემოაღო და ბერიკაცს მოურიდებლად მიახალა:

— ბარემ სილა გააწანით! თქვენს ვაჟიშვილს თქვენგან ხომ გალახვის მეტი აღარაფერი აკლია!

ქიშვარდიმ უკანასკნელი ნაფაზი დაკრა, ნამწვი საფერფლეში ჩააგდო და რძლისაკენ არ მიუხედავს, ისე ჩაილაპარაკა:

— ეეხ, ნეტავი გალახვა კმაროდეს... მას უფრო მძიმე სასჯელი მოელის!

თენგიზი ერთი შეირხა, მაგრამ თვალზე ხელი არ მოუშორებია, იზოლდა კი, ვითომ მას თანაუგრძნოო, გამოექომაგა:

— მერედა, ღვთის გულისთვის, ერთი მიბრძანეთ, რატომ, რისთვის? იმისათვის, რომ მათხოვარივით არ ცხოვრობს? იმისათვის, რომ ავეჯი შეიძინა და იატაკზე არ წვება? იმისათვის, რომ გადანაბრუნები და დაშტოფილი შარვალი არ აცვია? ა?.. ღვთისგულისთვის მითხარით!.. კომუნიზმში შევდივართ და ცხოვრების შნო არ უნდა გვქონდეს?!

ქიშვარდიმ გაკაპასებულ ქალს რე-

ვოლვერივით დაუმიზნა საჩვენებელი თითი.

— თქვენ და თქვენისთანები ვერასოდეს ვერ შევლენ კომუნიზმში... საბედნიეროდ, თქვენ გამონაკლისი ხართ, თორემ თქვენისთანები რომ გამრავლდნენ და ქვეყანას მოედონ, მაშინ კომუნიზმს ავაშენებთ კი არა... თქვენ ნივთებისა და ჭინჭის მონა გამხდარხართ, ძვალ-რბილში გაგჯდომიათ კერძომესაკუთრული, ბურჟუაზიული სენი, გახრჩობთ გამდიდრების წყურვილი, ისიც ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზე! პატიოსან შრომას გაურბიხართ, იგი სათაკილოდ მიგაჩნიათ, ქურდობასა და წამგლეჯობას კი არ თაკილობთ!..

— როგორ, ჩვენ ქურდები და წამგლეჯები ვართ?! — რძალმა ამრეზით აიბზიკა ტუჩები. — მართალი გითხრათ, არ მოველოდი მამამთილისაგან ეგეთ...

— არც მე მოველოდი... — ხელის აქნევით შეაწყვეტინა ქიშვარდიმ, — არც მე მოველოდი შვილისაგან ასეთ მეშჩანურ ჭაობში ჩავარდნას, შერცხვენასა და გაფუჭებას... არ მოველოდი, მაგრამ ვაი, რომ მოვტყუვდი, მწარედ მოვტყუვდი!.. ახია ჩემზე, ვერ მივხედე, ხელი მივაკელი... მაგრამ ნათქვამია, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო... დიახ, მე უკვე ვიცი, რა უნდა ვიღონო... თქვენ კი,— ქიშვარდიმ თავჩაქინდრულ ვაჟიშვილს გადახედა, — გახსოვდეთ: სანამდე პატიოსან ხალხში არ ჩადგებით, მანამდე ქიშვარდი ლომაძეს არც შვილი ჰყავს, არც რძალი ჰყავს და არც მისი სახელი ახსენოთ სადმე! — და გრძელი ჯარისკაცული ნაბიჯებით გასწია წინა კარისაკენ.

* * *

ზარი აწკრიალდა თუ არა, ელექტროუთო გამორთო, გულისპირი შეიბნია, კართან მიირბინა, სწრაფად გაღო, გაიხედა და... სწორედ ის ბერიკაცი დაინახა, დღეს რომ ძლივს გაიხსენა, ვინ უნდა იყოს, სად მინახავსო. მოულოდნელობისაგან კრიჭა შეეკრა: ვერც ის ჰკითხა, ვინ გნებავთო, ვერც ის მოახერხა, რომ ეთქვა, მობრძანდითო. დატუქსული ბავშვივით დახარა თავი და ცალი ხელი აბორგებულ მკერდზე მიიდო.

— დღე მშვიდობისა, ბაბული! — ბერიკაცმა პირველმა ამოიღო ხმა. — თქვენ ხომ ნუნუ ბრძანდებით?

— დიახ!

— კეთილაძე, არა?

— დიახ. თქვენ...

— სტუმრად არ მიმიღებთ?

— დიდი სიამოვნებით! მობრძანდით! ბერიკაცი შეჰყვა.

— აი აქ დაბრძანდით! — ნუნუმ სკამი ღია ფანჯარასთან დაუდგა. — აქ უფრო გრილა. დაბრძანდით! — და სხვა სკამებზე გადაფენილი კაბების აკრეფა დაიწყო.

ბერიკაცმა გმადლობთო, მიაგება და ღია ფანჯრისაკენ ორი ნაბიჯი წაინაცვლა, მაგრამ არ დამჯდარა, კისერწაგრძელებული ვიღაცას თუ რაღაცას თვალით დაეძებდა. ბოლოს იკითხა:

— ბავშვი სად არის, ბაბული?

ნუნუს კაბები მეორე ოთახში გაჰქონდა. კითხვა კარებში დაეწია.

— ბავშვი... ბავშვი...

შვილს თითქოს სტაცებენო, ნუნუს პასუხის გაცემა გაუჭირდა. წუთით დუმდა. მერე უცებ იბრუნა პირი და შეშინებულმა მოიხედა. მოიხედა და ახლაღა შეამჩნია: ბერიკაცს იღლიაში ვეებერთელა ხავერდის დათვი ამოეჩარა, ხელთ კი ცისფერ ბანტებშემონასკვული ლამაზი კოლოფები ეკავა... საჩუქრები!.. დედის გული ერთ წამში მოლბა.

— ბავშვს ძინავს, ბატონო, — ნუნუმ გამოცვლილი, თრთოლვანარევი ხმით მიუგო, თან მაჯის საათზე დაიხედა. — მაგრამ სულ მალე გაიღვიძებს. — კაბები მეორე ოთახში შეინახა, გამობრუნდა, ბერიკაცს ღიმილი მიაშუქა, საჩუქრები ჩამოართვა და იქვე, სასადილო მაგიდაზე, წყლით სავსე სურის გვერდით დაალაგა. — რატომ შეწუხდით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეეხ, შეწუხდითო!.. — ბერიკაცმა ხელი ჩაიქნია. — შეწუხება ის მითხარი, ჩემმა ვაჟკაცმა რომ მაგემა!.. — ქუდი დივანზე დაადგა, სკამზე მძიმედ დაეშვა და ახლა მოაგონდა, რომ დიასახლისისათვის ვინაობა არ გაუმხელია. — მართლა, ბაბული, თქვენ იცით, ვინ ვარ მე?

ნუნუმ სარჭი თავისი ბროლისფერი თითის კვრით ჩამალა კვინიხზე ატანილ და სქლად დახვეულ გიშრისფერ თმებში, დივანის კიდეზე ჩამოჯდა, მწიფე მაყვალივით შავი თვალები ბერიკაცის თეთრ ნიკაპზე შეაჩერა და მთელი სახით გაუღიმა.

— ვიცი... ახლა ვიცი, ვინ ბრძანდებით. დღეს კი ბევრი ვიწვალე და ვინერვიულე, სანამ მოვიგონებდი, სად მყავდით ნახული... მე ხომ ამ დილით ქვემოთ, მეორე სართულზე შემთხვევით გადაგეყარეთ! როგორც კი მოიხედეთ, მაშინვე მიგამსგავსეთ ვიღაც ნაცნობს...

— ჩემსავით მოგსვლია, ბაბული!

— თქვენსავით?! — ეოცა ნუნუს. — თქვენ ხომ არასოდეს და არსად არ გინახივართ!

— ა, თუ არ მინახიხართ! — ქიშვარდიმ გულჯიბიდან ფოტოსურათი ამოიღო და კალთაში ჩაუგდო.

— უიმე, როდინდელი სურათი!.. ის გამოგიგზავნიდათ! — ნუნუს ლოყები შეუფაკლდა. — ეს სურათი რომ გადავიღეთ, თქვენ სწორედ იმ ხანებში შეგხვდით... არა, კი არ შეგხვდით, შორიდან დამანახეს თქვენი თავი... იქ, თქვენი დის, გაიანეს დაკრძალვის დღეს... თენგიზმა მთხოვა, წამოდი, გაიცანი მამაჩემიო, მაგრამ მე მომერიდა, შემრცხვა... ჰოდა, აი, დღეს ძლივს გავიხსენე, სად შეგხვდით! — სურათი გვერდზე გადადო და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით ჰკითხა, — ჯიბეში მაინც რაღად გიდევთ ეს... ეს სურათი?

— წუხელ, გამომგზავრების წინ, იმ ბიჭის წერილებს ვათვალიერებდი, ბაბული. ამ სურათსაც წავაწყდი და ისე, სხვათა შორის, მექანიკურად ჩავიდე ჯიბეში... დღეს კი, ხომ ხედავ, გამოგიგზავნ— შენი სახე გამახსენა.

— ჩემი სახე... მე რა... — ნუნუმ თავი მორცხვად დახარა. — მართალი გითხრათ, სრულებით არ ველოდი, თუ შემოივლიდით... მე ხომ...

— მე მარტო სანახავად და თვალის შესავლებად არ შემომივლია, ბაბული! — ჩამოუმარცვლა ბერიკაცმა. — სერიოზულად უნდა მოგელაპარაკო. ჰოდა...

მოხუცმა ასანთს გაჰკრა და შუამდე ჩამწვარ პაპიროსს ფრთხილად მოუკიდა, წვერ-ულვაში რომ არ შერუჯოდა. მერე თოვლდაპენტილი თავი ამაყად ასწია, სმენადქცეულ დიასახლისს თვალი თვალში გაუყარა და ის იყო, უნდა ამოელაგებინა, გულში რაც ედო, რომ უცებ მეორე ოთახიდან მტრედის ღუღუნივით მოისმა:

— დე-და!.. დე-დი-კო!..

ნუნუ ზე წამოიჭრა, ბოდიშით, ნიავის გაშრიალებასავით ჩაიჩურჩულა და მეორე ოთახში შეფრინდა.

ღიმილით სახეგანათებული ბერიკაცი თვალს არ აშორებდა ღია კარს, საიდანაც ნუნუს მკერდზე ახუტებული შვილი უნდა გამოეყვანა, მაგრამ, როგორც ჩანდა, წინდისა თუ შარვლის ძებნაში დედას პირმშო გამოქცეოდა და წინა ოთახში მარტო შემობაჯბაჯდა. ფუნჩულა ფეხების ბაკუნით შემობაჯბაჯდა, თეთრწვერა უცნობი ბერიკაცი დაინახა, მოშორებით შედგა და გაკვირვებისაგან საჩვენებელი თითი ყაყაჩოსფერ ბაგესთან მიიდო.

— ბაბული! — გულის სიღრმიდან ჟრუანტელის მომგვრელად ამოიჩურჩულა ბერიკაცმა. — ბაბული! — ხელები გაშალა და შვილიშვილისაკენ ნელა, ფეხაკრეფით გაიწია, რომ ბავშვი არ დაეფრთხო. — ბაბული!.. ჩემო ბაბული!..

ბავშვმა მაინც დააპირა გაქცევა, მაგრამ შვილიშვილის გულის მოსაგებად ქიშვარდიმ ეშმაკური ხერხი მოიშველია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, შეხედე, რანაირი საჩუქრები მოგიტანე, ბაბული! რამხელა დათვი, ნამდვილი დათვი! როგორ უბრწყინავს მაგ მსუნაგს თვალები!.. არ უკინო, შე წუწკო, ბაღანას!.. მოდი, ბაბული, შეხედე! — ორივე ხელი მოჰხვია, გულში ჩაიკრა და თავი, შუბლი, ყელი, ფაფუკი ხელები დაუკოცნა, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბუტბუტებდა, — ბაბული, ჩემო ბაბული!.. როგორ გავს იმ ბიჭს! სულ ასეთი იყო პატარაობისას! ასე მსუქანი, ასე ფაფუკი, ასე თეთრი!.. ასეთივე ხუჭუჭი შავი ქოჩორი, ასეთივე, ფართო, მჯიღისხელა თვალები, ასეთივე ჩაკუჭული ნიკაპი ჰქონდა!.. თითქოს ერთი ვაშლის ორი ნაჭერიაო!.. ბაბული, ჩემო ბაბული!.. ამას რას მოვესწარი, აწი გინდ მოვკვდე, არ მენაღვლება, ჩემი ხანი შენ შეგემატოს!..

ნუნუ კარის ზღურბლზე გახევებულიყო. შვილის ტანსაცმელ-ფეხსაცმელი გულზე მიეხუტებინა. მოჰკრა თუ არა თვალი, ეს თითქმის ასი წლის ბერიკაცი ბავშვს, მის ბავშვს როგორ იძვრენდა სულში, ნუნუს მთელ სხეულში უჩვეულო ალმური შემოენთო, გული აუჩუყდა და ცრემლი მოერია. „თენგიზ, თენგიზ, სირცხვილი შენი!—აფორიაქებულ ქალს ვერ გაერკვია, ასე თვითონ ფიქრობდა, თუ სხვა ჩასძახოდა ყურში. — რა კეთილი და მოსიყვარულე მამა გყოლია, შენ კი...“

— ბაბული, ჩემო ბაბული! — როგორც იქნა, ქიშვარდიმ ბავშვი მაგიდაზე დასვა და დათვთან მიუშვა. — აბა, თუ მეტყვი, რა გქვია შენ? ა?

— ბა-ბუ-ლი! — ენამოჩლექით, ტკბილად გაიმეორა ბავშვმა, დათვი ორ ფეხზე წამოაყენა, შორიდან შეხედა და გადაიტკარცალა.

დედამისს უნებლიეთ გაეცინა.

ქიშვარდის ახლოლა მოაგონდა დიასახლისი. მიუხედა და ღიმილით უთხრა:

— ამ ბინაში დიდი ხანია ცხოვრობ, ბაბული?

ნუნუმ ბავშვი იატაკზე დასვა, დათვიც გვერდით დაუგორა და ბერიკაცს მერე უპასუხა:

— რაც მოვლოგინდი, დამ სამშობიარო სახლიდან აქ წამომიყვანა. ეს ბინა მისია, ჩემი უფროსი დისა.

— ჰოო?

— ჩემი და ინჟინერ-ქიმიკოსია. დიდი ხანია აქ მუშაობს. რომ გათხოვდა, უმაღლესი მერე დაამთავრა, ქმარმა ასწავლა. ქმარიც ინჟინერ-ქიმიკოსი ჰყავდა... ომში დაიღუპა... ომიდან არც შამაჩემი დაბრუნებულა...

— მდაა... მაშ, მამა არა გყავს...

— აღარც დედა მყავს, ამ ათი წლის წინათ გარდაიცვალა... მერე არც ჩავსულვარ ჩემს სოფელში, ქვემო იმერეთში... თუმცა არც მეცალა, ხან ერთ მშენებლობაზე ვმუშაობდი, ხან მეორეზე...

— ესე იგი ინჟინერ-მშენებელი ხარ, ბაბული?

— დიახ.

— ახლა რას აპირებ?

— აღარ ვიცი. აქ ერთი დიდი ობიექტის მშენებლობა უკვე დავამთავრეთ. მალე, ალბათ, სადმე გამგზავნიან. მე, საერთოდ, მომთაბარესავით ვარ. ამას კიდევაც შევეჩვიე, მაგრამ და არ მანებებს. ახლა კიდევ — ბავშვი!.. აღარ ვიცი, რა ვქნა!..

— მე კი ვიცი! — უცებ მოჭრა ბერიკაცმა.

ნუნუმ უკან დაიხია. ვერ გაიგებდით, გაუკვირდა თუ შეეშინდა.

— დიახ, ბაბული, ვიცი! — თავის კანტურით გაუმეორა ქიშვარდიმ. — ეს აქამდე უნდა მექნა, მარა არაფერი არ ვიცოდი და რაღაი!.. ახლა კი... როდის მოვა შინ შენი და?

— ჩემი და?.. მალე... ასე, ერთ საათში.

— ჰოდა, ძალიან კარგი. დავუცდი. დეე, იგიც იყოს საქმის კურსში... ამაღამ, სულ ერთია, მაინც ვერ მოვასწრებთ გამგზავრებას. ხვალ დილას კი თვითმფრინავში და, ჰაიდა!.. გასაგებია?.. დროა შეუდგე ბარგი-ბარხანის მოხაზირებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერი მესმის, ბატონო, — შეჰკადრა გაოცებულმა ნუნუმ. — რის გამგზავრება, რა ბარგი... ხუმრობთ, თუ...

— არა, ბაბული, არ ვხუმრობ! არც არასოდეს ჩემი სიტყვა უკან არ წამოღია! — ქიშვარდიმ ღია ფანჯრიდან გარეთ გადაიხედა და ისე განაგრძო: — მე შენ გთვლი რძლად და გადავწყვიტე რძალიც და შვილიშვილიც ჩემთან წაგიყვანოთ!.. სანამ სული მიდგას, ბავშვის აღზრდაშიც დაგეხმარები... აბა, როგორ, ჩემი შვილიშვილი რატომ უნდა იზრდებოდეს მარტო დედის ხელში!..

ბერიკაცს კიდევ სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სლუკუნი ჩაესმა და უცებ ფანჯარა ხედა.

ნუნუ დივანზე ჩამხობილიყო და გულამოსკვნით ქვითინებდა, აპოპრილი პატარა თენგიზი კი დედასთან დათვიანად აცოცებას ლამობდა, თან ახალდაფრთიანებული მერცხლის ბარტყივით ყღურტულებდა. თითქოს თეთრწვერა ბერიკაცს დასახმარებლად უხმობსო:

— ბაბული... ბაბული... ბაბული...

* * *

— უი, ქა, თავი სიზმარში მგონია, — ოთახის კართან წაიჯუჯღურა თენგიზის სიდედრმა. — ის ბერიკაცი კაცი იყო თუ მოჩვენება? ან რა დავუშავეთ, რომ დედის გინების გარდა არაფერი მიგვაკლო!

— შენს სიძესაც შეუძლია დაიკვეხნოს ვაჟკაცი ვარო! — ბანი მისცა ქალიშვილმა. — შიშისაგან კრიჭა ისე შეეკრა, ვითომ სამართალში იყოს მიცემული და დახვრეტის მუხლი ჰქონდეს წაყენებული!

— იზოლდა!.. კმარა!.. — მუდარასავით აღმოხდა თენგიზს. იგი ისევ თავჩაქინდრული იჯდა სავარძელში.

— ვაჰ, ამანაც არ აუწია ხმას?! — გაანჩხლდა იზოლდა. — კმარაო!.. მაინც რა კმარა, ყმაწვილო, ა?.. მამაშენს სიღატაკეში გაუტარებია თავისი დღეები, კულტურული ცხოვრების გემო არ უნახავს და დღეს აგერ, კულტურულად მოწყობილ ბინაში რომ ამოყო თავი, გაუკვირდა და ბურჟუებს დაგვადარა! ის კი არ იცის, მე რომ არ გაგყოლოდი და მარიფათი არ გამომეჩინა, შენაც ერთი ან ორი საქათმის ოდენა ოთახი გექნებოდა, ერთი სუფრა, ერთი რკინის საწოლი და ორი ტაბურეტი გედგმებოდა... თუმცა მამაშენის შვილი არც არის მეტის ღირსი!..

თენგიზი უცებ წამოხტა, პიჯაკი გადაიცვა და გარეთ გავარდა.

კიბეზე რომ ჩარბოდა, შინამოსამსახურეს კინალამ დაეჯახა.

— წავიდა? — ჰკითხა თენგიზმა.

— დიახ.

— საით წავიდა?

— ზევით გაჰყვა პროსპექტს.

თენგიზიც ზევით გაჰყვა პროსპექტს. თითქმის მირბოდა. აქეთ-იქით გაფაციცებით იხედებოდა. გამვლელ-გამომვლელთ გაღმა მხარეზეც ზვერავდა. მაღაზიებშიც შეიჭვრიტა, მაგრამ, მიწამ პირი უყო თუ ცამ ჩაყლაპა, მამამისი ვერსად დალანდა. მერე მოყვა და ყველა სასტუმრო ჩამოიარა. გლეხთა სახლშიც კი მოიკითხა, მაგრამ ამაოდ. სად წავიდოდა?! ეგებ გული მოულბა და უკან, შვილის ბინაში დაბრუნდა!..

თენგიზმა ტაქსის შოფერს ცისფერი „ვოლგა“ თავისი სახლის წინ შეაჩერებინა და შინ აირბინა.

— ხომ არ დაბრუნებულა? — კარებშივე ჰკითხა შინამოსამსახურეს.

— არა, თენგიზ ქიშვარდის-ძევ, არ დაბრუნებულა, — ნაღვლიანად, თანაგრძნობის კილოთი მიუგო ქალმა და გზა უტია.

— ვაჰ, მარტო დაბრუნდი? — ცოლი გამკილავი ღიმილით შემოხვდა. — დაედევნე, ეხვეწე და არ გამოგყვა?!. მამა მყავსო, შენ გეთქმის!

თენგიზმა ზედაც არ შეხედა. არც ხმა გასცა. სამუშაო ოთახში შევიდა. კარი მიიხურა, პიჯაკი გაიხადა და სავარძლის საზურგულზე გადაადო, თვითონ კი დი-

ვანზე წამოწვა. წამოწვა კი არა, მიეგდო. მიეგდო და თვალები დახუჭა.

„ჭკუის ნატამალიც როგორ ვერ გამოიჩინე, ბიჭო! ან თავს რას ერჩოდი, ან მე რას მერჩოდი...“ — გულმოშხამული მამის სიტყვები თითქოს ვიღაც უხილავმა ჩასწივლა ყურში. მკაცრად, დაუნდობლად, გამეტებით ჩასწივლა, განვლილ გზაზე მოახედა და ბაგე მოაკვნეტინა.

როგორ ნელ-ნელა და შეუმჩნევლად, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ და ღრმა-ღრმად გადაშვებულა ჭაობში!

მართლაცდა, სად ჰქონდა თვალი. სად ჰქონდა ყური, სად ჰქონდა ჭკუა!

რამ გადარია, რამ?!

ანდა მერე რატომ ვერ მოვიდა გონს?! მართალია, პირველად, ორჯერ თუ სამჯერ, ვიდრე სიდედრის მფარველ იმ „დიდ კაცს“ მოხსნიდნენ, მისი თხოვნითა და რჩევით გასცა დეფიციტური მასალები, მაგრამ მაშინ ხომ წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ ეს ოინი ცოლმა და სიდედრმა მოუწყვეს! მეოთხეჯერ, მეხუთეჯერ, მეასეჯერ როგორ გადაიბირეს?! რატომ მიჰყვა?! ცოლის ისტერიკას ვერ გაუძლო, თუ ცოლისა და სიდედრის ერთობლივი მუქარისა შეეშინდა— ამჯერადაც დაგვეთანხმე, თორემ ყველა ძველ ცოდვას ერთბაშად გამოგიაშკარავებთ და მშრალზე დაგსვამთო!.. მაინც ხომ „მშრალზე“ აღმოჩნდა... სახელიც გაიფუჭა, მამასაც ჩრდილი მიაყენა, წინ კიდევ, ვინ იცის, რა მოელის!..

თენგიზმა საათს დახედა.

დღე შეუმჩნევლად გაპარულიყო.

მალე თბილისი-ბათუმის მატარებელი გავიდოდა.

ეგებ იმ მატარებლით მიდიოდა მამამისი!..

თენგიზმა პიჯაკი ჩაიცვა და ქუჩაში ჩაირბინა.

ტროტუარის კიდეზე დადგა და მანქანას დაელოდა. მალე ტაქსიც გამოჩნდა.

ელვის სისწრაფით გარბოდნენ ლამპიონები, სვეტები, აბრეშუკვიალებული ვიტრინები, შემხვედრი მანქანები, მოსეირნე წყვილები, ხიდის მოჯირეთ ფერადხალათიანი ნაყინის გამყიდველები, ანდა ვიტრინები...

აი, მოედანი და ეკოგზალიც.

თენგიზი პირდაპირ პერონზე გაიჭრა, უკანასკნელი ვაგონის საფეხურზე ახტა და ყველა კუპე ბეჯითი რევიზორივით ჩამოიარა, მაგრამ ამაოდ.

მატარებელი დაიძრა.

ნეტავი, თენგიზმა ვერ ნახა, თუ არ წასულა ის ბერიკაცი?!

თუ გაემგზავრა, მოგჭამა ჭირი, შვილის სამდურავს სამარეში ჩაიტანს!

— ო, თენგიზს გაუმარჯოს! — წითურმა, მაღალმა კაცმა მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი. — რას შვრები, როგორა ხარ?

სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი იყო. თენგიზი მას ხშირად ხვდებოდა ქუჩაში. იცოდა, რომ რომელიღაც სამინისტროში მსახურობდა, მაგრამ მისი არც სახელი ახსოვდა და არც გვარი.

— გმადლობთ, — ზანტად უპასუხა თენგიზმა.

— მოწყენილს გავხარ, ძმობილო! მაგ ავადმყოფობის წამალი კი მე ვიცი! აგერ ახლოს რესტორანია. მზარეულიც ნაცნობია, ღვინოც ისეთი აქვთ... ჩაციებული. უჰ!..

— დიდი მადლობა, მაგრამ...

— ეე, მაგეები არ იყოს!

ეტყობოდა, ღვინო სწყუროდა და თანამესუფრეს ეძებდა. თენგიზმაც გაიფიქრა, ჯანი გავარდეს, წავყვები და დავლევ, გუნება წამხდარი მაქვს და ეგებ ცოტათი გამომიკეთდესო. ბევრი აღარ გაუპატიჟნია, რესტორანში მორჩილად შეჰყვა.

გვიანობამდე სვეს.

თენგიზს მეორე დღეს არც კი ახსოვდა, როგორ მივიდა შინ, ვინ გაუღო კარი, ვინ გახადა ტანზე და ფეხზე. შუადღემდე ძილს ვერ გაართვა თავი. მერე შინამოსამსახურემ გააღვიძა:

— თენგიზ ქიშვარდის-ძევ! თენგიზ

ქიშვარდის-ძევ! სამმართველოდან, თქვენი სამსახურიდან დაგეძებენ! — ყურში ჩასძახა ქალმა.

— ა? რაო? რა გვინდაო? — გონს ძლივს მოეგო ნამთვრალევი.

— ათჯერ მაინც დაგირეკეს. პარტიის საქალაქო კომიტეტში სთხოვენო. პირველ მდივანთანო...

— რა მაინცადამაინც დღეს დამიწყეს ძებნა! — თენგიზი ზმორებით წამოდგა. — ეჰ, არა შეჯდა მწყერი ხესა!..

— იჩქარეთ, თენგიზ ქიშვარდის-ძევ! იჩქარეთ, — გააფრთხილა შინამოსამსახურემ და კარი გაიხურა.

„თენგიზ ქიშვარდის-ძევ!"

წინათ ასე, მამის სახელით რომ მიმართავდნენ, თენგიზს სიამოვნებას ჰგვრიდა, ახლა კი ნემსივით ჩხვლეტდა გულში. რაღა ძე იყო, როცა მამა ძეობიდან რიცხავდა, შვილად აღარ თვლიდა!.. ეგებ იგი ახლა საქალაქო კომიტეტში, პირველი მდივნის კაბინეტში იჯდა და თენგიზსაც ამიტომ დაეძებენ!.. მოდი და ნუ აჩქარდები!.. ოღონდ ჯერ ცოლი უნდა გააფრთხილოს!..

თენგიზმა სწრაფად ჩაიცვა და „პოლონურ" და „უნგრულ" ოთახში შეიხედა. იზოლდა სარკესთან კოხტაობდა.

— ის უჯმაჯურიძეა თუ ვიღაც ჯანდაბა, თვალადაც არ დამენახოს, იზოლდა, გესმის?

— რაო?! რას ქვია არ დაგენახოს! — შემოუყეფა ცოლმა.

— არ დამენახოს-მეთქი!

— კი, მაგრამ წუხელის წინა ღამით რომ მისი შამპანურები ხუხე და დაპირდი, ყველაფერს მოგცემო?!

— შენ მაიძულე!

— მე გაიძულე თუ სხვამ გაიძულა, საქმე გადაწყვეტილია! ისე მისცემ, მზე მაღლა იქნება! სრულ ხუთზე მოგაკითხავს!

— არ დამენახოს-მეთქი!

— ვაჰ, ეს კაცი ხომ არ შეირყა?! ფული გამორთმეული მაქვს!

— დაუბრუნე!

— არავითარ შემთხვევაში!

— დაუბრუნე-მეთქი!

— არა და არა!

— ასე, ხომ? — ბრაზისაგან კბილები აუკაწკაწდა თენგიზს. — ვნახოთ, მუდამ თუ გეყოფა ის ფული! — და უკან აღარ მიუხედავს, ისე გაიხურა კარი.

ერთი საათიც და ის უკვე მეზობელ ქალაქში იყო.

სამმართველოში ათიოდე წუთით შეიარა.

იქაც დაახვედრეს ამბავი, საქალაქო კომიტეტიდან დაგეძებენო.

ისიც ადგა და პირველ მდივანს დაუყოვნებლივ ეახლა.

მდივანი გულცივად შეხვდა. უხმოდ, თავის დაქნევით მიესალმა. უხმოდვე, ხელით ანიშნა დაჯექიო. მერე მაგიდის უჯრა გამოსწია, ორად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და უსიტყვოდ გადასცა.

თენგიზმა ქაღალდი გაშალა, დახედა, ხელნაწერი იცნო და... კაცის ფერი დაკარგა.

— ესე იგი მამაჩემი... მამაჩემი იყო აქ!..

მდივანი იდგა და მაგიდას ორივე ხელით ეყრდნობოდა.

— აქ არა. ჩემსას იყო. ბინაზე. — ხმადაბლა და ტყვიამფრქვევის მოკლე-მოკლე ჯერივით ესროლა მან. — წაიკითხე!

თენგიზმა თვალებით ამოიკითხა:

„...მე, ქიშვარდი ჯიმშერის-ძე ლომაძე, დაბადებული ათას რვაას ოთხმოცდარვა წელს, პარტიის წევრი ათას ცხრაას ხუთი წლიდან, სამივე რევოლუციის ვეტერანი, ქარხნის ყოფილი დირექტორი, ამჟამად პერსონალური პენსიონერი და კონტროლის კომისიის თავმჯდომარე, ჩემს ერთადერთ შვილს — თენგიზ ქიშვარდის-ძე ლომაძეს, დაბადებულს ათას ცხრაას ოცდაერთ წელს, პარტიის წევრს ათას ცხრაას ორმოცდასამი წლიდან, ბრალს ვდებ კომუნისტისათვის შეუფერებელ საქციელს, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან ბოროტად გამოიყენა მმართველის თანამდებობა, უღალატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტის ზნეობას, გამოიჩინა კერძო-მესაკუთრული, ბურჟუაზიული სულის-კვეთება და არაკეთილსინდისიერი გზით მოინდომა გამდიდრება ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზე. მართალია, მაქინაციებში ის არავის გამოუჭერია, მაგრამ დანაშაული ისედაც სახეზეა: თავისთავად ცხადია, რომ თავისი ხელფასით იგი ფუფუნების ამდენ საგანს ვერ შეიძენდა. სხვა შემოსავალი კი არ გააჩნია.

აქედან გამომდინარე, მე მოვითხოვ:

პირველი. ისეთი საქციელის ჩადენისათვის, რაც კომუნისტს არ შეფერის, თენგიზ ქიშვარდის-ძე ლომაძე პარტიის წევრობიდან გადაყვანილ იქნას პარტიის წევრობის კანდიდატად ერთი წლის ვადით;

მეორე. მოიხსნას მმართველის თანამდებობიდან და სამუშაოზე გაგზავნილ იქნეს თავისი პროფესიის მიხედვით;

მესამე. ჩამოერთვას ზედმეტი კომუნალური საცხოვრებელი ფართობი და გადაეცეს მოწინავე მრავალშვილიანი მუშის ოჯახს...“

თენგიზმა ფურცელი ისევ ორად გაკეცა, საწერ მაგიდასთან მიდგმულ, ლურჯ მაუდგადაფარებულ მაგიდაზე ფრთხილად დადო, თავზე ხელი შემოიდგა და იმ ფურცელს — მამისეულ საბრალმდებლო აქტს მოჯადოებულივით დაეცქერდა.

რამდენიმე წუთს დუმდა. მერე წელმოწყვეტილივით ნელა წამოდგა, ქვემო ბაგე მოიკვნიტა და ჩახრინწიანებული, გაბზარული ხმით ამოილაპარაკა:

— მეკუთვნის... ყველაფრის ღირსი ვარ... უარესის ღირსი ვარ!..

— იმანაც თქვა, — მდივანმა დინჯად დაუქნია თავი, — მეტის ღირსიც არის, გარიცხვასაც იმსახურებს, მაგრამ პარტიიდან გარიცხვა დახვრეტას უდრის და, რა ვქნა, დასახვრეტად არ მემეტებაო.

არ მემეტებაო!.. საწყალი ბერიკაცი!.. რა დღეში ჩააგდო შვილმა, ერთადერთმა შვილმა, მოსწრებულმა შვილმა!.. ნეტავი, სად არის ახლა? როგორც ჩანს, არ გამგზავრებულა!..

თენგიზს თითქოს გულში ჩაუჭვრიტა და განაფიქრს მიუხვდაო, მდივანმა დინჯადვე ამცნო:

— როგორც გადმომცეს, იგი ამ დილით გაემგზავრა. თვითმფრინავით გაემგზავრა და... ნუნუც და ბავშვიც თან წაიყვანა.

— ნუნუც და ბავშვიც?!.

თენგიზი მოწყვეტით დაეშვა სკამზე.

* * *

გავიდა ოთხი თუ ხუთი კვირა.

ივლისის დამდეგიდან ზღვისპირა ქალაქში აუტანელი სიცხეები დაიჭირა, მერე კი ზედიზედ სამ დღეს კოკისპირულმა წვიმამ დაუშინა და სასიამოვნოდ აგრილდა.

ერთ საღამოს, სწორედ გამოდარების წინა დღით, როცა ქიშვარდიმ პატარა თენგიზი საბავშვო ბაგიდან ჩვეულებრივად მხარზე შესმული და გამჭვირვალე ლაბადაში გახვეული მოარბენინა, ხოლო სამსახურიდან ახალდაბრუნებული ნუნუ შინაურულ სუფრას სამზარეულოში შლიდა, ფოსტალიონმა დააკაკუნა და ქიშვარდის წერილი გადასცა.

ბერიკაცს წერილს თენგიზი უგზავნიდა! უგზავნიდა და, თუმცა ძუნწად, ორიოდე სიტყვით, მაგრამ ისეთ რამეებს სწერდა, რომ ქიშვარდი უცებ გაიმართა წელში.

— ნუნუკა! — ომახიანად დაიძახა მან.

— ბატონო! — მყისვე გამოეხმაურა ქალი.

— ერთი აქეთ გამოიხედე!

— ახლავე!

— რომ იცოდე, ბაბული, რის მახარობელი ვარ!

— მაინც რისა?

— ჯერ სიტყვა, ბაბული, სიტყვა, მომეცი, რომ ცრემლებს არ დამანახვებ!

— გაძლევთ სიტყვას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აბა, ჰა! — ქიშვარდიმ რვეულის ფურცელი მიაგება და უმალ თვითონ იბრუნა პირი — ამ ქალმა არ შემამჩნიოს, თვალები რომ ამომისველდაო...

ნუნუმ ფურცელს დახედა. ხელი იცნო. „ღმერთო, იმის წერილია!“, — მღელვარედ გაიფიქრა და ფურცელი ხარბად, სულმოუთქმელად გადაიკითხა:

„მამაჩემო!

შენი სამივე მოთხოვნა შესრულებულია.

ამ წერილს სვანეთის მთებიდან გწერ: მე ისევ დავუბრუნდი გეოლოგიურ პარტიას.

იზოლდასთან ფაქტიურად განშორებული ვარ. ფორმალურადაც ამ დღეებში გავეყრები.

ერთი სიტყვით, ცხოვრებას თავიდან ვიწყებ...

თქვენ როგორ ხართ? ხომ კარგად არიან შენი რძალი და შვილიშვილი?

აგვისტოს მიწურულისათვის ან სექტემბრის დამდეგისათვის მელოდეთ — შვებულების გატარებას მანდ ვაპირებ.

თენგიზი.

20 ივლისი, 1961 წლისა“.

— მელოდეთო... მელოდეთო!.. მაშ, ჩამოდის! ჩვენთან ჩამოდის — თრთოლვით ამოიჩურჩულა ქალმა. წერილი მაგიდაზე დადო. პირმშოსთან მიიჭრა, ბავშვი გულზე მიიხუტა და შეჰლაღადა: — შვილო!.. მამიკო გიცოცხლდება, შვილო!.. — შეჰლაღადა და ბერიკაცისათვის მიცემული სიტყვა მისდაუნებურად გატეხა: თვალთაგან ცრემლის ნიაღვარი გადმოსკდა.

ქიშვარდიმ ოთახში ვეღარ გაძლო. წერილს ხელი წამოუსვა, წინა კარი უხმაუროდ გაიხურა და კიბის საფეხურები ჭეელივით მკვირცხლად ჩაირბინა.

სად მიიჩქაროდა? ჰო, ის დირექტორყოფილი შალვა უნდა ენახა. ამ საათებში, ნაშუადღევს, მას თითქმის ყოველთვის ხედავდა ავტობუსის გაჩერებაზე. ახლაც იქ არის.

— რამ გაიძულათ, ბატონო ქიშვარდი, ამ ღვარსხმაში? — დირექტორყოფილმა ხელი გაუწოდა.

— შენი, ბაბული, შენი ნახვა მინდოდა!

— ჩემი ნახვა გინდოდათ?!

— ჰო, რაღაცა მეჩვენებია მინდოდა. ა, ერთი ამას გადააღლე თვალი! — ქიშვარდიმ ვაჟიშვილის წერილი გადასცა.

დირექტორყოფილმა წაიკითხა და ერთ-ორ წუთს ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მხოლოდ ნერწყვი გადაყლაპა.

— ხომ კმაყოფილი ხარ, ბაბული?

დირექტორყოფილს ყურისძირები აეწვა, თითქოს სილა გააწნესო.

— ეჰ, ბატონო ქიშვარდი! კმაყოფილი მაშინ ვიქნებოდი, ის ტოტი რომ არ მომეჭრა, რომელზეც ვიჯექი!

— აა, ნანობ, ბაბული? ეს კაის ნიშანია, აწი სწორი გზით ივლი!

— ვცდილობ... რაც შეეხება ამ წერილს, ერთი რამე შემიძლია გითხრათ... ყველაფერში იგრძნობა მამის ხელი, პატიოსანი მამის ხელი... თქვენ... თქვენ კაცი კი არა, კაჟის ნატეხი ხართ, ბატონო ქიშვარდი. ნამდვილი კაჟის ნატეხი!.. თქვენისთანა კაცი...

— რავა, ძნელი საპოვნელია, ვითომ? — მკაცრად შეაწყვეტინა ბერიკაცმა. — ცდები, ბაბული, სასტიკად ცდები!.. პატიოსანი მამაც და მამის მჯობნი შვილიც უამრავი გვყავს და სულ მეტი და მეტი გამოჩნდება! — წერილი გამოართვა და, ვიდრე გამოსამშვიდობებლად თავს დაუკრავდა, დაბეჯითებით გაუმეორა: — დიახ, დიახ! სხვანაირად არ შეიძლება, ბაბულ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

შავი მიწა და ფერადი წყლები

გადმოველ მთები ცადაწვდილები
და აქ დავეშვი, როგორც ციცარი,
ამ შავი მიწის ფერადი წყლები
მე უკვდავების წამლად ვიცანი.
აბაზანებში ლაჟვარდი დნება,
წყაროთვალებში გოგირდი იწვის,
აქ ქვესკნელების აშადრევნება,
საოცრებაა ცისა და მიწის,
აქ შეგიძლია მთებს გაუსწორდე,
ვეფხის მოიბა მართლაც მუხლები.
აქ უკვდავება ეფრქვევა კორდებს,
ნამი ცქრიალა და ხელუხლები,
აქ ბეშტაუსკენ შემობრუნებით
აგავსებს მზეი და შემართება.
აქ დარდისაგან განიკურნები
და სიყვარული დაგემართება.
აქ მაშუკისკენ შემოვხმიანებ, —
გორიაჩევოდსკში ვიგლი ამ დილით,
აქ ერთი გოგოს გულში ვფრთხიალებ,
როგორც ციცარი ჩამოვარდნილი.

ფრთაგაშლილი არწივების ჩეროკები

არწივები, არწივები, არწივები,
არწივები დაფრენილი, აფოფრილი,
ჰორიზონტზე ვარსკვლავები განმძივებით,
მაშუკსა და ბეშტაუზე გადმოყრილი,
არწივები, სიდიადის შემნახველნი,
შორი მთების ცადაწვდილი წვეროები,
გვირილები დილის სიოს შენარხევი,
დაფრენილი არწივების ჩეროები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩეროები კისლოვოდსკის, ესენტუკის,
რკინისწყლების ნაძვნარი და ჩეროები.
ჩეროებში გამოცრილი ოქროშუქი
და ოცნების გაფრენილი წეროები.
არწივები, არწივები, არწივები,
ფრთაგაშლილი არწივების ჩეროები,
ხეივნებში გოგონები განმძივებით,
სიყვარული და ოცნების
გაფრენილი წეროები.

ბაქოს ნავთი და ლამპიონები

ლამპიონები, მიბნეული ბოძზე ღილები,
კასპიის სივრცე, — ზღვებისაგან დამძევლებული
ჭაბურღილები, ქვესკნელამდე ჭაბურღილები.
და აფშერონი, — შუა ზღვამდე გაგრძელებული...
გააპეთ წყალი და ზღვის ფსკერზე დაარჭეთ რკინა,
კვლავაც შხუილით რომ აბორგდეს ნავთის საბადო,
მერმე მუხლები მოიყარეთ ქალაქის წინა,
რომელიც იწვის, რომ სხვა გაათბოს!

ვარზესმე, ქალავ!

ვარზესმე, ზიზი, ერთის ნახვითა!
სახეს მორცხვობა რატომ ენთება?
მთების ზვავების ჰგლეჯენ აღვირთა
შენი თვალების შემოფეთება.
ვარზესმე, ქალავ, ვფიცავ ძმაკაცებს,
სულში ქათქათებ, როგორც გედები.
მიწისძვრასავით გული ბარბაცებს
შენი თვალების შემოფეთებით.
გულს გაგინათებ ლამპარივითა
შენ, ოცნებათა ზეცის ნაჭერო,
ლამაზი მთების ზღაპარივითა
გაზაფხულების ლექსად ნაწერო.
ვარზესმე, მეთქი, გფიცავ მეასედ,
სახეს მორცხვობა რატომ ენთება?
გულში ფრთოსნების არის გნიასი
შენი თვალების შემოფეთება.

ვარზესმე — შემიყვარდი (ოსური).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯაღაღონია

მ ე უ რ მ ე

„აღზევანს წავალ მარილზე“.
ხალხური

არც სევდიანი, არც სჭვიანი,
ქარს მოაქვს ჩემთან ხმა ვაჟკაცური.
გზაზე არ ისმის ურმის ჭრიალი
და ხარის ქედზე შოლტის ტკაცუნი.
დღეს აღარ მიდის აღზევანს ქმარი
და მამას აღარ მისტირის შვილი...
სოფელში მიწას აჭმევდნენ მარილს,
უმარილობას დღეს ვინღა ჩივის.

* * *

როგორ არ მსურდა, როგორ არ
მსურდა,
ეს დღე და წამი მაინც მოვიდა.
უკან გიბრუნებ მოპარულ სურათს
და სიმარტოვე ისე მომინდა,
როგორც ოდესღაც თვალები შენი.
თურმე არ იყო გულის კარნახით
შენი ნათქვამი, შენი ნაწერი.
შენ გამოდექი კარგი კალმახი,
მე გამოვდექი ცუდი ფაცერი.
და ახლა სული მევსება წყენით,
დაკარგულ დღეებს ვიგონებ როცა...
შენთვის გატეხილ ღამეებს ვწყევლი,

* * *

ვიცი, არა ხარ ისე ლამაზი,
კაცი რომ შენთვის გადაირიოს.
მაინც ყელამდე დარდით ამავსე,
ღმერთმა ეს დარდი ნურც დამილიოს.

მეურმე ცოლს არ პირდება კაბას
და არ არიდებს ცრემლიან თვალებს.
დღეს აღზევანი რა არის აბა.
მეზობელივით ვესტუმრეთ მთვარეს...
გადაეჩვივნენ ხარები უღელს,
ძველი ურემი ჭიშკართან გდია...
ეს კაცი მაინც აღზევანს უმღერს,
ალბათ, დასტოვა ხელობა გვიან.

შენზე დაწერილ სტრიქონებს
ვლოცავ...
ძველ წერილებში ვეძებ შენს სახელს,
ოდეს დაწერილს ჟრჟოლვით და
თრთოლვით,
და დნება გულში ძვირფასი სახე,
როგორც აპრილში მოსული თოვლი.
...როგორ არ მსურდა, როგორ არ
მსურდა,
ეს დღე და წამი მაინც მოვიდა,
უკან გიბრუნებ მოპარულ სურათს...
და სიმარტოვე ისე მომინდა,
როგორც ოდესღაც ღიმილი შენი.

ჩემი აპრილის დამდგარა ჯერი
და ოცნებები შენსკენ იძვრიან...
ვიცი, ტყუი და მაინც გიჯერებ,
არ დაგიჯერო, არ შემიძლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირან შერვაშიძე

ვივა, კუბა!

პროლოგი

ფარდაზე რევოლუციური კუბის სახელმწიფო დროშა და ემბლემა. დროშაზე წარწერა: „კუბა სი, იანკი ნო“. ავანსცენაზე მარცხნივ — წარჩინებულთა ჯგუფი. აქ არიან გენერალი ბონიტე, ბროგარი, რიკარდო, მასფერერა, კლოდომირა, რონსარიო ფერნანდესი, სენიორა მერსედესი და სხვები. მარცხნივ — მუშებისა და ახალგაზრდობის ჯგუფი — ხაკობო, გონსალესი, ვილმა ესპინი, გილმერო მაჩადო და სხვები.

რადიო — უსმინეთ ჰავანას, უსმინეთ ჰავანას... გადმოვცემთ საყურადღებო ცნობას.

(წარჩინებულთა ჯგუფში)

ბონიტე — ალბათ, აქ მომხდარი ამბების შესახებ იქნება...

რიკარდო — ყური დაუგდეთ, აი რა წერია მეამბოხეთა მოწოდებაში...

მერსედესი — ჰო, რა გვინდაო?

რიკარდო — (კითხულობს) „1952 წლის 10 მარტს დაიწყო ყველაზე უფრო სისხლიანი ფურცელი მრავალტანჯული კუბელი ხალხის ისტორიაში... გენერალმა ბატისტამ ვაშინგტონის დახმარებით ხელში ჩაიგდო ხელისუფლება და გამოაცხადა: „კანონი—ეს მე ვარო“. ფულხენსიო ბატისტამ ციხეებში ჩაალპო და დახვრიტა მრავალი ათასი ადამიანი. დიქტატორმა უფრო ფართოდ გაუღო კარები ამერიკის კაპიტალს, რომელიც ადგილობრივ კაპიტალთან ერთად უმოწყალოდ ყვლეფს კუბელ ხალხს. კუბა შეერთებული შტატების კოლონიად გადაიქცა. კუბელებო, ნუ დაივიწყებთ ჩვენი დიდი პოეტისა და ბელადის ხოსე მარტის მოწოდებას: „უკვე დაჰკრა საათმა, მეორეჯერ გამოვაცხადოთ ჩვენი დამოუკიდებლობა“.

რადიო — უსმინეთ ჰავანას, უსმინეთ ჰავანას... გადმოვცემთ საყურადღებო ცნობას.

ბროგარი — ამბობენ, ამბოხებას აქაური სტუდენტი ხელმძღვანელობდაო.

ბონიტე — სტუდენტი... ალბათ, ისევ ფრანკ პაისია.

რიკარდო — კი, ის იქნებოდა.

კლოდომირა — ფრანკ პაისი... ნეტავი მანახა, როგორია!

რიკარდო — (წყრომით) კლოდომირა!

ბროგარი — ცუდი ახალგაზრდობა წამოეზარდა კუბას.

რიკარდო — კუბელი ახალგაზრდობა რა შუაშია?!

ბროგარი — მხედველობაში მაქვს კომუნისტების მიერ გარყვნილი სანტ-იაგო დე-კუბას ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი.

რიკარდო — ეს კი უკვე სხვა საქმეა... მათი ამბოხება დასაწყისშივე ჩავაქრეთ... იგი 30 ნოემბრის დილით დაიწყო, ნაშუადღევს კი ქალაქში უკვე სრული წესრიგი იყო.

როსარიო — წესრიგი დღემდე არ არის დამყარებული.

ბონიტე — როგორც ეტყობა, ამბოხებულებს რაღაცამ შეუშალა ხელი, თორემ ისე კარგად დაწყებულ საქმეს თავს არ დაანებებდნენ.

რიკარდო — ამბოხება დილის ექვს საათზე დაიწყეს და თერთმეტი საათისათვის უკვე მათ ხელში იყო პოლიციის შენობა, სამხედრო-საზღვაო ყაზარმები, ტელეგრაფი და რადიოსადგური, მაგრამ უცებ შეწყვიტეს მოქმედება.

---

* ვბეჭდავთ დრამატურგ ა. შერვაშიძის ახალი პიესის „ვივა, კუბა!“ პირველ მოქმედებას.

კლოდომირა — შეწყვიტეს და უჩინმაჩინოვით გაქრნენ.

ბროგარი — ყველა ხეზე, ყველა შენობაზე, ავტობუსებზე და თითქმის ყველგან უმსგავსო წარწერებია: „კუბა სი, იანკი ნო“. ამერიკელებს აღარ გვეცხოვრება კუბაში.

რადიო — უსმინეთ ჰავანას, უსმინეთ ჰავანას... გადმოვცემთ საყურადღებო ცნობას.

(მუშებისა და ახალგაზრდების ჯგუფში)

გილმერო — ალბათ, ჩვენი გამოსვლის შესახებაა.

ვილმა — მე კი უფრო უარესს მოველი... ვაი თუ მანსალინოს სანაპიროზე რაიმე უბედურება მოხდა.

გილმერო — მეტი რაღა უნდა მოხდეს... კრესენსიო პერესი უკვე შეიპყრეს და ფიდელის რაზმისთვის გამზადებული სატვირთო მანქანები ხელში ჩაიგდეს. თვითონ ფიდელი კი თავის რაზმთან ერთად ჯერაც არა ჩანს... ნუთუ აქამდე ვერ მოაღწიეს კუბის ნაპირებს...

ვილმა — ჰოდა, ფრანკი ამ შემთხვევაში ცამდე მართალია... რა გვეშველებოდა, აჯანყება რომ გაგვეგრძელებინა... ფიდელი დღესაც ვერ მოგვეშველებოდა და ჭიანჭველებივით გაგვსრესდნენ.

რადიო — ლაპარაკობს ჰავანა, ლაპარაკობს ჰავანა... გადმოვცემთ უკანასკნელ ცნობებს... როგორც ცნობილია, 1953 წლის 26 ივლისის ამბოხების ხელმძღვანელებს სახელმწიფო დამნაშავის ფიდელ კასტროს მეთაურობით ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. ემიგრაციაში ყოფნის დროს კასტრომ მოამზადა ახალგაზრდა ბოროტმოქმედთა ჯგუფი და 24 ნოემბერს მექსიკიდან გამოემგზავრა კუბის სანაპიროსაკენ, სადაც 30 ნოემბერს ქალაქ მანსალინოს ახლოს უნდა გადმომსხდარიყო. იქ მათ უცდიდა სატვირთო ავტომანქანები ორიენტელი გლეხის კრესენსიო პერესის მეთაურობით... იმავე დილით სანტ-იაგო დე-კუბაში უნდა დაწყებულიყო ამბოხება ფრანკ პაისის ხელმძღვანელობით... მაგრამ შხუნამ, რომელსაც ბოროტგამზრახველები მოჰყავდა, ორი დღით დაიგვიანა და სანტ-იაგოში დაწყებული აჯანყება დასაწყისშივე ჩაქრობილ იქნა. ხმელეთზე გადმომსხდარი ფიდელ კასტროს 82 კაცისაგან შემდგარი რაზმი კი მთავრობის ჯარებმა შაქრის ლერწმის პლანტაციებსა და ჭაობებში მიიმწყვდიეს და მთლიანად გაანადგურეს... როგორც სანტ-იაგო დე-კუბაში, ისე ორიენტეს მთელ პროვინციაში წესრიგი აღდგენილია და სრული სიწყნარეა.

(წარჩინებულთა ჯგუფში)

მერსედესი — მთელი ღამეების განმავლობაში სროლა და აფეთქებების ხმა ისმის, ესენი კი წესრიგი აღდგენილიაო.

ბონიტე — მაშ ისევ ფიდელ კასტრო.

რიკარდო — კასტრო განადგურებულია...

ბროგარი — მადლობა ღმერთს, ახლა მაინც შეწყდება შფოთი და ამბოხებები.

(მუშებისა და ახალგაზრდების ჯგუფში)

ვილმა — ფიდელ, რაულ, კამილო, ერნესტო, ძმებო, ნუთუ მართალია, ნუთუ... (ცრემლები ახრჩობს, თავშეუკავებლად ქვითინებს).

გილმერო — ფრანკ პაისი!

(შემოდის ფრანკ პაისი)

ვილმა — ფრანკ! (შემოეხვევა)

ფრანკი — მოისმინეთ? ყველაფერი დაიჯერეთ?

გილმერო — ოფიციალური, მთავრობის ცნობაა.

ვილმა — იქნებ, მართალი არ არის, იქნებ, სტყუიან, გვითხარი რამე, ფრანკ!

ფრანკი — სტყუიან, როცა ამბობენ, წესრიგი აღდგენილია და სრული სიწყნარეაო... სტყუიან, როცა გაჰკივიან პარტიზანები მთლიანად განადგურებული არიან და ფიდელი ცოცხალი აღარ არისო.

ვილმა — ფრანკ!!

ფრანკი — ბატისტა ყოველთვის ასე ტრაბახობს... ჩვენ ბევრჯერ გაგვანადგურეს, მაგრამ ვერ მოგვსპეს, პირიქით, თვითონ ჩვენ გავანადგურებთ ტირანსა და ტირანიას.

სურათი პირველი

პარტიზანთა ბანაკი. ანტონიო კამაჩო და გარსია პიედრა.

ანტონიო — გათავდა, ყველაფერი გათავდა... ფუჭად ჩაიარა ამდენმა შრომამ, ამდენმა ბრძოლამ, ამდენმა მსხვერპლმა.

გარსია — რას ამბობ, ანტონიო?! ფიდელმა რომ გაიგოს...

ანტონიო — განა კასტრო თვითონ არა გრძნობს?.. იგი ასე გულჩათხრობილი, ჩაფიქრებული და დაღონებული არასოდეს არ მინახავს... ხუმრობა ხომ არ არის... ყველაფერი დაიღუპა...

გარსია — ბრძენმა თქვა: ყველაფერი მაშინ დაიღუპება, როცა მეც დავიღუპებიო. ჩვენ ცოცხალი დავრჩით, ჩვენი საქმეც ცოცხლობს. ნამდვილ მებრძოლს გამარჯვების იმედი მხოლოდ სიკვდილს შეუძლია წაართვას.

ანტონიო — სიკვდილზე ნაკლები მომაკვდინებელი არ არის მოტყუება და ღალატი?.. ჩვენი გადმოსხმისთანავე ფეხზე დადგება კამაგუეისა და განსაკუთრებით ორიენტეს პროვინციაო... სანტ-იაგო დე-კუბა იმავე დღეს ჩვენების ხელში გადავა, ფრანკ პაისი თავისი ძალებით შემოგვერთდება და საყოველთაო აჯანყების მძლავრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი დაინთებაო... სად არის ყველაფერი ეს, სად? მოგვატყუილეს, გვიღალატეს...

გარსია — ბრძენმა თქვა: ბუნებამ თუ გიღალატა, კაცს ნუ დაებრალებო. ჩვენმა შხუნამ ბევრი დრო დაკარგა ოკეანის აზვირთებული ტალღების წინააღმდეგ ბრძოლაში და ორი დღით დავიგვიანეთ. ალბათ, სწორედ ამის გამო ჩაიშალა 30 ნოემბრისათვის დანიშნული საყოველთაო აჯანყება...

ანტონიო — წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო.

გარსია — შენ თვითონ თუ უიმედოდ უცქერი ჩვენს საქმეს, სხვები რა შუაშია? ბრძენმა თქვა: იმედი თუ არ გაქვს, ნუღარ იფიქრებ მომავალზეო.

ანტონიო — აღარ ვფიქრობ... ყველაფერი გათავდა, დაიღუპა... იმედიც.

გარსია — იმედიც?! ანტონიო, ვეღარ გცნობ!

ანტონიო — მოულოდნელად და უცებ ამოგვწყვიტეს, როგორც ტყის ნადირები... ასამდე ვიყავით, დავრჩით კი მხოლოდ თორმეტი და ისიც უტყვიაწამლოდ, უსურსათოდ, ხელში მარტოოდენ შაშხანის ამარა. თორმეტი სახელმწიფოს წინააღმდეგ... თორმეტი რეგულარული არმიის წინააღმდეგ... შენ კიდევ რომელ იმედზე ლაპარაკობ...

გარსია — აგერ თვითონ ფიდელიც... რა მხიარულია!.. ვერ ხედავ, როგორ ეხუმრება რაულსა და ერნესტოს?.. შენ კი... ფიდელი გულჩათხრობილია, დაღონებულია... (ხმას აუწევს) აქეთ წამოვიდა, აგერ ისიც.

(ბაასით შემოდის ფიდელ კასტრო პარტიზანების თანხლებით)

კასტრო — მართალია, ამჟამად ჩვენ დროებით დავმარცხდით, მაგრამ არც ისინი არიან გამარჯვებული... და, რაკი ისინი გამარჯვებული არ არიან, არასოდეს არ უნდა ჩაგვიქრეს მტრის დამარცხების იმედი.

გარსია — სწორია. ბრძენმა თქვა: იმედგაცრუებული და სამარეში მწოლი ერთი და იგივეაო.

ანტონიო — მარტო იმედი რას გვიშველის, თუ პირობები არ გაგვაჩნია.

კასტრო — გამარჯვებისათვის ჩვენ სამი პირობა გაგვაჩნია. პირველი: მტკიცედ უნდა გვწამდეს, რომ სახალხო ძალებს შეუძლიათ გაიმარჯვონ ომში რეგულარული არმიის წინააღმდეგ. მეორე: ყოველთვის არ არის საჭირო ლოდინი, სანამ რევოლუციისათვის ყველა პირობა მომწიფდება—აჯანყებულთა ცენტრს თვითონ შეუძლია ამ პირობების შექმნა. მესამე: შეიარაღებული ბრძოლები უნდა დავიწყოთ უპირველეს ყოვლისა გლეხებით დასახლებულ ტერიტორიაზე... რაც შეეხება უკანასკნელს, ჩვენ უკვე თავის დროზე ადგილზე ვართ, ორიენტეს პროვინცია, სეირა მაესტრას მთები იქნება ჩვენი რევოლუციის აკვანი.

ანტონიო — კარამბა!!. მარტო სოფელი? უქალაქოდ?!

კასტრო — ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მხედველობაში არა გვაქვს პროლეტარიატის ორგანიზებული მასების ბრძოლა. ჩვენ უნდა გავაანალიზოთ ბრძოლის რეალური შესაძლებლობა კუბის პირობებში. დიქტატურისა და ტირანიის რეჟიმის დროს მუშები უდიდესი საშიშროების წინაშე დგანან და ისინი იატაკქვეშ მოქმედებენ... სულ სხვაა სოფლის მოსახლეობის, გლეხობის პირობები... აქ პარტიზანები დაეხმარება ხალხს და ხალხი კი პარტიზანებს. გარდა ამისა, გლეხობით დასახლებული ადგილები, განსაკუთრებით მისი მიდამოები მიუდგომელია დამსჯელი რაზმებისათვის.

ანტონიო — სად არის მერე ეს პარტიზანული რაზმები? ხმელეთზე გადმოსხმისთანავე გაგვანადგურეს... ასამდე ვიყავით, დავრჩით თორმეტი... რა გარანტია გვაქვს, რომ ხვალ ჩვენც არ გაგვანადგურებენ?

გარსია — ანტონიო, ბრძენმა თქვა: თუ მგლების გეშინია, ტყეში ნუ მიხვალო.

ანტონიო — ამდენი ჯაფა, ამდენი ბრძოლა, ამდენი მსხვერპლი და ბოლოს დამარცხება!

კასტრო — კარამბა... ანტონიო, ნუთუ შენ ამბობ ამას?!.

ანტონიო — დიახ, მე ვამბობ და კარგი იქნება, თუ სინამდვილეს თვალში შეხედავთ... ჩვენ დავმარცხდით... ისე არ გამოგვიყიდა, როგორც ეს წინასწარ გავიანგარიშეთ.

გარსია — სწორი არა ხარ... ბრძენმა თქვა: რაკი უკვე გადადგი ნაბიჯი, უკან აღარ უნდა დაიხიოო.

ანტონიო — (დამცინავად) მაშინაც კი, როცა უფსკრულის წინ დგახარ?

კასტრო — (გულმოსული) ანტონიო კამაჩო!

ანტონიო — ვიცი, ამას ყველაფერს ლაჩრობად ჩამითვლით, მაგრამ...

კასტრო — (ხმას აუწევს) მეტი აღარ გვინდა მოგისმინოთ... უფსკრულში რომ არ გადაიჩეხო, წადი, შენი თავშესაფარი სორო შენვე მონახე... სულმოკლე ყოფილხარ. შენისთანები არ გამოგვადგება!

(ანტონიო, თითქოს ხერხემალი გადაუტყდაო, წელში მოიხრება)

კამილო — ლაჩარი!

ხოსე — მოღალატე!

(ანტონიო თავს ჩაღუნავს)

გარსია — ეხ, ანტონიო!

(ანტონიო ნელი ნაბიჯით გადის)

კასტრო — იქნებ, ჩვენს შორის კიდევ არის ვინმე, ასე რომ ფიქრობს?

ყველა — არავინ.

კასტრო — რაც შეეხება ანტონიო კამაჩოს, იგი არც ლაჩარია და არც მოღალატე. იგი მხოლოდ გულგატეხილია... გულგატეხილს კი ჩვენს საქმეში მარცხის მეტი არაფრის მოტანა არ შეუძლია. რწმენა თუ დაკარგე, მიზანიც გაქრა, უმიზნოდ კი ბრძოლა ვის გაუგონია!!!

კამილო — კამაჩო მოღალატეა.

ხოსე — მხდალი ყოფილა, ლაჩარი...

კამილო — კარგი ვქენით, რომ გავაძევეთ...

კასტრო — მართალი არა ხართ... ანტონიო კამაჩოს მხოლოდ ნერვებმა უღალატეს და ვერ გაერკვა ჩვენს ირგვლივ შექმნილ ვითარებაში. ადამიანი, რომელიც თითქმის ორი წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად თავდადებით ემზადებოდა ამ ბრძოლებისათვის, მოღალატე არ არის... არც მხდალი და ლაჩარია... მან ბევრჯერ დაგვიმტკიცა ვაჟკაცობა მტერთან ბრძოლაში.

(გარსია პიედრა მოულოდნელად გარბის იქით, საითაც ანტონიო კამაჩო გავიდა. მოისმის გარსიას შეძახილი და თოფის სროლის ხმა. გარსიას თითქმის შებოჭილი შემოყავს ანტონიო).

გარსია — თავს იკლავდა! დროზე მივუსწარი და თოფს ხელი ავკარი, თორემ...

ანტონიო — (საკინძეს გაიხსნის) მესროლეთ, ასე უფრო აჯობებს, გესმით თუ არა, ეშმაკის კერძებო!

კასტრო — ანტონიო!

(ხელით ანიშნებს, ახლოს მივიდეს)

კმარა, ახლა თამაშის დრო არ არის... მოიტეთ დროშა!

(შემოაქვთ დროშა, რომელსაც ცალ ფეხზე დაჩოქილ ფიდელს გადასცემენ)

დაიჩოქეთ!

(ყველა დაიჩოქებს, მათ შორის ანტონიო კამაჩოც)

შევფიცოთ „26 ივლისის მოძრაობის" დროშას, ჩვენს ხალხს, ჩვენს წმიდათაწმიდა მიწას...

ყველა — შევფიცოთ!

კასტრო — ორიენტე, სიერა მაესტრას მთებო, ჩემი სამშობლოს მიწავ, იყავით მოწმე: შენი შვილები ფიცსა ვდებთ, რომ საკუთარი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოს ბედნიერ მომავლისათვის.

ყველა — ვფიცავთ!

კასტრო — საკუთარი მკერდით, საკუთარი სიცოცხლის ფასად დავიცავთ გუანიროს, კუბელი გლეხის უფლებას მიწაზე, მუშის უფლებას საკუთარი შრომის ნაყოფზე, ზანგებისა და ინდიელების უფლებას ადამიანურ ღირსებებზე, ყველა მოქალაქის უფლებას შრომაზე, უფასო განათლებაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე.

ყველა — ვფიცავთ!

კასტრო — ხელიდან არ გავუშვებთ მახვილს, მანამ, ვიდრე არ დავამხობთ ტირანიას და არ გავაძევებთ იანკებს, ვიდრე საშობლო არ მიაღწევს ეროვნულსა და სოციალურ თავისუფლებას, ვიდრე კუბა არ ეღირსება ნამდვილ სუვერენიტეტს.

ყველა — ვფიცავთ!

კასტრო — თავისუფლება მშრომელებს, კუბა — კუბელებს, ან დავიხოცებით როგორც წამებულები! თავისუფლება ან სიკვდილი!

ყველა — თავისუფლება ან სიკვდილი!

(კასტრო დროშას აკოცებს და ფეხზე წამოდგება. პარტიზანებიც წამოდგებიან და სათითოოდ კოცნიან დროშას).

კასტრო — ძმებო, გწამდეთ, დღეს თუ მხოლოდ თორმეტი ვართ, ხვალ ჩვენ თორმეტჯერ თორმეტი ვიქნებით, ზეგ იმაზე მეტი და სულ ცოტა ხანში მთელი კუბელი ხალხი ჩვენი დროშის ქვეშ დაირაზმება.

ძირს ტირანია, ძირს ამერიკელი მძარცველები!

კუბა სი, იანკი ნო!

ყველა — კუბა სი, იანკი ნო!

კასტრო — ვივა კუბა ლიბრე!

ყველა — ვივა კუბა ლიბრე!

კასტრო — ჩვენ გავიმარჯვებთ... ვენსერემოს!

ყველა — ვენსერემოს!

კასტრო — სალუტ!

(სროლა გაისმის თორმეტივე ავტომატიდან)

სურათი მეორე
ეპიზოდი პირველი

როსარიო ფერნანდეს შარიდეტის სახლის სასტუმრო ოთახის ცენტრში მრგვალი მაგიდის ირგვლივ სავარძლებში სხედან სტუმრები — გენერალი იგნასიო ბონიტე, რალფ ბროგარი, სენიორა მერსედესი და გენერალი ხუან ალმეიდა. მათ უკან ჩარჩოში ჩასმული დიდი რუკაა ჩამოკიდებული. მათ წინ კი საღამურ კაბაში გამოწყობილი მშვენიერი კლოდომირა დგას.

კლოდომირა — შესაძლებელია, ასეთ გარემოში ამ რუკას დისონანსი შეაქვს, მაგრამ დროებით ჩამოვკიდე რიკარდო მასფერერას თხოვნით. იგი თითქმის ჩვენი ყოველდღიური სტუმარია და, როგორც კი მოვა, ორიენტეს პროკინციის რუკით ირთობს თავს.

მერსედესი — სხვას ვერაფერს ამჩნევს?

ალმეიდა — სენიორი რიკარდო მშვენიერი გემოვნების ახალგაზრდაა. რუკა მიზეზია, მიზანი კი... (კლოდომირას გადახედავს).

ბროგარი — (კლოდომირას შესცქერის) გასაგებია.

კლოდომირა — თქვენი ეჭვები უსაფუძვლოა... რიკარდო მასფერერა ბიძაჩემის მეგობრის შვილია და...

ბონიტე — და ჰავანიდან ჩამოსულს ახლო მეგობრები, იმპრესარიო პედრო ერეირას გარდა, აქ არავინ ჰყავს... იგი მე დავუახლოვე ამ ოჯახს, რათა კარგ წრეში მოხვედრილიყო. რიკარდო მასფერერა ფრიად სერიოზული დავალებით ჩამოვიდა ჰავანიდან და ჩვენ მოვალე ვართ ხელი შევუწყოთ.

კლოდომირა — იმედი მაქვს, არ გამიწყრებით, რამდენიმე წუთით რომ მიგატოვოთ.

მერსედესი — მეც შენთან ერთად წამოვალ, კლოდომირა!

(გადიან)

ალმეიდა — (ბონიტეს) მშვენიერი ქალიშვილია თქვენი ძმაშვილი.

ბონიტე — სახით, როგორც ხედავთ, დედამისს ჰგავს, ხასიათით კი ზედგამოჭრილი მამამისია... ნასავით პირდაპირი და სიმართლის მაძიებელი... თუმცა ამ საქმეში მას არც დედამისი ჩამორჩება. სენიორა როსარიო ფერნანდესი არათუ მარტო სანტ-იაგო დე-კუბაში, მთელ ორიენტეს პროვინციაში ცნობილია, როგორც გულკეთილი და კაცთმოყვარე ადამიანი.

ბროგარი — საინტერესოა, რაში გამოიხატება თქვენი რძლის ესოდენ განთქმული გულკეთილობა!

ბონიტე — ვინ მოსთვლის, რამდენი საკველმოქმედო საქმე გაუკეთებია სენიორა როსარიოს... მიუხედავად იმისა, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ხელმოკლედ არის, უპატრონო ბავშვთა სახლს ხუთი ათასი პესო შესწირა, ცხოველთა დაცვის კომიტეტს — ათასი, უპატრონო მოხუცთა სახლს კი სამი ათასი პესო. განსაკუთრებით უყვარს თავისი იშვიათი ყვავილთა ბაღი „გვადალკვივირი", რომლის საამო სურნელით ბევრჯერ დამტკბარა, მაგრამ ყვავილი ერთხელაც არ მოუწყვეტია და არც სხვებს აძლევს ამის უფლებას.

ბროგარი — და თქვენ იმედი გაქვთ, რომ ასეთი ადამიანი დათანხმდება ჩვენა წინადადებაზე?!

(შემოდის კლოდომირა, თან შემოყვება რიკარდო მასფერერა)

კლოდომირა — სენიორი რიკარდო მასფერერა.

(როცა რიკარდო ყველას მიესალმება, კლოდომირა გადის)

ბონიტე — (რიკარდოს) ჩვენ გავიგეთ, რომ ეს რუკა აქ თქვენთვის ჩამოუკიდიათ.

რიკარდო — ასეთი რუკა დღეს ყველა პატიოსან კუბელს უნდა ეკიდოს სახლში, რათა ყოველდღიურად თვალს ადევნებდეს და იბრძოდეს საშიშროების წინააღმდეგ, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ეს საშიშროება ამჟამად ორიენტეს პროვინციაში, სანტ-იაგო დე-კუბაში, განსაკუთრებით კი სიერა მაესტრას მთებში ბუდობს.

ალმეიდა — სიერა მაესტრას მალე გავუსწორდებით... თვითონ ჩვენი კაუდილიო [illegible] სიო ბატისტას ბრძანება მიეიღე... [illegible] კვირაში უნდა გაიწმინდოს კასტროს ბანდებისაგანო... თვითონ კასტროს კი ჩემი ხელით ჩამოვახრჩობ... ამ ოპერაციას ჩემი ჯარები ერთ კვირაში დაიწყებენ.

რიკარდო — (ალმეიდას) არ ვიცი, როგორ მუშაობს თქვენი დაზვერვა, მაგრამ მე მაინც მინდა გაცნობოთ, რომ კასტროს ამჟამად უკვე კარგად შეიარაღებული და არც თუ ისე მცირერიცხოვანი ძალები გააჩნია.

ბროგარი — მათი დესანტის განადგურების შემდეგ ისინი მხოლოდ თორმეტიოდე დარჩენილან... ახლა კი...

რიკარდო — ლა პლატასთან გამართული ბრძოლის შემდეგ მათი რიცხვი ასამდე ავიდა, დღეს კი ხუთასსაც გადააჭარბა... მათ პირობებში ეს მთელ დივიზიას უდრის და, რაც მთავარია, უფრო მობილურია. იარაღს ისინი ჩვენი შეიარაღებული ძალების ხარჯზე იძენენ. დროზე თუ არ ვიმოქმედეთ (რუკაზე თითს დაადებს), მალე ელ კობრეს მოადგებიან და შესაძლოა სანტ-იაგოშიც ამოყონ თავი, მით უმეტეს, რომ ამ ქალაქის დაბალი ფენა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მათი მოკავშირე და თანამონაწილეა.

ბონიტე — ამბობენ, ფრანკ პაისი თავისი ჯგუფით ფიდელს შეუერთდაო და ახლა ისიც მთებშიაო, მაგრამ ყველა ეს დივერსიები, რომლებიც ყოველდღე და ყოველ ღამით ეწყობა ქალაქში, დარწმუნებული ვარ, ფრანკის ხელმძღვანელობით ხდება და, ეჭვი არ არის, ფრანკი სანტ-იაგოშია.

რიკარდო — ეს ვაჟბატონი რომ აქამდე ცოცხალია, მონკადას გარნიზონისა და აქაური პოლიციის ბრალია. ამბობენ, ამას წინათ რომ შეიპყრეს, არც ერთმა საპოლიციო უბანმა არ მიიღო — დილით ხალხი გაიგებს და გაგვანადგურებენო. მაგრამ საკითხი ახლა სულ სხვაგვარად დგას: ფრანკ პაისი აღმოჩენილ და მოსპობილ უნდა იქნას. კაუდილიო მეტს აღარავის აპატიებს ფიდელისტების დაუსჯელობას და სასტიკად დასჯება ის, ვინც ამ საკითხში ლმობიერებას გამოიჩენს. რაც შეეხება ფიდელს, გულში ისეთი ჭრილობა მიაყენეს, რომ შესაძლოა სულითაც დაეცეს და მის ჯადოქრულ გავლენას ხალხზე ბოლო მოეღოს.

ბონიტე — რა მოხდა ისეთი, რომ კასტროს ნებისყოფის მოდრეკა შეეძლოს?

რიკარდო — დღეს შეერთებული შტატებისა და კუბის პრესა სენსაციურ ამბავს იტყობინება: საყვარელმა და ძვირფასმა მეუღლემ ოფიციალურად მიატოვა ფიდელ კასტრო და შვილებთან ერთად შეერთებულ შტატებს მიაშურა. უფრო მეტიც, ფიდელის მოქმედება სასტიკად გაკიც-

ხა და სხვას გაჰყვა ცოლად. იგი ამჟამად ახალ ქმართან და შვილებთან ერთად ფლორიდაშია.

ბროგარი — ეს მართლაც რომ დიდი დარტყმაა ფიდელისათვის.

რიკარდო — გარდა ამისა, ფიდელის რაზმების დემორალიზაციის მიზნით ამ დღეებში სიერა მაესტრას ეწვევა მღვდელი ველასკო, რომელიც წუხელ ჩამოვიდა სანტ-იაგოში. იგი თითქმის ორი თვის განმავლობაში თვითონ ბატისტას პირადი სტუმარი იყო. ველასკო დიდად გავლენიანი პიროვნება დომინიკანის რესპუბლიკაში. მას ახლო მეგობრობა აკავშირებს გენერალისიმუს ტრუხილიოსთან.

ბონიტე — ალბათ, თვითონ ტრუხილიომ გამოგზავნა, დომინიკანის პრეზიდენტს ფიდელთან ძველი ანგარიშები აქვს გასასწორებელი.

ალმეიდა — (ბრაზით) ველასკო! (გადის).

რიკარდო — რა მოხდა?

ბონიტე — (იცინის) განა არ იცით? სენიორ ხუან ალმეიდასა და ველასკოს შორის დიდი განხეთქილებაა.

ბროგარი — საკვირველია! რა აქვთ საერთო?

ბონიტე — ამ ერთი თვის წინ ჰავანაში ხუანმა ველასკოსთან ბანქოს თამაშში დიდი თანხა წააგო. ძლიერ ეწყინა და გაიძვერა მღვდელს შეეკითხა: „წმიდა მამაო, თქვენ არასოდეს არ აგებთ?“ „როგორ არა, ხდება ხოლმე“, — უპასუხა მღვდელმა. „წაგების შემდეგ, ალბათ, ცუდ გუნებაზე ხართ?“ — ისევ შეეკითხა ხუანი. „რასაკვირველია“, — მიიღო პასუხად. „კი, მაგრამ წაგების შემდეგ რითი იქარვებთ ჯავრს?“ „სულ უბრალოდ, — უპასუხა მღვდელმა, — წაგების შემდეგ ჩემს საყვარელთან მივდივარ, ზურგიდან მივეპარები, მხარზე ხელს დავადებ, მივეფერები და, თითქოს არაფერი არ მომხდარაო, ისევ კარგ ხასიათზე ვდგები“. სენიორი ხუანი იმ წუთშივე სახლში წავიდა, ცოლის ოთახი ფრთხილად შეაღო, საყვარელ მეუღლეს ფეხაკრეფით მიეპარა, მხარზე ხელი დაადო და მიეფერა... ცოლმა კი, არც მოუხედავს, ისე იკითხა: „წმიდა მამაო, კვლავ წააგეთ?“

(ბონიტე, ბროგარი და მასფერერა გულიანად იცინიან. ამ დროს შემოდის ალმეიდა).

ალმეიდა — რაზე იცინით ასე მხიარულად!

ბროგარი — სენიორი იგნასიო და რიკარდო რქიანების შესახებ კამათობდნენ.

ალმეიდა — რქიანების?

ბროგარი — ჰო, რქიანების... რომელს უფრო დიდი რქა აქვს, ბოთის ირემს თუ „კინგ რანჩის“ ხარებსო.

რიკარდო — (ალმეიდას) იმედი მაქვს, სენიორა როსარიომ უკვე მოაწერა ხელი მოწოდებას.

ალმეიდა — ჯერ არ შეგვითავაზებია... მე ტელეფონზე სალაპარაკოდ გავედი. სატრანსპორტო გემი ჩემი ჯარებისათვის განკუთვნილი იარაღითა და სხვა აღჭურვილობით ორ საათში შემოვა ნავსადგურში.

რიკარდო — მე უკვე ხუთ კაცს მოვაწერინე ხელი (კითხულობს) კომპოზიტორი ორნალდო ამადორი, ეპისკოპოსი კორილიო, დოქტორი ენრიკე ესპინოსა, ბანკის პრეზიდენტი კარლოს მენენდესი და იმპრესარიო პედრო ერეირა.

ბროგარი — ჩინებული საზოგადოებაა... მათი ავტორიტეტი ეჭვს გარეშეა და კარგ გავლენასაც მოახდენს.

რიკარდო — დიახ, ორიენტეს პროვინციის ცნობილ ადამიანთა მოწოდება მოსახლეობისადმი დიდ შედეგს გამოიღებს.

ბროგარი — მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრმა უარი თქვა და ხელი არ მოაწერა მოწოდებას.

რიკარდო — ეს კი წინასწარ ამჟღავნებს მათ პოლიტიკურ ფიზიონომიას და მეთვალყურეობა უნდა დაუნიშნოთ.

ბონიტე — მოწოდებას უკვე ოცამდე ცნობილმა პიროვნებამ მოაწერა ხელი.

რიკარდო — მაგრამ თქვენი რძლის ხელმოწერა უფრო დიდ ძალას შემატებს ამ მოწოდებას და, იმედი გვაქვს, თქვენი დახმარებით ეს საქმე კეთილად დაგვირგვინდება. ხუმრობა საქმე ხომ არ არის... (დეკლამატორის პოზას მიიღებს) მოწოდებას ხელს აწერს თვითონ როსარიო ფერნანდეს შარიდეტი... კუბელი ხალხის საყვარელი მწერალი ქალი.

(შემოდის როსარიო, საერთო მისალმება).

როსარიო — მე მახსენებდით... მაპატიეთ დაგვიანებული სადილისათვის... ძვირფასო სტუმრებო, გთხოვთ სუფრასთან.

ეპიზოდი მეოთხე

სუფრას უსხედან როსარიო, იგნასიო ბონიტე, რალფ ბროგარი, სენიორა მერსედესი, ხუან ალმეიდა, რიკარდო მასფერერა და კლოდომირა.

როსარიო — ცხვრის ბღავილი მომესმა. მაშინვე აივანზე გავედი და ეზოში შემზარავი სურათი დავინახე... სენიორ იგნასიოს მზარეულს თოვლივით თეთრი ცხვარი წაეკვრა და ის-ის იყო მისთვის ყელი უნდა გამოეღადრა, რომ ამ დროს უნებურად ხმამაღლა აღმომხდა: „არ გაბედო. ხელი გაუშვი. რას ერჩი საბრალო ცხოველს!“

ბონიტე — სენიორა როსარიომ სწრაფად ჩაირბინა კიბეზე და ჩემს მზარეულს თავზე წაადგა, მაგრამ გვიანღა იყო...

როსარიო — ყელგამოღადრული ცხვარი სისხლისაგან იცლებოდა და მისი თეთრი ბეწვი გულმკერდზე წითლად შეღებილიყო, ღიად დარჩენილი თვალები გულისგამგმირავად მომშტერებოდნენ.

ბონიტე — სენიორა როსარიო მაშინ გამოერკ-

ვა ფიქრებიდან, როცა მკლავში ხელი წავავლე და სახლისაკენ წავიყვანე...

როსარიო — იმ საშინელმა სურათმა ძლიერ ამაღელვა, თავის ტკივილი დამეწყო და სევდა მომაწვა... თვალები, დაკლული ცხვრის ღიად დარჩენილი თვალები მოსვენებას არ მაძლევდნენ.

ბონიტე — და მოწოლილი სევდის გასაქარვებლად ქალაქგარეთ გასეირნება მოისურვა. ათი წუთის შემდეგ ჩემს ძვირფას რძალს „კადილაკი" ვისტა ალეგრასაკენ მიაქროლებდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ჩემთან მოწვეული სადილობა ჩაიშალა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სენიორა როსარიომ ჩემს სტუმრებთან ერთად თავის სახლში მოგვიპატიჟა.

როსარიო — ამგვარად, დღეს, ჩემი ძვირფასი მაზლის ნაცვლად, მე გავხდი თქვენი მასპინძელი.

ბონიტე — რამდენი ვეხვეწე, მაგრამ, მაინც არ დარჩა.

როსარიო — ანკი როგორ შემეძლო იქ დარჩენა?.. წარმოიდგინეთ, საბრალო პირუტყვი, ოთხი, თოვლივით თეთრი ცხვარი, რომლის დანახვისას ადამიანს გულში ღმერთის გაჩენილი ყველა სულდგმულისადმი სიყვარული და პატივისცემა უნდა აღეძრას...

მერსედესი — რასაკვირველია.

როსარიო — და ხედავთ, რომ პირიქით ხდება... უცოდველ პირუტყვს შენს თვალწინ, შენივე მსგავსი ადამიანი სულ რამდენიმე ცენტის გასამრჯელოსათვის დანით ისე სჭრის ყელს, რომ სახეზე სიბრალულის ერთი კუნთიც არ უთამაშებს.

მერსედესი — რა საშინელებაა!..

როსარიო — და ამ დროს იმ უსულგულო კაცთან ერთად შენც ღმერთის მიერ გაჩენილ ადამიანს გეძახიან... რა დიდი შეცდომაა... უფრო მეტიც, სწორედ რომ საშინელებაა...

რიკარდო — მაგრამ ამ ქვეყნად, საბედნიეროდ, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც სინდისი, ადამიანობა და გულკეთილობა კიდევ საკმაოდ გააჩნიათ.

ბროგარი — (როსარიოს) თუ თქვენ დაკლული პირუტყვის სისხლმა ასე შეგაძრწუნათ, წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორ განიცდით, როცა ადამიანთა სისხლი იღვრება.

რიკარდო — სწორია... დღეს აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა არა მარტო აქ. კომუნისტური საშიშროება ემუქრება მთელ ჩვენს ქვეყანას, კასტროს შეიარაღებული ბანდები საშინელებას სთესავენ და, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენი თანამემამულე ბრმად აჰყოლია მათ ბოროტ იდეებს.

ალმეიდა — ეს გზააბნეული ადამიანები ხელს რომ არ უწყობდნენ, ფიდელისტებს ჩვენ ერთი დარტყმით გავანადგურებდით.

რიკარდო — და იმისათვის, რომ კუბაში კვლავ აღსდგეს სიწყნარე და მშვიდობა, ყველა პატიოსანმა საზოგადო მოღვაწემ ხელი უნდა მოაწეროს ამ მოწოდებას, რომელიც სასტიკად გმობს ფიდელისტების ხელისშემწყობ ადამიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმეიდა — და ჩვენ გვწამს, რომ ... როსარიო თავისი ხელისმოწერით დაამშვენებს და ძალას შემატებს ამ მოწოდებას.

(მოწოდებას გაუწვდიან, მაგრამ როსარიო ზედაც არ შეხედავს).

როსარიო — კმარა... გისმენდით და ყურებს არ ვუჯეროდი. თქვენ ჩემი სახლი პოლიტიკურ სათათბიროდ გადააქციეთ... გთხოვთ პატივი დამდოთ და ასეთ საკითხზე მეტს ნურას იტყვით.

რიკარდო — ნუთუ უარს ამბობთ, ნუთუ არ გაინტერესებთ ჩვენი სამშობლოს ბედი...

კლოდომირა — ჩვენი სამშობლოს ბედი სახელმწიფოს ხელმძღვანელებს აბარია... დედაჩემი აქ რა შუაშია?!

როსარიო — ჩემთვის არავის მოუნდვია ჩვენი სამშობლოს ბედი. მე არასოდეს არ ვერეოდი და არ ვერევი ასეთ საქმეებში... მე ჩემი საქმე მაქვს.

ბროგარი — ვინც დამნაშავეს არა ვმობს, ის უნებურად მისი ხელისშემწყობია, მისი მოკავშირეა... და, ალბათ, თქვენ მათ მხარეზე ხართ.

როსარიო — მე არავის მხარეზე არა ვარ... მე ჩემთვის ვარ და მხოლოდ სიკეთე მინდა ადამიანებისათვის. პოლიტიკის მიმდევარი მოძალადეა, მოძალადე კი მტერია ყოველივე იმისა, რაც ადამიანურია.

ბროგარი — ვინაიდან თქვენ სიკეთე გსურთ ადამიანებისათვის და გძულთ მოძალადეები, სწორედ ამიტომ უნდა მოაწეროთ ხელი მოწოდებას, რომელიც მოძალადეების წინააღმდეგ არის მიმართული.

ალმეიდა — ნუთუ თქვენი სურვილია სახელმწიფოს სათავეში წამოსკუპდნენ ველური წვერიანები?

როსარიო — ჩემთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაური... ყველა ისინი უზურპატორები არიან... ერთნი ათასგვარი ხრიკითა და გაიძვერობით ექცევიან ხელისუფლების სათავეში, მეორენი კი ხალხის სახელით მიძვრებიან ხელისუფლებისაკენ... და როცა მიზანს მიაღწევენ და ხელისუფლების სადავეებს ხელში ჩაიგდებენ, ხალხი აღარ ახსოვთ.

(გარედან მოისმის მძლავრი აფეთქების ხმა და შემზარავი გრუხუნი).

ალმეიდა — ალბათ, ფიდელისტების მორიგი თავდასხმაა.

ბროგარი — ვინ იცის, ამ წუთში რამდენი ადამიანის სისხლი დაიღვარა... (როსარიოს) მაგრამ ეს თქვენ სრულებით არ გაწუხებთ. პირუტყვის სისხლმა კი სასოწარკვეთილებამდე მიგიყვანათ, აღშფოთებაც კი გამოთქვით.

როსარიო — სტუმრად კი არა, სამტროდ მო-

სულხართ... სანტა მარია, მომეცი მოთმინება, დამიცავი მაცდურთაგან.

კლოდომირა — მისტერ ბროგარ, მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია არ გამოვთქვა ჩემი გაკვირვება იმის გამო, რომ თქვენ, ასპროცენტიან იანკის, როგორც ფიდელისტები ამბობენ, კოლონიზატორს შეერთებული შტატებიდან, ასე გაწუხებთ კუბის ბედ-იღბალი... ეს იქნებ იმიტომ, რომ ორიენტეს ცენტრიდან კამაგუეიამდეა გადაჭიმული თქვენი შაქრის სენტრალები, რომლებსაც კასტრო ხალხს გადასცემს.

როსარიო — (მწყრალად) კლოდომირა... ნუთუ შენც?!

კლოდომირა — სადილობა საფრანგეთის პარლამენტის სხდომად გადააქციეთ!

(კვლავ მოისმის აფეთქების ხმა, სროლა და გრუხუნი).

კლოდომირა — ხედავთ, რა ამბები ხდება ჩვენს ქალაქში, სენიორა მერსედეს? ალბათ, ჰავანაშიც...

მერსედესი — ჰავანა მშვენივრად გრძნობს თავს... აქ კი თითქმის ყველა შეშლილა... ვეღარ ვცნობ სანტ-იაგო დე-კუბას... ქალაქი კი არა, სისხლისმღვრელი ბრძოლის ველია. ჰავანაში კი კვლავ მშვიდობაა... სან-სუსი, ხაიმანიტოსი მუდამ სავსეა... ხალხი თავს ირთობს კაბარეებში და ბეისბოლით...

კლოდომირა — რა ბედნიერები ხართ ჰავანელებო!

მერსედესი — თუმცა სისხლის სუნი იქაც ტრიალებს, მაგრამ ბევრად ნაკლებად.

რიკარდო — საინტერესოა, როგორ აფასებთ ამ ამბებს თქვენ და თქვენი მეუღლე?

მერსედესი — ჩემი მეუღლე ისევ თავისი თეატრით არის გატაცებული... მე კი ჩემს „პანტერას", ჩემს კაბარეს ვაფართოებ... ჩვენ ფუნქციებიც გავიყავით... მე პატარა საკითხებს ვწყვეტ... მაგალითად, ვიყიდოთ თუ არა ვილა... შევიძინოთ თუ არა ახალი „კადილაკი", ახალი ავეჯი, ახალი სახლი, აქციები და სხვა... უფრო დიდ საკითხებს კი ჩემი ქმარი წყვეტს... მაგალითად, ვინ უფრო მართალია — ბატისტა თუ კასტრო, მართალია თუ არა ინგლისი ეგვიპტის წინაშე, რუზველტი იყო უფრო კკვიანი პრეზიდენტი თუ ეიზენჰაუერი ჯობია.

რიკარდო — გასაგებია.

(მსახურებს შემოაქვთ ცხელი კერძები).

როსარიო — არასასიამოვნო თემაზე საუბარს, მე მგონია, ეს გემრიელი ბიფშტექსი რომ მიირთვათ, აჯობებს.

რიკარდო — ცხვრის ბიფშტექსს არა ვჭამ. იგი თურმე კასტროს საყვარელი კერძი ყოფილა!

როსარიო — ისევ არ იშლით თქვენსას... კლოდომირა, იქნებ, გვიმღერებ რამეს.

კლოდომირა — სიამოვნებით.

(კლოდომირა დარბაზში გადის. ჯერ როიალი აყღერდება, მას თან მოყვება კლოდომირას ტკბილი სიმღერა... როგორც კი დამთავრდება სიმღერა, კლოდომირა შემოდის და ყველანი ტაშს უკრავენ).

მერსედესი — დანაშაულია, როცა ასეთ ხმას სახლში მალავენ.

კლოდომირა — გარეთ რომ არავის უნდა?.. მხოლოდ კაბარეში თუ ამიყვანენ, მაგრამ იქ სიმღერას, სულ რომ დავდუმდე, ის მირჩევნია. ამჟამად მხოლოდ სენიორ რიკარდოს იმედი მაქვს, იმპრესარიო ერეირას მოველაპარაკებიო.

რიკარდო — უეჭველად შევხვდები ჩემს ძველს მეგობარს და, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კეთილად დამთავრდება.

(ისევ გაისმის აფეთქება და გრუხუნი, ტელეფონის ზარი. შემოდის მსახური).

მსახური — ტელეფონთან თხოვენ გენერალ ალმეიდას.

(ალმეიდა გადის).

როსარიო — ასეთ დროს გენერლები ტელეფონით სიყვარულზე არ ლაპარაკობენ... ვინ იცის, ჩემი სახლის კედლებიდან როგორი ცოდვით სავსე ბრძანება უნდა გასცეს გენერალმა ალმეიდამ.

ბონიტე — მაგრამ არც თქვენ ხართ უცოდველი, ძვირფასო როსარიო. ქადაგებთ ერთს და აკეთებთ მეორეს.

როსარიო — ჩემო ძვირფასო მაზლო, თქვენც შემომიტიეთ? უმჯობესია კერძს ნუ გააცივებთ, მშვენიერი ბიფშტექსია.

ბონიტე — სწორედ ამ ბიფშტექსის შესახებ მინდა მოგახსენოთ... რა მადიანად მიირთმევთ... მერე და იცით რის ხორცისგანაა? თქვენ იტყვით, ცხვრისო, მაგრამ რომელი ცხვრის? ამას კი მე ვიტყვი: სწორედ იმ ცხვრისა, რომლის დაკვლამაც თქვენ ასე აღგაშფოთათ. სანამ თქვენ, ცხვრის საცოდაობით გულმოკლულს, ჩემი მანქანა ვისტა ალეგრასკენ მიგაქროლებდათ, მე ის დაკლული ცხვარი თქვენს მსახურს გამოვუგზავნე... და აი როგორი გემრიელი ბიფშტექსია... ისე მადიანად მიირთმევთ, რომ დარწმუნებული ვარ, თქვენც მოგწონთ.

როსარიო — თქვენ მე დამცინით, ეს კი უკვე მეტის მეტია... კეთილი მაზლი თავის რძალს ასე სასტიკად არ შეურაცხყოფს.

ბონიტე — როგორ გეკადრებათ... მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ... ჩემს მზარეულს თქვენ უსულგულო და ბოროტი ადამიანი უწოდეთ... იმან დაკლა, თქვენ კი დაკლულის ხორცს მიირთმევთ... ვინ უფრო უსულგულოა? ცხონებული თქვენი მეუღლე თავის „სამართლის ისტორიაში" წერდა: „დამნაშავე ის არის, ვინც ადამიანს დანაშაულს ჩაადენინებსო".

(შემოდის შეშფოთებული ხუან ალმეიდა).

ალმეიდა — საშინელი ამბავი... ფრანკ პაისის

ბანდები თავს დასხმიან მონკადას ყაზარმებს, იარაღისა და ტყვია-წამლის საწყობებს და აუფეთქებიათ. მეორე ჯგუფმა იარაღით დატვირთული ტრანსპორტი ნავსადგურში შემოსვლისთანავე გაანადგურა და უზარმაზარმა ხანძარმა იფეთქა... ნავსადგური იწვის.

რიკარდო — საკრამენტო... როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე!

(წამოხტება, მას დანარჩენებიც მიბაძავენ).

როსარიო — კლოდომირა, შენ საით?

კლოდომირა — მეც წავალ და ვნახავ, რა ამბები ხდება ჩვენს უცნაურ ქალაქში.

რიკარდო — (კლოდომირას) თქვენი მანქანაზე წავიდეთ, მძღოლი მე ვიქნები.

მერსედესი — მეც წამოგყვებით.

ალმეიდა — (ბონიტეს) ჩვენ კი პირდაპირ მონკადას ყაზარმისკენ.

(გადიან. როსარიო მარტო რჩება).

როსარიო — დამნაშავე ის არის, ვინც ადამიანს დანაშაულს ჩაადენინებს... ქადაგებთ ერთს, აკეთებთ კი მეორეს... და შენ, როსარიო, თურძე ორგული, თურმე ორპირი ყოფილხარ.

ფარდა

ავანსცენაზე ფრანკ პაისი, ვილმა ესპინი და გილმერო მაჩადო იარაღით ხელში.

ვილმა — ნუთუ ერთ მანქანას მაინც ვერ ჩავიგდებთ ხელში? ჩვენი აქ დარჩენა აღარ შეიძლება.

ფრანკი — ეტყობა, მთელი ქალაქი შიშმა შეიპყრო... სავსებით შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობა.

გილმერო — არის... და მერე კიდევ როგორი მანქანა — „კადილაკი!"

(ხაკობოსა და გონსალესს შემოყავთ დაპატიმრებული კლოდომირა, სენიორა მერსედესი და რიკარდო მასფერერა).

რიკარდო — რა უფლებით გვართმევთ მანქანას?..

ფრანკი — რევოლუციის უფლებით.

მერსედესი — სენიორი კომუნისტი ნუ დაიკიწყებს, რომ მე ჰავანადან გახლავართ და იცოდეთ, რომ...

გილმერო — ნუ იმუქრებით, თორემ...

(იარაღს აჩვენებს).

მერსედესი — (ჩანთას გაუწვდის) აქ ასი დოლარია... (საათს მოიძრობს) ოღონდ გაგვიშვით და ესეც თქვენი იყოს, ოქროსია...

ფრანკი — ჩვენ მძარცველები არა ვართ... ჩვენ თვითონ ვებრძვით მძარცველებს.

კლოდომირა — არ მეგონა, რომ ფრანკ პაისის ვაჟკაცები უდანაშაულო ადამიანებსაც ერჩიან...

(ფრანკი ცნობისმოყვარეობით უცქერის კლოდომირას, ბოლოს იცნობს).

ფრანკი — თქვენ ხომ თვითონ როსარიო ფერნანდეს...

კლოდომირა — დიახ, როსარიო ფერნანდეს შარიდეტის ქალიშვილი ვარ.

ფრანკი — ახლავე ჩასვით მანქანაში და შშვიდობით გაუშვით.

(ხაკობოსა და გონსალესს უკანვე მიჰყავთ დაკავებულნი. ყველაზე ბოლოს კლოდომირა გადის... იგი სხვებისათვის შეუმჩნეველად ოღიმის და დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევს ფრანკს).

ვილმა — რა მშვენიერი ქალიშვილია...

ფრანკი — ამავე დროს ნიჭიერი და შესანიშნავი მომღერალი... მაგრამ დღევანდელ პირობებში მას მხოლოდ კაბარეში შეუძლია იმღეროს.

(ისმის მანქანის ხმაური, რომელიც იქვე შეწყდება. ხაკობოსა და გონსალესს შემოყავთ მღვდელი ველასკო).

ველასკო — საძაგლობაა, თქვენ წმინდა წყლის განგსტერები ხართ.

ფრანკი — ასე რამ აღგაშფოთათ, წმიდა მამაო?

ველასკო — იცოდეთ, ხელი რომ მახლოთ მე ან ჩემს მანქანას, ანათემას გადაგცემთ, ღმერთი არ გაპატიებთ.

ფრანკი — ხელს როგორ გახლებთ... ჩვენ მხოლოდ თქვენი მანქანა გვჭირდება და ისიც დროებით.

ველასკო — მე კუბელი არა ვარ, მე დომინიკანელი ვარ, მე სასულიერო მამა ვარ და თქვენ უფლება არ გაქვთ ხელი ახლოთ ჩემს საკუთრებას.

ფრანკი — (თავისიანებს) ჩასხედით მანქანაში...

(ყველანი გადიან, გარდა ფრანკ პაისისა)

ველასკო — იქნებ გაზეთებიდან იცით, მე მღვდელი ველასკო ვარ, ტრუხილიოს წარმოგზავნილი... მე აქ ღმერთის სასურველი მისიით ჩამოვედი... თქვენ კი...

ფრანკი — ნუ სწუხხართ, მღვდელო... ღმერთის სასურველ მისიას ჩვენ თვითონ შევასრულებთ... კარგად მეყოლეთ. (გადის).

ველასკო — საკრამენტო... განგსტერები... სოციალისტები, კომუნისტები!

(პირველი მოქმედების დასასრული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ გორგილაძე

შენი ბადიში

შენი ბადიში უკვე ერთი წლის არის —
მამა!
შენი ბადიში შენს შვილს მამას მეძახის —
მამა!
შენმა ბადიშმა ფეხი უკვე აიდგა —
მამა!
და ის ეზოში გამორბენას თხოულობს მალ-მალ.
გაშალე ხელი, შენსკენ იგი წამოვა —
მამა!
ვინ იცის, იქნებ შენს ფეხებთან დაეცეს —
მამა!
იგი ახლახან ფეხადგმული ბალღია —
მამა!
წამოაყენე როგორმე, მამა!..
იცი? წუხელი გამიხდა ავად,
და მე მომიტყდა ორივე წარბი,
სიცხემ საგრძნობლად აუწია შენს ბადიშს, მამა,
და მის ენაზე მომთხოვა წყალი...
მერე ტუჩები დაულბა და აუტყდა ხველა,
თითქოს კვირტებად აფეთქდაო პატარა ყელი,
თითქოს ლოგინზე წამოჯდაო ყვავილი თეთრი,
მერე ვაჩვენე მაღალი ჭერი,
შეხედე, ეგერ ბაბუა-მეთქი.
და როცა ჭერში ვერაფერი იხილა, მამა,
იბრუნა პირი,
თოთო ბარტყივით მოკანკალე დაემხო საბანს
და მოჰყვა ტირილს...
და ჩაიძინა სიცხიანმა ტირილში, მამა!
და როცა დილით
ჭერს ჩემი ბალღის სიცხიანი თვალები შეხვდნენ,
და როცა ვერსად გავექეცი ამ თვალთა ჩივილს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ პირველად ვიგრძენი მწარედ,
რომ უკვე ერთხელ
მე მოვატყუე პატარა შვილი.
შენი ბადიში უკვე ერთი წლის არის,
მამა!
შენი ბადიში შენს შვილს მამას მეძახის,
მამა!

შენ კვლავ ეს მიწა წამოგაყენებს

ეზოში მხარი მორჩენია მუხას
დამეხილს
და მის ჩეროში,
შენ დადანდალებ, ჩემო მარეხი,
და დედაშენიც დადანდალებს შენთან,
მარეხი.
გაუშვი-მეთქი, ვეტყვი დედაშენს,
გაგიშვებს, თანაც სულსაც გაგატანს.
მოლზე თამაშობთ, შვილო, მზე და შენ
და შენ ღუღუნებ: და, და,
ტა, ტა, ტა...
გაუშვი-მეთქი!..
და უნებურად წაიფორხილე
და ჩაეხუტე მიწას ცვარიანს,
და დარჩა დედა ცივად მოხრილი.
შენ ატირდი და მე გავიცინე,
და დედაშენი გაწყრა, მარეხი...
რა გიხარია!
ეზოში მხარი აღარ ტკივა მუხას
დამეხილს —
და მის ჩეროში
შენ არ წაქცეულხარ, ჩემო მარეხი,
შენ არ გიტირია, ჩემო მარეხი.
შვილო! პირიქით,
ის იყო რაღაც დიდი ტირილი
და სიხარულის იყო ტირილი,
და მე არა მწამს სხვა რამ მიზეზი.
განა დაეცი?..
შენ ხომ პირველად მიწა იგრძენი,
განა დაშავდი?..
ანდა ეს არის ცრემლის მიზეზი?..
შენ ხომ პირველად მიწა იგრძენი
და ჩაეხუტე გულში ცვარიანს.
მე მეხარბება შენი ტირილი,
მე მიხარია...
რა იყო, შვილო, შენ გენაცვალე,
დედას კურცხალით რისთვის გახედე?
დედას ნუ უცდი,
დედას აცალე,
შენ კვლავ ეს მიწა წამოგაყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲔᲛᲝ ᲛᲐᲛᲣᲚᲝ

ო, შენს მიწაზე მნათობები რარიგ ბრწყინავენ,
შენთან შევზრდილვარ, მოგონებას ვფურცლავ თავიდან,
მსურს, მეც რომ შევთხზა შენზე ბევრი ლექსის მდინარე, —
უშენობას ამიერიდან ველარ ავიტან.

ქარში, ელვაში ფრთებს შევისხამ მე ვით არწივი,
მე ვეთაყვანე შენს ბაღნარებს მიწას, მთა-გორებს,
თუ დაგჭირდები, მომაწვდინე შენი ხმატკბილი,
გფიცავ, არასდროს დავიშურო შენთვის ძალღონე.

ᲐᲭᲐᲠᲐ

აქ ხომ ქართული საუბარია,
ხარობს მგზნებარე გული პატარა,
აქ არ ვყოფილვარ მე რახანია, —
აი აჭარა, ჩემი აჭარა.

აჭარის ცის ქვეშ ღამეს გავათევ,
თავზე დამყურებს ზეცა კრიალა,
ვუმღერ აჭარას, მშვენებით სავსეს,
მეც სხვებთან ერთად, მარტო კი არა.

აქ მშვიდ მიწაზე დავიარები,
ზღვით და ვარდებით სუნთქავს აჭარა,
აქ მიღიმიან მწვანე პალმები,
ხარობს მგზნებარე გული პატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარაიანი რაჯრა კრიშნანი

მისნის ერთი დღე

ჩვეულებისამებრ შუადღისას მოვიდა ის თავის ძველ ადგილზე და ჩანთიდან ამოალაგა განუყრელი ნივთები: თორმეტიოდე ნიჟარა, უბის წიგნაკი, პალმის ფოთლების წარწერებიანი შეკვრა და ქსოვილის ნაჭერი, რომელზეც დახაზული იყო გაურკვეველი მისტიკური დიაგრამები.

წინასწარმეტყველს შუბლზე წაეკრა წითელი ქსოვილი, რომელზეც საღვთო ფერფლი ელვარებდა, ხოლო თავზე საფირონის ფერის ჩალმა შემოეხვია. შეფერადებული შუბლი და შავი ბაკენბარდები მოხუცის თვალებს, რომლებიც გამსჭვალავად უციმციმებდნენ კლიენტების მოლოდინში, განსაკუთრებულ ძალას მატებდნენ. გულუბრყვილო ბედის მაძიებელნი მის მომაჯადოებელ თვალებში დიდ მისანს ხედავდნენ. ამიტომ იყო, რომ ღრმად სჯეროდათ მისი ყოველი სიტყვა. ხალხს ისე იზიდავდა, როგორც ფუტკრებს გეორგინის ყვავილები.

მისანი ტამარინდის ტოტებგაშლილი ხის ძირას იჯდა. მის გვერდით ქალაქის პარკისაკენ მიმავალი პატარა ბილიკი გადიოდა. მასზე დაბინდებამდე უამრავი ხალხი მიმოდიოდა. ეს ადგილი სხვა მხრივაც იყო საინტერესო. მის ახლომახლო ვაჭრები და სხვადასხვა ხელობის ხალხი ბუზებივით ირეოდნენ. ვის არ შეხვდებოდით აქ: წამლების გამყიდველებს, ნაქურდალი ფასეულობითა და ძველმანებით მოვაჭრეებს, აუქციონერებს, რომლებიც დილიდან საღამომდე ყაყანებდნენ და უხმობდნენ მუშტრებს. იქვე იყო შემწვარი არახისის მოვაჭრე, რომელიც ბოხი ხმით გაჰყვიროდა და თავის საქონელს ყოველდღე უცნაურ სახელებს არქმევდა. ერთ დღეს — „ბომბეის ნაყინს“, მეორე დღეს — „დელის ნუშს“, მესამე დღეს — „რაჯას მომხიბლავს“ და ასე ყოველდღე.

ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი მისანთან ჩერდებოდა. მას დიდად ეხმარებოდა არახისის შესაწვავად დანთებული ცეცხლის სინათლე. ვაჭრობისათვის ეს ადგილი იმითაც იყო საინტერესო, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან მათ არავინ აწუხებდა. ეს კუთხე ძირითადად მაღაზიების შუქით ნათდებოდა. გასანათებლად ზოგიერთს გაზის ნავთქურა ჰქონდა, ზოგი ფიჩხის ცეცხლს ანთებდა, სხვები ძველი ველოსიპედის ნათურებს იყენებდნენ. დანარჩენი კი ჩვენი მისანივით უსინათლოდ იოლად გადიოდა. ერთმანეთში არეულ სხვადასხვა შუქზე მოსიარულენი ლანდებს გვანდნენ. ასეთი გარემო მისნისათვის ხელსაყრელი იყო. მას არაფერი გაეგებოდა მისნობისა, მაგრამ სარგებლობდა კლიენტების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიამიტობით. მიუხედავად ამისა, მოხუცის მისნობით ყველა გაკვირვებული და კმაყოფილი იყო. მისი დამაჯერებელი წინასწარმეტყველება ბეჯითი მეცადინეობისა და ვარაუდზე აგებული შორსმჭვრეტელობის შედეგი იყო. ყოველ შემთხვევაში, მისი ხელობა სხვებთან შედარებით პატიოსნად ითვლებოდა და ის მცირე გროშები, რომელსაც იღებდა, საღამოს სახლში მიჰქონდა.

მან დიდი ხნის წინათ დასტოვა მშობლიური სოფელი. იქ რომ დარჩენილიყო, ალბათ, თავისი მამა-პაპის საქმეს გააგრძელებდა: მოხნავდა, სარჩოს მოიწევდა, ცოლსაც მოიყვანდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთს მემკვიდრეობით დატოვებულ სახლში გაატარებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ბედმა იძულებული გახადა სახლიდან გაპარულიყო. სოფელს იგი ორასიოდე მილით მოშორდა და დარწმუნდა, რომ აქ არავითარი საფრთხე აღარ მოელოდა.

მოხუცმა გამოცდილებით იცოდა ადამიანის საზრუნავი: ოჯახი, ფული და მათი ურთიერთობა. ხანგრძლივმა პრაქტიკამ დიდად გაამახვილა მისი მისნური ალღო. ხუთი წუთის განმავლობაში ამოიცნობდა კლიენტის გასაჭირს. თითო შეკითხვაში ხუთ პიის[1] ახდევინებდა. სანამ კლიენტს კარგად არ მოუსმენდა, არასოდეს დაილაპარაკებდა. ამ გზით დიდძალ მასალას აგროვებდა რჩევებისა და პასუხებისათვის. როცა რომელიმე პიროვნებას ხელისგულზე დააცქერდებოდა, ეტყოდა: შენი მიზეზით ვერ აღწევ წარმატებასო. ათიდან ცხრა ყოველთვის ეთანხმებოდა. ზოგჯერ კიდევ შეეკითხებოდა: — არის ვინმე ქალი შენს ოჯახში, შესაძლებელია, შორეული ნათესავი, რომელიც შენთან არაა კარგ განწყობილებაში? ხანაც ხასიათის თავისებურებას დაუსურათებდა: შენი წუხილის მთავარი მიზეზი თვითონ შენს ხასიათში იმალება. აბა, რატომ ხარ ყოველთვის დაღვრემილი? შენ ფიცხი ხასიათის კაცი ხარ, სახის ნაკვთები ეუბნებიან მამაცეს გამოხატავენ.

ასეთი სიტყვა-პასუხით მაშინვე მოინადირებდა ხოლმე გულუბრყვილო კლიენტების გულს, მით უმეტეს, რომ ყველაზე ლაჩარსაც კი უსაზღვროდ სიამოვნებს, როცა ეუბნებიან, შენი სახის ნაკვთები შეუდრეკლობას ამჟღავნებენო.

არახისის გამყიდველმა ჩააქრო ცეცხლი და წასასვლელად მოემზადა. ეს მისნისათვის ნიშანი იყო — აეკრიფა თავისი ხელსაწყოები, რადგან სიბნელეში რჩებოდა. მის წინ მხოლოდ მწვანე მკრთალი შუქი საიდანღაც იჭრებოდა ანა მიწაზე ეცემოდა. ის იყო მისანს ჩანთაში უნდა ჩაელაგებინა ნიჟარები, რომ უეცრად მწვანე შუქი წაიშალა და თავს ვიღაც მამაკაცი წამოადგა. მოხუცი მიხვდა, რომ ეს კლიენტი იყო და წამოიწყო: — თქვენ დარდით ხართ ღონემიხდილი. უთუოდ დამშვიდდებით, თუ ცოტა ხანს დაჯდებით და ვისაუბრებთ. უცნობი მიიპატიჟა. მოულოდნელად უცნობმა ცხვირწინ ხელი აუქნია და უკმეხად შეეკითხა:

— შენ მისანი ხარ?

მან იგრძნო გამოწვევა. ხელი მოჰკიდა უცნობს და მწვანე სინათლისაკენ გადახარა.

— თქვენ ხასიათით...

— ოჰ, მოიცა ერთი, მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს თავი გაანებე და საქმეზე გადადი...

მისანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო:

— მე თითო შეკითხვაში სამ პიის ვახდევინებ და, რასაც გეტყვი, ფული ეღირება!

ამ სიტყვებზე უცნობმა ხელი უკან წაიღო, ჯიბიდან ერთი ანა[1] ამოიღო და მისანს გაუწოდა, თან დაუმატა:

— მე მინდა რამდენიმე შეკითხვა მოგცე. თუ შეგამჩნიე, რომ სისულელეს ამბობ, ეგ ანა უკან უნდა დამიბრუნო.

— თუ ჩემი პასუხით დაკმაყოფილდე-

1 პიი ინდური ფულის ერთეულია.

1 ანა ინდური ფულის ერთეულია.

ბით, ზედმეტ ხუთ რუპიას[1] მომცემთ?

— არა.

— რვა ანას?

— კარგი, მაგრამ თუ სიმართლეს არ მეტყვი, იცოდე, ორჯერ მეტს გადამიხდი.

ამ პირობით ცოტაოდენი კამათის შემდეგ მორიგდნენ.

მისანმა ლოცვა ცად აღავლინა. უცნობმა სიგარა გააბოლა. ასანთის სინათლეზე მისანმა თვალი შეავლო კლიენტის სახის ნაკვთებს. მცირე ხნით დუმილი ჩამოვარდა. მანქანები ხმაურით მიმოდიოდნენ. მეეტლეები უწმაწური სიტყვებით ილანძღებოდნენ. ნახევრად დაბნელებულ პარკში ბრბოს ხმამაღალი ყაყანი ისმოდა. უცნობი ქვაზე ჩამოჯდა და კვლავ სიგარას ეწეოდა. შემდეგ ნამწვი გადააგდო. სახეზე გაბრაზება დაეტყო. მისანი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

— აჰა, წაიღე შენი ანა, მე ასეთ მოპყრობას ჩვეული არა ვარ. გარდა ამისა, დღეს უკვე გვიანაა. — იგი წასასვლელად მოემზადა, მაგრამ უცნობმა მაჯაში ხელი ჩასჭიდა და დაემუქრა:

— ასე ადვილად ვერ წახვალ. განა შენ თვითონ არ ჩამითრიე საუბარში?

მისანს შიშისაგან ტანში გააჟრჟოლა და ხმა გაებზარა.

— დღეს თავი დამანებე. ხვალ გიწინასწარმეტყველებ.

უცნობმა ხელი სახესთან მიუტანა და დასძინა:

— გამოწვევა გამოწვევაა. დაიწყე!

მისანი სალაპარაკოდ მოემზადა. გრძნობდა, რომ ყელი უშრებოდა.

— აქ ქალი უნდა იყოს...

— შეჩერდი! — გააწყვეტინა უცნობმა. — მე ზღაპრები არ მინდა. მივაღწევ თუ არა ჩემს საწადელს? მიპასუხე და გაგიშვებ, თორემ რაც ფული გიშოვია, აქვე დაგატოვებინებ.

მისანმა ლოცვა წარმოთქვა და უპასუხა:

— თანახმა ვარ. მაგრამ მომცემ ერთ რუპიას, თუ სიმართლეს გეტყვი? — არა, კრინტსაც არ დავძრავ. შეხედეთ, ეს გინდა, ის მიქენი.

დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ უცნობი დაეთანხმა.

— შენ მოგკლეს. მართალი ვარ?

— ჰო, განაგრძე.

— ერთხელ დანა გულში გაგიყარეს.

— ყოჩაღ, მოხუცო! — მან მკერდი გაიშიშვლა და ნაჭრილობევი აჩვენა. — კიდევ რა იცი?

— შემდეგ ჭაში ჩაგაგდეს... და სული განუტევე.

— მე მართლაც მკვდარი ვიქნებოდი, შემთხვევით გამვლელს ჭაში რომ არ ჩამოეხედა. — კმაყოფილებით წარმოთქვა უცნობმა და ჰკითხა: — მალე ვიპოვი ჩემს მოსისხლეს?

— მეორე სამყაროში, — უპასუხა მისანმა. — იგი ოთხი თვის წინათ გარდაიცვალა ერთ შორეულ ქალაქში. შენ მას ვერასოდეს იხილავ.

ამის გაგონებაზე უცნობმა სიბრაზით კბილები გაახრჭიალა. მისანმა განაგრძო:

— გურუ ნაიაქ!

— შენ ჩემი სახელიც იცი?! — თქვა უცნობმა და უკან დაიწია.

— დიახ, ისე როგორც ყველასი.

— გურუ ნაიაქ! ყურადღებით მომისმინე, რასაც გეტყვი: შენი სოფელი ამ ქალაქის ჩრდილოეთით ორი დღის სავალზეა. ამაღამვე მატარებლით შინ წადი. შენს სიცოცხლეს დიდი ხიფათი მოელის, თუ კიდევ სახლიდან შორს წახვალ.

მისანმა ქისა გახსნა და საღვთო ფერფლის მცირე ნაწილი უცნობს შესთავაზა.

— აჰა, წაისვი ეს შუბლზე და სახლში დაბრუნდი. არასოდეს იმოგზაურო სამხრეთისაკენ და ას წლამდე იცოცხლებ.

— ჩემი მოგზაურობა უკვე დამთავრდა. — თქვა მან დაფიქრების შემდეგ. — აქამდე მხოლოდ იმიტომ დავეხეტებოდი სხვადასხვა მხარეში, რომ ჩემს მო-

1 რუპია ინდური ფულის ერთეულია.

სისხლეს სადმე შევყროდი და საკუთარი ხელებით მომეხრჩო. — უცნობმა წყენით თავი გააქნია. — ჩემი ხელებიდან კი დაუძვრა სიკვდილს, მაგრამ, ალბათ, ისე ჩაძაღლდა, როგორც ეკუთვნოდა.

— დიახ, მანქანა დაეჯახა და გასრისა. უცნობს ესიამოვნა.

მისანმა აკრიფა თავისი ნივთები და ჩანთაში ჩაალაგა. ადგილი დაცარიელდა. მწვანე სინათლეც მიმქრალიყო და ირგვლივ მიდამოს სიბნელე და მყუდროება დაუფლებოდა.

უცნობმა ერთი მუჭა ხურდა ფული ჯიბეში ჩაუყარა მისანს და სიბნელეში მიიმალა.

შუაღამე მოახლოებული იყო, როცა მისანმა სახლს მიაღწია. ცოლი კარებთან დახვდა და დაგვიანების მიზეზი ჰკითხა. პასუხად ფული გაუწოდა და უთხრა:

— დათვალე რამდენია. ყველა ერთმა კაცმა მომცა.

— თორმეტნახევარი ანა, — მოახსენა ცოლმა. ქალი სიხარულს ვერ მალავდა.

— ხვალ შემიძლია ვიყიდო ცოტაოდენი ტკბილეული და ქოქოსის პალმა. ბავშვი დიდი ხანია ტკბილეულს მთხოვს.

— მომატყუა იმ არამზადამ! თავიდან ერთ რუპიას შემპირდა.

ცოლი ქმარს სახეში შეაცქერდა.

— დანაღვლიანებული მეჩვენები. ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

— არა!..

ვახშმის შემდეგ ჭილოფზე დასხდნენ და ქმარმა ცოლს საიდუმლოება გაუჟღავნა.

— იცი, დღეს რა ტვირთი მოვიცილე ზურგიდან? მთელი წლების მანძილზე ვფიქრობდი, რომ ხელი ადამიანის სისხლით მქონდა დასვრილი. აი, ეს იყო მიზეზი ჩემი სახლიდან გაქცევისა. შემდეგ აქ დავსახლდი და შენ შეგირთე.

...თურმე არ მომკვდარა, გადარჩენილა.

ცოლმა გაოცებისაგან პირი დააღო.

— მკვლელობა ჩაიდინე?

— ჰო, ჩვენს სოფელში, როცა თავქარიანი ახალგაზრდები ვიყავით. ერთ დღეს დავთვერით, ბანქო ვითამაშეთ და შემდეგ ძლიერ წავიჩხუბეთ... — ეჰ, რაღა დროს ამაზე ფიქრია. დროა დავიძინოთ, — დაამთქნარა და ტახტზე გაიშოტა.

ინგლისურიდან თარგმნა **ფრიდონ ფანჯავიძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქი პროგრესული პოეტების ლექსები

ნაზიმ ჰიქმეთი

ისევ ჩემს სამშობლოს

სამშობლოვ, ჩემო სამშობლოვ!
ქუდიც არ შემრჩა მე შენეული.
ბეჭებს არ მოსავს დიდიხანია
შილის შალისგან ნაქსოვი ფარჩა.
რაც დამრჩა, შუბლის ნოჭში დამრჩა...
დამრჩი ჭრილობად გულში, კვლავ ვობლობ,
თმებში ჭაღარად შემორჩენილო,
სამშობლოვ, ჩემო სამშობლოვ!

აღნან საითნი

თავისუფლება

მიწა ხარის რქებს კი არ უჭირავს,
მიწის დამჭერი მუშის ხელია,
და რომ კოჟრები იზრდება ხელზე,
ეს უსათუოდ გასამხელია...
თქმა აგვიკრძალოს, ვის აქვს უფლება,
მაშ, გაუმარჯოს თავისუფლებას!

ნევზათ უსჯუნი

მართალი რომ ვთქვათ

პირველ ომში ფეხი დამრჩა,
მეორეში — ორივ ხელი,
თუ ხელახლა ომი ატყდა,
არ გვქონია, მაშ, საშველი,
სად წაუხვალ სასაკლაოს!
ჯერი შენზე მომდგარია,
უბედურო ჩემო თავო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორჰან ველი

მშვენიერო დღეებო!

მშვენიერო დღეებო, დამღუპველნო ჩემო,
იმ მშვენიერ დღეებში სამსახური დავგმე,
იმ მშვენიერ დღეებში დავეჩვიე წევას,
იმ მშვენიერ დღეებში სახლში ვინღა შევა.
იმ მშვენიერ დღეებში ვიწყე შეყვარება,
იმ მშვენიერ დღეებში სადღაც მეჩქარება
და ლექსების წერაც არ მსურს ავიჩემო —
მივატოვე წერა იმ მშვენიერ დღეებში,
მშვენიერო დღეებო, დამღუპველნო ჩემო.

შეყვარებული გავხდი?

წარმოვიდგენდი როდისმე განა,
რომ ფერს იცვლიდა ირგვლივ ქვეყანა,
რომ გავხდებოდი ბეცი და ბრიყვი,
რომ ჯავრს უძილო ღამეში ვიყრი,
რომ დარდისაგან ოხვრად ვიქცევი,
რომ ფერს იცვლიდა ირგვლივ ქვეყანა,
წარმოვიდგენდი როდისმე განა?

ფაჰრი ეარდინი

დანატოვარი

ნაზ ცრემლებს გვიტოვებს
პირველი ტრფიალი,
მოწყვეტილ ვარსკვლავებს
კი რჩებათ კვალი.
პოეტებს რა რჩებათ?
სულ ორი ბწკარი.

გაზაფხული

პირველი მარტი —
ნარგიზის ეშხი... იები ხელში,
მზეს ეხატება პირველი ღიმი,
ტუჩზე თუთუნის
მეფსკვნება ღილი,
გული ცემს, სუნთქვა აღარ მაქვს
მშვიდი,
დღეს ცოლმა უნდა მაჩუქოს შვილი.

ჰაღიმ იაღშიოღლუ

კარუსელი

ორატორები ხშირად იცვლება,
თავს გეფიცებით, არა იცლება,
წყლის სურის გარდა.

თურქულიდან თარგმნა ნანა გვარიშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანრი ბარბიუსი

სათნოება

1893 წ. 25 სექტემბერი.

ჩემო ძვირფასო პატარა ლუი!

გათავდა ყველაფერი. ჩვენ ერთმანეთს ველარ ვნახავთ... დარწმუნდი ამაში შენც, ისევე როგორც მე... შენ ასე არ გსურდა. შენ ყველაფერს გააკეთებდი, ოღონდ ერთად ვყოფილიყავით. მაგრამ ჩვენი დაშორება აუცილებელი იყო. შენ შენი ცხოვრება უნდა მოაწყო.

არ ვნანობ, რომ ამ გადაწყვეტილებას არ აღვუდექი წინ, არ გეწინააღმდეგე შენ, ჩემს თავს. არ ვეწინააღმდეგე ჩემს თავს და შენ მაშინაც კი, როცა გუშინ ბალიშზე დამხობილი ქვითინებდი; არც მაშინ, როცა სალამოს შებინდებისას ველარ ვხედავდი შენს ცრემლებს და მხოლოდ ვგრძნობდი, როგორ ცვიოდნენ ისინი ჩემს ხელებზე...

ახლა ჩვენ წარმოუდგენლად ვიტანჯებით. ყველაფერი ეს კოშმარად მეჩვენება. რამდენიმე დღეში ყველაფერი ძნელად დასაჯერებელი გახდება და კიდევ ბევრ თვეს მტკივნეული იქნება... შემდეგ განკურნების ჟამი დადგება. და აი მე ვიწყებ წერას. ჩვენ ხომ გადავწყვიტეთ, რომ შენთან კავშირს განვაახლებდი დროდადრო. ამაზე ჩვენ დაბეჯითებით მოვილაპარაკეთ... მართალია, ეს ცალმხრივი კავშირი იქნება — ჩემი შენდამი, ვინაიდან შენ ვერასდროს ჩემს მისამართს ვერ გაიგებ, მაგრამ ეს კავშირი ერთადერთია, რაც ხელს შეუშლის, რომ ჩვენი განშორება განადგურებად იქცეს.

უკანასკნელად გეხვევი ნაზად, ალერსიანად და ასე დიდი მანძილიდან.

1894 წ. 25 სექტემბერი.

კვლავ გესაუბრები — მე ხომ ამას დაგპირდი.

აი უკვე მთელი ერთი წელია, რაც ჩვენ აღარა ვართ „ჩვენ“... ვიცი კარგად, რომ არ დაგვიწყნივარ. ჩვენ ჯერ ერთად ვართ იმისთვის, რომ შენი ტკივილი ჩემს საკუთარ ტკივილად არ განვიცადო მაშინ, როცა ყველაფერს გავიხსენებ ხოლმე... მაგრამ უკვე განვლილმა თორმეტმა თვემ თავისი გააკეთა. მან გახვია წარსული სევდის ბურუსში...

ჰო, უკვე — ბურუსი!..

უკვე ბევრი წვრილმანი ბეჭუტავს მეხსიერებაში, ბევრი დეტალი უკვე მოკვდა... ხომ ამჩნევ ამას, როცა შემთხვევით რაიმე აღსდგება ხოლმე მეხსიერებაში— ხომ ასეა?

შევეცადე აღმედგინა მეხსიერებაში შენი სახის ის გამომეტყველება, როცა პირველად განახე, და — ვერ შევძელ!..

შეეცადე შენც გაიხსენო ჩემი პირველი მზერა და დარწმუნდები, რომ ყველაფერი წარმავალია...

ამას წინათ გავიღიმე. რას ან ვის გავუღიმე? არავის და არაფერს. ეს ხეივანში შემთხვევით შემოჭრილი მზის სხივი იყო. მან გამაღიმა... დიდხანს უშედეგოდ ვეცადე გამეღიმა. პირველად ეს შეუძლებლად მეჩვენა და მით უმეტეს მაინც გამეღიმა! მე მინდა, რომ რაც [illegible] ხშირად თავს მაღლა სწევდე და იღიმებოდე, თუნდაც სრულიად უმიზეზოდ, თუნდაც უბრალოდ იმიტომ, რომ კარგი დარია, ან თუნდაც კარგ მომავალზე ფიქრით.

1899 წ. 17 სექტემბერი.

კვლავ შენთან ვარ, ჩემო პატარა ლუი.

ხომ ვგავარ სიზმარს, რადგან გევლინები მაშინ, როცა მე ეს მომწონს, მაგრამ ყოველთვის შესაფერის წუთებში, — როცა ბნელა და სიცარიელეა...

მე მოვდივარ და ჩაგივლი სულ ახლო, თუმცაღა ჩემი შეხება არ შეიძლება...

მოწყენა განმიქარდა, სიმხნევე დამიბრუნდა. ყოველ ახალ დილას, ყოველ ახალ წელს დროის ცვალებადობით მზე უფრო ალერსიანი მეჩვენება.

ერთხელ ვიცეკვე. ახლა კი ხშირად ვიცინი. პირველად შემეძლო დამეთვალა ის დღეები, როცა ვიცინოდი, შემდეგ კი მათი დათვლა შეუძლებელი გახდა.

გუშინ რაღაც დღესასწაული მახარებდა. ბაღივით მშვენიერი იყო ბრბო საღამოს მზის სხივებში. ბედნიერად ვგრძნობდი თავს იმით, რომ იქ ვიყავი, ამ კმაყოფილ და მხიარულ ადამიანთა შორის...

მე გწერ იმიტომ, რომ გითხრა, დამებადა შენდამი ახალი, განსაკუთრებული გრძნობა — სათნოება...

ჩვენ ამ გრძნობაზე ვილაპარაკეთ ოდესღაც, თუმცა არ ვიცოდით მისი მნიშვნელობა მაშინ.

დავუჯეროთ ამას გულის სიღრმეში!..

1904 წ. 6 ივლისი.

გადიან წლები... თერთმეტი წელი!..

მე გავემგზავრე, შემდეგ დავბრუნდი და კვლავ მივემგზავრები.

შენ, ალბათ, უკვე სახლ-კარი გაქვს და (ეს მე მჯერა), ალბათ, ოჯახიც, ჩემო დავაჟკაცებულო ლუი! ოჯახი, რომლისთვისაც შენი სიცოცხლე მნიშვნელოვანია... და თვით შენ კი... თვით შენ როგორი ხარ ახლა? წარმომიდგენია შენი სახე — გასუქებული, ბეჭები — გაგანიერებული... შესაძლოა ჭაღარაც გაგეერია. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ შეგრჩა შენი თავისებურება; შენ სახეს, ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით... ჩემო ძვირფასო ლუი, ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე მოვკვდი. თუ შენ ახლა ვიდრე გაიღიმებდე, შენივე შინაგანი ბუნების შუქი ეფინება!.. და მე კი... არ მოგითხრობ, როგორი გავხდი... ქალი ხომ უფრო ადრე ბერდება, ვიდრე მამაკაცი. ახლა რომ ერთმანეთის გვერდით დავდგეთ, მე შენს დედად ჩამთვლიდნენ, გარეგნობითაც და ყველა იმით, რაც ანათებს შენთვის ჩემს თვალებში... ხომ ხედავ, რა კარგად მოვიქეცით, რომ ერთმანეთს დავშორდით, იმიტომ რომ სიმშვიდე დაგვიბრუნდა და იმიტომ რომ სწორედ ახლა შენ ძლივსღა იცანი ჩემი ხელწერა ამ ბარათის კონვერტზე.

1893 წ. 25 სექტემბერი.

ჩემო ძვირფასო!

ცოცხალი ხარ და კითხულობ ამ წერილს, რომელსაც გამოგიგზავნის ის მართალი და ერთგული ხელი, რომელმაც ყველა ჩემი დანარჩენი წინა წერილი გამოგიგზავნა ამ წლების მანძილზე,—შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე უკვე დაგავიწყდი და მაპატიებ, რომ ჩვენი დაშორების მეორე დღესვე მე თვითმკვლელობით დავამთავრე ჩემი სიცოცხლე... მე არ შემეძლო და არ ვიცოდი როგორ უნდა მეცოცხლა უშენოდ...

ეს გუშინ მოხდა, ეს — ჩვენ გუშინ დავშორდით ერთმანეთს. დახედე ამ წერილის დასაწყისში დასმულ თარიღს, რომელსაც შენ ყურადღება არ მიაქციე.

ეს გუშინ იყო, შენ რომ ქვითინებდი ბალიშებში თავჩამხობილი, მწუხარებისაგან დასუსტებული დიდი ბავშვი... გუშინ დაბინდებისას იყო ეს, ბაღში გამავალ სარკმლის წინ რომ მაფრქვევდი ხელებზე ცრემლებს... ეს გუშინ ტიროდი შენ, მე კი უსიტყვოდ ვიდექი და თავს ვიკავებდი, როგორც შემეძლო... და აი დღეს გწერ, ჩვენს ბაგიდასთან მიმჯდარი, ჩვენი საყვარელი ნივთებით გარემოცული, იმ ვითარებაში, რომელიც ასე მოგვწონდა ორივეს. ვწერ ოთხ წერილს, რომელსაც შენ ღებულობდი ხანგამოშვებით და... ვამთავრებ ამას, ამ უკანასკნელს...

საღამოს განკარგულებას გავცემ, რომ ეს წერილები გიგზავნონ შენ დანიშნული თარიღების მიხედვით, შემდეგ კი ისე მოვიქცევი, რომ ვერასდროს ვერ მნახონ.

მე გავქრები ცხოვრებიდან. არ მსურს გითხრა, თუ როგორ. ძძიმე დეტალები დაგამწუხრებენ და ახალ ტანჯვას მოგაყენებენ ამდენი ხნის შემდეგაც კი.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ შევძელი კავშირი უეცრად არ გამეწყვიტა და მივაღწიე იმას, რომ დაგშორდი ფრთხილად და ალერსიანად...

მე მსურდა მეცოცხლა წერილებში მხოლოდ იმიტომ, რომ თვით მიმეყვანა ყველაფერი ბოლომდე...

კავშირი უეცრად არ გაგვწყვეტია. შენი მგრძნობელობით, შესაძლოა, ვერც კი აგეტანა ეს. და აი მეც ვბრუნდებოდი, ვზოგავდი შენს გულს, ვბრუნდებოდი საკმაოდ ხშირად და ამასთანავე საკმაოდ იშვიათად, რომ თანდათანობით ჩავმქრალიყავი შენს გულში. ახლა კი, როცა სიმართლეს გეუბნები, მე მოვიგე საჭირო დრო იმისთვის, რომ შენ მკაცრად არ განგეცადა, თუ რას ნიშნავს შენთვის ჩემი სიკვდილი.

ო, ჩემო პატარა ლუი! არის რაღაც საშინელი გულახდილობა ამ ჩვენს უკანასკნელ საუბარში მაშინ, როცა ასე ჩუმად და ასე შორიდან ვესაუბრებით და ვუსმენთ ერთმანეთს; შენ — მე, რომელიც დიდიხანია უკვე აღარ არის, და მე — შენ, რომელმაც არ იცოდი, თუ რა ვიყავი მე ამ წლების მანძილზე... და რა უცნაურად ისმის სიტყვა „ახლა", ჩემი ბაგიდან ჩურჩულით ამოფრენილი, მაშინ, როცა იწერება ეს სტრიქონი, — და შენი ბაგიდან მაშინ, როცა შენ მას წარმოთქვამ ამ წერილის კითხვის დროს.

და სწორედ ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, — თუმცა ეს წარმოუდგენელია,— მე შენ ნამდვილად გეხვევი!..

ამით ვამთავრებ, რადგან ვერ ვბედავ (სევდის შიშით, რაც იმას ნიშნავს, რომ ავი არ ვიყო შენს მიმართ) სიტყვით გადმოგცე მთელი ჩემი განუზომელი, გიჟური სიყვარული, რომელზეც შეიძლება მხოლოდ ოცნებო, და ჩემი სათნოება, რომელიც ამ სიყვარულზე ბევრად დიდია...

თარგმანი ფრანგულიდან ირინე არეშიძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ მშვიდობაძე

ლოგიკურის დიალექტიკურობის შესახებ

მარქსისტულ ფილოსოფიაში, რა თქმა უნდა, გამორიცხულია აზრი ლოგიკურის არადიალექტიკურობის შესახებ, რადგან ლოგიკურის არსებობა ფაქტია და, მაშასადამე, როგორც ყოველი არსებული, ლოგიკურიც სინამდვილის განვითარების უნივერსალურ კანონზომიერებას — დიალექტიკას უნდა ექვემდებარებოდეს. ასე, რომ საკითხი იმას კი არ შეეხება, არის თუ არა ლოგიკური დიალექტიკური ბუნებისა, არამედ იმას, თუ როგორ, რა გზით დავასაბუთოთ ლოგიკურის დიალექტიკურობა და რას ნიშნავს მისი დიალექტიკური ბუნება.

ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი ლოგიკურს მიიჩნევს დაპირისპირებულ მხარეთა ბრძოლა-ერთიანობის სფეროდ და ამტკიცებს, რომ საგნის, მოვლენის დიალექტიკური ბუნების გადმოცემა ნიშნავს მიუთითო კონკრეტულად არსებულის საპირისპირო მომენტებზე, დაახასიათო ეს საპირისპირო მომენტები როგორც შეურიგებელი წინააღმდეგობის, ე. ი. ბრძოლის ნიშნით, ისე დაპირისპირებულთა ერთიანობის ნიშნით. მარქსისტული ფილოსოფიის ამ ცნობილ ძირითად პრინციპს რომ ახასიათებდა, ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, რომ დიალექტიკის არსს (ერთ-ერთ „დედაარსს", ერთ-ერთ ძირითადს, თუ ძირითადს არა, თავისებურებას ან თვისებას) შეადგენს ერთიანის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილის შეცნობაო.

ფილოსოფოსთა მეორე ნაწილი ლოგიკურის დიალექტიკურობას სულ სხვა გზით ამტკიცებს: ცნობიერი მატერიალურის ასახვაა, ასახულს კი არ შეუძლია ასასახისაგან დამოუკიდებლად იარსებოს (როგორც ვიცით, ეს ამავე დროს მატერიალიზმის ძირითადი პრინციპია). თუ ცნობიერის სფერო, აღნიშნავენ ამ მოსაზრების მიმდევრები, არ არსებობს ყოფიერებისაგან დამოუკიდებლად, მაშინ, ცხადია, ლოგიკური არ შეიძლება იყოს დაპირისპირებულ მხარეთა ბრძოლა-ერთიანობის სფერო, ე. ი. ლოგიკური არის დიალექტიკურის ერთი მხარე, მომენტი და არა სრულყოფილი დიალექტიკური, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკური, მსგავსად ონტოლოგიურისა, დამოუკიდებლად იარსებებდა. იგი დიალექტიკურია, რამდენადაც დიალექტიკურის ერთი მხარეა.

როგორც ვხედავთ, ორივე მოსაზრება ეყრდნობა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრინციპებს, მაგრამ დასკვნები საპირისპიროა. განვიხილოთ თვითეული მათგანი.

იმ შემთხვევაში, როცა ლოგიკურს ვაღიარებთ დიალექტიკურ მთელად,[1] ვერ დავასაბუთებთ მის მეორადობას, იმას, რომ იგი ყოფიერებითაა განსაზღვრული. თუ ლოგიკური დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობაა, მაშინ მას აღარ დასჭირდებოდა ონტოლოგიური, როგორც განმსაზღვრელი. ლოგიკურის ბუნება კი ის არის, რომ იგი მეორადია და მატერიალურით — პირველადით განისაზღვრება. ლოგიკური მეორადია არა მარტო იმიტომ, რომ მატერიალური სინამდვილის განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა (ასე წარმოიშვა არაორგანულიდან ორგანული, ორგანულიდან — ბიოლოგიური, ბიოლოგიურიდან — სოციალური). არა, იგი მეორადია იმიტომ, რომ არ შეუძლია დამოუკიდებ-

1 გამოთქმა — „დიალექტიკური მთელი" მიზანშეწონილად მიგვაჩნია ,,ვიხმაროთ ლოგიკურის დიალექტიკური ბუნების კვლევისას; დიალექტიკური მთელი ანუ დიალექტიკა ყველა მისი მომენტით.

ლად იარსებოს (მაშინ, როცა არაორგანული, ორგანული, ბიოლოგიური და სოციალური დამოუკიდებლად არსებული სფეროებია), არ არის დიალექტიკური მთელი — მატერიალური და მატერიალურის მხოლოდ ერთი მხარეა, მომენტია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ლოგიკური არ არის დიალექტიკური, რადგან დიალექტიკურია როგორც მთელი-მატერიალური, ისე ყველა მისი მომენტიც.

ერთი სიტყვით, ლოგიკურის ბუნების გადმოცემისას აუცილებელია **გამოვყოთ დიალექტიკური მთელი მისი მომენტისაგან.** ასეთი გამოყოფა აუცილებელია ლოგიკურის კვლევისას იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ლოგიკურის დამოუკიდებლად არსებობას, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მატერიალისტური ფილოსოფიის პრინციპებს. სადაო არ არის, რომ დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია მხოლოდ დიალექტიკურ მთელს, რომელიც თავის მხრივ უდრის მატერიალურს, ხოლო მატერიალურად არსებობა და დიალექტიკური მთელი ერთი და იგივეა. ლოგიკური კი, როგორც მომენტი, არ არსებობს მთელისაგან დამოუკიდებლად. ლოგიკურის დიალექტიკა ნიშნავს დიალექტიკურ მთელსა და მის მომენტს შორის მიმართების გადმოცემას და არა იმას, რომ დაპირისპირებული მომენტები ლოგიკურში აღმოვაჩინოთ.

ონტოლოგიის სფეროს დიალექტიკური დახასიათებისას აუცილებელი არ არის ასეთი მკვეთრი გამოყოფა დიალექტიკური მთელისა მომენტისაგან. ლოგიკურის პრობლემატიკაში კი ასეთი ოპერაცია აუცილებელია, რადგან რაიმეს დიალექტიკის გადმოცემა შეეხება ამ რაიმეს არსებობის საფუძველს, ხოლო არსებობის საკითხში ორ მომენტს უნდა გაესვას ხაზი: დამოუკიდებლად არსებობასა და დამოკიდებულ არსებობას. თუ ეს ორი მომენტი ერთმანეთს ავრიეთ, მაშინ, ცხადია, მივიღებთ ლოგიკურის დამოუკიდებლად არსებობას.

ამრიგად, ლოგიკურის დიალექტიკურობის გარკვევისას უნდა დავინახოთ განსხვავება დიალექტიკურ მთელსა და მის მომენტს შორის. განსხვავება კი მთელსა და მომენტს შორის ის არის, რომ ერთს, მთელს შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს, მომენტი კი დამოუკიდებლად არ არსებობს. რაიმეს დიალექტიკურობის დადგენა ნიშნავს მისი არსებობის დადგენას, ე. ი. იმის დასაბუთებას, თუ რის ძალით არსებობს იგი. მაშასადამე, ლოგიკურის დიალექტიკურმა ანალიზმა უნდა დაასაბუთოს, რომ იგი არ არის დამოუკიდებლად არსებული სფერო, რომ იგი არ არის წინააღმდეგობრივ მხარეთა მთლიანობა. აი რა უნდა იყოს, ჩვენი აზრით, კვლევა-ძიების შინაარსი.

რა შეიძლება საერთოდ ითქვას იმ მოსაზრებაზე, რომელიც, იკვლევს რა ლოგიკურის დიალექტიკურობას, აცხადებს, რომ იგი დაპირისპირებულთა ბრძოლა-ერთიანობის სფეროა?

ამ მოსაზრების მომხრეთა მიზანი — [illegible] ვებულ იქნას ლოგიკური დიალექტიკა [illegible] ციპით უთუოდ სასარგებლოა. მაგრამ ამ საკითხისადმი მათი მიდგომის გზა და პრობლემის გადაწყვეტა არ უნდა იყოს მართებული. არ შეიძლება ლოგიკური მივიჩნიოთ დიალექტიკურ მთელად, ე. ი. ისეთ რამედ, რომელიც დაპირისპირებულ მომენტთა წინააღმდეგობა-ერთიანობის სფეროა. ასეთი დასკვნა არ ეთანხმება ცნობიერება-ყოფიერების მიმართების მატერიალისტურ გადაწყვეტას, იმას, რომ ცნობიერება მეორადია და ყოფიერებითაა განსაზღვრული.

მაგრამ რამდენად სწორია მეორე მოსაზრება, რომელიც უარყოფს ლოგიკურს, როგორც დაპირისპირებულ მომენტთა ბრძოლა-ერთიანობის სფეროს?

როგორც აღვნიშნეთ, ეს მოსაზრება ეყრდნობა მატერიალისტური ფილოსოფიის პრინციპს ცნობიერება-ყოფიერების მიმართების შესახებ და ასკვნის, რომ ლოგიკური არ შეიძლება იყოს დიალექტიკური მთელი, რომ ლოგიკური მხოლოდ მომენტია დიალექტიკურისა, ე. ი. მას ოდნავადაც არ შეაქვს ეჭვი ლოგიკურის დიალექტიკურ ბუნებაში, ოღონდ უარყოფს ლოგიკურს, როგორც დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობის საფუძველს, სფეროს და არა მის დიალექტიკურ ბუნებას.

ამრიგად, ლოგიკურის დიალექტიკური ბუნების გადმოცემისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ როგორც მატერიალისტური თეორია, ისე დიალექტიკა, როგორც შემეცნების მეთოდი. ლოგიკურის ბუნების კვლევისას მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ეს ორი არსებითი მხარე ყოველთვის ტოლი ძალით უნდა გამოვიყენოთ, არ დავკარგოთ ის მჭიდრო ორგანული კავშირი, რაც მატერიალისტურ თეორიასა და დიალექტიკურ მეთოდს შორის არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ ან დიალექტიკის ან მატერიალიზმის უარყოფას, ერთ-ერთი მათგანის უარყოფა კი მეორის უარყოფასაც ნიშნავს. მაშასადამე, არა დიალექტიკა ან მატერიალიზმი ცალ-ცალკე, არამედ დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ორი ორგანულ ერთიანობაში მყოფი მხარე, არის ლოგიკურის დიალექტიკურობის სწორად გადაწყვეტის საფუძველი.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს პრაქტიკის უდიდესი როლი ლოგიკურის დიალექტიკური ბუნების სწორად გადაწყვეტაში.

როგორც ცნობილია, მარქსისტულ-ლენინური გნოსეოლოგიის მიხედვით, პრაქტიკა ერთსა და იმავე დროს შემეცნების საფუძველიცაა და ჭეშმარიტების, ე. ი. ცნობიერების არსებობის კრიტერიუმიც. სწორედ პრაქტიკაა აზრისეულის

კრიტერიუმი და არა სხვა რამ მატერიალური.

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, ლოგიკურის დიალექტიკური ბუნების გადმოცემა უნდა მოხდეს პრაქტიკის ფილოსოფიური ანალიზის ბაზაზე. ეს საჭიროა იმიტომ, რომ კონკრეტულად ვუჩვენოთ, თუ რის დიალექტიკურ მომენტს წარმოადგენს ლოგიკური. ასეთი ოპერაცია შესაძლებელია, რადგანაც პრაქტიკა არის ის ერთადერთი, ობიექტურად მიმდინარე პროცესი, რომელიც სხვა პროცესებისაგან განსხვავებით არსთან აზრის მიმართების სფეროა და რომლის ერთ მხარესაც ცნობიერი წარმოადგენს.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აქედან?

თუ პრაქტიკა მატერიალურ სინამდვილესთან აზრის კავშირის სფეროა, მაშინ ცნობიერება არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დამოუკიდებლად არსებული.[1] მაშასადამე, იგი მატერიალურის — პრაქტიკის ერთი მხარეა, მომენტია და არა მთლიანი. იგი მთელის ერთი ნაწილია, რომელიც თავის ბუნებას თავისსავე მთელთან მიმართებაში ავლენებს. ამიტომ არ შეიძლება მომენტი ერთსა და იმავე დროს დახასიათებულ იქნას საკუთრივ მომენტისა და მთელის ნიშნით. ეს რომ შეიძლებოდეს, მაშინ მთელი, როგორც ასეთი, ზედმეტი იქნებოდა. ხომ არ შეიძლება ნაწილი თავისი მხრივ სხვა საპირისპირო მომენტებისაგან შედგებოდეს? არა. ეს დიალექტიკის უარყოფაა ნაცვლად მისი გადმოცემისა. ლოგიკურის დიალექტიკა ის კი არ არის, რომ იგი საპირისპირო მომენტთა ერთიანობის სფეროდ ვცნოთ, საჭიროა ვუჩვენოთ, რომ ლოგიკური მთელის მომენტია, რაც ამავე დროს მის დიალექტიკურობას მოწმობს. პრაქტიკის სფეროს მაგალითზე ყურადღება უნდა მიექცეს ლოგიკურს, როგორც პროცესის ერთ მხარეს, რომელიც ისევე დიალექტიკურია, როგორიც მთელი პროცესი. სხვანაირად, მთელი იმიტომაა დიალექტიკური, რომ საპირისპირო მხარეთა ერთიანობას წარმოადგენს. მომენტი კი იმიტომ, რომ დაპირისპირებულთა ერთ საპირისპირო მხარეს წარმოადგენს. დაპირისპირებულთა ერთიანობა მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურის სახით არსებობს, სულიერი კი მხოლოდ იმდენადაა დიალექტიკური, რამდენადაც მატერიალურის ერთი მომენტია. ვიმეორებთ, ლოგიკურის პრობლემის გარკვევისას ზუსტად უნდა დავიცვათ მთელისა და მომენტის ნიშნები, თორემ შეიძლება დიალექტიკის უარყოფამდე მივიდეთ. ამ შემთხვევაში მთელია პრაქტიკა, რამდენადაც იგი მატერიალურად მიმდინარე პროცესია, და მომენტია ლოგიკური, რამდენადაც იგი პრაქტიკის ერთ ცნობიერ მხარეს ახასიათებს.

მეორე მხრივ, ლოგიკურის დიალექტიკური ბუნების კვლევისას საჭიროა გავარკვიოთ მსგავსება-განსხვავება ლოგიკურის ონტოლოგიურ სფეროსთან. იმ შემთხვევაში, თუ ლოგიკურის დიალექტიკა (ონტოლოგიურის მსგავსად) დაპირისპირებულ მომენტთა ერთიანობის სახით წარმოვიდგინეთ, მაშინ მივიღებთ ამ ორის აბსოლუტურ იგივეობას, რაც არსებითად ეწინააღმდეგება დიალექტიკურ იგივეობას.

მას შემდეგ, რაც მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ პრაქტიკა შეიტანა ფილოსოფიურ საკითხთა რიგში, საბოლოოდ გაირკვა ცნობიერების ადგილი, მისი საზღვრები და ბუნება; ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ იქნა, რომ ცნობიერი სინამდვილის ერთ-ერთი კონკრეტული ფორმის — საზოგადოებრივი პრაქტიკის ერთ-ერთი შემადგენელი მომენტია, რომ მას არ შეუძლია დამოუკიდებლად იარსებოს და რომ ობიექტურად არსებობის ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა — პრაქტიკა ისევე დიალექტიკურია, როგორც ყოველი სხვა ონტოლოგიური. ცნობიერი დაპირისპირებულთა ერთიანობაა, რომლის ერთ საპირისპირო მხარეს საკუთრივ ლოგიკური წარმოადგენს, ხოლო მეორეს პრაქტიკის სფეროში მოცემული რეალურად არსებული საგნები. დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ ყოფიერებასთან ცნობიერების მიმართება რეალურად არსებობს, რასაც ადამიანის საგნობრივი მოქმედება — პრაქტიკა წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი ძირითადი დასკვნა გამომდინარეობს: ლოგიკური დიალექტიკური მთელის — პრაქტიკის მომენტია.

მაგრამ რაში მდგომარეობს მომენტის დიალექტიკა?

როცა რაიმეს დიალექტიკურ ბუნებაზეა ლაპარაკი, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი საპირისპირო მხარეთა ერთიანობაა. გადმოსცე რომელიმე კონკრეტული საგნისა თუ მოვლენის წინააღმდეგობრივი ბუნება, ნიშნავს გადმოსცე მისი არსებობა-განვითარების დიალექტიკური კანონზომიერება. საკუთრივ დიალექტიკა, როგორც სინამდვილის არსებობა-განვითარების უნივერსალური კანონი, თავის მომენტებს შეიცავს. დიალექტიკური მთელი (მატერიალური საგანი) შედგება იგივეობისა და უარყოფის მომენტებისაგან. დიალექტიკური ამ ორი საპირისპირო მხარის მთლიანობაა. აქვე ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება — დაპირისპირებულთა ბრძოლა-წინააღმდეგობა არ შეიძლება დიალექტიკურის მომენტად მივიჩნიოთ. თუ ბრძოლა იგივეობისა და უარყოფის მსგავსად დიალექტიკის მომენტად გამოვაცხადეთ, მაშინ ვერავითარი გზით ვერ დავასაბუთებთ მის აბსოლუტურობას. მომენტი არავითარ შემთხვევაში არ ხა-

1 პრაქტიკის ფილოსოფიის სფეროში შემოტანით — მისი გნოსეოლოგიური განხილვის საფუძველზე მარქსისტულმა ფილოსოფიამ მეცნიერულ საფუძველზე გადაჭრა სულისა და სხეულის დუალიზმი.

სიათდება აბსოლუტურობის ნიშნით, — აბსოლუტურია მთელი. დიალექტიკური მთელი — დაპირისპირებულთა ბრძოლა· არც მხოლოდ უარყოფაა და არც რაიმეს დადგენა (თავისთავთან იგივეობა). ერთიც და მეორეც აუცილებელი მომენტებია დიალექტიკურისა, დაპირისპირებულთა ბრძოლისა. არ შეიძლება მთელის მომენტებთან გაიგივება. იგივეობა არ დაისმის არც თვით მომენტებს შორის. ამის შესახებ ხშირად გვაფრთხილებდნენ ჰეგელი და მარქსიზმის კლასიკოსები.

ამრიგად, ლოგიკური, როგორც მომენტი, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც დიალექტიკური **იგივეობის** მხრივ, ისე დიალექტიკური **უარყოფის** მხრივაც. ერთიც და მეორეც პრაქტიკის ფილოსოფიური ანალიზის შუქზე უნდა იქნეს ნაჩვენები. წინააღმდეგ შემთხვევაში ცალკე აღებულ ლოგიკურს ვერც იგივეობის და ვერც უარყოფის ნიშნით ვერ დავახასიათებთ. ლოგიკური დიალექტიკური მიმართების ერთი მხარეა და შეუძლებელია თვითონ იყოს მიმართების სფერო. ლოგიკურის ონტოლოგიურთან მიმართების სფერო პრაქტიკაა და ლოგიკურის ადგილი პრაქტიკისავე ანალიზის საფუძველზე უნდა გამოვყოთ.

როგორც აღვნიშნეთ, სხვა პროცესებისაგან განსხვავებით პრაქტიკა არის ადამიანთა საგნობრივ-ცნობიერი მოქმედების პროცესი, ცნობიერისა, რაც ამავე დროს მის სპეციფიკას, მთელთან ნაწილის იგივეობის მომენტს წარმოადგენს, მაგრამ დიალექტიკური იგივეობა უარყოფასაც გულისხმობს. ცნობიერი საკუთარი უარყოფის შემცველია, კერძოდ იმის, რომ იგი არაცნობიერის — მატერიალურის საფუძველზეა შესაძლებელი. ეს არაცნობიერი პრაქტიკის მაგალითზე შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: ცნობიერი არ მოიცავს პრაქტიკული მოქმედების მთელ სფეროს. ეს უკანასკნელი გაცილებით ფართოა, ვიდრე ცნობიერი. არ შეიძლება საგნობრივი მოქმედების არე, მთლიანად, ცნობიერის ნიშნის ქვეშ იდგეს. ადამიანებმა არ იცოდნენ, რომ ორთქლის მანქანების გამოგონებით ძირს უთხრიდნენ არსებულ საზოგადოებრივ წყობილებას და მატერიალურ წანამძღვარს უმზადებდნენ ახალ — ბურჟუაზიულ საზოგადოებას. არ შეიძლება პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა შედეგი ბოლომდე გათვალისწინებულ-გაცნობიერებულ იქნას. მიუხედავად ამისა, პრაქტიკა მაინც (ყველა დანარჩენისაგან განსხვავებით) ცნობიერი პროცესია, რომელიც (მსგავსად ყველა დანარჩენისა) განვითარებას დიალექტიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება.

მაშასადამე, შეუძლებელია ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობის სფეროდ მივიჩნიოთ, რადგან ამ შემთხვევაში იგი აბსოლუტურად გაუტოლდებოდა ონტოლოგიურს. ლოგიკური დიალექტიკურის მხოლოდ მომენტია; დასასრულ, ლოგიკურის დიალექტიკური მთელი არის პრაქტიკა, რომლის მაგალითზეც უნდა ვუჩვენოთ საკუთრივ ლოგიკურის ბუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლიმენტი ეღიზბარაშვილი

აჭარის მოსახლეობა და მისი ეროვნული შემადგენლობა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელებულ სამეურნეო-პოლიტიკურ ღონისძიებათა შედეგად, შეიცვალა აჭარის არა მარტო სახალხო მეურნეობა და კულტურა, არამედ მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობაც. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებამ, სამედიცინო სამსახურის არსებითად გაუმჯობესებამ უზრუნველყო სიკვდილიანობის მკვეთრად შემცირება და მოსახლეობის შეუნელებელი ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ქართველი ეროვნების მოსახლეობა 1959 წლისათვის 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 77,2 ათასი სულით, ხოლო 1939 წელთან შედარებით — 26 ათასზე მეტი სულით.

უკანასკნელი, 1959 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით, სულ სსრ კავშირში ცხოვრობდა 2.650 ათასი ქართველი, აქედან საქართველოში — 2.558 ათასი, ე. ი. საქართველოს მთელი მოსახლეობის 63,3 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ (სულ საქართველოში ამ დროისათვის იყო 4.044 ათასი მცხოვრები). კერძოდ, აჭარის ასს რესპუბლიკაში ქართველი ეროვნების მოსახლეობამ შეადგინა 178,7 ათასი კაცი, რაც მთელი მოსახლეობის 73 პროცენტს აღემატება.

აჭარის ასს რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1939-1959 წლებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: 1939 წელს ქართველი — 127.542 კაცი (მთელი მოსახლეობის 64 პროცენტი), 1959 წელს — 178.661 (მთელი მოსახლეობის 73 პროცენტი), ხოლო სხვა ეროვნებანი შესაბამისად— რუსი —30.535 (15,3 პროცენტი), 32.794 (13,3 პროც.), სომეხი — 14.085 (7 პროც.), 15.830 (6,4 პროც.), აფხაზი — 1.029 (0,5 პროც.), 1.157 (0,5 პროც.), აზერბაიჯანელი — 140 (0,07 პროც.), 674 (0,26 პროც.), ოსი — 219 (0,1 პროც.), 248 (0,1 პროც.), დანარჩენი (უკრაინელი, ბერძენი, ებრაელი, თათარი, პოლონელი, აისორი, თურქი, ქურთი, გერმანელი და სხვ.) — 26.555 (13,9 პროც.), 15.932 (6,4 პროცენტი).

როგორც ამ მაჩვენებლებიდან ჩანს, რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ. მართალია, რუსების ხვედრითი წილი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში 15,3 პროცენტიდან 13,3 პროცენტამდე შემცირდა, მაგრამ მათი აბსოლუტური რიცხვი 30,5 ათასი სულიდან გაიზარდა 32,8 ათას სულამდე. მნიშვნელოვნად გადიდდა აგრეთვე სომეხთა რიცხვი, თუმცა 1939 წელთან შედარებით რესპუბლიკის მთელ მოსახლეობაში მათი ხვედრითი წილი შვიდი პროცენტიდან 6,4 პროცენტამდე შემცირდა. აფხაზების რიცხვი 1.029 სულიდან გაიზარდა 1.157 სულამდე, ანუ 12,4 პროცენტით, მაგრამ მათი ხვედრითი წილის შეფარდებითი სიდიდე (0,5 პროცენტი) უცვლელი დარჩა.

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე აჭარის ასს რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნებებიდან რიცხობრივი ზრდა განიცადეს: ქართველებმა 51.119 კაცით, ანუ 40,1 პროცენტით; რუსებმა — 2.259 კაცით, ანუ 7,3 პროცენტით; სომხებმა — 1.745 კაცით, ანუ 12,4 პროცენტით; აფხაზებმა — 128 კაცით, ანუ 12,4 პროცენტით; აზერბაიჯანელებმა — 534 კაცით, ანუ 4,8-ჯერ, ხოლო ოსებმა — 29 კაცით, ანუ 13,2 პროცენტით.

თუ ერთმანეთს შევადარებთ აჭარის ასს რეს-

პუბლიკის მოსახლეობის ძირითად ეროვნულ შემადგენლობას 1913-1959 წლებში, ასეთ სურათს მივიღებთ (პროცენტობით ჯამის მიმართ): ქართველი — 1913 წელს 53, 1922 წელს — 63, 1926 წელს — 68, 1939 წელს — 64 და 1959 წელს — 73; რუსი (შესაბამისად) — 7, 9, 9, 15, 13; სომეხი — 5, 12, 8, 7, 6; დანარჩენი — 35, 16, 15, 14, 8 (1913 წლის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა აღებულია იმდროინდელი ბათუმის ოლქის საზღვრებში. იმავე წელს ბათუმის ოკრუგის ფარგლებში ცხოვრობდა: ქართველი 69 პროცენტი, რუსი — 10 პროცენტი, სომეხი — 5 პროცენტი, ხოლო დანარჩენი ეროვნების მოსახლეობის წილად მოდიოდა 16 პროცენტი).

1959 წელს 1913 წელთან შედარებით აჭარაში მცხოვრები ქართველი ეროვნების მოსახლეობა გაიზარდა 101,5 ათასი კაციდან 178,7 ათას კაცამდე, ანუ 77,2 ათასი სულით; რუსების რიცხვი — 13 ათასი კაციდან 32,8 ათას კაცამდე, ანუ 18,8 ათასი სულით, სომხებისა კი 10 ათასი კაციდან 15,8 ათას კაცამდე, ანუ 5,8 ათასი სულით. იმავე პერიოდში დანარჩენ ეროვნებათა მოსახლეობის რიცხვი 66,5 ათასი კაციდან შემცირდა 18 ათას კაცამდე, ანუ 48,5 ათასი სულით.

აჭარის ასს რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში დიდ როლს ასრულებს ქალაქის მოსახლეობა, რომელიც მთელი მოსახლეობის 45,2 პროცენტს შეადგენს, ამასთან ზოგიერთი ეროვნების წარმომადგენლები ძირითადად ქალაქებში ცხოვრობენ. ამის გამო ინტერესმოკლებული არ იქნება უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ქალაქის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას. 1959 წლის აღწერის მონაცემთა მიხედვით, ქალაქ ადგილებში ცხოვრობდა 55.684 ქართველი, რაც ქალაქის მოსახლეობის 50,2 პროცენტს და რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობის 31,1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო სხვა ეროვნებანი შესაბამისად: რუსი — 28.101 სული, 25,4 და 85,7 პროცენტი; სომეხი — 14.782 სული, 13,3 და 93,4 პროცენტი; უკრაინელი — 4.775 სული, 4,3 და 81,7 პროცენტი; ბერძენი — 2.603 სული 2,3 და 45,4 პროცენტი; ებრაელი — 1.430 სული, 1,3 და 88,4 პროცენტი; აფხაზი — 502 სული, 0,45 და 43,4 პროცენტი; აზერბაიჯანელი — 484 სული, 0,44 და 71,8 პროცენტი; თათარი — 248 სული, 0,22 და 78 პროცენტი, ოსი — 215 სული 0,2 და 86,7 პროცენტი; პოლონელი — 228 სული, 0,21 და 93,8 პროცენტი; აისორი — 172 სული, 0,16 და 100 პროცენტი; თურქი — 69 სული, 0,06 და 44,8 პროცენტი, ქურთი — 62 სული, 0,06 და 50,4 პროცენტი; გერმანელი — 54 სული, 0,05 და 91,5 პროცენტი; დანარჩენი ეროვნებანი — 1.434 სული, 1,3 და 86,5 პროცენტი.

ამრიგად, ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 45,2 პროცენტს შეადგენს, ხოლო ქართველი და აფხაზი ეროვნების მოსახლეობის ხვედრითი წილი ამ მაჩვენებლებზე ნაკლებია, ე. ი. რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობის მხოლოდ 31,1 და აფხაზი მოსახლეობის 43,4 პროცენტი ცხოვრობს ქალაქ ადგილებში. ამრიგად, ქართველებისა და აფხაზების გარდა, ზემოდასახელებულ ეროვნებათა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა რესპუბლიკის ქალაქ ადგილებში ცხოვრობს.

რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, 178,7 ათასი კაციდან 123 ათასი კაცი, ანუ მთელი სოფლის მოსახლეობის 90 პროცენტი, ცხოვრობს სოფელ ადგილებში. სოფელ ადგილებში მცხოვრები რუსების რიცხვი მთელი მოსახლეობის 3,5 პროცენტს შეადგენს, სომეხი მოსახლეობისა კი 0,8 პროცენტს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში, ბათუმის გარდა, არც ერთი ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება არ იყო. ამიტომ იმდროინდელი ქალაქის მოსახლეობაში იგულისხმება მარტო ბათუმის მოსახლეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოშობილმა ახალმა ქალაქებმა და დაბებმა გამოიწვიეს რესპუბლიკის ქალაქი ადგილების მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა. ჯერ კიდევ 1939 წელს რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობის რიცხვმა 76 ათას კაცს გადააჭარბა. მაშინ ბათუმში 70 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი ბათუმის მოსახლეობის წილად რესპუბლიკის ქალაქი ადგილების მოსახლეობის საერთო რაოდენობის 74 პროცენტი მოდის. თუ ერთმანეთს შევადარებთ ქალაქ ბათუმის მოსახლეობის ძირითად ეროვნებათა შედგენილობას 1897-1959 წლებში, ასეთ მაჩვენებლებს მივიღებთ: ქართველები 1897 წელს შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 23,4 პროცენტს, 1913 წელს — 25,6, 1922 წელს — 30, 1926 წელს — 37, 1939 წელს — 41 და 1959 წელს — 49 პროცენტს, რუსები (შესაბამისად) — 25,4, 26,4, 18, 21, 25,3, 26 პროცენტს; სომხები — 18,2, 18, 24, 21, 17,7, 15 პროცენტს, ხოლო დანარჩენი ეროვნებანი — 33, 30, 28, 21, 16,6, 10 პროცენტს.

ასეთია აჭარის მოსახლეობისა და მისი ეროვნული შემადგენლობის ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებელი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲨᲐᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ᲒᲕᲐᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲔᲝᲜᲐᲨᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პირველყოფილ თემურ წყობილებაში, როგორც ცნობილია, გვარი სისხლის ნათესაობაზე აღმოცენებულ სოციალურ-ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენდა და მტკიცე, მონოლითური ხასიათი ჰქონდა. ფრ. ენგელსი წერდა, რომ „თანამოგვარენი ვალდებულნი იყვნენ ერთმანეთისათვის დახმარება გაეწიათ, დაეცვათ ერთიმეორე და განსაკუთრებით ერთმანეთს დახმარებოდნენ უცხოელის მიერ მიყენებული შეურაცხყოფისათვის შურისძიებაში. ცალკეული ინდივიდი თავისი პირადი უშიშროების დაცვის საქმეს გვარს ანდობდა და შეეძლო კიდეც მას დანდობოდა... თუ ვინმე უცხო გვარიდან როშელიმე თანამოგვარეს მოკლავდა, მოკლულის მთელი გვარი ვალდებული იყო სისხლი აეღო“ (ფ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, გვ. 117-118, 1953 წ.).

სისხლის აღების წესი, რომელიც მძიმე შეურაცხყოფას, დაჭრას ან მკვლელობას მოსდევდა, თანაბრად ვრცელდებოდა გვარის ყველა წევრზე. ძველ ებრაელებში სისხლის აღება მოკლულის ნათესავთა არა მარტო უფლებას, არამედ წმინდა მოვალეობასაც შეადგენდა, გერმანული წყაროების მიხედვით კი მოკლულის მემკვიდრეს არ შეეძლო თავისი უფლებების აღდგენა, თუ შურს არ იძიებდა მკვლელზე.

ჩაისახა რა გვაროვნულ წყობილებაში, სისხლის აღების წესი ფართოდ გავრცელდა ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და კლასობრივ საზოგადოებამდეც კი მოატანა, მართალია, რამდენადმე შეცვლილი და შერბილებული სახით. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ ძველმა ქრისტიანულმა კანონმდებლობამ დაადგინა, რომ მოკლულის ნათესავს შეეძლო შური ეძია მხოლოდ შეურაცხმყოფელზე და არა გვარის რომელიმე წევრზე. ასეთივე პრინციპი მიიღო ყურანმაც.

დროთა ვითარებაში კიდევ უფრო შეიზღუდა სისხლის აღების წესი. თუ უნებლიე მკვლელობა მოხდებოდა, დამნაშავეს გასამართლებდნენ, რასაც ყოველთვის როდი მოჰყვებოდა სიკვდილით დასჯა. გერმანელებში კი სისხლის აღება გარკვეული ვადით შეიზღუდა. მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ გვარს შურისძიების უფლება აღარ ჰქონდა.

სისხლის აღების წესის შეზღუდვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო დანაშაულის გამოსყიდვა ფულით, საქონლით ან ძვირფასი ნივთებით, ხოლო კლასებისა და სახელმწიფოს აღმოცენების შემდეგ დამნაშავე იხდიდა ჯარიმას ადგილობრივი მმართველობის სასარგებლოდ. განსხვავებანი მმართველობისადმი სასარგებლო ჯარიმის ოდენობაში აღნიშნულია ძველბერძნული მონათმფლობელური სამართლის ძეგლში, ე. წ. გორტინის კანონებში (V საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). შემდგომ ეპოქებში ეს ჯარიმა თანდათანობით დაიხვეწა და ტარიფის სახე მიიღო. ძველი რუსული სამართლის წიგნის „რუსკაია პრავდა“ მიხედვით, თავისუფალი კაცის მკვლელობისათვის დაწესებული იყო ჯარიმა — ვირა 40 გრივენის ოდენობით, მთავრის რაზმის წევრის მკვლელობისათვის — 80 გრივენი და ა. შ.

სისხლის სამართლის საჯარო ხასიათის ეს ჯარიმა ცნობილია ქართული სამართლის კომპოზიციათა სისტემისთვისაც. კერძოდ, მისი საწყისები ჩანს ვახტანგ VI კანონთა კრებულში, ხოლო XVIII საუკუნის ადმინისტრაციულ-საფინანსო სამართლის წიგნში „დასტურლამალში“ იგი საკმაოდ დახვეწილ ხასიათს იღებს.

ამგვარად, კლასობრივი საზოგადოების პირობებში სისხლის აღების წესის ნაცვლად მივი-

ღეთ სისხლის სამართლის ნორმა აშკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათით.

სისხლის აღების წესი გადმონაშთის სახით თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც გვხვდება. გასული საუკუნის მეორე ნახევარში გვაროვნული წყობილების ეს ინსტიტუტი განსაკუთრებული სიძლიერით იჩენდა თავს არაბებში, სპარსელებში, კავკასიელ მთიელებში, სამხრეთ სლავებში და სხვ. ჩერნიგორიაში სისხლის აღების წესი მთავარ დანილის კანონმდებლობითაც (1855 წ.) კი იყო დაშვებული.

სისხლის აღების წესი ასევე დიდხანს შემორჩა საქართველოშიც (სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, აჭარა და სხვ.), იქ, სადაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების გადმონაშთები.

როგორც ეთნოგრაფიული, ისე ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ რევოლუციამდელ აჭარაში სისხლის აღების წესი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. ისევე, როგორც საქართველოს სხვა მთიან მხარეებში, აჭარაშიც სისხლის აღების წესი თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ზოგჯერ ამა თუ იმ გვარის მთლიანი გაჟლეტით მთავრდებოდა. ხალხურ გადმოცემებში ხომ ხშირად იხსენიება გვარები, რომლებიც ამგვარი მტრობის ნიადაგზე გადაშენებულან.

ხალხური სამართლის მიხედვით, სხვადასხვა გვარის წევრთა შორის მკვლელობის დროს პასუხისმგებლობა არა მარტო მკვლელსა და მის ოჯახზე, არამედ მკვლელის მთელ გვარზე გადადიოდა. ამდენად სისხლის აღება აჭარაში არ იყო შეზღუდული თვით დამნაშავის უშუალო დასჯით. მკვლელობის აქტიდან დაწყებული, მოკლულის ახლო ნათესაობა იარაღს ისხამდა და შურისძიების ვალდებულებას კისრულობდა. ანალოგიური ვალდებულების აღებას სვანეთში მოკლულის საფლავზე თოფის გასროლით აღნიშნავდნენ. თუ მოსისხლეები მეზობლები იყვნენ, დაზარალებული მხარე მოითხოვდა მკვლელის გასახლებას თანამოგვარეთა სოფლიდან, სისხლის აღების ვალდებულება კი ძალაში რჩებოდა. თანამოგვარეთა სოფლიდან მკვლელის გასახლების ფაქტები აჭარაშიც გვხვდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ხევსურეთში ანალოგიური შემთხვევებისას გასახლებულს შეეძლო ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ გარკვეული გადასახადი გადაეხადა დაზარალებული მხარისათვის და ნამოსახლარზე დაბრუნებულიყო, აჭარაში გასახლებულის უკან დაბრუნების ფაქტები თითქმის არ გვხვდება.

სისხლის აღების წესის ასეთი სისასტიკის მიუხედავად, აჭარაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, მოსისხლეთა გვარების საბოლოო შერიგება საყოველთაოდ აღიარებულ მოვლენას წარმოადგენდა, ამავე დროს სისხლის აღების გამოსყიდვა-კომპოზიციას საკმაოდ ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. მოსისხლეთა შესარიგებლად გამოყოფდნენ გვარის ან სოფლის რამდენიმე უხუცესს (სამ-ხუთ კაცს). მელთა შორის ყველაზე გავლენიან პირს ევალებოდა შერიგების პროცესში წამოჭრილი ყველა საქმის მოგვარება. სვანეთში ანალოგიური მოვლენა უფრო რელიეფურად ჩანს. იქ ამ საკითხის გადაჭრას ორივე გვარისაგან სპეციალურად არჩეულ მორუალს (მოსამართლეებს) აკისრებდნენ. არჩეულ ოცდაოთხ უხუცესს ევალებოდა ადგილზევე შეესწავლა მკვლელობის პირობები და მიზეზები და მიუკერძოებლად გამოეტანა გადაწყვეტილება. საქმე ის იყო, რომ სწორედ მკვლელობის მიზეზები და პირობები განსაზღვრავდნენ სისხლის საფასურის რაოდენობას. შემთხვევითი მკვლელობის დროს ან იმ შემთხვევაში, თუ მოკლულს განსაკუთრებული დანაშაული მიუძღოდა მკვლელის წინაშე, სისხლის საფასური მცირდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ მოკლული გავლენიანი გვარის წარმომადგენელი იყო, სისხლის საფასური იზრდებოდა და პირიქით.

ეს ტრადიციები განსაკუთრებით ხაზგასმულია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში. დანაშაულის ჩადენის ადგილის, პირობებისა და სიმძიმის მიხედვით, სამართალი დამნაშავეს დაზარალებული პირის სასარგებლოდ აკისრებდა ორკეც, ერთნახევარ, სრულ, ნახევარ და მესამედ სისხლის საფასურს. სისხლის საფასურის ასეთ მეტ-ნაკლებ ზომას სამართლის წიგნში ეფარდება დანაშაულის მეტ-ნაკლები სერიოზულობა. მაგრამ სისხლის საფასურის ოდენობა მარტო დანაშაულის ჩადენის ადგილის, პირობებისა და სიმძიმის მიხედვით როდი განისაზღვრებოდა. დაზარალებულს სისხლი უნდა ანაზღაურებოდა გვარისა და ღირსების მიხედვით — ვითარცა გვარად იყოს და ვითარცა ღირს იყვნენ. ამის მიხედვით, დიდებულის სისხლის საფასური უდრიდა ორმოცი ათას თეთრს, პირველი აზნაურისა—ოცი ათას, მეორე რიგის აზნაურისა და საპატიო ვაჭრისა — თორმეტ-თორმეტ ათას, მსახურისა და „სიკეთეზე ცნობილი გლეხისა"—ათას და ყმა გლეხისა — ოთხას თეთრს (ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953 წ., გვ. 333-334). როგორც ვხედავთ, სისხლის საფასურის აქ წარმოდგენილი სისტემა ნათლად გამოხატავს ფეოდალური სამართლის წოდებრივ პრივილეგიას და აშკარა უფლებრივ უთანასწორობას.

აჭარის ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის სისხლის საფასურის ანაზღაურება ცნობილია როგორც ნატურალური, ისე ფულადი სახით. სისხლის საფასურის გადახდისას ერთი დადგენილი ნორმა არ არსებობდა. ნატურალური სახით დაზარალებულ გვარს უხდიდნენ მსხვილფეხა პირუტყვს, ძვირფას საოჯახო ჭურჭლეულს და საგნებს. ხშირი იყო მიწის გადაცემის შემთხვევაც. დამნაშავე სისხლის საფასურს იხ-

დიდა მაშინაც, თუ გარკვეული პირის მოკვლა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. მაშინ სისხლის საფასურს უშუალოდ ის იღებდა, ვისზეც თავდასხმა მოახდინეს.

ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მკვლელის პირველი შეხვედრის მომენტი მოკლულის ნათესავებთან. სვანური მასალების მიხედვით, მკვლელი ჩოქვით მიდიოდა მოკლულის ნათესავებთან, მის უფროს ძმასთან ან მამასთან. ნიშნად მორჩილებისა მკვლელს ხელები გადაჭდობილი ჰქონდა და მიახლოებისას ითხოვდა პატიებასა და შერიგებას. აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ აქტს რამდენადმე განსხვავებული ხასიათი ჰქონდა და მკვლელობის მიზეზებსა და პირობებზე იყო დამოკიდებული.

აჭარაში (ჭვანის ხეობის მასალების მიხედვით) წინასწარგანზრახული მკვლელობის შემთხვევაში მკვლელისა და მოკლულის ჭირისუფლების სპეციალური შეხვედრა იშვიათად ინიშნებოდა. შერიგების აქტს აქ მარტო უხუცესნი ასრულებდნენ და მკვლელისა და მოკლულის ჭირისუფლის შეხვედრა საზოგადოებრივ ადგილზე მათი შემთხვევითი შეხვედრით ამოიწურებოდა. შემთხვევითი ან უცაბედი მკვლელობის დროს კი ეს ცერემონია უფრო მკაცრ ხასიათს იღებდა. ასეთ შემთხვევაში მკვლელი მოკლულის ნათესავებთან კისერში თოკწაბმული მიჰყავდა ერთ-ერთ გავლენიან უხუცესს. მიახლოებისას თავდახრილი დამნაშავე მუხლებზე ეცემოდა და დუმდა. მოკლულის ჭირისუფალი მკვლელს ფეხს გაჰკრავდა და შერიგებაზე თანხმობას განაცხადებდა. ამრიგად, შერიგების დროს, სისხლის საფასურის გადახდის გარდა, მკვლელს პირადი ღირსებაც უნდა დამცირებულიყო.

ასეთი იყო ძირითადად პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების ერთი გადმონაშთის ხასიათი აჭარაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელ სურგულაძე

მღელვარება აჭარაში XIX საუკუნის 70-იან წლებში და ქართული პრესა

გასული საუკუნის 70-იანი წლების მღელვარებას აჭარაში წინ უძღოდა ისეთი მოვლენები, რომლებიც მოსახლეობის ყოველგვარ გამოსვლას ხელისუფლების წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათს აძლევდა.

XIX საუკუნის 30-40-იანი წლების რეფორმებით[1] ოსმალეთმა მტკიცედ დაიწყო ბრძოლა აჭარაში თავისი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის („ოსმალობის") შემოღებისათვის, რასაც ამ მხარის საბოლოო გათურქება უნდა გამოეწვია. ამ მიზნით, ცხოვრების ყველა სფეროში დაიწყეს ოსმალური წესების ძალდატანებითი დანერგვა.

მოახლოებული საშიშროების წინააღმდეგ ხალხი ერთსულოვნად აღსდგა. ეს ბრძოლა იყო პროგრესული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რადგან მიზნად ისახავდა სამშობლოს დაცვას. ვ. ი. ლენინი წერდა: „ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრა იწვევს ხალხის ფართო მასებში წინააღმდეგობას, ხოლო ეროვნულად ჩაგრული მოსახლეობის ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია — ეროვნული აჯანყებაა" (თხზ., ტ. 23, გვ. 68). ასე, რომ 70-იანი წლების გამოსვლები გაგრძელება იყო იმ ბრძოლისა, რომელიც თურქთა მიერ აჭარის მიტაცებამ გამოიწვია, ხოლო 30-40-იანი წლების რეფორმებმა გააძლიერეს.

1872 წლის ზაფხულში ქობულეთში დაიწყო მღელვარება. ამის მიზეზი მთავრობის მიერ „გადასახადების მომატება, განსაკუთრებით მიწაზე" გამოსაღების გადიდების ცდა იყო. მღელვარება სამ თვეს გაგრძელდა. მოსახლეობამ „დაიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მმართველობას", თანაც შეუთვალა გურულებს, რომ „თუ ჩვენმა ბედმა ვერ გასჭრა და... ვერ დავამარცხეთ საოსმალო ჯარები, მაშინ გზა მოგვეცით გურიაში გამოსასვლელათ." ხელისუფლებამ დაზავება არჩია. „თუ რომ მმართველობის კეთილ-გონიერება უფრო საფუძვლიან გზას არ დასდგომოდა, ვინემ ძალდატანებითს მოქმედებას და თუ არ გამოეკვლია, რომ ამ მაზრებისათვის ახლანდელზე მომეტებული გადასახადი შემავიწროებელი იქნებოდა, მაშინ ცხადია, რომ უსისხლოთ საქმე არ დაბოლავდებოდა" („დროება", 1873, № 9).

მომდევნო წელს მღელვარებამ კვლავ იჩინა თავი. ამჯერად იგი ლაზისტანში დაიწყო და აჭარაში გავრცელდა, მაგრამ აქ სერიოზული ხასიათი არ მიუღია. ამბოხებულთა დაშოშმინება მაშინვე მოხერხდა, თუმცა მთავრობის კომისია, გამოგზავნილი თითქოს მოძრაობის მიზეზების გამოსარკვევად, სინამდვილეში კი ამ „კუთხის ასაწერად", მოსახლეობას აჭარაში არ მიუღია („დროება", 1876, № 23).

უნდა ითქვას, რომ 30-40-იანი წლების რეფორმებით დასახული მიზნის მიღწევას ხელისუფლება სხვადასხვა დროს სხვადასხვა გეგმით ცდილობდა. თუ ადრე მიწათმფლობელობის ქართულ წესზე მიიტანა გადამწყვეტი იერიში და ნაწილობრივ კიდევაც გაიმარჯვა, სამაგიეროდ 70-იან წლებში მან რეგულარული არმიისათვის აჭარიდან ჯარისკაცების გაწვევის განხორციელებისათვის დაიწყო ბრძოლა (მანამდე აქედან მოხალისეები გაჰყავდათ). და, მართლაც, 1875 წლის აგვისტოში ქობულეთს მოვიდა ოფიციალური ბრძანება, რომ „ხუთმეტი დღის განმავლობაში რედიფები (ჯარისკაცები — ა. ს.) შე-

1 ამის შესახებ იხ. ა. ავალიანი, მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960 წ.

ეკრიბნათ და საომრათ გაეგზავნათ აჯანყებული გერცოგოვინისა და სხვა სლავიანური ხალხების დასამშვიდებლათ“.

ქობულეთის ბეგმა ოსმან თავდგირიძემ ბრძანების ასრულება სცადა, მაგრამ მოსახლეობა მას მტრულად შეხვდა, „ჩვენი ნებით... სხვა ქვეყანაში საომრათ არ წავალთო“ („დროება“, 1875, № 101). ყედირ ჟორდანიას განუცხადებია: „ჩვენი ვალი არ არის, ახლა სალდათათ გამოვიდეთ და ხრმლით მისთვის (ოსმალეთისათვის — ა. ს.) ვიბრძოლოთ“ (იქვე, № 107). მაშინ ო. თავდგირიძემ „ყირსარდლები (ჟანდარმები) გაგზავნა სოფლებში“ და ბრძანა: „ძალით გამოიყვანეთ ხალხი და ვინც წინააღმდეგობა იხმაროს ოჯახი და სახლ-კარი დაუწვეთ. მათი ცოლ-შვილი დაატუსაღეთო“. შედეგი არც ამ ღონისძიებას მოჰყვა, რადგანაც „სოფლებში ახლო არ მიუშვეს ჯარი და ზოგან თოფიც გაგარდა“. მართალია, ო. თავდგირიძემ ბრძანების ამსრულებლები უკან გაიწვია, მაგრამ ამ ფაქტმა მოსახლეობა მაინც აამხედრა. „ახლა... ქობულეთის ხალხი სულ გამდგარია და დიდათ აღელვებულიაო“, — წერდა გაზ. „დროება“ (1875, № 101).

მღელვარება არც სექტემბერში დამცხრალა. იგი თანდათან გაფართოვდა და მალე ლაზისტანი და ზემო აჭარა მოიცვა (გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1875, № 96).

აჭარაში დაწყებულ მღელვარებას თანაგრძნობით შეხვდა ქართული პრესა და საზოგადოებრიობა. გაზ. „დროების“ რედაქციას წერილი გაუგზავნია ბათუმსა და ქობულეთში თავის მკითხველებთან, რათა დაწვრილებით ეცნობებინათ მოძრაობის შესახებ, ხოლო ს. მესხმა წერილით „ჩვენი მოვალეობა“ ქართველ ხალხს აჯანყებულთა ოჯახებისათვის ფინანსური დახმარებისაკენ მოუწოდა („დროება“, 1875, № 106).

საგულისხმოა, რომ ქართველი საზოგადოებრიობა ამ აჯანყებას უკავშირებდა თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებას. ეკ. მელიქიშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ს. მესხი წერდა: „ოსმალოს ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს. აი, იქნება გაწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს. ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დაწიოკონ, იქნება ეს ჩვენი ქართველები... ჩვენ შემოგვიერთონ“ (ს. მესხი, „წერილები“, სოხუმი, 1950 წ., გვ. 196).

აჭარაში დაწყებული მოძრაობით დაინტერესდნენ ევროპის სახელმწიფოებიც. პარიზისა და ბერლინის გაზეთებში მაშინვე დაიბეჭდა ცნობა მღელვარების შესახებ, თუმცა ცარიზმის ოფიციალურ პრესას ამის შესახებ მკითხველებისათვის არაფერი უცნობებია. ამის გამო გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქციამ ერთ-ერთ წერილში განცვიფრებაც გამოთქვა (1875, № 100).

მომდევნო ხანაში მღელვარება გაძლიერდა. იგი შემოდგომასა და ზამთარშიც გაგრძელდა. მოსახლეობამ უარი თქვა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ყველა სადაო საკითხი თავის ადგილებზე განიხილავდა. აჯანყებულებმა შექმნეს 16 კაცისაგან შემდგარი საბჭო, რომელსაც არა თუ მოძრაობის, არამედ ქობულეთის ადმინისტრაციული მართვაც დაეკისრა („დროება“, 1876, № 21).

მთავრობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია აჭარაში დაწყებულ მღელვარებას. ქობულეთის ბეგი, რომელმაც ვერ უზრუნველყო „წესრიგის დაცვა“, სასწრაფოდ ბათუმს გადაიყვანეს. ტრაპიზონის ფაშის ბრძანებით, ქობულეთს მოვიდა ორი ბინბაში (ათასეულის უფროსი) ცხენოსანი და ქვეითი ჯარის თანხლებით (იქვე, № 25). მალე დამატებით გამოგზავნეს რეგულარული არმიის სამი ასეული და ჟანდარმერიის ასეული (იქვე, № 40). ეს იყო დაძსჯელი რაზმი, რომელიც სოფლებში ჩაყენეს. დამშვიდების ნაცვლად „გაგზავნილმა ჯარებმა სულ ერთიანად აღძრა (აამხედრა — ა. ს.) ხალხი. ასე რომ ამჟამად ბევრს ალაგს ნამდვილი აჯანყებაა“ (იქვე, № 45).

აჯანყებულებს მოქმედების გარკვეული პროგრამა არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი არსებული ძალადობის, სასამართლოში გამეფებული უკანონობის, ათასგვარი გადასახადისა და საერთოდ მძიმე მატერიალური მდგომარეობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მოძრაობის ძირითადი მიზანი მაინც თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა ყოფილა. ქობულეთელი უ. ცეცხლაძე კიდეც ნატრობდა: „გამჩენო როდის იქნება, რომ მაღირსებ თათრის მონებისაგან განთავისუფლებას“ („დროება“, 1875, № 112). ეს მოტივი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან აჯანყებაში გააერთიანა აჭარის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფრის წარმომადგენლები. თუმცა ეს შეკავშირება იყო დროებითი, რადგან მათ კლასობრივი ანტაგონიზმი თიშავდა.

მოძრაობის პოლიტიკურმა ხასიათმა გარკვეულად შეზღუდა ოსმალეთის მთავრობის ღონისძიებანი ბალკანეთის სლავთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენადაც მღელვარების სავარაუდო შედეგების გამო დასავლეთის ფრონტისათვის პროვინციებიდან ჯარის გაყვანა ვეღარ მოხერხდა. „მართალია, ოსმალოს ამჟამად 600.000 ჯარი ჰყავს, — წერდა გაზ. „დროება“, — მაგრამ ყველა იმის პროვინციები ისეთს მდგომარეობაში არის, რომ იქიდამ ჯარებს ვერ გამოიყვანს და რომ გამოიყვანოს, იმწამსვე რამდენსამე ალაგას ერთს დროს ატყდება არეულობა. მაგალითად, ოსმალოს საქართველოში, ქურთისტანში და სხვაგან ჯარები ჰყავს, მაგრამ ამ ქვეყნებში უმისოთაც მუდამ არეულობა არის და ჯარისგან რომ დაცარიელდეს, იმწამსვე ხალხი აჯანყდება“ („დროება“, 1875, № 117).

მოსალოდნელი გართულებების შიშით ოსმალეთის მთავრობამ უკან დაიხია. იგი ითვალისწინებდა, რომ ბრძოლა აჭარასთან ძნელი იქნებოდა მოსახლეობის სიმამაცისა და მხარის ძნელად მისადგომი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1876, № 96). ხელისუფლება მხედველობაში იღებდა რუსეთთან გართულებულ მდგომარეობასაც და სურდა მასთან მოსალოდნელ ომში ეს კუთხე ბრძოლის ფორპოსტად გამოეყენებინა. ამიტომ 1876 წლის გაზაფხულზე რამდენადმე შესცვალა თავისი ბრძანება, თუმცა სამხედრო საქმის შესასწავლად სალდათები ადგილზე მაინც უნდა შეეკრიბათ — საჭიროების შემთხვევაში მათ რუსებისაგან „თავისი საზღვრები უნდა დაეცვათ“. მართალია, ხალხმა ერთგვარ გამარჯვებას მიაღწია და მოძრაობას ჩამოშორდა, მაგრამ ბრძანების ამ პუნქტით მაინც უკმაყოფილო იყო, რამდენადაც მას „ახალ მახედ“ თვლიდა. ამის გამო შესაკრებ პუნქტში — ბათუმში არავინ გამოცხადებულა (გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკი“, 1876, № 98).

მღელვარებას ლოკალური ხასიათი ჰქონდა. იგი არ იყო მასობრივი შეიარაღებული აჯანყება და ხელისუფლებას მეტწილად პასიურ წინააღმდეგობას უწევდა. მოძრაობა მიმდინარეობდა ისეთ დროს, როდესაც სოფლის მშრომელები მინდვრის სამუშაოებით იყვნენ დაკავებულნი და არ ჰქონდათ საშუალება რამდენადმე ხანგრძლივი ღროით მონაწილეობა მიეღოთ გამოსვლებში. ამასთან, კავშირი არ იყო ქალაქებსა ზემო აჭარისა და ლაზისტანის ამბოხებულ სახლეობას შორის. გადამწყვეტი როლი იმანაც ითამაშა, რომ მთავრობა დათმობაზე წავიდა, რითაც მღელვარების ჩაქრობა კიდევაც მოახერხა. ეს აუცილებელი იყო რუსეთთან მოსალოდნელი ომის გამო (ამიტომ „საქმის გამოძიება“ მთავრობამ შემდეგისათვის გადადო და მღელვარებაში მონაწილეობისათვის არავინ დასაჯა), თუმცა მისი ვარაუდი არ გამართლდა, რადგან 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელ რუს-ქართველთა არმიის მხარეზე.

70-იანი წლების გამოსვლებმა აჭარის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში საინტერესო ფურცლები ჩასწერა, რამდენადაც გარკვეული წვლილი შეიტანა ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების საქმეში. მოძრაობამ ობიექტურად დახმარებაც გაუწია ბალკანეთის სლავ ხალხებს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში,[1] რადგან თავისკენ მიიზიდა ოტომანთა იმპერიის გარკვეული სამხედრო ძალა.

---

1 ხ. ახველედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1957, გვ. 110.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის საფიცარი

წიგნის სახელწოდება, თუ იგი მოხდენილად არის შერჩეული, გამოხატავს მისი შინაარსის წამყვან მოტივს. ამის თვალსაჩინო მაგალითია პოეტ ნ. მალაზონიას ახლახან გამოქვეყნებული ლექსების კრებული „ჩემი საფიცარი“. ასეთი სათაური აქვს მასში შეტანილ ერთ ლექსს, რომელიც ავტორს წიგნის საერთო სახელწოდებად უქცევია.

რით გამოირჩევა ეს ლექსი? რა არის ის, რაც ავტორს თავის საფიცრად გაუხდია? ეს არის ჩვენი ქვეყნის მიწა, მისი ყოველი გოჯი, მწვანე ტყე და სერი, მისი ზღვა, მოწანწკარე წყარო, მოკამკამე წყალი, ე. ი. მთელი გეოგრაფიული გარემო. ყველაფერი ეს ძვირფასია, მაგრამ მხოლოდ ამით რადი შემოისაზღვრება პოეტის საფიცარი. მთავარი მაინც ის ხალხია, რომელიც ამ გეოგრაფიულ გარემოში მოქმედებს, აქვს თავისი გმირული ისტორიული წარსული, ბედნიერი აწმყო და მომხიბელელი მომავალი:

ხალხი მხნე და მკლავმაგარი
მეგობრით და ძმითა,
რუსთაველით, ვაჟას ლექსით
და აკაკის ზმითა...
ასულები საროსავით,
მოგიშრული თმითა —
აი ჩემი საფიცარი
და სამშობლო წმიდა.

ამით არის ეს წიგნი მნიშვნელოვანი, ამაში ვლინდება მისი ავტორის კომუნისტური პარტიულობის პრინციპი. ჩვენს ქვეყანაში მხატვრული ლიტერატურა არ არის ინდივიდუალური საქმე. იგი, როგორც ლენინი გვასწავლის, ჩვენი ხალხის საერთო საქმის განუყოფელი ნაწილია. თავისი ჯანსაღი მხატვრული ნაწარმოებით მწერალი დიდ სასარგებლო საქმეს აკეთებს და ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს ეს საპატიო მოვალეობა ნათლად აქვს გაცნობიერებული. და როდესაც ხალხი დაფასებს მწერლის ამაგს, ეს, ცხადია, ძალზე ახარებს მას. თავისი ასეთი სიხარული ნ. მალაზონიამ ამჯერად გამოხატა ლექსში „მადლობა“.

გმადლობთ!
სხვა სიტყვა აღარ მეგულვის,
გულისწილ თითქოს ცეცხლია მკერდში,
ჩემო ქვეყანავ,
შენ შემოგევლოს
ჩემი წრფელი და პატარა ლექსი.

ჩვენი საბჭოთა ქვეყნის სადიდებლად არის დაწერილი პოეტის ლექსები „პოეზიის დღე“, „ნეტავ ლექსო“... „მდინარესთან“. ეს ლექსი ასეთი პოეტური დასკვნით მთავრდება: „მშობელი ქვეყნის დიდ სინათლეში ჩემიც ინათებს პატარა შუქი“ (გვ. 17). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იდეურ-მხატვრულად გამართული ლექსი „ბათუმიდან თბილისამდე“. იგი ერთგვარი პოეტური შემოქმედებითი ანგარიშია აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით, რომელიც თბილისში მოეწყო რამდენიმე წლის წინათ. ლექსი მატარებელში უნდა იყოს დაწერილი, რაზედაც მიგვითითებენ ტაეპები: „ჩვენ მოვყვებით მატარებელს ბათუმიდან თბილისამდე“. პოეტი ჩამოთვლის რა მიღწევებიც გააჩნია მზიურ აჭარას: უწყვეტ ცვლაზე მოგუგუნე ქარხანა და ელსადგური, ციცქა და ჩხავერი, ხვავით სავსე პლანტაციები.

ჩვენ იმ თასით ლექსი მოგვაქვს,
რითაც წინათ ნაღველს სვამდნენ,
პირნათელი ქალი მოგვყავს,
წინათ ჩადრით რომ მოსავდნენ.
რომ ოქტომბრის მზეა დიდი
ჩვენს კრიალა ქართულ ცაზე,
რომ აჭარაც მტკიცედ მიდის
კომუნიზმის ფართო გზაზე.

პოეტი უხვ ფერებს იყენებს აჭარის წარმტაცი სურათების დასახატავად. აი რა შესანიშნავ პოეტურ სახეს ქმნის იგი სოფლად ახალი მშენებლობის გადმოსაცემად:

მთვარე ლაჟვარდში ისე გაგორდა,

ხითქოს პერანგამ გაჰკრა თავური,
მთებს შეესია ათასი ოდა —
ჩვენი სოფელი ბარათაული.

არა მარტო ბარათაული გაიფურჩქნა და აყვავდა, არამედ ასეთივე პროცესი მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში. არც პოეტის სამშობლო სოფელი მამათი ჩამორჩება საერთო ფერხულს:

მამათი! ჩემი სოფელი,
წინათ ცნობილი ციებით,
დღეს ელექტრონით, ფაბრიკით
და ჩაის პლანტაციებით...
აქ გვიმრა იყო, ახლა კი
ირგვლივ ნარინჯი შრიალებს.
აქ ხრამი იყო, ახლა კი
მანქანა მიმოსრიალებს.

თავისი მხატვრული სრულყოფილით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ლექსები „აკაკის ძეგლი ქობულეთში“, „გიორგი ლეონიძეს“, „შვილიშვილის აკვანთან“, „მთაწმინდაზე“ და სხვ.

პოეტს ეხერხება ლექსის ევფონიური ორგანიზაცია და კარგად იყენებს ალიტერაციას. აი ამის რამდენიმე მაგალითი:

მთის ღელეები ღელავენ,
ჩუმი ჩივილით ჩარბიან.
ბაღში დაცურდა აცანა,
ბორცვმა ბორცვები შეცვალა.

პოეტს აქვს კარგი, მეტყველი ტროპებიც:

დილის მზე კოცნის
ალუბლის კვირტებს.

მაისი ანცობს ზაფხულის კართან.

იქ ყვავილებს ცვარი ბანდა თვალებს.

ამ ცაზე ვარსკვლავის საკრეფად
ვერა, ვერ შემოვა მტერი.

კოცნის ზღვაური ნარინჯებს,
ისმის ტალღების ფათური.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მალაზონიას ლექსები, რომლებიც დაწერილია სიყვარულის თემაზე და ამ კრებულშია შეტანილი, ერთობ უფერული და უღიმღამოა. ორ თუ სამ ლექსშია სიყვარული დაკავშირებული საზოგადოებრივ საკითხებთან. დანარჩენები მეტისმეტად ვიწრო ინტიმურია და მოწყვეტილია აქტუალურ სოციალურ-პატრიოტულ მოვლენებს. აბა, რა იდეური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმ ლექსებს, რომლებიც გაერთიანებულია საერთო სათაურში „შეხვედრები“. აქ სამი შეხვედრაა აღწერილი და სამივე მეშჩანური ფსიქოლოგიის გამომხატველია. აი, მაგალითად, მეორე შეხვედრა. აქ ნათქვამია:

ბარტყი ჰყავდა უკვე მერცხალს
მზეს უდუღდა სისხლი.
— მე შვილი მყავს.
— შვილი მეც მყავს.
და ორივეს შეგვრცხვა, შეგვრცხვა —
არც კი ვიცი რისი...

ცხადია, აქ წმინდა მეშჩანური სულისკვეთება იგრძნობა. აშკარაა, ლირიკული გმირები სიძვას ეწევიან და ამისი თითქოს შერცხვათ კიდევაც, მაგრამ არც კი იციან, თუ რისი შერცხვათ. აქ არ არის დაგმობილი ასეთი უგულო მტლაშამტლუში. ასეთივე შინაარსისაა ლექსები „პაემანი“, „შენი ბაღჩა“, „მხოლოდ შენი სიახლოვე“, „ბარემ თქვი“, „ორი ასაკი“, „მოდი, რას უცდი“ და სხვ. ავტორს კარგად მოეხსენება, რომ ჩვენი დიდი კლასიკოსები რუსთველი, აკაკი, ყაზბეგი და სხვ. უმღეროდნენ არა ასეთ, არამედ ამამაღლებელ და ამაღლებულ სიყვარულს, ხოლო ასეთად მათ მიაჩნდათ დიდ სახალხო, საქვეყნო, საზოგადოებრივ საქმესთან დაკავშირებული სიყვარული.

აქვე უნდა აღინიშნოს ნ. მალაზონიას ლექსების ერთი ჩრდილოვანი მხარეც. მაგალითად, ლექსი „ხიხაძირი“ ასეთ სტროფს შეიცავს:

და ვიბრძოდით ქუდზე კაცი
სამასი წლის წინათ.
იყო ჟლეტა,
იყო მუსვრა,
იყო სისხლის წვიმა.

ლექსი დაწერილია 1960 წელს და, თუ აქედან სამას წელს გადავთვლით, მოუწევს 1660 წელი. ეს თარიღი კი არ ემთხვევა არც ოსმალების მიერ აჭარის დაპყრობას და არც მისი ბატონობისაგან განთავისუფლებას. თუ ავტორს ის უნდა თქვას, რომ თურქეთი სამას წელიწადს გვჩაგრავდა, მაშინ სიტყვა „წინათ“ სრულიად ზედმეტია. ჩვენი აზრით, ასეთი უხერხულობა იმან გამოიწვია, რომ ლექსის აზრი შეეწირა მის რითმულ მხარეს, რადგან „სისხლის წვიმა“ უნდა შერითმოდა რომელიმე ტაეპის დაბოლოებას და ასეთად აღმოჩნდა „წლის წინათ“. პოეტმა წვიმა და წინათ კი შერითმა, მაგრამ აზრი შებღალა, რაც ლექსის არსებითი ნაკლია. ლექსის გარეგან მხარეზე თვითმიზნურ გამოდევნებას ყოველთვის ასეთი შედეგი მოსდევს.

ასევე გაუმართლებელია ერთი ადგილი ნაწარმოებში „კმარა“. ერთგან აქ ლაპარაკია პირველი იმპერიალისტური ომის შესახებ. ავტორს უნდა გვითხრას, რომ ნაწარმოების მოქმედი პირები ამ ომის დროს შესაძლოა მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს, „როცა სამი თვის ბალღი იყო ცხრაასთხუთმეტი“ (გვ. 93), ე. ი. მარტში. მაგრამ განა შეიძლება მრისხანე ომის თვეები გავიანგარიშოთ ბალღთან შედარებით? ცხრაას თხუთმეტს სამი თვის ბალღი უწოდო, ეს არა მარტო

იმას ნიშნავს, რომ ამ წლის სამი თვე ყოფილა გასული, არამედ, რაც მთავარია, ბალღის თვისებებიც მიაწერო მას, ე. ი. დასახო იგი უწყინარობის, მშვიდობიანობისა და გულუბრყვილობის თვეებად.

შეიძლებოდა კიდევ მოგვეტანა მსგავსი მაგალითები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაჭარბებულად მიგვაჩნია შეხედულება, რასაც ავტორი ავითარებს ერთ თავის ლექსში („გოგონა"). კერძოდ, ერთ-ერთი გოგონას პასუხად, რომელსაც პოეტისათვის ძიუწერია, „აღარ მომწონს შენი ლექსიო", ავტორი აცხადებს, ღმერთმა ქნას, საქართველოში ისე კარგი ლექსები დაწერილიყოს, „რომ ყველა ჩემი სანაგვეზე გადაყრილიყოსო" (გვ. 65).

ჩვენ არაფერს ვიტყოდით, მწერალს მარტო ის სურდეს, რომ მომავალში საკუთარ ლექსებზე უკეთესი ლექსები დაიწეროს. ასეთი სურვილი ყველა დარგის მუშაკს შეუძლია ჰქონდეს. მაგრამ ახალი კარგი ლექსების დაწერა ოდნავადაც იმას არ ნიშნავს, რომ უწინდელი კარგი ლექსები სანაგვის კუთვნილება გახდეს. კარგი ლექსი სწორედ იმიტომაა კარგი, რომ იგი ისეთი რამის შემცველია, რაც მარადიული და წარუვალია. ყოველი ახლის გაჩენა რომ ადრინდელის ხელაღებით უარყოფას გულისხმობდეს, მაშინ შეფერხდებოდა კულტურული განვითარების აღმავლობა და მემკვიდრეობის საკითხიც მოიხსნებოდა. მით უფრო გასაოცარია, რომ ავტორი სანაგვეზე გადასაყრელად იმეტებს ყველა თავის ლექსს („ყველა ჩემი სანაგვეზე გადაყრილიყოსო"). როგორც ჩანს, ავტორს ლოგიკურად ვერ გამოუთქვამს ის ჭეშმარიტი აზრი, რომ ახალი ლექსების დაწერა ერთობ სასიხარულო და მისასალმებელი საქმეა. ჩვენ ვიტყოდით, რომ მომავალში რანაირი შედევრებიც არ უნდა შეიქმნას, ნ. მალაზონიას მთელი რიგი ლექსები არ შეიძლება სანაგვე ყუთის კუთვნილება გახდეს. სახელდობრ ის ლექსები, რომელთა შესახებ თვითონ პოეტი ამბობს, რომ მათ „მხოლოდ ქვეყნის სიყვარული დავუდე წყაროდო". დავასახელებთ პოეტის ასეთ მარად გაუხუნარ ლექსებს როგორც „ჩემი საფიცარიდან", ისე უწინ გამოქვეყნებული ლექსების კრებულებიდან: „მადლობა", „პოეზიის დღე", „ჩემი საფიცარი", „კომკავშირელი", „ბათუმიდან თბილისამდე", „ხიხაძირი", „ბარათაული", „საოქტომბრო", „კომკავშირს", „მოკრძალება", „წვიმაში", „ახალგაზრდა მასწავლებელი", „უკვდავი ძმობა ჩვენი", „სამაისო", „დარიალის კარები", „აჭარელ ქალს", „გმირების სადღეგრძელო". მარად წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგალითად, უკანასკნელი ლექსის სიტყვები:

ყველა იმათ, ვინც თავი არ დახარა,
ვინც გმირობით ჩვენი ხალხი ახარა,
ვისაც წვავდა ჩვენი ქვეყნის თაკარა
და ვინც სისხლის ყველა წვეთი ანკარა,
განურჩევლად — დიდი იყო, პატარა
ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელოდ
მათზე მღერდეს ყველა — მთიდან
ბარამდი,
და ზღვებიდან დარიყული კარამდი,
პირველიდან უკანასკნელ პწკარამდი
მათთვის ჟღერდეს ლექსის მთელი
მარაგი
რუსთაველის სიუხვით და ბარაქით!

განსაკუთრებით მივუთითებთ ნ. მალაზონიას ისეთ კარგ ლექსზე, როგორიცაა „მოდიან, შვილო, ჯარისკაცები". მართალია, ეს ლექსი ავტორს არ შეუტანია „ჩემ საფიცარში", მაგრამ მას ეხმაურება აქ გამოქვეყნებული პოემა „კმარა". ავტორი ამ ნაწარმოებს პოემას არ უწოდებს და იგი არცაა ტიპიური პოემა, მაგრამ მას გააჩნია ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რაც პოემას ახასიათებს. ეს არის ლექსად გამოთქმა, ფაბულარობა, ტიპიურობა, ღრმა იდეურობა და სხვ. ისიც მართალია, რომ ამ ნაწარმოებს მტკიცედ შეკრული ფაბულა არ გააჩნია, ლირიკული ელემენტებია გაძლიერებული, მაგრამ ლიტერატურის ისტორიამ იცის ისეთი პოემაც, რომელიც შეიცავს ლირიკისა და ეპიკის ელემენტებს და იწოდება ლირიკულ-ეპიკურ პოემად.

პოემა „კმარა" გმობს ომს და ქადაგებს ხალხთა მშვიდობას. ეს ჯანსაღი იდეა გამოსახულია არა პუბლიცისტურად, მშრალი ლოგიკური კატეგორიების საშუალებით, არამედ ცოცხალი, გრძნობად-კონკრეტული სახე-ტიპებით.

ნაწარმოები იწყება ბუნების მომხიბვლელი სურათის დახატვით. ლირიკული გმირი ტკბება მიწისა და ცის სილამაზით. მაგნოლიებს „ყვავილების ღიმილი აზის", მოჩანს „ისარივით გატყორცნილი კრიალა ქუჩა". ამ ექსპოზიციური ნაწილის ფონზე მოცემულია ორი ყოფილი ჯარისკაცის შეხვედრა. მათ უბრძოლიათ პირველ იმპერიალისტურ ომში მოპირისპირე მხარეზე. ერთი მათგანი (რომელსაც მთხრობელს ვუწოდებ) ეუბნება მეორეს:

იქნებ ყურს ქვემოთ
შენ გამავლე მოლურჯო ხაზი
და ხიშტი მკერდში
მე გატაკე
როგორც ურდული!
— ეჰ, რატომ? რისთვის? —
სულს მიხუთავს ბოღმა და ბრაზი,
როცა მგონია, ყურთან წივის
შენი დუმდუმი.

ჩვენ მაშინ არ ვიცოდით, თუ რისთვის ვიბრძოდით და ასე ვიბრძოლებდით მეფის მიერ მოტყუებულნი,

რომ ხალხს ლენინი
და პარტია არა ჰყოლოდა,

რომ ლენინის გზას,
სიმართლის გზას არ გავყოლოდით!

ომიდან დაბრუნებულს ცოლი შეურთავს, ოჯახი მოუწყვია, ვაჟიშვილი შესძენია, — გზისა და კვალის განმგრძობი მემკვიდრე. მშობლები ფრთაშესხმული ოცნების ცაზე დაფრინავდნენ:

დღეებს ვითვლიდით.
ო, პირველი ფორთხვა და გავლა!
მზეს ვადარებდით გაღიმებას,
თვალებს — ვარსკვლავებს.
ლამის გავგიჟდით,
ორი სიტყვა როცა ისწავლა,
უკვე აკვანში ვუზომავდით
ბეჭებს და მკლავებს.

ვაჟი გაიზარდა, ჭაბუკი გახდა, მაგრამ ამ დროს დაიწყო დიდი სამამულო ომი. პირსისხლიანი ფაშისტები ცდილობდნენ ჩვენს განადგურებას, მონობაში ჩაგდებას. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაებნენ ჩვენი ქვეყნის ადამიანები, გმირი ახალგაზრდები. ნაწარმოებში გადმოცემულია მშობლების განცდა, მაგრამ ისე ღრმად და მხატვრული ოსტატობით, რომ ეს ადგილი არ შემიძლია მთლიანად არ მოვიტანო:

ჩემს შვილს ეძინა,
როცა ომის ხმები მოისმა.
ცერ-ცერად მიველ,
დავიხარე
უბადლო განძთან.
ყველა მშობელი
მშობელია პირველყოვლისა
და, რა თქმა უნდა,
არ იძრახვის მშობლური განცდა.
დედის თვალებზე
მწუხარების ცრემლი არ შრება
და ვერც მის სიტყვებს
უსაფუძვლოდ ვერავინ ჩათვლის:
მე შვილისათვის მიყვარს სამშობლო,
მე შვილი მიყვარს სამშობლოსათვის.

ვაჟი ომში წავიდა. მართალია, პოეტი არ იძლევა მისი გმირული ბრძოლების სურათებს, არ გვიჩვენებს კონკრეტულ ეპიზოდებს, მაგრამ სწორად ახასიათებს გამარჯვების მთავარ მიზეზებს:

ის იქ იბრძოდა,
ჩვენ ზურგიდან შრომით ვშველოდით.
დავიღუპოდით —
არ გვებრძოლა ლენინის დროშით,
პარტიის დროშას,
წითელ დროშას არ გავყოლოდით.
ლენინის სიბრძნე
გვინათებდა სისხლიან სავალს,
სალხი ლომს გავდა,
როცა ბორგავს ფაფარაყრილი...
ცეკასთან ერთად
ლამეს ტეხდა
კრემლში სტალინი.

გამარჯვება გამოიჭედა, მაგრამ მრავალთა სიცოცხლე შეეწირა ამ საქმეს. მსხვერპლი გაიღეს მოხუცებმა და თოთო ბავშვმაც. ამ ომში დაიღუპა ორივე მამის შვილები. [illegible]ლის შვილი დაეცა საბჭოთა ქვეყნის დაცვის ფრონტზე, მაგრამ დაიღუპა მეორის შვილიც, რომელიც საბჭოთა ხალხის მტრების რიგებში იყო და ჩვენ გვებრძოდა. მართალია, ამ ორ დაღუპვას შორის არსებითი განსხვავებაა, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე ახალგაზრდა მაინც ომის მსხვერპლი გახდა და აი პოეტი გმობს ომს საერთოდ, როგორც საერთო უბედურებას. ეს არის ლექსის მამოძრავებელი იდეა. ომი დაგმობილ უნდა იქნას. თუ ყველა ხალხმა ომი არ დაგმო თავის სამშობლოში, [illegible] „კაცობრიობა მუდამ ივლის ომიდან ომში“:

ისევ და ისევ გაჩაღდება
ომის ხანძარი.
დაღუპულ შვილებს
დაიდარდებს საბრალო დედა,
ომს კვლავ მოჰყვება
სისხლის ტბორი და ნიღვარი,
თუმცა ზავი და
ნიურნბერგიც განმეორდება.
მაგრამ ის არ ჯობს,
წინდაწინვე ყველამ იცოდეს,
რომ ხალხის სისხლი
დაუსჯელი არვის ჩაუვლის.
უკვე დროა და
უნდა ახდეს ხალხთა ოცნება —
მოისპოს ომი —
ეს მხეცური დანაშაული!

ნაწარმოები მთავრდება სამშვიდობო მოწოდებით:

კმარა! ერთმანეთს სამეგობროდ
ჩავჭიდოთ ხელი,
ყური დაუგდე ცრემლიანი ღაღადი ისმის.
— დაე, დასრულდეს!
დაე, იყოს უკანასკნელი
ჩვენი შვილების
ნათელი და უმანკო სისხლი.

ჩვენ განგებ მოვიტანეთ ვრცელი ადგილები ნაწარმოებიდან. ამით გვინდოდა გვეჩვენებინა რომ პოეზიას არ ქმნის მხოლოდ აზრი, პოლიტიკური შეხედულებანი. აზრი გამოსახული უნდა იყოს ხელოვნების ენაზე. აქ უნდა გავითვალისწინოთ, თუ როგორია ლექსის რიტმი, მოედინება თუ არა იგი დაუბრკოლებლად, კარგია თუ არა ლექსის ევფონია (რითმა, ალიტერაცია), როგორ მხატვრულ ხერხებს ხმარობს ავტორი, კერძოდ, რამდენად მაღალია ტროპულობის ხარისხი (ეპითეტი, შედარება, მეტაფორა და ა. შ.). მაგრამ შესაძლებელია ყოველივე ეს წესრიგზე იყოს, ნაწარმოები კი მაინც არ ვარგოდეს, რადგან შეიძლება ლექსის იდეა არ ვარგოდეს, იყოს ანტიხალხური და მიუღებელი. ასეთ შემთხვევაში კარგ მხატვრულ ნაწარმოებზე ლაპარა-

კი ზედმეტი იქნება, რადგან კარგ ნაწარმოებს ქმნის არა მხოლოდ იდეა, ან მხოლოდ გამომსახველობითი საშუალებანი, არამედ მათი ჭეშმარიტი მთლიანობა. მხატვრული ნაწარმოები ოსტატურად შესრულებული მხოლოდ მაშინაა, როცა სრულყოფილად არის გამოვლენილი მწერლის ჩანაფიქრი და მისი შესრულება. ოსტატობა სწორედ ამ ორი მხარის ერთიანობაა, რაც, ჩვენი აზრით, კარგად არის განხორციელებული ნ. მალაზონიას ზემოთ განხილულ ნაწარმოებში.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ პოეტის მეორე პოემის შესახებ, რომელსაც „მამა-შვილი" ეწოდება. ეს ნაწარმოები უფრო ვრცელია, ამასთან საინტერესო საკითხსაც ეხება. ნათავადარმა მიხამ მამის სიკვდილის შემდეგ ბევრი იხეტიალა. მსახურობდა მეფის ჯარში, შემდეგ მენშევიკების გვარდიაშიც ამოჰყო თავი. ცოლი შეირთო, შეეძინათ შვილი ვანო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიხა საფრანგეთში გაიქცა, იქ მეორე ცოლთან შეეძინა კიდევ ერთი შვილი ჟორჟი. ორივენი გერმანელების ჯარში არიან და საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ იბრძვიან. შვილი მფრინავია, მამა კი შტაბში მუშაობს. მოიყვანეს ტყვე საბჭოთა ჯარისკაცი, რომელიც აღმოჩნდა მიხას შვილი ვანო. ჟორჟი რუსების მხარეზე გადმოდის და ვანოსთან ერთად საბჭოთა ქვეყნისაკენ მოფრინავს, ხოლო მამა მათ არ წამოჰყვა და თავი მოიკლა. ასეთია ამ პოემის მოკლე შინაარსი. იგი დაძაბულ მომენტებსაც შეიცავს. განსაკუთრებით, როცა მამა წინადადებას მისცემს ვანოს დარჩეს გერმანელებთან და იბრძოლოს საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ:

ჰო, მე დაგიწერ... რა გაეწყობა...
რომ შენი ნებით გადმოდი ჩვენკენ...
რომ საბჭოების არ მოგწონს წყობა,
ბოლშევიკები სულსაც კი ჩხრეკენ...

მამის ამ ვერაგულ წინადადებას უდრეკი შვილი ასე უპასუხებს:

ახლა ბედნიერ სამშობლოს ვიცავ,
მას შემოეელოს ეს გული წმინდა!
შენ — მტრის ბანაკში...
მტრის სახელს ფიცავ,
და მეც ღალატში გამრიო გინდა?
...მამა აღარ მყავს... იყო და გაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდაოდ დიდი პატრიოტული განწყობილების შემქმნელია ჟორჟის სწრაფვა დედა-სამშობლოსაკენ და მისი პრაქტიკულად განხორციელება.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ პოემას გააჩნია ერთი ისეთი ნაკლი, რომელიც ჩრდილს აყენებს მის ესთეტიკურ ღირსებას. ეს ის არის, რომ ფაბულის განვითარებაში წინ წამოწეულია არაესთეტიკური და შემთხვევითი. მკითხველს არ სჯერა, რომ ტყვედ ჩავარდნილი ვანო მაინცდამაინც იმ შტაბში მიიყვანეს დასაკითხავად, სადაც მამამისი მსახურობდა და დაკითხვასაც სწორედ მამა აწარმოებდა. ეს არის დრამატული სიტუაციის შექმნის ხელოვნური და იაფფასიანი ხერხი. ასეთ შემთხვევით მოვლენაზე დამყარებული ნაწარმოები მოკლებულია დამაჯერებლობას. ამასთან ზოგიერთ სტროფში აზრი ვერ არის ნათლად და გასაგებად გამოთქმული. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის ადგილი, სადაც მიხას მოახსენებენ, რომ რუსი ტყვე მოიყვანეს:

რუსი ზოლდატი გონზე მოსულა.
— მომგვარეთ!
— მაგრამ ტაატით დადის.
— ვინ გკითხა? მისი ნივთები სრულად
გამოაყოლეთ ბოლშევიკ-ნადირს!

აქ ავტორს სურს გამოთქმით: „ვინ გკითხა?" გამოხატოს ის აზრი, რომ თითქოს მიხამ უთხრა: ვინ გკითხა ის, რომ ტყვე ტაატით დადის თუ არაო? მაგრამ ეს ნათქვამი ისეა ჩაგდებული დიალოგში, რომ ძნელი ხდება მისი აზრობლივი კონტექსტის განსაზღვრა. ზოგიერთი რითმაც ბლაგვია და არაევფონიური. მაგალითად, გაჩნდა — კაცთან, ტვირთავს — ჰპირდა, გზისკენ— მოხალისე და სხვ. მაგრამ ასეთი შემთხვევა არ არის ხშირი. ძირითადად ნ. მალაზონიას ლექსები მუსიკალურად ჟღერადია.

დოც. ალ. ჩავლეიშვილი.

გავშვებზე და გავშვებისათვის

ახლახან გამოვიდა ცნობილი ქართველი საბავშვო პოეტის ილია სიხარულიძის ლექსთა კრებული, რომელიც ერთგვარად აჯამებს მხცოვანი ავტორის მთელი ორმოცდაათი წლის შემოქმედებითს მუშაობას და საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვაძლევს მისი პოეზიის განვითარების გზებზე.

ილია სიხარულიძე ეკუთვნის საბავშვო მწერლების უფროს თაობას, რომლებიც ქმნიდნენ და შემდგომ ავითარებდნენ ჩვენი საუკეთესო სა-

ბავშვო ჟურნალების „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“ ჯანსაღ ტრადიციებს და თავიანთი შემოქმედებითი მუშაობით მიზნად ისახავდნენ ნორჩ თაობაში აღეზარდათ საუკეთესო მორალური თვისებები, ჩაეგონებინათ მათთვის მაღალი საკაცობრიო იდეალები. მუშაობდა რა მრავალი წლის მანძილზე პედაგოგად, ილია სიხარულიძემ ღრმად შეისწავლა ბავშვთა სულიერი სამყარო, მათი მისწრაფებები და გრძნობები, რამაც ხელი შეუწყო შეექმნა ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მთელი არსებით გაიტაცებდნენ ნორჩ და მოზარდ თაობებს. იგი არა მარტო კარგად იცნობს ბავშვებს, არამედ მხურვალედაც უყვარს ისინი. ამიტომ სავსებით გულწრფელია პოეტის სიტყვები, მიმართული პატარებისადმი:

გამარჯობათ, გამარჯობათ,
ჩემო კარგო პატარებო,
ჩემს ფიქრსა და ოცნებაში
დღე და ღამე ნატარებო!

სარეცენზიო წიგნი თემების მიხედვით შემდეგ რკალებად არის დაყოფილი: ჩვენი პატარები, შრომა, სწავლა და სწავლა, მხიარული ლექსები, პატარები აგარაკზე, მშობლიური სიყვარული, ბუნების წიაღში, იგავები. საყურადღებოა, რომ ლექსების უმრავლესობა ერთსტროფიანია, რაც შეესაბამება ბავშვების ბუნებას. სკოლამდელ პატარას არ უყვარს გრძელი ლექსი და მას ვერც ერევა ხოლმე. ასეთი მოკლე და ემოციური ლექსი კი ძლიერ იზიდავს. ამავე დროს პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის ლექსებში ტენდენცია გარეგნულად არ ჩანს და გაურბის მშრალ დიდაქტიკას. ილია სიხარულიძეს ამ მხრივ კარგად ესმის ბავშვთა ბუნება. მისი ლექსები ამდიდრებენ და აფართოებენ ბავშვთა შემეცნებას. საგულისხმოა ისიც, რომ პოეტი ბავშვებს თავიანთ ცხოვრებაზე ამეტყველებს პირველი პირით, რაც, ცხადია, დიდ ინტერესსა და ხალისს იწვევს.

კა-კა-კა-კა, ქათამო,
კვერცხი უნდა გვაჭამო,
მაგ საკენკით რომ ძღები,
ჩვენ არ გვინდა კვერცხები?

სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის ეს ლექსი ღრმა აზრს შეიცავს. იგი ეხმარება ცხოვრების შეცნობაში, რომ ქათამი საკენკით იკვებება, კვერცხს დებს, ხოლო კვერცხი ადამიანისათვის სასარგებლო საკვებია. მსგავსი ცოდნა-ჩვევებისა და ცხოვრების შემეცნებითი ღირებულებისაა მისი მრავალი ლექსი.

მეორე ციკლის ლექსები „შრომა, სწავლა და სწავლა“ შედარებით უფრო მოზრდილებისათვის არის განკუთვნილი ენის, მეტყველებისა და თემატიკის მიხედვით. მათში ბავშვთა ცხოვრება, შრომა და სწავლა საუცხოოდ არის შეფასებული. ლექსები „პატარა მებაღეები“, „ჩვენი ლია“, „ზარმაცი თოჯინები“, „მეფეობა-ამბოხი“ და სხვ. მოხდენილი სიუჟეტით, ბავშვური გულუბრყვილო თხრობით, მდიდარი, მაგრამ უბრალო, გასაგები და სადა ენით იოლად იკაფავს გზას ბავშვთა გულებამდე. ამავე დროს ყველა ისინი ღრმად იდეური ლექსებია, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვებში შრომის სიყვარულის დანერგვას და შრომითი ჩვევების გამომუშავებას.

ციკლი „მხიარული ლექსები“ ხალხურ მოტივებზეა აგებული, როგორც, მაგალითად, „ინდაური ფაფხურა“, „დარი დირი დირალა“, „აჩუ-აჩუ ცხენო“ და სხვ.

მამიდასთან მივიჩქარი,
გასწი ნუ მარცხვენო,
უნაგირი ხომ გიშოვნე,
გასწი, ნუ მარცხვენო,
ცოტა ფეხებს აუჩქარე,
გასწი, ნუ მარცხვენო!

ხალხური ლექსები „ყვავ, ყვავ, ყვანჩალა“, „ბეკეკა“ და სხვა მრავალი პოეტს ახლებურად, თავისებურად გადაუმუშავებია და ახლა ისინი უფრო საინტერესოდ ჟღერენ.

ციკლი „პატარები აგარაკზე“ გამთბარია სამშობლოსა და ბუნების სიყვარულით. რელიეფურად და ხატოვნად არის ნაჩვენები ბავშვების დიდი სიხარული აგარაკებზე, ბუნების ამ თვალწარმტაც წიაღში:

რა კარგია ეს ბორჯომი,
რა ხეები, რა მთებია!
მტკვარი დინჯად მიდუდუნებს,
მთები გოლიათებია.

ასეთივე ფერებით და აღფრთოვანებული ჟღერადობითაა დაწერილი „ჩვენი აგარაკი ცემი“.

კრებულში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მშობლიური სიყვარულის ამსახველი ლექსები. ეს მაღალი იდეებით გამიზნული ნაწარმოებები დაწერილია ბავშვებისათვის გასაგებად და დამახერებლად.

დედის სიყვარულის მწველი და მგზნებარე გრძნობითაა დაწერილი ლექსი „ვიცი, ისევ გიყვარვარ!“, აგრეთვე „ჩვენი ძმა“, „ჩვენი სახლის ბავშვები“ და სხვ.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია საინტერესო იგავებიც მცირეწლოვანთათვის. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა ამ ჟანრის ყველა სირთულე დაძლია. ჯერჯერობით იგი

მხოლოდ გაბედული და ზოგჯერ გამართლებული ცდაა და, ვიმედოვნებთ, მომავალში ამ ციკლის ლექსებს პოეტი კიდევ უფრო სრულყოფს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ იგავს ქათმისა და იხვის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ:

ქათმის ადათს რას დავეძებ,
იკაკანოს კვერცხს რომ დადებს...
ზოგი კაცი ამ ქათამს გავს
და მეც სწორედ ეს მადარდებს.

აქ, მართალია, დაძრახულია ბევრი ლაპარაკი და თავის ქება, მაგრამ თუ კაცი ქათამივით კვერცხს დებს, ესე იგი საქმეს აკეთებს, მაშინ ადამიანი რისთვის უნდა დავძრახოთ?

მეორე იგავი „კატა და ლოკოკინა" ასე მთავრდება:

...აქ კი შევწყვეტ, მხოლოდ მინდა
იგავს ბოლო დავაქსოვო,
ცუდი კვალის დატოვებას,
სჯობს რომ სულაც არ დატოვო.

ეს აზრი თავისთავად სწორია, მაგრამ რა შუაშია აქ ლოკოკინა, რომელიც თავისი ბუნებით ტოვებს კვალს და, მაშასადამე, არც დასაძრახია და არც დასაცინი?

ასეთია ილია სიხარულიძის სარეცენზიო წიგნი, ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი.

ბ. მებუკე.

კრებული რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეებზე საქართველოში

მიმდინარე წლის მაისში ქართველმა ხალხმა უდიდესი ზეიმით აღნიშნა თავისი ღირსშესანიშნავი ეროვნული იუბილე — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავი. ქართველი ხალხის ამ სახელოვან იუბილეს ბევრი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორის აღსანიშნავია მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერ მუშაკთა მიერ შედგენილი კრებული „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში".

კრებულში მოხსენიებულ ოთხასამდე რევოლუციონერიდან მრავალი რუსეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეა. ნაშრომში დადგენილი და დაზუსტებულია ბევრი საინტერესო საკითხი. წარმოდგენილია მგზნებარე რევოლუციონერთა სახეები, გამოკვლეულია მათი საქმიანობა და ბრძოლები.

საიუბილეო კრებულის გამოცემით მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა მეტად კარგი საქმე გააკეთა. კრებულს ინტერესით გაეცნობა მოსახლეობის ყველა ფენა, ხოლო რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მკვლევართათვის იგი ფასდაუდებელი საჩუქარია. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მრავალ ღირსებასთან ერთად, სამწუხაროდ, იგი ღაზღვეული არ არის ზოგიერთი სერიოზული ნაკლოვანებისაგან.

როგორც ცნობილია, ბაქოსთან და თბილისთან ერთად ბათუმი რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა მთელ ამიერკავკასიაში. ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ბევრი შესანიშნავი რევოლუციონერი აღზარდა. სამწუხაროდ, კრებულში ამ რევოლუციონერ მოღვაწეთა მცირე ნაწილი შევიდა. ამავე დროს კრებულში შეტანილი ზოგიერთი ნარკვევი დასაზუსტებელია. აი ერთი მაგალითი: ი. პ. კაკაბაძის რევოლუციური მოღვაწეობის გადმოცემისას რატომღაც გვერდი აუვლიათ მისი რევოლუციური მოღვაწეობისათვის ბათუმში. კერძოდ, არაფერია ნათქვამი 1903 წელზე, როცა ი. კაკაბაძე უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმის მუშათა მოძრაობაში, რისთვისაც დაპატიმრებულიც იყო.

კრებულში სწორად არის დახასიათებული პროფესიონალური რევოლუციონერი, ერთ-ერთი ცნობილი საბჭოთა მოღვაწე ბ. ი. კვირკველია, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქაც ზოგიერთი საკითხი დაზუსტებასა და შესწორებას მოითხოვს. ასე, მაგალითად, კრებულში ვკითხულობთ, რომ 1917 წლის ივლისში ტრაპიზონში მომუშავე ბოლშევიკები გამოვიდნენ რსდმპ ადგილობრივი გაერთიანებული ორგანიზაციიდან და ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი ორგანიზაციაო. ეს ზუსტი არ არის. ტრაპიზონის დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაცია შეიქმნა არა 1917 წლის ივლისში, არამედ იმავე წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ჩვენ ვერც მეორე მტკიცებას გავიზიარებთ, რომ თითქოს 1917 წლის სექტემბერში ტრაპიზონის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარედ აერჩიოთ ბოლშევიკი ბ. კვირკველია (გვ. 329-330). სინამდვილეში საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ 1917 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე იყო მენშევიკი ს. ჭიდია, ხოლო სექტემბრის დამდეგიდან დეკემბრამდე — ლორთქიფანიძე. ტრაპიზონის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ბ. კვირკველია არჩეულ იქნა 1917 წლის დეკემბერში, როცა საბჭოს ხელახალი არჩევნების დროს გაიმარჯვეს ბოლშევიკებმა.

ტ. ა. მგალობლიშვილზე ნარკვევში ვკითხულობთ, რომ 1918 წელს იგი იყო დასავლეთ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი, მაგრამ უფრო ადრე იგი ხომ არჩეულ იქნა ბათუმის ოლქისა და გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის წევრად?

დ. გ. ნასარიძის შესახებ კრებულში ნათქვამია, რომ მას 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ მიუსწრო ტრაპიზონში, სადაც აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედო. ეს ადგილიც შესწორებას მოითხოვს. კრებულის მიხედვით იგულისხმება, რომ ნასარიძე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აურჩიეთ საბჭოს შექმნისთანავე. ნამდვილად კი ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო თავიდანვე აშკარად ესერულ-მენშევიკური იყო და ობორონცულ საქმიანობას ეწეოდა. საბჭოს შემადგენლობასა და საქმიანობაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა მხოლოდ 1917 წლის გვიან შემოდგომაზე და ნასარიძეც აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს 1917 წლის დეკემბერში, როცა ხელახალი არჩევნების დროს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს ბოლშევიკებმა.

გასაფართოებელია ვ. ბ. სიხარულიძის შესახებ ნარკვევის ის ადგილი, რომელიც 1920 წლის მეორე ნახევარს ეხება. როგორც ცნობილია, 1920 წლის მაისის ამბების შემდეგ (ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციისა და პროფსაბჭოს ხელმძღვანელი მუშაკების დაპატიმრება და სხვ.) ერთხანს ბათუმის საოლქო კომიტეტს ა. პირუმოვა (მუხა) ხელმძღვანელობდა, მაგრამ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, 1920 წლის მეორე ნახევარში, საოლქო კომიტეტს სათავეში ჩაუდგა ვ. სიხარულიძე. მისი ხელმძღვანელობით ბათუმის საოლქო ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ სწრაფად მოიშუშა ჯერ ინგლისელების, ხოლო შემდეგ ქართველი მენშევიკების მიერ მიყენებული ჭრილობა და ენერგიული მუშაობა გააჩაღა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ცხადია, ეს ამბები მოკლედ მაინც უნდა ასახულიყო ვ. სიხარულიძისადმი მიძღვნილ ნარკვევში.

გამოტოვებულია აგრეთვე ვ. ნ. სტურუას რევოლუციური მოღვაწეობის ბათუმის პერიოდი.

ყველა ეს ნაკლი ძლიერ დასანანია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ წიგნის ხელახალი გამოცემისას მათ აუცილებლად გაითვალისწინებს ავტორთა კოლექტივი.

ჯ. ცქვიტარია,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14-X, 61 წ., საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომ-
ცემლო 7 თაბახი. შეკვეთის № 6395. ემ 00605. ქაღალდის ზომა 70X108,
ტირაჟი 2000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Грузглавполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
(Батуми, ул. Р. Люксембург, 22)

ЗАБ 40 333.

6 27/323

ეროვნული ბიბლიოთეკა

Гсн
Пушкиной
Б-ке
ул. Керсиева

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литературули Аджара"
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ